

## პარტიის ისტორიის პოპილარისაზნა

პარტიის ისტორიის შესასწავლად და რევოლიუციონური წარსულის მასალათა შესაკრებათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან დაარსდა პარტიისა და რევოლიუციის ისტორიის კომისია. კომისია დასახული მიზნის მისაღწევად შეუდგა ყოველთვიური ჟურნალის გამოცემას „რევოლიუციის მატინეს“ სახელწოდებით (ქართულად და რუსულად). „რევოლიუციის მატინეში“ ადგილი დაეთმო იმ მასალებს, რომლებიც მომთხოვნილი და სწორი ამღნუსხველი იქნება განვლილი ხანების რევოლიუციონურ მოძრაობისა და ღირს-შესანიშნავ რევოლიუციონურ მომენტებისა. „რევოლიუციის მატინემ“ უნდა შესძლოს საქართველოს მდიდარი რევოლიუციონური წარსულის ყოველ მხრივ დასურათება და რევოლიუციის ენაზე მეტყველ მაგალითებით გადმოშლა; „რევოლიუციის მატინემ“ უნდა მისცეს ახალი ქვეყნის საშენებლად ჩაბმულ მშრომელ ხალხს რევოლიუციისა და მისი ხელმძღვანელი პარტიის გაშუქებული ისტორია.

საქართველო, პეტერბურგ-მოსკოვის შემდეგ, წარსულ რევოლიუციების ისტორიიდან რუსეთში რევოლიუციის პირველ აკვნად ითვლება: ტფილისი, ბათომი, გურია, ჭიათურა, ქუთაისი მეტად მდიდარია მშრომელი ხალხის რევოლიუციონური გამოსვლებით, რევოლიუციით წარმოშობილ თვალსაჩინო გმირებით და მასწავლებლებლადებით.

ამ ბრძოლებს მეფე ნიკოლოზის დროს არა ათეული და ასეული ამხანაგი დაუცია ძირს განგმირული.

საქართველოში ბრძოლა მონარქიულ-ბურჟუაზიული წესწყობილების წინააღმდეგ დაიწყო 80—90 წლებიდან.

მშრომელმა ხალხმა უნდა იცოდეს, თუ რა ამოძრავებდა, რა ამოქმედებდა და ამოქმედებს დღესაც ბრძოლის და პასუხის-მგებლობის ამ მძიმე პირობებში რევოლიუციის ძველ გვარდიას.

ამიტომ პარტიის ისტორიის კომისია მოუწოდებს რევოლიუციის ყველა მონაწილეთ მოგვაწოდონ ყოველგვარი წერილობითი საბუთები რევოლიუციონურ მუშაობის შესახებ; პირადი მიწერ-მოწერ-

რა, ვრცელი მოგონებები და, ვისაც კი მოეპოვება, მდიდარი ბიოგრაფიები რევოლუციონერებისა: აგრეთვე საკუთარი ავტო-ბიოგრაფიებიც.

სასურველია მოგვაწოდონ თან დახოცილ რევოლუციონერების ფოტოგრაფიული სურათები მოკლე ბიოგრაფიებით.

პარტიის ისტორიის კომისია.



# რუსეთის კოზუნისტური პარტიის

წყობილი „რუსეთის სოციალ-დემოკრ. მუშათა პარტიის“)

## პირველი დაგუქნაგელი ურილოგა ქ.

მინსკში 1898 წ.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველი ურილოგა, რომელზედაც დაარსებულ იქნა პარტია, შესდგა ქ. მინსკში 1898 წ. „რაბოჩაია გაზეტა“-ს („მუშათა გაზეთი“) ინიციატივით.

„რაბოჩაია გაზეტა“-ს ჯგუფი არსებობდა უფრო ადრე, ვიდრე ის მიიღებდა ასეთ სახელწოდებას და გამოსცემდა ამავე სახელწოდებით თავის ორგანოს. ამ ჯგუფის წევრები თანდათანობით ყველა იმ ჯგუფის წევრები იყვნენ, რომლებმაც იქცეოდა თავისი მოღვაწეობის მიხედვით კიევის პირველი რუსული ჯგუფი. ეწოდებოდა ამ ჯგუფს „რუსული“, თუ „რაბოჩიე დელო“-ს („მუშათა საქმე“) ჯგუფი, ან „კიევის კავშირი მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის საბრძოლველათ“, —ამ ჯგუფების სათავეში იდგენ ერთი და იგივე პირები, რომლებიც შემდეგ „რაბოჩაია გაზეტა“-ს ჯგუფის წევრები იყვნენ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ჯგუფს, როგორც ეს მაშინ საერთო მოვლენა იყო, არ ქონებია წესდება. ვინც ყველაზე მეტად და წარმატებით მუშაობდა, ბუნებრივად მისი გადაწყვეტილებების გამტარებლათ ითვლებოდა. ვინც კისრულობდა თავის თავზე განსაზღვრულ ფუნქციებს, ის სულ მალე მის წევრად ხდებოდა.

ამ ჯგუფის, „რაბოჩაია გაზეტა“-ს ჯგუფის პირველი ორგანოს პირველი ნომერი გამოვიდა 22 აგვისტოს 1897 წ. „რაბოჩაია გაზეტა“-ს სახელწოდებით.

ის ცდილობდა გადაქვეყლიყო რუსეთის საერთო ორგანოთ, ე. ი. გამხდარიყო ფაქტიურათ ცენტრალურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანოთ ყველა იმ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებისათვის, რომლებიც არსებობდნენ იმ დროს (კალ-კალკე რუსეთის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, რათა იდეურათ მაინც გაეზა კავშირი ამ დამოუკიდებლათ არსებულ ჯგუფებ შორის.

მისი უახლოესი და უმთავრესი ამოცანა და მიზანი იყო დაეცოკიცებია რუსეთში მომქმედ ყველა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანების აუცილებელი საჭიროება, ხოლო იმათთვის კი, განსაკუთრებით ძველი ორგანიზაციებისათვის, რომლებისთვისაც ეს საკითხი ყოველგვარ ექვსა და დავის გარეშე იდგა, დაემტკიცებია ამის შესაძლებლობა.

ამგვარათ, ფაქტიური პარტიული ცენტრის შექმნა, რომელიც გააფართოვებდა თავის ფუნქციებს და უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევდა ორგანიზაციებს თავისი რჩევა-დარიგებით, — აი მიზანი და ამოცანა, რომელიც დასახული ჰქონდა „რაბოჩაია გაზეტა“-ს როგორც ჯგუფს, ისე თვით გაზეტისაც ნამდვილი არჩეულ ცენტრის შექმნამდე, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა მის ამრჩეველ ორგანიზაციების მიერ შესაფერი უფლებებით.

ამ გაზეტის მეორე ნომერი გამოვიდა 20 დეკემბერს 1897 წ. ამავე დროს „რაბოჩაია გაზეტა“-ს ჯგუფი დიდ მზადებაში იყო. პარტიული ყრილობისათვის, რის შესახებაც პირდაპირ ლაპარაკობდა ამ ნომრის მეთაური წერილი. აქ ნათქვამი იყო პარტიის შექმნისა და იმის შესახებ, რომ „ბრძოლა თვითმპყრობელურ მთავრობის-წინააღმდეგ პოლიტიკურ თავისუფლებისათვის (რუსული\*) მუშათა მოძრაობის უახლოესი ამოცანაა“.

„რაბოჩაია გაზეტა“-ს ჯგუფი, თუმცა ცდილობდა ყველა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანებას, მაგრამ პროგრამა მას ყრილობაზე არ წარუდგენია. მართალია, ეს ჯგუფი არჩევდა საკითხს პროგრამის შესახებ და ცალკე თავებიც განაწილებული იყო რამდენიმე წევრს შორის, მაგრამ პროგრამის გამომუშავებისათვის აღარ დარჩა „არც ძალა და არც დრო“.

პარტიის პირველ ყრილობაზე შეკრებილ ჯგუფების ამოცანა მდგომარეობდა არა პროგრამის გამომუშავებაში, არამედ სოციალ-დემოკრატიულ ელემენტების მჭიდროთ შეკავშირებაში ერთი ცენტრის გარშემო და იმ ორგანიზაციების მომუშავე ცენტრის შექმნაში, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ შეხედულებათა იგვეობით პარტიის

\*) აქ ამის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვა „რუსული“ იხმარებოდა პარტიულ დოკუმენტებში მხოლოდ პირველ ყრილობამდე. პირველ ყრილობაზე კი ეს სიტყვა შესცვალეს სიტყვით: „რუსეთის“, ვინაიდან პირველი გამოხატავდა მხოლოდ ერთ ოვნიებას, მეორე კი გამოხატავს ტერიტორიას, ე. ი. იმ არეს და ასპარეზს, სადაც თვითმპყრობელობის ქვეშ მგზინავი ყველა ეროვნებათა მშრომელი ხალხი შეერთებული ძალებით უსასტიკეს ომს აწარმოებდა რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ, სანამ ეს უკანასკნელი 1917 წ. ჯერ ბურჟუაზიული და შემდეგ დიადი პროლეტარული რევოლუციის შემდეგ სავსებით არ ექნა დამხობილი, (იხ. ამის შესახებ პარტიის პირველი ყრილობის დოკუმენტები, რომელიც იბეჭდება ამავე ნომერში).

უახლოეს პრაქტიკულ ამოცანებისა და იმ მეთოდების მხრივ, რომლებიც საჭიროა ამოცანების სისრულეში მოსაყვანათ. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიის ძირითად საფუძვლებსა და პროგრამულ მოთხოვნებებს ჩამოყალიბებას ამ საფუძვლების თანახმად, ეს ძალაუფლებურათ გადადებული იქნა შემდეგისათვის.

მართლაც ამ ყრილობის ინიციატორის, „რაბოჩაია გაზეტა“-ს ჯგუფის უპირველესი და უმთავრესი ამოცანა იყო დაგროვილ სოციალ-დემოკრატიულ ელემენტებისაგან ფაქტიური ცოცხალი ერთეულის შექმნა და მხოლოდ ამის შემდეგ დაყენება დღის წეს-რიგში ცალ-ცალკე საპროგრამო ნაწილების ლოლიკურათ მწყობრ ჩამოყალიბების შესახებ სრულ სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში.

ამგვარათ „რაბოჩაია გაზეტა“-ს მთავარი მიზანი იყო პარტიული ყრილობის მოწვევა ყველა სოციალ-დემოკრატიულ ძალების გაერთიანებისათვის; ამიტომ, როდესაც ამ ჯგუფმა გადასწყვიტა პარტიის პირველი ყრილობის მოწვევა, უპირველეს ყოვლისა გარჩეულ იქმნა საკითხი იმის შესახებ, თუ ვისგან უნდა შემდგარიყო ყრილობა. გადაწყვეტილ იქმნა, რომ ყრილობა უნდა ყოფილიყო შემდგარი სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფების წარმომადგენლებისაგან და არა ცალკე სოციალ-დემოკრატებისაგან, რომლებიც წარმომადგენლები იქნებოდნენ მხოლოდ თავიანთი თავის. ხოლო ჯგუფებს კი, რომ ქონებოდან უფლება მონაწილეობის მიღებისა ყრილობაზე, უნდა მართლაც ეწარმოებინათ ნამდვილი მუშაობა ადგილობრივად მასებში. იმ კავშირის ძაფების მიხედვით, რომლებიც გაბმული ქონდა „რაბოჩაია გაზეტა“-ს ჯგუფს სხვა და სხვა სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებთან, ის დარწმუნებული იყო, რომ არ გამოტოვებდა არც ერთ ორგანიზაციას, მაგრამ თუ მიუხედავად ამისა ზოგიერთი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები არ იყვნენ მიწვეული პარტიის პირველ ყრილობაზე, ამას ქონდა თავისი განსაკუთრებული მიზეზები.

ამრიგათ, ასე თუ ისე, მაგრამ მაინც „რაბოჩაია გაზეტა“-ს ჯგუფის მოხმობით ქ. მინსკში ჩავიდნენ 1898 წ. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები და პირველ მარტს (ძველი თარიღით) საღამოს გაიხსნა პირველი სხდომა პირველი პარტიული ყრილობისა. ყრილობაზე წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები: 1) „რაბოჩაია გაზეტა“-ს ჯგუფი (ორი დელეგატი), 2) „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ (ერთი დელეგატი), 3) „მოსკოვის კავშირი“ (ერთი დელეგატი), 4) „კიევის კავშირი“ (ერთი დელეგატი), 5) „ეკატერინოსლავის კავშირი“ (ერთი დელეგატი) და 6) „ბუნდი“ (სამი დელეგატი). ასე რომ მთელი ყრილობა სრულიად რუსეთისა შესდგებოდა ცხრა დელეგატისაგან.





დღის წესრიგის როლს თამაშობდა ყრილობის პროგრამა. პროგრამა წარდგენილი იყო „რაბოჩაია გაზეტა“-ს ნიერ და გადაცემულ იქნა განსახილველათ და დასამტკიცებლათ ყველა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებზე. ყველა ორგანიზაციებისაგან მხოლოდ პეტერბურგის კავშირმა დაუმატა ცენტრალურ კომიტეტს ამოცანათა განსაზღვრა—მოძრაობის ხელმძღვანელობა. პროგრამაში ჩამოთვლილი იყო ის ფუნქციები, რომლებითაც აღჭურვილი უნდა ყოფილიყო ცენტრალური კომიტეტი. პროგრამაში აღნიშნული იყო, რომ დელეგატებს უნდა ქონდეს უფლება გაარჩიონ და მიიღონ გადაწყვეტილება ისეთ კითხვებზედაც, თუ კი ასეთები წამოიჭრებოდა, რომლების შესახებაც პროგრამაში არაფერი არ იყო ნათქვამი.

პირველი კითხვა, რომელიც იჩინოდა ყრილობის პირველ სხდომაზე, იყო კითხვა პარტიის სახელწოდების შესახებ. სიტყვა „რუსული“ (русский) შესცვალეს სიტყვა „რუსეთით“ (российская). შემდეგ დაარქვეს სახელები პარტიულ დაწესებულებებს: ცენტრალური კომიტეტი, ადგილობრივი კომიტეტები და აღიარეს სავალდებულოდ პარტიულ გამოცემებზე შემდეგი წარწერების გაკეთება: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“, „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

სიტყვა „რუსული“ შეცვლილ იქნა სიტყვა „რუსეთით“ პარტიისათვის იმიტომ, რომ აღენიშნათ, როგორ ეს ჩვენ სხოლიოში ვთქვით ზემოდ, რომ მუშაობაში, რომელსაც აწარმოებდა ჩვენი პარტია, მონაწილეობას იღებენ არა მარტო რუსი პროლეტარები, არამედ ყველა ერების პროლეტარებიც, რომლებიც მოსახლეობენ რუსეთის სახელმწიფოში.

პარტიის ცენტრალურ ბეჭდვითი ორგანოსა და მისი რედაქციის შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი: რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალურ ორგანოთ აღიარებულ იქნა „რაბოჩაია გაზეტა“, ხოლო მისი რედაქციის შედგენა კი მიენდო ცენტრალურ კომიტეტს.

ყრილობაზე პარტიის ფინანსები არ ყოფილა გარჩეული. მაგრამ შემდეგ ცენტრალურ კომიტეტში შედგენილ იქნა თვითური ბიუჯეტი.

ყრილობა დაიწყო პირველ მარტს საღამოს და დასრულდა სამ მარტს საღამოს. სხდომები იწყებოდა ადრიან დილით და გრძელდებოდა საღამომდე მოგვიანებით, რასაკვირველია, შესვენებით სადილისათვის.

სამ მარტს საღამოს გამართულ იქნა საღამო-ბანკეტი, სადაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი ორგანიზაციის ყველა წევრებმა ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტის პირველი საქმე იყო პარტიის დაარსების შესახებ მანიფესტის გამოცემა, რომლის რედაქ-

ცია, მიზნობილი ქონდა ცენტრალურ კომიტეტს (და რომელიც აქვე იბეჭდება). ყრილობაზე აღნიშნეს მხოლოდ ის, რომ მანიფესტში აღნიშნული უნდა ყოფილიყო პარტიის ამოცანების გარდა ისიც, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, როგორც ბრძოლის ორგანიზაცია „ნაროდნაია ვოლიას“ (რუსი რევოლიუციონერების ჯგუფი) მემკვიდრე იყო.

ამრიგათ, „რაბოჩაია გაზეტას“ ჯგუფსა და სხვა ჯგუფებსაც, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ პირველ ყრილობაზე, ცდილობდნენ რა მოეწყოთ პარტია, სურდაც შეექმნათ ის პრაქტიკულ მოქმედების მომწიფებულ მოთხოვნილებათა გადაჭრისა და ორგანიზაციების უმრავლესობის განვითარების დონესთვის ანგარიშის გაწევის გზით. ამიტომ პარტიის ცენტრალური ორგანიზაციის გაძლიერება მიიჩნდათ მათ შესაძლებლათ ამ ცენტრის მუშაობის პროცესში. იურიდიულათ პირველ ცენტრალურ კომიტეტს დაკისრებული ქონდა ამოცანა—რაც შეიძლება უფრო მეტად ეგდო ყური ორგანიზაციებისთვის, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: გამოცემა და მიწოდება ლიტერატურისა, გამოცემა ცენტრალური ორგანოსი, გამოცემა ფურცლებისა ისეთი მოვლენისა თუ ამბის შესახებ, რომელსაც რუსეთისათვის საერთო ხასიათი ქონდა, მაგალითად, პირველი მანისობა და სხვ. მაგრამ ასეთი ყურისგდება უნდა გადაქცეულიყო აუცილებლად რუსეთის შეკავშირებულ მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობათ.

და 1898 წ. პირველმა პარტიულმა ყრილობამაც გადასდგა აქეთ-კენ პირველი ნაბიჯი.

დღეს კი, ე. ი. 25 წლის შემდეგ პირველ პარტიულ ყრილობიდან ჩვენ აშკარათ და ნათლათ ვხედავთ თუ როგორ გახდა შემდეგ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, დღეს კომუნისტურ პარტიად წოდებული, ჯერ სრულიად რუსეთის მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის მეთაურათ ღ ხელმძღვანელათ ღ შემდეგ კი საერთაშორისო პროლეტარიატის პირველი სოციალისტური რესპუბლიკის მესაქეთ.



# წესდების პროექტი

## პარტიის პირველი ყრილობისათვის.

(ხელთნაწერი, რომელიც ჩამოართვეს ჩხრეკის დროს ამხ. ბორის ნიკოლოზის ძე ეიდელმანს\*) ქ. ეკატერინოსლავში 12 მარტს, 1898 წ. ღამის 11 საათზე).

თანახმა ვართ პრინციპიალურათ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებისა და კავშირების ყრილობის მოწყობაზე და ამისათვის დელეგატების გამოგზავნაზე „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კიევის კავშირისა“ და „რაბოჩაია გაზეტასაგან“.

მომავალი ცენტრალური ორგანოს ფორმა უნდა იყოს ორგანიზაციების დაკავშირების წარმომადგენელთა პერიოდული ყრილობები მუდმივი ცენტრალური კომიტეტის არსებობით.

**სახელწოდება:** რუსული (русская) სოციალ-დემოკრატიული პარტია\*\*) რუსეთის (русско-русская) სოციალ-დემოკრატიული პარტია.

## კომპეტენცია ცენტრალური კომიტეტისა.

a) ლიტერატურა.

b) ყრილობების მოწვევა და საჯგუფთაშორისო ურთიერთობის მოწესრიგება, აგრედვე ახალი ჯგუფების შემოერთება, ძალებისა და საშვალეების განაწილება.

c) ურთიერთობის დაკერა სხვა მიმართულებათა ჯგუფებთან.

d) ურთიერთობის დაკერა საზღვარ-გარეთელ რუსულ სოციალ-დემოკრატიულ კავშირთან.

e) საზოგადოებრივ დაწესებულებათა ორგანიზაცია.

f) ყრილობის დავალებათა ასრულება.

## ფუნქციები და უფლებები ცენტრალური კომიტეტისა.

a) ფინანსები: 10—15-პროც. თუ უფულოთ იქნება მოწოდებული ლიტერატურა და 20—25-პროც. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთდროულათ 100 მან.

\* ამხ. ბ. ნ. ეიდელმანი დელეგატათ იყო პირველ ყრილობაზე „რაბოჩაია გაზეტას“ ჯგუფისაგან.

\*\* ეს წინადადება წაშლილია ტექსტში.



b) სასურველია ლიტერატურა ინტელიგენციისათვის, მუშებისათვის, და დასაფანტავად.

c) ძალებისა და საშვალეების განაწილება: პირველ წელს ძალიან ფართო უფლებები.

d) სხვა მიმართულებათა ჯგუფებთან ურთიერთობის დაჭერის განსაზღვრა წმინდა საქმიანურის გამოკლებით, გადაცემულ უნდა იქნეს ყრილობისათვის, და აგრეთვე.....

e) საზოგადოებრივ დაწესებულებათა ორგანიზაცია, რომლებიც წინასწარ მონიშნულია, ექვემდებარება ყრილობას, ხოლო სასწრაფო და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი—ცენტრალურ კომიტეტს. როგორ იქნება შედგენილი ცენტრალური კომიტეტი—ირჩევა ყრილობაზე მის წევრებისაგან. ცენტრალური კომიტეტის რიცხვი და შემადგენლობა განისაზღვრება ყრილობის მიერ, რომელიც ნიშნავს ერთ და იმავე დროს კანდიდატებსაც რაიმე მიზეზის გამო ცენტრალურ კომიტეტის შემადგენლობიდან გასულ წევრების მოადგილეებათ. დელეგატ.... ეძლევა უფლება განიხილოს და დაამტკიცოს პროგრამა, თუ ეს უკანასკნელი წარმოდგენილი იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში შეადგინოს და გამოაქვეყნოს მანიფესტი\*).

(თუ პროგრამა არ იქნება დაწერილი პლენარის მიერ, ის უნდა გადაეცეს პლენარის განსახილველად).

a) წინადადება მიეცეს საზღვარ-გარეთელ კავშირს რ. ც. დ. იყვეს წარმომადგენელი რ. ც. პ. და დ. პ. და მქიდრო კავშირი იქნეს გაბმული მასთან.

b) გამოცემულ იქნეს ფურცელი და ბროშურა.

c) რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შეუძლია შევიდეს დამოკიდებულებაში, სხვა მიმართულების რევოლიუციონურ ჯგუფებთან, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან მის მიზნებს სხვა და სხვა პრაქტიკული კითხვებით.

### ჩ ვ ე ნ გ ა ნ .

რ. ს. ახალი ჯგუფების მიღების პირობები.

- 1) სოციალ-დემოკრატიული პროგრამის მიღება.
- 2) მათ ძალი უნდა ჰქონდეთ გაბმული მუშებთან.
- 3) ის უნდა იყოს კონსპირატიული.

**სამხრეთ რუსეთის მუშათა კავშირი.**

\*) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პარტეტში ბევრი ადგილები გამოტოვებულია, რაც აზრს უკარგავს ზოგიერთ წინადადებებს, მისთან სტილის და საზოგადოებრივის მხრივაც ის ვერაა დაშაკაყოფილებელი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს იყო ხელთნაწერები, რომელსაც ასწორებდნენ სხვა და სხვა დელეგატები და მასთან უნდა დარჩებოდა ბელში იყო გადასული ყველა ამის გამო ზოგიერთი ადგილების (სადაც ჩვენ მრავალი წერტილი გვაქვს დასმული) გარჩევა და წაკითხვა შეუძლებელი იყო.

# მანიფესტის პროექტი

პირველი ყრილობისათვის.

ასლი ხელთნაწერიდან, რომელიც ჩამოაროვეს ბორის ნიკოლოზის ძე (ეიდელმანს გაჩხრეკის დროს ქ. ეკატერინოსლავში 12 მარტს, 1898 წ.)

„მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარი წარმოადგენს რუსეთისათვის ღირსშესანიშნავ მომენტს: ამ დროს მოხდა რუსეთის გადასვლა ნატურალურ მეურნეობიდან ფულის მეურნეობაში და განვითარდა კაპიტალიზმი ყველა თავისი შედეგებით. სამოციან წლებიდან დაწყებული, ბატონყმობის მოსპობის დროიდან, მსხვილი მრეწველობა განვითარდა გიგანტიური სისწრაფით: რკინის გზები, ბანკები, ფაბრიკები, ქარხნები და სხვ. და სხვ.—აი კაპიტალიზმის განვითარების ის გამოხატულება, რომელიც თვალწინ გვიდგება ყოველ ნაბიჯზე. წარმოიშვა მსხვილი ბურჟუაზია, რომელმაც თავის ყურმოჭრილ მოსამსახურეთ გაიხადა მთავრობა. მთავრობის პოლიტიკა გახდა რუსი ბურჟუაზიის პოლიტიკათ, და თითქმის ყველაფერი, რაც მოხდა და ხდება მთავრობის მიერ როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე მის გარეთაც, აიხსნებოდა და აიხსნება ბურჟუაზიის ინტერესებით.

მაგრამ კაპიტალიზმის განვითარებამ გამოიწვია არა მარტო ბურჟუაზიის წარმოშობა: მან წარმოშვა რუსი პროლეტარიატიც. ახლა რუსეთში პირის-პირ დგას ორი ძალა: ბურჟუაზია მთავრობით და მისი ანტიპოდი—პროლეტარიატი. ამ ორი კლასის ინტერესები დიამეტრალურათ ეწინააღმდეგება ერთი მეორეს. მათ შორის აუცილებლათ უნდა გაჩაღებულიყო ბრძოლა, ის ბრძოლა, რომელიც წარმოებს მსოფლიოს ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში და რომელსაც მიუყვართ აუცილებლათ სოციალისტურ წყობილებისაკენ. და ეს ბრძოლა კიდევაც გაჩაღდა. აღარაა საჭირო მოვიყვანოთ ამ ბრძოლის ფაქტები: ისინი მეტად ნათელი და ცხადია. თავდაპირველათ ეს ბრძოლა სწარმოებდა სტიქიურათ: პროლეტარიატი აღსდგა თავისი მდგომარეობის, ჩავვრის პირდაპირი გავლენის ქვეშ, არ ესმოდა რა ნათლად თუ რას უნდა ესწრაფოდეს და რას უნდა მოითხოვდეს ის ბურჟუაზიისა და მთავრობისაგან. მეორე საფეხები—ეს არის მოწყობა ცალკე სამრეწველო ცენტრებში მუშათა ორგანიზაციებისა, რომლებიც შეგნებულათ, ისახავდენ რა მიზნებს უმეტეს ნაწილათ სოციალ-დემო-



კრატიულ პროგრამის მიხედვით, ხელმძღვანელობდენ ადგილობრივი მუშების ბრძოლას მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. შესაძვე საფეხური უნდა ყოფილიყო ამ ცალკე მუშათა ორგანიზაციების გაერთიანება მთლიან მუშათა პარტიაში, რომელიც მისცემდა მიმართულებას მუშათა კლასის ბრძოლას მთელს რუსეთში ერთ მიზნისაკენ: მთელი რუსეთის პროლეტარიატის ეკონომიურ და პოლიტიკურ განთავისუფლებისაკენ. ეს გაერთიანება მოხდა ახლა: რუსული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები შეერთდენ ერთ რუსულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიათ.

რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტია, ცდილობს რა შეაკავშიროს თავისი დროშის ქვეშ მთელი რუსი სამრეწველო და სამიწადმოქმედო პროლეტარიატი და, აქვს რა სახეში განსაკუთრებით და მარტო მისი ინტერესები, იბრძვის იმისათვის, რომ მიაღწიოს ახლო მომავალში შემდეგს:

1) თავისუფლებას სიკუცხიას, ბეკდვისას, კავშირებისას და კრებებისას, და აგრეთვე რუსული პარლამენტის მოწვევასაც ხაყოველთაო, თანახმორ, პირდაპირ და ფარულ ხაარჩევნო უფლების ხაფუძველზე.

2) ა) რვა საათის სამუშაო დღეს ზედმეტი საათების მუშაობის მოსპობით. ღამე მუშაობის აკრძალვას. შეუწყვეტლათ კვირაობით დასვენებას 36 საათით. 15 წელზე დაბლა ბავშვების მუშაობის აკრძალვას. მუშების ხავადღებულთ სახელმწიფო დაზღვევას ავადმყოფობისა, სიბერისა, უბედურ შემთხვევებისა და უმუშევრობისაგან.

ბ) გავრცელებას ყველა, როგორც აშუაშათ არსებულ ხაფაბრიკო კანონებისას, ისე იმათისაც, რომლებიც გამოიცემა მომავალში, ყველა ხახელთხნოებზე მუშების ჩამდენი რიცხვიც არ უნდა იყვეს შიგ.

ც) მუშათა კანონმდებლობის გავრცელებას მთელი თავისი ხიგრძე სიგანით სოფლის მუშებზე მიწადმოქმედების მრეწველობის პირობებთან შეფარდებით.

რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის მისწრაფებათა საბოლოო მიზანი კი არის:

სოციალისტური წყობილება, ე. ი. გადახვლა წარშოების ყველა ხაშვალებათა—მიწების, მალაროების, ფაბრიკების, ქარხნების და გზების—მთელი ხალხის ხედში.

უფრო დაწერილებით გამოთქვამს თავის მისწრაფებებს სოციალ-დემოკრატიული პარტია თავის პროგრამაში, რომელიც მზადდება დასაბეჭდათ.



თავის წარმომადგენლებათ საზღვარ გარეთ პარტია აცხადებს საზღვარ-გარეთელ „რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირს“.

თავის ორგანოთ პარტია აღიარებს „რაზობჩია გაზეტას“ („მუშათა გაზეთი“).

რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტია, არის რა წარმომადგენელი რუსის პროლეტარიატის ინტერესებისა და იწყებს რა ბრძოლას რუსულ მთავრობასა და რუს ბურჟუაზიასთან ამ ინტერესებისათვის, არ მიდის არავითარ დათმობებზე თავის მოთხოვნისა და მოთხოვნებისა, მაგრამ სიამოვნებით შედის კავშირში სხვა რევოლუციონურ და ოპოზიციონურ პარტიებთან და ჯგუფებთან, თუ ეს ხელს არ შეუშლის რუსი პროლეტარიატის ინტერესებს.

გაუმარჯოს რუს პროლეტარიატს!

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას!

**ცენტრალური კომიტეტი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა.**

(სამხრეთ რუსეთის მუშათა კავშირი)

# მანიფესტი

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა.

50 წლის წინეთ ევროპაზე გადაიარა 1848 წლის რევოლიუციის ცხოველ-მყოფელმა ქარიშხალმა.

პირველათ გამოვიდა სცენაზე—როგორც მსხვილი ისტორიული ძალა—თანამედროვე მუშათა კლასი. მისი ძალების შემწეობით ბურჟუაზიამ შესძლო აღევაგა ბევრი დაძველებული ბურჟუაზიულ-მონარქიული წესიერებანი. მაგრამ ბურჟუაზიამ ჩქარა გაარჩია ახალ მოკავშირში თავისი უსასტიკესი მტერი და გასცა თავისი თავიცა და ისიც, და აგრეთვე თავისუფლების საქმეც რეაქციას. მაგრამ უკვე გვიან იყო: მუშათა კლასი, დროებით დამშვიდებული, 10—15 წ. შემდეგ ხელახლა გამოჩნდა ისტორიულ სცენაზე გაორკეცებული ძალებით, გაზრდილი თვით-შეგნებით, როგორც სრულიად მომწიფებული მებრძოლი თავისი საბოლოო განთავისუფლებისათვის.

რუსეთი მთელი ამ ხნის განმავლობაში გვერდზე იდგა ისტორიული მოძრაობის თავად-აზნაურულ გზისაგან. კლასთა ბრძოლა მასში არ სჩანდა, მაგრამ ის არსებობდა, და რაც უმთავრესია, ის სულ უფრო იზრდებოდა და მწიფდებოდა. რუსული მთავრობა საქებარე გულმოდგინებით თვითონ თესდა კლასიურ ბრძოლის თესლს, ტოვებდა რა უსახლ-კაროთ გლეხებს, ფარველობდა რა მემამულეებს, აძლევდა და ასუქებდა რა მშრომელი ხალხის ხარჯზე მსხვილ კაპიტალისტებს მაგრამ ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წყობილება ყოველად წარმოუდგენელია პროლეტარიატის ანუ მუშათა კლასის გარეშე. უკანასკნელი იბადება კაპიტალიზმთან ერთად, იზრდება ერთად, ძლიერდება და თავის ზრდასთან ერთად სულ უფრო და უფრო ებმება ბურჟუაზიასთან ბრძოლაში.

რუსი ფაბრიკის მუშა, ყმა და თავისუფალი, მუდამ აწარმოებდა ფარულ და აშკარა ბრძოლას თავის მყვლეფელებთან. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა ამ ბრძოლის სიფართოვე და ითრევდა შიგ მუშა ხალხის სულ უფრო და უფრო მეტ წრეებს. რუსი პროლეტარიატში კლასიური თვითშეგნების გაღვიძება და მუშათა სტიქიური მოძრაობის ზრდა მოხვედა საერთაშორისო სოციალ-



დემოკრატიის, როგორც მთელი მსოფლიოს შეგნებული მუშების კლასური ბრძოლისა და კლასიური მატარებლის საბოლოო განვითარებას. ყველა უახლოესი რუსული მუშათა ორგანიზაციები ყოველთვის თავის მოქმედებაში შეგნებულათ თუ შეუგნებლათ მოქმედებდნენ სოციალ-დემოკრატიული იდეის მიხედვით. მუშათა მოძრაობისა და მასზე დაყრდნობილ სოციალ-დემოკრატიის ძალა და მნიშვნელობა ყველაზე უფრო ცხადათ დაგვანახა მთელმა რიგმა გაფიცვებმა უკანასკნელ ხანებში რუსეთში და პოლონეთში, განსაკუთრებით კი პეტერბურგის ქარგალთა და ფეიქართა ცნობილმა გაფიცვებმა 1896-და 1897 წ. წ. ამ გაფიცვებმა აიძულა მთავრობა გამოეცა 1897 წ. 2 ივნისის კანონი სამუშაო დროის ხანგრძლივობის შესახებ. ეს კანონი, როგორი დიდიც არ უნდა იყოს მისი ნაკლულევანებანი, დარჩება სამარადისოთ იმ დიდი და ძლიერი გავლენის ღირსშესანიშნავ სბუთად, რომელსაც ახდენს მთავრობის საკანონმდებლო და სხვა მოქმედებაზე მუშების შეერთებული ძალდონე. მხოლოთ ტყვილა უბრალოთ გონია მთავრობას, რომ დათმობებით შეუძლია მას დააწყნაროს მუშები. ყოველგან მუშათა კლასი მით უფრო მომთხოვანი ხდება, რაც უფრო მეტს აძლევენ მას. ასევე იქნება რუსეთის პროლეტარიატთანაც. მას აძლევდენ აქამდე მხოლოთ მაშინ, როდესაც ის მოითხოვდა, და მომავალშიაც მისცემენ მხოლოთ მაშინ, როდესაც ის მოითხოვს.

ხოლო რაა ისეთი, რაც რუსეთის მუშათა კლასს არ უნდა? ის სრულებით მოკლებულია იმას, რითაც თავისუფლათ და დამშვიდებით სარგებლობენ მისი საზღვარ-გარეთელი ამხანაგები: სახელმწიფოს მართველობაში მონაწილეობის მიღებას, ზეპირი და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას, კავშირებისა და კრებების თავისუფლებას, ერთი სიტყვით, ყველა იმ იარაღებსა და საშვალეებებს, რომლებითაც დასავლეთ-ევროპისა და ამერიკის პროლეტარიატი აუმჯობესებს თავის მდგომარეობას და მასთან ერთად იბრძვის თავის საბოლოო განთავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის და წინააღმდეგ კერძო საკუთრებისა და კაპიტალიზმისა. პოლიტიკური თავისუფლება ეჭირვება რუსეთის პროლეტარიატს, როგორც სუფთა ჰაერი ჯანსაღი სულთქმისათვის. ის ძირითადი პირობაა მისი თავისუფლი განვითარებისა და წარმატებით ბრძოლისა ნაწილობრივი გაუმჯობესებისა და საბოლოო განთავისუფლებისთვის.

მაგრამ მისთვის საჭირო პოლიტიკური თავისუფლება რუსეთის პროლეტარიატს შეუძლია მოიპოვოს მხოლოდ თვითონ.

რაც უფრო შორსაა ევროპის აღმოსავლეთით, მით უფრო სუსტი, მშიშარა და ვაიძვერაა პოლიტიკის მხრივ ბურჟუაზია, და მით უფრო მეტი ევლტურული, პოლიტიკური ამოცანები აქვს პროლეტარ-




რიატს. თავის მაგარ ბეჭებზე უნდა გადაიტანოს და კიდევაც გადაიტანს რუსეთის მუშათა კლასი პოლიტიკურ თავისუფლების დაპყრობის საქმეს. ეს აუცილებელი, მაგრამ მხოლოდ პირველი ნაბიჯია პროლეტარიატის დიადი ისტორიული მისიის განხორციელებისკენ: ისეთი საზოგადოებრივი წყობილების შექმნისაკენ, რომელშიაც ადგილი არ ექნება ადამიანის მიერ ადამიანის ყველფას. რუსეთის პროლეტარიატი ჩამოიგდებს თვითმპყრობელობის უღელს, რათა უფრო მეტი ენერგიით განაგრძოს ბრძოლა კაპიტალიზმთან და ბურჟუაზიასთან სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე.

რუსეთის მუშათა მოძრაობისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პირველი ნაბიჯები არ შეიძლება არ ყოფილიყო დაქსაქსული, რამდენიმეთ შემთხვევითი, მოკლებული ერთიანობასა და გეგმას. ახლა დადგა დრო რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ადგილობრივი ძალების, წრეებისა და ორგანიზაციების გაერთიანებისა „რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიათ“. ამის შეგნებით წარმომადგენლებმა: „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირისა“, „რაბოჩაია გაზეთის“ („მუშათა გაზეთი“), და „ებრაელ მუშათა საერთო კავშირისა რუსეთში და პოლონეთში“, მოაწყვეს ყრილობა, რომლის გადაწყვეტილებანიც დაბლა მოგვყავს.

ადგილობრივ ჯგუფებს, ერთდებიან რა პარტიათ, შეგნებული აქვთ ამ ნაბიჯისა და მისგან გამომდინარე პასუხისმგებლობის მთელი მნიშვნელობა. ისინი ამით საბოლოოთ ადასტურებენ რუსეთის რევოლუციონური მოძრაობის გადასვლას შეგნებული კლასიური ბრძოლის ახალ ეპოქაში. როგორც მოძრაობა ისე მიმართულებაც სოციალისტურია. რუსეთის სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტია განაგრძობს საქმეს და ტრადიციებს მთელი წინანდელი რევოლუციონური მოძრაობისას რუსეთში; ისახავს რა პარტიის უმთავრეს და უახლოეს ამოცანათ მთლიანათ პოლიტიკურ თავისუფლების დაპყრობას, სოციალ-დემოკრატია მიდის მიზნისაკენ, რომელიც ნათლად მონიშნული ქონდა ჯერ კიდევ ძველი „ნაროდნაია ვოლისა“ („ხალხის ნება“) სახელოვან მოღვაწეებს. შავრამ საშვალეებები და გზები, რომლებსაც ირჩევს სოციალ-დემოკრატია, სხვაა. მათი არჩევა განისაზღვრება იმით, რომ მას შეგნებულათ სურს იყოს და დარჩეს შეკავშირებულ მუშათა მასების კლასიურ მოძრაობათ. ის მტკიცეთაა დარწმუნებული იმაში, რომ „მუშათა კლასის განთავისუფლება შეიძლება იყვეს მხოლოთ მისი საკუთარი საქმე,“ და გადაუხრებლათ შეუფარდებს ყველა თავის მოქმედებებს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ამ ძირითად საფუძველს.

10192



გაუმარჯოს რუსეთის, გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას!

### ყრილობის გადაწყვეტილებანი. \*)

1) ორგანიზაცია „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირისა“, ჯგუფები „რაბოჩაია გაზეტასი“ და „ებრაელ მუშათა საერთო კავშირისა რუსეთში და პოლონეთში“ ერთდებიან ერთ პარტიათ „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის“ სახელწოდებით; ამისთანავე „ებრაელ მუშათა საერთო კავშირი რუსეთში და პოლონეთში“ შედის პარტიაში, როგორც ავტონომიური ორგანიზაცია: დამოუკიდებელი მხოლოდ იმ კითხვებში, რომლებიც ეხება სპეციალურათ ებრაელ პროლეტარიატს.

2) „პარტიის“ აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს ცენტრალური კომიტეტი, არჩეული „პარტიის“ ყრილობაზე, რომელსაც ურდგენს ის ანგარიშს თავის მუშაობის შესახებ.

3) ცენტრალური კომიტეტის მოვალეობას შეადგენს:

ა) ზრუნვა „პარტიის“ მიზანშეწონილ მოღვაწეობაზე (ძალები-სა და საშუალებების განაწილება, წამოყენება და გატარება ერთფეროვან მოთხოვნისათვისა და სხვა). ამავე დროს ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს „პარტიის“ ყრილობის მიერ მოცემულ საერთო დირექტივებით.

ბ) ადგილობრივ კომიტეტისთვის ლიტერატურის მოწყობა და მოწოდება.

ც) ისეთ დაწესებულებათამოწყობა, რომელთაც აქვთ მთელი რუსეთისათვის საერთო მნიშვნელობა (პირველი მაისის დღესასწაულობა, ფურცლების გამოშვება გამოჩენილ ფაქტების გამო, გაფიცულებისათვის დახმარება და სხვა).

4) განსაკუთრებულ მნიშვნელოვან შემთხვევებში ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

ა) იმ კითხვებისათვის, რომლების გადადება, შესაძლებელია, ცენტრალური კომიტეტი მოვალეა მიმართოს დირექტივებისათვის „პარტიის“ ყრილობას.

ბ) იმ კითხვებისათვის, რომლების გადადება შეუძლებელია, ცენტრალური კომიტეტი ერთხმით გადაწყვეტილებით მოქმედებს დამოუკიდებლათ და ანგარიშს აძლევს ნამოქმედარში „პარტიის“ უახლოეს მორიგ და სასწრაფო ყრილობას.

5) ცენტრალური კომიტეტს უფლება აქვს შეავსოს თავისი შემადგენლობა ახალი წევრებით.

\*) აქ მოგვეყვს ყრილობის მხოლოდ ის დადგენილებანი, რომლების გამოკვეყნებაც, რუსეთში მაშინ არსებულ კანონებით, შეიძლებოდა.

6) „პარტიის“ საშუალებებს, რომლებიც იმყოფება ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში, შეადგენს:

a) ადგილობრივი კომიტეტების ნებაყოფლობითი ერთდროული შემოწირულებანი „პარტიის“ დაარსების მომენტში.

b) ნებაყოფლობითი ერთდროული გადარიცხვა ადგილობრივი კომიტეტების საშუალებებიდან; და

c) სპეციალური შეკრება „პარტიისთვის“.

7) ადგილობრივი კომიტეტები ასრულებენ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს იმ ფორმით, როგორსაც დაინახავენ ისინი უფრო შესაფერისათ ადგილობრივი პირობების მიხედვით. განსაკუთრებულ პირობებში ადგილობრივ კომიტეტებს ეძლევათ უფლება უარი თქვან ცენტრალურ კომიტეტის მოთხოვნილების შესრულებაზე აცნობებენ რა მას უარის მიზეზის შესახებ. ყველაფერ დანარჩენში ადგილობრივი კომიტეტები მოქმედებენ სრულიად დამოუკიდებლათ, ხელმძღვანელობენ რა მხოლოდ „პარტიული“ პროგრამით.

8) „პარტია“ თავის ცენტრალურ კომიტეტის საშუალებით შედის ურთიერთ დამოკიდებულებაში სხვა რევოლუციონურ ორგანიზაციებთან, რამდენათაც ეს არ არღვევს მისი პროგრამის პრინციპებს და მისი ტაქტიკის მეთოდებს. პარტია ცნობს თითოეულ ეროვნებისათვის თვითგამორკვევის უფლებას.

**შენიშვნა:** ადგილობრივი კომიტეტები შედიან ურთიერთ დამოკიდებულებაში ასეთ ორგანიზაციებთან მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის უწყებებითა და ღირექტივებით.

9) პარტიის უმაღლეს ორგანოთ ითვლება ადგილობრივი კომიტეტების წარმომადგენელი ყრილობა. ყრილობები არის მორიგი და სასწრაფო. თითოეული მორიგი ყრილობა ნიშნავს შემდეგი მორიგი ყრილობის დროს. სასწრაფო ყრილობებს იწვევს ცენტრალური კომიტეტი როგორც თავისი ინიციატივით, ისე ადგილობრივ წევრთა რიცხვის ორი მესამედის მოთხოვნითაც.

10) „რუს სოციალ-დემოკრატების კავშირი“ საზღვარ-გარეთ ითვლება „პარტიის“ ნაწილათ და მის საზღვარ-გარეთელ წარმომადგენლათ.

11) „პარტიის“ ოფიციალურ ორგანოთ ცხადდება „რაბოჩაია გაზეტა“ („მუშათა გაზეთი“). „პარტიის“ დაწვრილებითი პროგრამა გამოქვეყნებულ იქნება ადგილობრივი კომიტეტების მიერ მისი განხილვის შემდეგ.

**რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მანიფესტისთვის.**

ღრმა კმაყოფილების გრძობით შეიძლება აღინიშნოს ფაქტი აქამდე დაქსაქსულ ჩვენს



სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფების გაერთიანებისა იმ კონგრესის მიერ შექმნილ ერთ საერთო ორგანიზაციით, რომელზედაც მონაწილეობას იღებდნენ შემდეგ კავშირების წარმომადგენლები:

მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირები. „რაბოჩაია გაზეტას“ რედაქცია, ებრაელ მუშუთა კავშირი რუსეთსა და პოლონეთში.

დასახელებული სამი ჯგუფი ერთდებოა ერთ ორგანიზაციით საერთო სახელწოდებით: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია“. მასთან ებრაელ მუშათა კავშირი იტოვებს თავისთვის ავტონომიას და მოქმედების თავისუფლებას ებრაელ პროლეტარიატის კერძო ინტერესების მიმართ. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, ხელმძღვანელობს რა ყველაფერში იმ ძირითადი აზრით, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება უნდა მოხდეს თვითო მათივე საშვალეებით, უარყოფს ბურჟუაზიის მონაწილეობას ამ დიად საქმეში. ყველა დანარჩენში კი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია სოლიდარულია იმ ნაროდოვოლცური პარტიის პროგრამასთან, რომლის ორგანიზაციც ითვლება „ნაროდნაია ვოლია“ („ხალხის ნება“).

ეს სოლიდარობა გამოიხატა სხვათა შორის კონგრესის (ყრილობის) მოწყობაში, როგორც დაინახავს ამას მკითხველი A დამატებითიდან. \*)

\*) ამ დამატებაში (დამატება A) განმეორებულია თითქმის ყველაფერი ის, რაც ნათქვამი იყო „მანიფესტზე“ დანართ „ყრილობის გადაწყვეტილებებში“. როგორცაა, მაგალითად, შემდეგი: ვინ ირჩევს ცენტრალურ კომიტეტს, რა უფლებები აქვს მას, ვინ იწვევს პარტიის ყრილობას და სხვ ასე რომ ამ დამატებით დამატება ზემოთხსენებულ მივიჩნეოთ.

# რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმოშობა.

ოთხმოციან წლებში სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება თან-დათან ირკვევა იმ ბურჟუაზიზმს, რომელიც თან ზდევს ყოველ ახალ პოლიტიკურ მცნებას, და ღებულობს მკაფიო და მარტივ ღებულე-ბათა სახეს. რასაკვირველია, აქ არ შეიძლება ხელმძღვანელობა იმ კრიტიკული სწორსაზომით, რომლითაც ეხლანდელ პირობებში ვშინ-ჯავთ ყოველ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მნიშვნელობის აზრს და მოქმედებას. მაშინდელი ს.-დ. პროგრამმა წარმოადგენდა მხო-ლოდ პირველ ცდას მარქსისტული მსოფლ-მხედველობის ჩამოყალი-ბებისას, პირველ ნაბიჯს ახლად შეგნებულ და შეთვისებულ მარქსი-ზმის რუსეთის სინამდვილეში განმტკიცებისას; რაც პირველ ყოვლისა ნიშნავს იმას, რომ სოციალ-დემოკრატიული მცნების პირველ მოცი-ქულთ უნდა მოეხდინათ რუსეთის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრე-ბის სწორი ანალიზი, ნათლათ გაეთვალისწინებინათ მისი კლასიური ბუნება და აღმოეჩინათ თანამედროვე საზოგადოების წიაღში ის ელემენტები და ძალები, რომელნიც ისტორიულათ მოწოდებულნი იყვნენ სოციალისტური იდეის შესათვისებლათ და ლოლიკური აუ-ცილებლობით რევოლიუციის მებაირახტრეთ და მესვეურათ უნდა გა-მოსულიყვნენ.

რას წარმოადგენდა მაშინდელი რუსეთი? არსებობდა თუ არა იქ პროლეტარიატი, როგორც მასსა, როგორც კლასი?

პასუხი ამ საკითხზე მოითხოვს დამტკიცებას იმისას, რომ რუ-სეთში იმ დროს კაპიტალისტური წარმოება შესამჩნევათ განვითარე-ბულ პროცესს წარმოადგენდა. სოციალ-დემოკრატიის მოწინააღმდე-გე ბანაკი, რომელიც რუსეთის ეკონომიური და სოციალური თავი-სებურობიდან (თვითმყოფობიდან) გამოდიოდა და „артель“-ზე, „ინ-щина“-ზე და „мир“-ზე ამყარებდა თავის პროგრამას, რასაკვირვე-ლია, ს.-დემოკრატიას და მარქსიზმს უყურებდა, როგორც უცხო ქვეყ-ნის ხილს რუსეთში ხელოვნურათ გადმონერგილს. მაშასადამე, მას არ სწამდა კაპიტალისტური ფაზის აუცილებლობა სოციალისტური მომავლის გზაზე. იმ მიმართულებისათვის, რომელიც ლამობდა „ობზ-

ჩინ“-ის საშუალებით კაპიტალიზმის ზურგზე გადავლებას და პირველ პირ სოციალიზმის სამეფოში თავის ამოყოფას, ცხადია, სრულიათ ვაუგებარი იყო ცხოვრების ახალი სტრუქტურა, პროლეტარიატის კლასობრივი სახე და მისი ისტორიული მისია. ამიტომ გლენობაში ხედავდა იგი სოციალისტურ ნიადაგს და გლენობაზე ამყარებდა სოციალური რევოლუციის იმედებს.

არ არის გასაკვირველი, რომ ლავროვის ჯგუფი (მე-70 წ.წ.) რომელიც იკრიბებოდა გაზეთ „Вперед“-ის გარშემო და რომელსაც იმ დროს საუკეთესოთ ჰქონდა შეთვისებული მარქსის მოძღვრება და პირველი ინტერნაციონალის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ვერ გასცილებოდა „ნაროდნიკულ“, „ობშინურ“ მსოფლმხედველობას და ლამობდა მის მარქსისტულ ნიადაგზე დამყარებას და გამაგრებას. უფრო ადრე მე-60 წ.წ. დიადი ჩერნიშევსკი, რომელიც ხშირათ ობიექტიურათ მარქსისტულ პოზიციაზე დგებოდა (მაგ. გერცენთან კამათში), ასევე უტოპიურათ აზროვნებდა და „ობშინის“ საშუალებით კაპიტალიზმის გადალაგებას ფიქრობდა. რაც შეეხება ბაკუნინს და ბაკუნისტებს, ესენი მით უმეტეს იყვნენ მოკლებული სწორ შეხედულებას თანამედროვე საზოგადოების ბუნებაზე და მის განვითარების პროცესზე. თავის ბუნტარულ ტაქტიკას ისინი სოფლების და გლენობის აჯანყებაზე ამყარებდნ და ამას გლენობის „ობშინური“ სულისკვეთებით და არა-სახელმწიფოებრივი ინსტინქტებით ასაბუთებდნ. ამ გზით ისინი ისეთ აბსურდამდეც მიდიოდნ, რომ ყაჩაღობას სთვლიდნ დიდათ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენათ და ყაჩაღი თითქმის რევოლუციონური პროგრესის მატარებლათ მიაჩნდათ (იხ. „სახელმწიფო და ანარქია“).

„უმეტესათ ვიდრე როდისმე ყაჩაღობა რჩება ერთად ერთ გამოსავალათ პიროვნებისათვის—და მთელი ხალხისთვის კი საერთო ბუნტი, რევოლუცია“-ო, სწერდა ბაკუნინი (ibid.)

ვერც ლავრისტები, ვერც ბაკუნისტები, ვერც „ნაროდნიკები“, „ზემლეკოლცები“ და „ნაროდოვოლცები“ ვერ ამჩნევდნ წარმოების კაპიტალისტური წესის თანდათან დამკვიდრებას რუსეთის ცხოვრებაში და იმ ჯერ სრულიად ახალგაზრდა გმირის დაბადებას, რომელსაც სახელათ ეწოდებოდა სამრეწველო პროლეტარიატი და რომელსაც ისტორიულათ დაკისრებული ჰქონდა ყოველგვარი რევოლუციების მოხდენა როგორც პოლიტიკურის, ისე სოციალურის. მართალია, დიდი გამჭრიახობა იყო საჭირო, რომ ეს ახალი ძალა ჯეროვანათ დაუასებულიყო მაშინდელი სოციალისტების და რევოლუციონერების მიერ, რომ მთელი სიმძიმის ცენტრი თითქმის ას მილიონიან გლენობის მასიდან რამოდენიმე ათასეულ პროლეტარიატზე გადა-



ტანილიყო და მხოლოდ იგი ეცნოთ ისტორიული ბედის გადამწყვეტი ტათ.

სამოციან წლების ეგრედ წოდებულ დიდი რეფორმების შემდეგ, ფიზიკური შრომა გლეხის სახით განთავისუფლებული იყო, რადგან უამისობა პირდაპირ დალუპვას უქადიდა რუსეთს, რაშიც ყირიმის კომპანიამ საესეებით დაარწმუნა თვით მთავრობაც. მართალია, ბატონ-ყმურ რუსეთშიაც (XIX საუკუნის დასაწყისი) ვამჩნევთ კაპიტალისტური საზოგადოების ჩანასახს: მიწადმფლობელთ, რომელნიც ხმარობენ დაქირავებულ შრომას, ვაჭრულ და რამოდენიმეთ მრეწველ ბურჟუაზიას, პროლეტარიატის პირველ უჯრედებს და ინტელიგენციას, მაგრამ ეს მხოლოდ ჩანასახია, ამას ემბრიონალური ხასიათი აქვს, რაიც გაძლიერებულათ ვითარდება მხოლოდ მე-60 წლების შემდეგ. აქედან იწყება ხანა კაპიტალის პირველ-დაწყებითი დაგროვებისა და ფულის და საქონლის ტრიალი ხდება ცხოვრების ღერძათ. ბურჟუაზიის და კაპიტალის გაბატონება ცხოვრებაში, მთელი მათი საზიზღარი მხარეებით—შშრომელთა მონობით და ექსპლოატაციით, გარყვნილებით, ძალმომრეობით და სხ. განსაკუთრებით-კი იმ კოლექტივისტური ტრადიციების აღმოფხვრით რომელნიც არსებობდენ გლეხობაში „ობშინის“, „არტელის“ და „მირ“-ის სახით და რომლებზედაც ახლო სოციალური გადატრიალების იმედს ამყარებდენ რევოლიუციონურათ მოაზროვნე ელემენტები, სასურველი და მისაღები არ იყო. ამიტომ კაპიტალისტური ხანის ამოგლეჯა რუსეთის ცხოვრების ისტორიიდან ერთნაირათ ახასიათებს ყველა რევოლიუციონურ მიმართულებას ვიდრე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსებამდე.

კაპიტალიზმის პირველ-დაწყებითი ნაბიჯები წარმოადგენდენ არსებულ ძველ ურთიერთობათა უღმობელ ნგრევის პროცესს და მასთან ერთად ასეთივე უღმობელობით ანადგურებდენ მათზე დამყარებულ საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის გეგმებსაც. ძირითადი დებულება: პირდაპირ სოციალისტურ სამეფოში გადახტომა, იწვევდა ლოლიკურის აუცილებლობით ასეთ დასკვნებს: 1) პოლიტიკური ბრძოლის უარყოფას; 2) პროლეტარიატის შეუშინველობას ან მისთვის მეორე ხარისხოვანი, დამხმარე და არა საკუთარი როლის მიანიჭებას; 3) გლეხობის საზოგადოებრივ გარდაქმნის ფაქტორად გამოცხადებას, მის პატრიარქალურ ტრადიციებზე სოციალისტური მომავლის იმედის და გეგმის აშენებას.

ცხადია, ასეთი აზროვნება უნდა დამარცხებულყო. მისი მატარებელი ჯგუფები, ორგანიზაციები და მიმართულებანი უნდა მოსპობილიყვნენ და ისტორიულ სცენაზე გამოსულიყო ისეთი მოქმედი ორგანიზაცია, რომელიც თეურიულათ მატერიალისტური თვალ-

თანედვით იქნებოდა აღჭურვილი და პრაქტიკულათ-კი საზოგადოებრივი ახალ ძალაზე—პროლეტარიატზე—დაყრდნობილი. ასეც მოხდა.

1874—1875 წ.წ. დაიწყო სოციალისტების ეგრედ წოდებული „жизненіе в народ“. „ხალხში სიარულმა“, რასაკვირველია, განზრახულ მიზანს ვერ მიაღწია. მან ვერ გამოიწვია ვერც აჯანჯება და ვერც რევოლიუცია, მაგრამ ერთი რამ აშკარა შეიქმნა ყველასათვის: გლეხები დიდის ინტერესით და ყურადღებით უსმენდენ „მოსიარულეთ“, როცა ისინი მათ გაჭირვებაზე, მათი ცხოვრების პირობებზე, მათ უფლებრივ და ეკონომიურ მდგომარეობაზე ელაპარაკებოდნენ, მაგრამ სრულ აპათიას და გაუგებრობას იჩენდნენ, როცა მათ სოციალისტური იდეალების ქადაგებით მიმართავდნენ. გარდა ამისა „ხალხში სიარულმა“, რომელსაც მთავრობამ სასტიკი პოლიციური ზომებით დაუწყო დევნა, ნათელჰყო პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობა, საზოგადოთ „პოლიტიკის“ მნიშვნელობა. საჭირო იყო, რომ რევოლიუციონურ ინტელიგენციას ასეთი განყენებული, დოქტრინალური მიმართულება უკუეგდო, როგორც ხალხისთვის გაუგებარი და შეუფერებელი და პრაქტიკულ ნიადაგზე აეშენებია პროგრამა თავისი მოქმედებისა. გაჩნდა ეგრედ წოდებული „ნაროდნიჩესტვო“, რომელსაც სწორეთ ასეთი რევოლიუციონური პრაქტიციზმი ახასიათებდა. სოციალისტურმა პროპაგანდამ ადგილი დაუთმო რევოლიუციონურ აგიტაციას, რომელიც იყო აშენებული მშრომელი მასების ადგილობრივ და არსებით მოთხოვნილებებზე და საჭიროებაზე. „ნაროდნიჩესტვო“ წარმოადგენდა მიმართულებას, და არა ორგანიზაციას. საჭირო იყო ამ ახალი მიმართულების ორგანიზაციულათ ჩამოყალიბება და აი 1876 წელში შემოდგომაზე შესდგა საზოგადოება „Земля и Воля“, რომელთანაც დაარსდა „დებორგანიზატორული ჯგუფი“ სპეციალურათ პოლიტიკური ბრძოლის საწარმოებლათ. ამნაირათ პოლიტიკა, რომელიც ადრინდელი სოციალისტურ ჯგუფებიდან განდევნილი იყო, ეხლა შუაგულ ორგანიზაციაში შეიქრა და იქ მკვიდრი ნიადაგი მოიპოვა.

ამ ხნის განმავლობაში კაპიტალისტური მრეწველობა თან და თან ვითარდებოდა და ძლიერდებოდა. მასთან ერთად პროლეტარული უჯრედებიც ფართოვდებოდნენ და იწყებდნენ მოძრაობას. მუშათა კლასი იჩენდა თავის ფიზიონომიას. ახალგაზრდა გმირი ბრძოლის ასპარეზზე გამოდიოდა. სწორედ ამ დროს ეკუთვნის პირველი გაფიცვები პეტერბურგში.

„Земля и Воля“ მუშათა საკითხს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. მას მუშები აინტერესებდა იმდენად რამდენადაც მათგან სოფლის პროპაგანდისტების მომზადება შეიძლებოდა. მაგრამ, ასეთმა მცირე ყურადღებამაც მუშათა მოძრაობისადმი დიადი შედეგები გამოიწვია. დაარსდა ორი მნიშვნელოვანი მუშათა ორგანიზაცია: ჩრდილო-რუსე-

თის და სამხრეთ-რუსეთის კავშირები. ამ კავშირების პროგრამაში ჩვენ უკვე ვკითხულობთ ნათლათ განმარტებულ პოლიტიკურ პროგრამა-მინიმუმს, სადაც შრომის პირობების გაუმჯობესებასთან ერთად აღ-ნუსხულია დემოკრატიული მოთხოვნებიანიც.

„Земля и Воля“ მაინც უწევდა წინააღმდეგობას პოლიტიკურ ტენდენციებს თავის წრეში. მაგალითად **ოხინსკის** წინადადება (1878 წ. ზამთარში პროგრამის განხილვის დროს) გარკვეული პოლიტიკური პროგრამის შემუშავების და მიღების შესახებ, უარყოფილ იქნა, როგორც „ბურჟუაზიული“ წინადადება. ამნაირათ საჭირო იყო ისეთი ორგანიზაციის გაჩენა, რომელიც პოლიტიკურ რევოლიუციას თვითმპყრობელობის დამხობას და რესპუბლიკას აშკარათ დააწერდა თავის დროშაზე, და სწორეთ ასეთი ორგანიზაცია დაარსდა „**Партия Народной Воли**“-ს სახით.

1879 წლის შემოდგომაზე მოწვეული ყრილობა „Земля и Воля“-ს წევრებისა ამ ორგანიზაციის უკანასკნელი ყრილობა იყო.

აქ შეეხალა ორი ჯგუფი ერთი მეორეს და მათმა შეურიგებლობამ „Земля и Воля“-ს მემკვიდრეობა ორ პარტიას არგუნა. ერთი იყო „**Народная Воля**“ და მეორე „**Черный Передел**“. პირველი თავის მოქმედების პროგრამათ აცხადებს ტერორს, შეთქმულებას და აჯანყებას. მეორე არ სთმობს ძველ ნაროდნიკულ გზას, ილაშქრებს ტერორის წინააღმდეგ, რადგან შეუძლებლათ მიაჩნია ტერორის და ფართო აგიტაციის დაკავშირება ერთმანეთთან. ამ ხაზს. ვორთნევის ყრილობაზე თავგამოდებით იცავდა გიორგი პლენანოვი და ტერორისტებთან კამათის სიმწვავემ ის იქამდინაც მიიყვანა, რომ მათ „ხალხის მოლაღატეები“ უწოდა.

გაზეთ „**Черный Передел**“-ის პირველი ნომერი გამოვიდა პეტერბურგში 1880 წ. მაგრამ მისი გავრცელება აღარ მოესწრო, რადგან საიდუმლო სტამბა უკვე დასტამბული გაზეთით პოლიციას ჩაუვარდა ხელში. მისი გამოცემა განაახლა პლენანოვმა ჟენევაში, სადაც ის და მისი ამხანაგები იძულებული იყვნენ გაქცეულიყვნენ მათ წინააღმდეგ სასტიკი პოლიციური დევნის გამო.

პლენანოვის ჯგუფის ნაროდნიკულმა მსოფლმხედველობამ ბევრი ცვლილება განიცადა მარქსის მოძღვრების ზეგავლენის ქვეშ და ცხოვრების პრაქტიკულ ანალიზის გამო. ევროპის მუშათა მოძრაობის დაახლოვებით გაცნობამ, მისი რევოლიუციონურ პრაქტიკის შესწავლამ, მეცნიერული სოციალიზმის შეთვისებამ, ადვილათ დაარწმუნა პლენანოვი და მისი ამხანაგები, რომ რუსეთის „თვით-მყოფობა“ (**самобытность**) და მისი განსაკუთრებული ისტორიული გზა ფანტაზიის ნაყოფია და რომ რუსეთში რევოლიუცია გაიმარჯვებს



როგორც მუშათა რევოლუცია. „ნაროდნიკული“ მსოფლმხედველობის სრული ლიკვიდაციას, ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას „ნარონაია ვოლიასთან“ მოჰყვა პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსება შვეიცარიაში, რომელსაც სახელათ ეწოდა „შრომის განთავისუფლება“ და რომელიც შესდგა: პლენანოვის, ზასულიჩის, აქსელროდის, დეიჩის და იგნატოვისაგან.

ს. ქავთარაძე.

# მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის ისტორია.

## ზოგადი დებულებანი.

1. **ისტორია** როგორც ყოველი არსებული საგნისა და მოვლენის, ისე მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთისა, არა მარტო აღწერაა იმ პროცესისა, რომლითაც აღნიშნულ საგნის ანუ მოვლენის არსებობა დროსა და სივრცეში მიმდინარეობს, არამედ იგი არის იმავე დროს ამ პროცესის ყველა პირობათა და თვით საგნისა ანუ მოვლენის **სრული ანალიზი**. ამიტომ ვისაც რომელიმე საგნის ანუ მოვლენის გაცნობა-შესწავლა სურს, მან გულმოდგინეთ და დიდი დაკვირვებით აუცილებლათ უნდა შეისწავლოს ამ საგნის ანუ მოვლენის **ისტორია**.

2. მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის **ისტორია** მჭიდროთ დაკავშირებულია მსოფლიო მუშათა მოძრაობის ისტორიასთან საერთოთ და საქართველოს მუშათა მოძრაობასთან კერძოთ. **პრაქტიკა და თეორია მსოფლიო მუშათა მოძრაობისა** საერთოთ საფუძველია და წყაროა ყოველი ცალკე ხალხის მუშათა ჟურნალ-გაზეთის გაჩენისა და განვითარებისა: მსოფლიო მუშათა მოძრაობის განვითარების ყოველი ეტაპი იმავე დროს ეტაპია მუშათა ჟურნალ-გაზეთის განვითარებისა. ამიტომ, თუ გვინდა გავიგოთ, თუ როგორ ჩაისახა და განვითარდა რომელიმე ხალხის მუშათა ჟურნალ-გაზეთი, უნდა კარგათ გავითვალისწინოთ ამ ხალხის მუშათა მოძრაობის განვითარების ყოველი ეტაპი და გამოვარკვიოთ ყველა ის პირობები, რომლებმაც აუცილებელი, საჭირო და მასთან შესაძლებელიც გახადეს აღნიშნული ხალხის მუშათა ჟურნალ-გაზეთი.

3. მუშათა მოძრაობას ისტორიულათ ყველგან წინ უძღვის საერთო დემოკრატიული მოძრაობა და მსოფლიო მაშტაბით **რამდენათაც ხალხის „დემოსის“ კლასობრივი დიფერენციაცია ვითარდება**, იმდენათ მსოფლიო მუშათა საერთო მოძრაობაც ცალ-ცალკე ეროვნული მაშტაბის ფარგლებში სხვა და სხვა სახესღებულობს და ყველგან თავ-თავიხი საკუთარი კლასობრივი გზით მიმდინარეობს.



4. ყოველი ხალხის იდეოლოგიური მხარე მისი ეკონომიური ვითარების ნიადაგზეა აღმოცენებული; მისი იდეოლოგიური მდგომარეობა მისი ეკონომიური მდგომარეობით განისაზღვრება. ამიტომ თუ გვინდა გავიგოთ და ავხსნათ რომელიმე ხალხის საერთო დემოკრატიული მოძრაობა ან მისი მუშათა მოძრაობა, ამისათვის უწინარეს ყოვლისა ამ ხალხის საერთო ეკონომიური ვითარება უნდა გავითვალისწინოთ. მაგრამ ამ ხალხის მოძრაობის ტემპსა და ხასიათს ისე ვერ გავიგებთ და ვერც ავხსნით, თუ მის საერთო კულტურულ დონეს და მის „ისტორიულ ბედს“ მხედველობაში არ მივიღებთ.

5. აქედან, თუ გვინდა გავიგოთ და შევისწავლოთ მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის ისტორია, უნდა გავითვალისწინოთ ქართველი ხალხის (აღებულ ხანაში) ცხოვრების შემდეგი მხარეები: 1) მისი ეკონომიური განვითარების დონე და ვითარება, 2) მისი საზოგადოებრივი განვითარების მიღწეული ფაზა, 3) მისი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი კრიტიკული მდგომარეობა; და 4) აქედან წარმოშობილი საერთო საზოგადოებრივი მოძრაობა.

6. ამიტომ აღნიშნული საგანი—მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის ისტორია ეკონომიურ-კლასობრივი და ისტორიული თვალსაზრისით უნდა იქნას განხილული.

7. დასასრულ, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაშორებლათ, საჭიროთ ვთვლი განვმარტო და განვსაზღვრო კვლევა-ძიების საგანი—მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთი.

ეს არის პერიოდული გამომცემლობა, რომელსაც ეწოდება ქართული, რადგან იგი ქართველების ენერგიით, ქართულ ენაზე არის შექმნილი და რომელსაც ეწოდება აგრეთვე მუშათა, რადგან ის გამოხატავს: 1) მუშათა საერთო მოძრაობის იდეას, იდეალებს, მიზნებს და ამოცანებს, 2) გამოხატავს იმ უტყუარ კონკრეტულ გზას, რომლითაც ქართველი მუშები უერთდებიან ყველა ქვეყნების ამოძრავებულ მუშათა მასებს საერთო კლასობრივი მიზნის განსახორციელებლათ.

ამას გარდა მუშათა ეწოდება ასეთ ჟურნალ-გაზეთს იმიტომ, რომ მისი შემოქმედნი უმთავრესად თვითონ მუშები არიან.

I.

## ქართველი ხალხი და რუსული თვითმპყრობელობა.

1.

ისტორიამ ქართველი ხალხის ბედი და საზოგადოებრივი ცხოვრება ჯერ ისევ მეთვრამეტე საუკუნეში რუსის ხალხის ბედსა და საზოგადოებრივობას დაუკავშირა.



„ნებსით თუ უნებლიეთ“ ქართველი ხალხი რუსის ხალხთან ერთად მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ერთ ისტორიულ უღელში შეება.

და ეს უღელი რუსული თვითმპყრობელობა იყო.

მაგრამ ვიდრე ეს ხალხები (რუსი და ქართველი) ამ უღლის სიმიძმეს იგრძნობდნენ და მას ბრძოლას გამოუცხადებდნენ, თანაბრად იჩაგრებოდნენ და იტანჯებოდნენ თავთავიანთ ქვეყნებში საკუთარი ბატონყმური ცხოვრებით, ბატონყმური წყობილებით. და აი ამ ბატონყმობის გაუქმება როგორც, რუსეთში, ისე საქართველოში თავს იღო თვითონ ამ ხალხებისავე ბატონმა—თვითმპყრობელობამ, „ცარიზმმა“. მეფე ალექსანდრე მეორის მანიფესტმა 1861 წლის 19 თებერვალს როგორც რუსის ხალხი, ისე ქართველი ამ ბატონყმურ ჩაგვრისაგან თითქო „განთავისუფლა“ და ამნაირად თვითმპყრობელობა ხალხს თითქო „მსხნელ მესიათ“ მოეგლინა.

აქედან რუსული თვითმპყრობელობა („ცარიზმი“) დიპლომატიური ხრიკებით, რუსიფიკატორული პოლიტიკით და აგრესიული მიზნებით საქართველოში შემოსული თითქო ქართველი ხალხის მეგობარი და პროგრესიული ძალა გახდა და ამ სახით მას თავი კეთილისმყოფელათ მოაჩვენა.

ამის გამო ქართველი ხალხი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში „რუს ხელმწიფეს“ თავის „მწყალობელათ“ თვლიდა და მას „მრავალ ჟამიერს“ უგალობდა. მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ თვითმპყრობელობის მიერ „განთავისუფლება“ არ იყო ყმების ნამდვილი თავისუფლება. საჭირო იყო ხალხის ამოძრავება, რომ მას დამოუკიდებელი რევოლუციური ბრძოლით „მიწა და თავისუფლება“ მოეპოებია. ასედაც მოხდა.

ამნაირათ ხალხის განთავისუფლების ზევიდან დაწყებული პროცესი ქვევიდან დაწყებული პროცესით შეიცვალა. ამ ქვევიდან დაწყებულ მოძრაობას ალექსანდრე მეორის „რეფორმაც“ უნდა შეესწორებია და თვითონ ამ „რეფორმის“ მწყალობელიც თავიდან მოეშორებია. ეს იყო უუდიდესი ხაზოგადობრივი მოძრაობა რუსეთის ფარგლებში და, რადგან ქართველი ხალხის ახალგაზრდობის ერთი ნაწილი განათლებას რუსული სკოლის და მწერლობის საშუალებით ღებულობდა, ამით ქართველი ხალხის მოწინავე ჯგუფები აღნიშნულ ბრძოლას ადრევე გაეცნენ და ცდილობდნენ ეს „დემოკრატიული ხალხოსნურ-რევოლუციური მოძრაობა“ საქართველოშიაც გაეჩაღებიათ.

რუსული თვითმპყრობელობის, როგორც პოლიტიკური ცენტრის წინააღმდეგ ბრძოლა ევროპიულათ განათლებულმა რუსეთისავე საუ-

კეთესო შვილებმა, თავისი დროის ისტორიულ განვითარების იდეის მატარებელმა პირებმა დაიწყეს. ისინი თუმცა სამხედრო პირები იყვნენ, მარა საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეებს კარგათ იცნობდნენ და იმ დროის სოციალისტური მოძღვრების გავლენასაც განიცდიდნენ; მათ პირველებმა დასდეს თავი რუსული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მათ პირველებმა გახსნეს რუსეთში ფრონტი „დემოკრატიული ბრძოლისა“: ეს მოხდა მეცხრამეტე საუკუნის მეოცე წლებში, 1825 წლის დეკემბერში და ამიტომაც მათ ისტორიამ „დეკემბრის გმირები“ უწოდა.

საქართველოში კი ამ დროს საზოგადოებრივ სფეროში ნამდვილი „მკედრული სიჩუმე“ სუფევდა: ჩვენი ბატონიშვილების „დამოუკიდებლობისათვის“ ბრძოლა ჩამქრალი იყო, ხოლო ახალი ბრძოლისათვის ჯერ კიდევ მომწიფებული ძალები არ სჩანდა.

მაგრამ რუსეთში მალე საზოგადოებრივმა აზროვნებამ და მოძრაობამ ერთი ნაბიჯი კიდევ გადადგა წინ: განვითარდა ევროპული მწერლობა, ხელოვნება, გამოჩნდნენ ღრმა მოაზროვნე იდეოლოგები ახალი მოძრაობისა—გერცენი, ბელინსკი და სხვები და საქართველოშიაც ახალმა კულტურულმა სიომ დაჰბერა; ჩვენც ამ დღიდან გავვიჩნდა ახალი მწერლობა, ახალი ხელოვნება, გავვიჩნდნენ ახალი მწერლები.

რუსული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლამ ანუ „განმათავისუფლებელმა მოძრაობამ“ რუსეთში ხამი ეტაპი განვლო და თვითველ მათგანს იმ კლასის ბეჭედი აზის, საიდანაც ამ მოძრაობის ხელმძღვანელ-წინამძღოლები გამოვიდნენ. პირველი ეტაპი შეიცავს 1825—61 წლებს და ამ ხანაში უმეტესათ მოქმედებენ—იღწვიან თავად-აზნაურობის წრიდან გამოსული რევოლუციონერები და იდეოლოგები: გერცენი, ბელინსკი და სხვები; მეორე—1861—1895 წლებს და ამ დროის განმავლობაში მოძრაობა უფრო მასიური ხდება და წინამძღოლ-ხელმძღვანელებათაც ეგრეთ წოდებული „რაზნოჩინცები“ ანუ ჩვენებურათ „ხალხის შვილები“—დაბალი კლასების წარმომადგენელები გამოდიან; მესამე 1895 წლ. დაწყებული ვიდრე 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე, როცა მთავარი მამოძრავებელი ძალა თვით მუშათა კლასია.

საქართველოს ფარგლებში წარმოებულმა ბრძოლამაც სწორეთ ამდენივე ეტაპი განვლო. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველ ეტაპზე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა „მამულიშვილობის და „დაცემული საქართველოს“ ე. ი. ტახტის აღდგენის, „დამოუკიდებლობის“ ლოზუნგით სწარმოებდა და არა „ხალხის განთავისუფლების“ ლოზუნგით.

ჩვენში საქმე ცოტა სხვანაირათ დაიწყო: რუსულ თვითმპყრობელობას საქართველოში ორი მხრიდან ებრძოდნენ. ერთი მხრით მას ებრძოდნენ საერთო „ეროვნული დროშით“ ხელში გაბატონებული წოდების წარმომადგენლები, როგორც მათი ბატონობის მტერს, ხოლო მეორე მხრიდან—„ხალხის თავისუფლების“ მომხრეები, როგორც „ხალხის თავისუფალ განვითარების“ მტერს. ამ უკანასკნელმა მიმართულებამ, როგორც მასიურმა მოძრაობამ, ჩვენში გარვა ხნით დაიგვიანა.

აქედან, ჩვენში, თავიდანვე საზოგადოებრივი მოძრაობის ორგვარი მიმდინარეობა, ორი ნაკადი წარმოიშვა: პირველია „მამულ-ლიშვილური“, ან პატრიოტულ-ეროვნული, ხოლო მეორე ხალხოსნურ-სოციალური. თითქმის მთელი ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის მწერლობა-ხელოვნება ამ ორგვარი მოძრაობა-მიმდინარეობის გამომხატველია.

ამნაირათ ჩვენებური საზოგადოებრივი აზროვნება და განმათავისუფლებელი მოძრაობა თავიდანვე ორ საფუძველს ორ პრინციპზე დაემყარა. ერთია ხალხის, როგორც ერის დამოუკიდებელი განვითარების იდეა, თავისებურების, ინდივიდუალობის დაცვა-განვითარება, ხოლო, მეორეა ხალხის, როგორც მშრომელი მასის თვითმპყრობელობის იდეა, მისი ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობა. ერთია ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო მეორე კლასობრივი ჩაგვრის გაქრობა.

ეს ორი სხვა და სხვა საზოგადოებრივი ნაკადი, სხვა და სხვა სათავიდან გამომდინარე და ერთ დრომდე სხვა და სხვა კალაპოტების მქონე მეცხრამეტე საუკუნის დამლევს ერთ მძლავრ მიმდინარეობათ გადაიქცა, ერთ კლასობრივ კალაპოტში ჩადგა და ასე შეერთებული მკვეთრი ბუმბერაზული ტალღებით „ალთქმულ ქვეყნისაკენ“ გაექანა. ამ შეერთების ეტაპი საქართველოში ეგნატე ნინოშვილის მწერლობის ასპარეზზე გამოსვლით იწყება და „მესამე დასის“ მოღვაწეობით ვითარდება.

4.

ვიდრე საქართველოში მუშათა კლასი, მუშათა მოძრაობა არწარმოიშვა, მანამ არც მუშათა საკითხი არსებობდა აქ და არც ამ საკითხის გამომრკვევი მწერლობა იყო.

მაგრამ ამავე დროს, სამაგიეროთ, ეს საკითხი მთელი თავისი ძლიერებით უკვე წამოყენებული იყო მსოფლიო მასშტაბით ევროპის ხალხებში და იქ უკვე უმაღლესათ განვითარებული მწერლობა და ორგანიზაცია არსებობდა ამ საკითხის გადასაჭრელათ.

ჩვენ ვამბობთ მარქსისტულ ლიტერატურაზე და ინტერნაციონალზე.



აქედან წარმოსდგა ქართველი ინტელიგენციის ზოგი რადიკალური ელემენტების უდროვით გასოციალისტება. ამნაირად მოხდა ის, რომ გაჩნდნენ მუშების მოტრფიალე სოციალისტები, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ საქართველოში მასიური მუშათა მოძრაობა არა სჩანდა.

მეორე მხრით იმ ხალხში, რომლის მწერლობას ქართველი ინტელიგენცია ეცნობოდა, ე. ი. რუსულ მწერლობას, კიდევ დიდი ადგილი პქონდა თემურ მიდრეკილებას და წყობილებას. აქედან წარმოიშვა იქ, რუსეთში „ნაროდნიკულ-სუბიექტიური“ სოციალიზმი, ხოლო ჩვენში „ტეტიათა მოტრფიალენი“.

ამას გარდა „ნაროდოვოლცების“ ტერორისტულმა ტაქტიკამ ჩვენშიაც შექმნა მოსწავლე ახალგაზრდობაში მიმბაძველობა.

ყველა ეს რუსული და ევროპიული სოციალისტური მიმდინარეობანი მწერლობის საშუალებით დიდ გავლენას ახდენდნენ ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობაზე და საქართველოს ფარგლებში ინტელიგენტთა სხვა და სხვა სოციალისტურ ჯგუფებს ჰქმნიდნენ.

სოციალიზმის შემოქმედი, კომუნისტური იდეალის განმანხორციელებელი, ერთათ-ერთი ძალაა: ეს არის კლასობრივით გათვითცნობიერებული მუშათა კლასი, „მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა ხაქმეა“. ამიტომ თუ საქართველოში მუშათა კლასი და მუშათა მოძრაობა არ გაჩნდებოდა, ისე ვერავითარი „სოციალისტური ჯგუფები“, რაგინდ ისინი ძლიერნი და მრავალ-რიცხოვანი ყოფილიყვენ, სოციალისტურ მოძრაობას, სოციალისტურ საქმეს და კომუნისტურ პარტიას ვერასოდეს ვერ შექმნიდნენ.

მუშათა კლასის შექმნის პროცესი საქართველოში რკინის გზების გაყვანით დაიწყო და მეცხრამეტე საუკუნის დასასრულამდე გრძელდებოდა. ამ საუკუნის უკანასკნელ წლებში მუშათა მოძრაობამაც თავი იჩინა, წარმოსდგა მუშათა საკითხი და ამ ნიადაგზე მალე მუშათა მწერლობაც აღმოცენდა.

## 5.

მწერლობას „მუშათა“ შეიძლება ვუწოდოთ ორგვარი აზრით. ერთი იმ აზრით, რომ იგია შექმნილი მუშათა საკიფხის გადასაჭრელათ მუშათა კლასის მონაწილეობის გარეშე, ხოლო მეორე იმ აზრით, რომ ეს მწერლობა თვით მუშების ახლო მონაწილეობით არის შექმნილი. მწერლობა უფრო მაშინ არის მუშათა მწერლობა, როცა იგი თვით მუშების ახლო მონაწილეობით არის შექმნილი და არა მათი გარეშე. ასე შეიქმნა თვით მუშათა მწერლობის და თეორიის სათავე, ცნობილი ისტორიული პროლეტარული აზროვნების საფუძველი

და საგანძური, მარქს-ენგელსის „კომუნისტური მანიფესტი“-ის კომუნისტ მუშების ნაწარმოები უფროა ვიდრე მარქს-ენგელსისა.

ასე არ მოხდა არც რუსეთში, არც საქართველოში. ამ ეკონომიურათ ჩამორჩენილ ქვეყნებში მუშებს ზემოთ დასახელებული გარემოების ძალით იდეურათ ინტელიგენტურმა ელემენტებმა წინ გაუსწრეს.

ჩვენ უკვე მეოთხმოცე წლებში გვყავდა დიდათ განვითარებული და დიდსულოვანი რევოლიუციონერი, ხალხოსნური სოციალისტი, გოლა ჩიტაძე, და ამავე ხანებში უკვე კარგათ მომწიფებული რევოლიუციონერ-სოციალისტი იყო ჩვენი დღევანდელი მხცოვანი ლიდერი, ამხ. მიხა ცხაკაია.

ეს მეტად საყურადღებო გარემოებაა, მეტათ მნიშვნელოვანი ფაქტია. ამაზე კიდევ უფრო საყურადღებო და სამაგალითო ის ისტორიული მოვლენაა, რომ საქართველოში ქართული სოციალისტური მწერლობა და მუშათა ეურნალი (ხელნაწერი) იმ დროს არსებობდა, როცა ჯერ ჩვენში მუშათა მასიური მოძრაობის ქაჩანებაც არ იყო. ამის მიზეზი შემდეგი ორი გარემოებაა. ერთი ის, რომ ჩვენში საერთოთ მწერლობა არ იყო ისე კარჩაკეტილი გაბატონებულ კლასების საზღვრებში, როგორც რუსეთსა და ევროპაში. ქართველი ხალხი მცირერიცხოვანია და ამის გამო რაც ერთ რომელიმე კლასში, მის ნაწილში ხდება, ის მსწრაფლ და შეუკავებლათ მთელ მასას, მთელ ხალხს ედება. შოთას „ვეფხის ტყაოსანს“, მაგალითათ, როგორც მაღალი წოდების ისე მდაბალი წოდების წარმომადგენელი წერაკითხვის მცოდნე ერთნაირათ იცნობდა და იცნობს. გარდა ამისა შემდეგი ისტორიული ფაქტების შედარებაც ამას გვიჩვენებს. საქართველოში მეფე ერეკლეს დროს (1709 წ. მეტეხის სტამბაში, რამოდენიმე სხვა და სხვა წიგნი 1000 ცალათ დაბეჭდეს. სწორეთ ამდენივე ცალათ გამოდიოდა რუსეთში პეტრე დიდის დროს პირველი რუსული გაზეთი—„უწყებანი“ (1703 წელს). (ნახ. ზ. კ. წიგნაკი „სტამბის ისტორია“ (მე-9 გვ.) და რუსული სტატია ამხ. მილცინის, ზაკრაიკომის ორგანოს „კავკასკი რაზოჩის“ მე-6 №-ში დაბეჭდილი, გვ. 62). ახლა წარმოვიდგინოთ. მეფე ერეკლეს დროის ქართველთა რაოდენობა და პეტრე დიდის დროის რუსების რიცხვი და დაინახავთ, თუ რამდენად უფრო ძლიერი იყო შედარებით იმ დროს ქართველებში ბეჭდვითი სიტყვის საჭიროება. ეს ერთი.

მეორე მიზეზი ზემოთ უკვე დასახელებულ გარემოებაში მდგომარეობს: სახელდობრ იმაში, რომ ჩვენი მაშინდელი ხალხოსნური ინტელიგენცია რუსული და ევროპული ლიტერატურით იკვებებოდა, რის გამოც ის პირდაპირ უცხოთა იდეურ გავლენის ქვეშ იმყოფე-

ბოდა და მუშათა მოძრაობის საკუთარ მშობლიურ ნიადაგს მოკლულ ბული, თავის სოციალისტურ იდეალების წყაროს დაწინაურებულ ხალხთა სოციალისტურ მოძრაობაში ჰყოლოდა.

მწერლობა, საზოგადოთ, ყოველი ისტორიული კლასის იდეოლოგიის საუკეთესო გამომხატველია და ამიტომაც ყოველი გაბატონებული კლასი ცდილობს ის მხოლოდ თავის იარაღათ გამოიყენოს. ასე იქცეოდა წარსულში თავად-აზნაურობა, ასე იქცეოდა და დღესაც ასე მოქმედებს ბურჟუაზია.

მუშათა კლასიც იძულებულია ეს მწერლობა, ეს კლასობრივი იდეოლოგიის ბასრი იარაღი თავის კლასობრივი დიქტატურის გატარების იარაღათ გამოიყენოს, რომ მომავალში ის კაცობრიობის საერთო კეთილდღეობის და ბედნიერების წყაროთ გადაიქცეს.

ამ მიზნით ყოველ ქვეყანაში ცალ-ცალკე და ყოველი ერის მუშათა კლასი თავ-თავის ენაზე საკუთარი მწერლობის შექმნას შეუდგა და აი, ქართველ მუშებისათვისაც საჭირო შეიქნა ეს მუშათა მწერლობა, რომლის შექმნაში მან, მისდა სამწუხაროთ და მისდა საზარალოთ, ეროვნული საკითხის გადაუჭრელობის გამო, დღემდე შესაფერი მონაწილეობა ვერ მიიღო.

ამნაირათ ჩვენებური მუშათა ქართული მწერლობა დღემდე უფრო ინტელიგენტურია, ვიდრე მუშური.

მწერლობა საერთოდ არის პერიოდული, დროგამოშვებითი—ეჟონალ-გაზეთები და არა-პერიოდული, მწიგნობრული—წიგნები.

მუშათა მოძრაობა ეკონომიურ ნადავზე წარმოებულ კლასობრივ ბრძოლიდან წარმოიშვა და, რადგან „ეკონომიური ბრძოლა არის პოლიტიკური ბრძოლა“, ამიტომ მუშათა მოძრაობამ მალე პოლიტიკური ხასიათიც მიიღო და აქედან წარმოიშვა როგორც მუშათა პარტია, ისე მისი პოლიტიკურ-სამწერლო ორგანო—პოლიტიკური გაზეთი.

ჩაგრული კლასის როგორც ბრძოლა, ისე მისი გამომხატველი ორგანოები, ცხადია, გაბატონებულ კლასის მიერ ნაკარნახევი კანონმდებლობით, კანონს გარეშეა დაყენებული, აქედან წარმოსდგება მისი არა-ლეგალური მდგომარეობა; აქედან მუშათა მწერლობა, როგორც პერიოდული, ისე არა-პერიოდული უმთავრესათ არა-ლეგალურია ყველა იმ ქვეყნებში, სადაც მუშათა კლასს ძალა-უფლება ვერ კიდევ ხელთ არ უპყრია.

ასეთი იყო საქართველოს მუშათა კლასის მდგომარეობა 1921 წლის 25 თებერვლამდე, და ამიტომ მთელი მისი წინანდელი მწერლობა ან ნახევრათ ლეგალურია, ან სრულიად არა-ლეგალური. ჩვენ აქ მუშათა აი ამ ქართული მწერლობის ისტორიას ვწერთ.



## II.

მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის წინასწარი საზოგადოებრივი მიმდინარეობანი (1860—80 წლ.) და მწერლობა საქართველოში.

## I.

ქართველმა ხალხმა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში დიდი მასიური მოძრაობა, რამდენიმე დიდი „აჯანყება“ განიცადა— მთიულეთის, კახეთის, იმერეთის და გურიის აჯანყებები—(1804 წ. მთიულეთში, 1812 წ. კახეთში, 1830—31 წელს შეთქმულება ტფილისში, 1840—50 წლ. გურიაში და იმერეთში). მაგრამ ყველა ეს მონაბერი იყო ზევიდან: ეს იყო ბატონების მიერ გაბრიყვებული უმეზის აჯანყება „რუს ხელმწიფის“ ჯარებისა და მისი ბიუროკრატიის ბატონობის წინააღმდეგ მიმართული. აქედან წარმოიშვა ქართველთა ეროვნული საკითხი, რომლის გადაჭრა ისტორიულ პრობლემათ არის გამხდარი.

მგოსანმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა პოემაში „ბედი ქართლისა“ მთელი თავისი პოეტური ინტუციით კითხვა ასე დააყენა: სწორად გადაჭრა „ქართლის ბედის“ საკითხი ერეკლე მეფემ თუ არა?

ჩვენი თავად-აზნაურობის პირველმა თაობამ, „ძველმა მამებმა“ ორბელიანების მეთაურობით, ამ კითხვაზე ასე უპასუხა: ვერა, ვერ გადაჭრა სწორეთო, და მან ბრძოლა აუტეხა ახალთაობას, „შვილებს“, რომელთაც ის „რუსეთუმეებს“ უწოდებდა, ე. ი. რუსული კულტურის მომხრეებს. ამ შვილებმა „თერგდალეულებმა“, ერისთავებმა (გიორგი, რაფიელ და სხვები), ჭავჭავაძეებმა, წერეთლებმა კი სთქვეს: არა, ერეკლემ სწორად გადაჭრა საკითხი, მხოლოდ ჩვენი ვაღია „ქართველის ბედს“ ჩვენ თითონ ვუწინამძღვროთო“, „ჩვენ უნდა ვუმობოთ ჩვენი მყოობადიო“. აკაკი კიდეც მღეროდა ასეთ ჰანგზე: „საქართველო არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავსო“. ერთი სიტყვით ნი-იან წლებში ჩვენს „საზოგადოებრიობაში“ და მწერლობაში განმტკიცდა ეგრეთ წოდებული „რუსეთუმეობა“, ე. ი. რუსული იგივე „ევროპიული“ კულტურის გადმოღების აზრი, მაგრამ იმ იმედით, რომ მომავალში „საქართველოს სახელმწიფო აღსდგებოდა“.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, როცა ხალხს უფლებები მიენიჭა, როცა მშრომელ ელემენტს პოლიტიკურ-ეკონომიური ასპარეზისაკენ გზა რამდენიმე მანინც გაეხსნა, როგორც რუსეთში ისე ჩვენ-

შიაც დაიწყო დემოკრატიული მოძრაობა, რომელმაც პირველ ხანშივე რუსეთში რევოლუციური ხასიათი მიიღო, ხოლო ჩვენში კი ოპორტიუნისტული!

რუსეთში „რეფორმით“ უკმაყოფილო სოციალისტურმა ინტელიგენციამ „ხალხში გასვლა“ იწყო და იქ უკმაყოფილო გლეხური ელემენტების თავმოყრა, „ცარიზმის“ წინააღმდეგ მათი ამხედრება მოინდომა. აქედან რუსეთის მწერლობაში და საზოგადოებრივობაში დიდი ალავი დაიკავა ეგრედ წოდებულმა ხალხოსნურ-სოციალისტურმა იდეოლოგიამ და პარტიამ. ჩერნიშევსკის შემდეგ ასპარეზზე ანდრია ჟელიაზოვის და სოფიო პეროვსკაიას მომხიბლავი სახეები გამოჩნდნენ.

საქართველოში კი საზოგადოებრივი ასპარეზი და მწერლობა თითქმის ერთიანათ დაიკავა სოციალისტურმა ინტელიგენციამ კი არა, არამედ თავად-აზნაურულმა, თუმცა „რუსეთუმიებმა“, მაგრამ მხოლოდ ეროვნულ საკითხით და თავად-აზნაურობის ბედიტ დაინტერესებულმა. ამ მიმდინარეობის საუკეთესო გამომხატველი იყო ილია ჭავჭავაძე, თუმცა მანაც თავის პირველ გამოსვლის ჟამს უნებურათ წამოიძახა: „მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისაო“. (ეს დაწერილია 1860 წ., ხოლო დაიბეჭდა 1871 წელს. იხ. ნ. ჟორდანიას „ქართული პრესა“ გვ. 16 გამოც. 1900 წლ).

ამ „ხმას“ ე. ი. ბატონყმობის გაუქმებას და რუსეთის ხალხოსნურ სოციალისტურ-რევოლუციური პარტიის ტერორისტულ აქტებსა და მოღვაწეობას ჩვენშიაც დიდი შედეგები მოჰყვა.

ბატონყმობის გაუქმების მომენტიდან (1861—65 წლები) ჩვენში სულ ახალი ხანა დადგა. ნატურალური წარმოება და კუთხური კარჩაკეტილი ცხოვრება საქონლის წარმოებაზე და „გარეთ გასულ“ ცხოვრებაზე შეიცვალა. დაიწყო საქონლის აღებ-მიცემობა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეთა შორის, გაჩაღდა ვაჭრობა, ხელოსნობა, შინა-მრეწველობა და აქა იქ მსხვილმა წარმოებამაც იჩინა თავი. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და გავლენა მოახდინა ქართველი ხალხის ცხოვრებაზე ბაქო-ფოთის რკინის გზის გაყვანამ და ბაქოდან ნავთის გამოტანამ, — შემდეგ ქ. ბათუმის საქართველოს ფარგლებში მოქცევამ.

გავიდა ხალხი სოფლიდან ქალაქათ „სამოვარზე“ და ყოფილმა ყმებმა „ნამუშევარი ფულით“ „თავის დახსნა“ იწყეს. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ჩვენში შესაფერი „დემოკრატიული“ მწერლობა და დაწესებულებები: „ამხანაგობანი“, ბანკები და რედაქციები. გაჩნდა დემოკრატიული პრესა.

თუ წინათ მარტო თავად-აზნაურული ინტელიგენციის ორგანოები, საქართველოს მოამბე, „ცისკარი“ და „ივერია“ არსებობდა,

ახლა გამოიცა დემოკრატიული გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ქრებული“.

თუ მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლებში საქართველოს პოლიტიკური ვითარება ძირიანათ შეირყა, ახლა, მესამოცე წლებში, მისი ეკონომიური ცხოვრებაც ერთიანათ შეიცვალა. პირველმა ცვლილებამ თუ ჩვენში ეროვნული მოძრაობა წარმოშვა, მეორემ, სამაგიეროთ, სოციალური საკითხი დაბადა, დემოკრატიული ბრძოლა გააჩალა.

მაგრამ, როგორც საერთოთ ისტორიიდან ვიცით, მოძრაობა როგორც ეროვნული ისე დემოკრატიული არის ოპორტიუნისტულიც და რევოლიუციურიც.

ეროვნული „რევოლიუცია“, რომელსაც ჩვენში თავად-აზნაურული ინტელიგენცია და ბატონიშვილები—ერისთავები, ორბელიანები, დოდაშვილები და სხვები-მეთაურობდენ და რომელიც რეაქციონური ხასიათისა იყო, საშინელი დამარცხებით დასრულდა. ეს მოხდა 1830-35 წლებში, როცა ტფლისის თავადიშვილების შეთქმულება აღმოაჩინეს და ყველა მონაწილეები რუსეთში გადაასახლეს.

ამის შემდეგ ჩვენში ეროვნული ოპორტიუნისმის ხანა დადგა. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოში მდივანბეგაუც კი „პატრიოტობდა“ და იმავე დროს რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელოს უკლებლივ მიირთმევდა; ის დრო იყო, როცა მგოსანი აკაკი საქართველოზე ასეთ გამოცანებს სთხზავდა: „თავშებვეულს გავეჭეცი თავწითულამ დამიქირაო“ და ხანჯალს „მტრის“ საწინააღმდეგოთ მხოლოთ სიტყვით „ლესავდა“. ამნაირათ ჩვენებური ეროვნული მოძრაობა „ნაცარქექიობათ“ გადაიქცა და ერთიანათ გადავვარდა.

სამაგიეროთ წარმოიშვა დემოკრატიულ-სოციალისტური მიმდინარეობა, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მიმდინარეობა ჩვენში მწერლობის ფარგლებს და პატარ პატარა ჯგუფებს არ გამოვრებია.

რუსეთის ნაროდნიკების გავლენით ჩვენშიაც გაჩნდა (80-85 წლებში) „ტეტების მოტრფიალეთა“ ჯგუფი—ს. ჭრელაშვილი, ალ. ნინეიშვილი, გრ. ყიფშიძე, ნ. ურბნელი, და სხვები, მაგრამ ერთი ორი წლის განმავლობაში ჟურნალი „იმედის“ გამოკემის შემდეგ, მან ილია ჭავჭავაძის ბანაკში „ივრიაში“—გადაბარგება აირჩია და ამნაირათ ეროვნულ ოპორტიუნისმის და ისიც რეაქციონურ ოპორტიუნისმის დროშის ქვეშ მოიკალათა. (ნახ. ნოე ჟორდანიანი—„ქართული პრესა“ 47 გვერდზე 2 შენიშვნა).

უფრო მტკიცე და სასიცოცხლო ჩვენში დემოკრატიული ლიბერალიზმი გამოდგა. ამ მიმდინარეობის საუკეთესო წარმომადგენლები იყვენ: ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სერგეი მესხი.



ესენი არიან ჩვენი ბურჟუაზიული ლიბერალიზმის პირველი მერცხლები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის „ეკონომიური წარმატებისათვის“ თავს დებდნენ, მაშინ როდესაც პოლიტიკურ საკითხს ოდნავაც არ ეხებოდნენ. მათ ეროვნული საკითხიც ნაკლებათ აინტერესებდათ, განსაკუთრებით ნიკო ნიკოლაძეს.

ეს ჯგუფი ჰქმნის პირველ ქართულ გაზეთს—„დროება“-ს, რომლის დევიზი იყო: „ძველი უვარგისი ცხოვრების უარყოფა და ახალი, ევროპიული ცხოვრების შეთვისება“.

ამ ჯგუფს უმთავრესათ ვითომ „განთავისუფლებული“ გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ხელის შეწყობა დაუსახავს მიზნათ; და აი როგორ ესმის გაზ. „დროების“ სულის ჩამდგემელს, მის რედაქტორს, სერგეი შესხს გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესება. ის სხვათა შორის სწერს: „გლეხის ცუდი მდგომარეობიდან გამოხსნაში ყველაზე მომეტებული გავლენა და ძალა, უეჭველია, მთავრობას აქვს“... (იხ. 1875 წლ. გაზ. „დროების“ № 12).

როგორც ხედავთ, ამ დროის ჩვენი საუკეთესო დემოკრატიკუბლიცისტი გლეხის ხსნას არსებული (თავითმპყრობელურ-ბიუროკრატიული) მთავრობისგან და „დაწინაურებულ განათლებულ საზოგადოებისგან“, ე. ი. ლიბერალურ ბურჟუაზიისაგან მოელოდა. და ეს იმ დროს, როცა რუსეთის „ბუნტარები“ „რუსეთის მრავალ კუთხეში გლეხთა ამბოხებებს“ („ბუნტებს“) და ტერორისტულ აქტებს აწყობდნენ.

## 3.

ამ ჯგუფიდან უფრო მეტ რადიკალათ და სოციალური კითხვის წამომყენებლათ ზემოთ მოხსენებულ წიგნის—„ქართული პრესის“ ავტორს, ნოე ჟორდანიას, გიორგი წერეთელი მიაჩნია. ვნახოთ ამ „რადიკალ-სოციალისტის“ მსჯელობაც მის მიერ წამომყენებულ საკითხზე და მაშინ სრულიათ დავრწმუნდებით, რომ ამ ჯგუფს სოციალისტური არაფერი ეცხო, რომ მას სოციალური კითხვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულათ ესმოდა და ისიც ოპორტიუნისტულათ და არა რევოლიუციურათ.

ევროპიდან ახლად ჩამოსული გიორგი წერეთელი 1879 წ. „დროებას“ მე-13—16 №-ში აღძრულ საკითხზე სხვათა შორის სწერდა: „...ამ ბოლო დროს ჩვენმა საზოგადოებამ მომეტებულად იგრძნო სომხის ვაჭრების ტვირთი და ყველგან, ატყდა ყვირილი, დიდი პატარა, განათლებული, გაუნათლებელი, ყველა ამას ყვირის, სომხებმა შეგვჭამესო ...საქმე იმაშია, რომ აღებ-მიცემობის წესი ეს არის და ყოველი აღებ-მიმცემი ამნაირი უსამართლო სარგებლით ცხოვრობს. აქ ამისთანა ბოროტებაში სომხობა და სომხის ხილხის თვისე-



ბა კი არ არის ლამნაშავე. ხაზოგადოთ ვაჭრობის წესხა აქვს ამაში დანაშაული. ...მიუცილებლათ უნდა ვიბრძოლოთ ამის წინააღმდეგ, უნდა დავეხმაროთ მშრომელ ხალხს, რომ თვითონ მან იკისროს თავის ნაწარმოების გასაღება. ...ჩვენ უნდა ვეცადოთ თვითონ მშრომელი და მწარმოებელი ხალხი თვითონვე აღებ-მიმცემი, თვითონვე ვაჭარი და თავის ნაწარმოების გამსაღებელი გახდეს... ვაჭარი გაიძვერა ქართველიც არის, სომეხიც და თათარიც“. (იხ. „ქართული პრესა“ ნ. ჟორდანიასი, გვ. 86).

როგორც ვხედავთ, გიორგი წერეთლის ცნობით არის გაიძვერა ვაჭარი, მაშასადამე, მისი ფიქრით ვაჭარი პატიოსანიც არის. ამნაირად ის ორგვარ ვაჭარს—გაიძვერას და პატიოსანს სცნობს და როცა გაიძახის „ვაჭრობის წესს უნდა ვებრძოლოთ“, მხედველობაში ვაჭრობის გაიძვერული წესი, ე. ი. ჩარჩობა და მევახშეობა აქვს, თორემ „პატიოსანი“ ვაჭარი, ბანკი და სხვა ამგვარი მეტად საჭიროთ მიიჩნია. მისი პროგრამით ქართველმა მშრომელმა ხალხმა თვითონვე უნდა იკისროს თავის ნაწარმოების გასაღება, ე. ი. თვითონ ის გახდეს ვაჭარი. ამნაირათ ის იქნება მშრომელი. მწარმოებელიც და ვაჭარიც, ე. ი. წვრილი ბურჟუა. სწორეთ ასეთია არა მარტო საქართველოს, არამედ ყველა ქვეყნების შუათანა გლეხობა და შინამრეწველი, ხელოსანი და სხვა წვრილი მწარმოებელი; და როცა ასეთი მშრომელი-მწარმოებელი „შუათანა შეძლების“ საზღვარს აბიჯებს და თავს შესუქებულათ გრძნობს, მაშინ ის მშრომელთა ბანაკს არხეინათ სტოვებს და ნამდვილი, ჯიშინი ბურჟუას სახეს და იერს ღებულობს. ასე მოხდა ეკონომიურათ დაწინაურებულ ქვეყნებში, ასე ხდება დღესაც უკან ჩამორჩენილ მხარეებში. ქალთველმა ხალხმა კი ეს პროცესი სწორეთ იმ ხანაში გაიარა, რომელსაც გიორგი წერეთელი ეხება. ამ ხანას კაპიტალის დაგროვების ხანას უწოდებს მეცნიერება. ამ ხანაში კაპიტალი საშინელ სისასტიკეს და „ბარბაროსობას იჩენს საერთოთ და, რა გასაკვირველია, რომ მან თავისი ბუნება-ხასიათი საქართველოშიც გამოიჩინა?.. იმ ხანაში სწორეთ ბუნებრივი იყო „უსინდისო და უპატიოსნო“ ანუ „გაიძვერა“ ვაჭარი. გიორგი წერეთელი სრულიათ მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ „ვაჭარი გაიძვერა ქართველიც არისო“, ის ამ ვაჭარს ბრძოლას უცხადებს, მარა არა როგორც ვაჭარს, ე. ი. ბურჟუას, არამედ როგორც „გაიძვერას“. ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ მოსწონს „საჩარხო“ კაპიტალი და უფრო წესიერს და მსხვილ-სამრეწველო კაპიტალს ეტრფის, მარა ეს ხომ კაპიტალიზმის განვითარების შემდეგი საფეხურია! პროგრესიულია მისი სურვილი, მარა იმავე დროს უტოპიურიც, ვინაიდან სამრეწველო კაპიტალი ისე ვერ გაჩნდებოდა, თუ სავაჭრო არ იქნებოდა. ის ამ შემთხვევაში უტოპისტი ბურჟუაზიული

ლიბერალია, თუ შეიძლება ასე თქმა. მას არ მოსწონს კაპიტალიზმის ერთი ფორმა, პირველი საფეხური, მარა მისი მეორე ფორმის, მეორე საფეხურის კი დიდი მოტრფიალეა.

ამნაირათ, ის ცდილობს საერთოთ „ვაჭრის გაიძვერობის“ დაგმობით სომხის ხალხი გაამართლოს; მაგრამ სოციალისტური რამ აქ მას ფიქრათაც არ მოდის. ეს კიდევ არაფერი. შეიძლება კაპიტალიზმის ახალი პროგრესიული ფორმის მომხრე იყოს მოღვაწე, მარა ამ ფორმის ცხოვრებაში დამყარებას იგი მშვიდობიანი და ევოლიუციონური გზით როდი ცდილობდეს, არამედ რევოლუციურით.

კაპიტალიზმის მაღალი ფორმა ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში რევოლუციური გზით განმტკიცდა და არა ოპორტიუნისტულით. ამას მოწმობს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორია, ამას ამტკიცებს სხვა ყველა ქვეყნების ბურჟუაზიული რევოლუციებიც.

თუ სოციალისტობა არა, დემოკრატ-რევოლუციონერობა მაინც კი მოეთხოვებოდა იმ ხანის პროგრესიულ მოღვაწე-იდეოლოგს, რომელსაც გიორგი წერეთელი ეკუთვნოდა, მარა, როგორც ზემო ამონაწერიდან დავინახეთ, ისე მისი მოღვაწეობა-მწერლობის ისტორიიდანაც ვიცით, რომ მას არსად და არაფერში რევოლუციონური არც სიტყვა უთქვამს და არც საქმე გაუკეთებია.

არ შემიძლია აქვე არ აღვნიშნო, რომ მიუხედავად ამისა, ნოე ჟორდანიას გიორგი წერეთელს ჩვენებური სოციალისტური ჟურნალისტიკის წინამორბედათ სახავედა (იხ. „ქართული პრესა“ ნ. ჟორდანიასი).

ეს დიდი ისტორიული სიყალბე და სიცრუეა. გიორგი წერეთელი ისე, როგორც თვითონ ნოე ჟორდანიას, მხოლოდ „ჩვენი ხალხის, ქართველი ხალხის გაქალაქების გავეროპიელების“ პროცესის გამომხატველია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის თავის მწერლობით და „მოღვაწეობით“ ქართველ ხალხს ხელს უწყობს, გზას უკაჟავს თანამედროვე „ერათ“ გახდეს, ე. ი. კლასებად ჩამოკალიბდეს; ეს იმას ნიშნავს, რომ ის ქართველი ხალხის ცხოვრებაში შემოჭრილ ახალ ეკონომიურ წყობილებას, კაპიტალიზმს ყველაფრით ხელს უწყობს და კლასობრივ ბრძოლაში, ე. ი. პოლიტიკურ ბრძოლაში, პირდაპირ დაჩაგრულების მხარეზე არ დგება, ვინაიდან მან იცის, რომ ეს ბრძოლა „მყელეველ ხალხს“ ხელს შეუშლის ყვლეფის საქმეში და ამნაირად აღნიშნულ პროცესს შეაფერხებს.

ქართველი ხალხის ცხოვრების გარდამავალ ხანაში, მისი ისტორიული გარდატეხის ჟამს, 60-იან და 80 წლების მწერლობაში და



წხოვადო ასპარეზზე გამოსულ იდეოლოგთა შორის ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ერთად ერთ მწერალს, რომელიც რუსული ლიტერატურის საშვალეებით კარგათ გაეცნო როგორც ევროპის ხალხთა ისტორიას და სოციალისტურ მოძღვრებას, ისე რუსეთის საზოგადოებრივობის ისტორიას და რუსულ სოციალისტურ მწერლობას. ეს მწერალია ყველა მისი თანამედროვე და ახლანდელ ქართველ მწერალთაგან ათვალწუნებული და მივიწყებული ანტონ ფურცელაძე.

მხოლოდ ეს ერთი გამოეთიშა იმ დროის ქართველ მწერალთა ჯგუფს თავიდანვე და თავისებური მიმდინარეობა შეჰქმნა.

მართალია, ეს მიმდინარეობა არ იყო. ძლიერი, ვინაიდან ამ მიმდინარეობის ელემენტები ქართველი ხალხის ცხოვრებაში მხოლოდ კანტიკუნტათ სჩანდნენ. ის მხოლოდ უჩინარი წინამორბედი იყო მომავალი კლასობრივი მასიური მოძრაობისა და მუშათა სოციალისტურ რევოლუციური მოღვაწეობისა. მისი მემკვიდრე დასი, „მესამე დასი“ მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში გაჩნდა, მაშინ, როდესაც ანტონ ფურცელაძემ თავისი მოღვაწეობა ჯერ ისევ ბატონყმობის გაუქმებამდე დაიწყო. მან განიცადა როგორც გერცენ-ბელინსკის იდეოლოგიის გავლენა, ისე პისარევე-დობროლიუბოვ-ჩერნიშევსკისა, რომელთა გავლენის ქვეშ ის მწერლობდა.

ამიტომ მან ჩვენს მწერლობაში სოციალისტურ-ხალხოსნურ-რევოლუციური მიმდინარეობა პირველმა შეჰქმნა.

მისი რომანი „მაცი ხვითია“ და დრამა „ავაზაკნი“ პირდაპირ სოციალურ საკითხს შეეხება.

ეს პიესა 80-იან წლებშიაც დიდი ინტერესით იდგმებოდა სახალხო სცენაზე და როცა ზაქარია ჭიჭინაძემ წიგნათ გამოსცა, სულ რამდენიმე წელში ერთიანათ გაიყიდა. როგორც რომანი, „მაცი-ხვითია“ ისე დრამა „ავაზაკნი“ ტფილისის მდაბიო ხალხში უფრო გავრცელდა. ორივე ამ ნაწარმოებში განსაკუთრებით „ავაზაკებში“ მხოლოდ სოციალური საკითხია წამოყენებული, მხოლოდ სოციალური, კლასობრივი ჩაგვრაა დახატული, რაც მაყურებელსა და მკითხველში რევოლუციური ბრძოლის წყურვილს იწვევს. ამ დრამის ერთი მონოლოგი პირდაპირ მოუწოდებს კიდევ მსმენელთ რევოლუციურ ბრძოლისაკენ: „წყალი მხოლოდ სათავეში მოწყდება“ სწორედ ასევე სოციალური „ბოროტება“ სათავეშივე უნდა შეწყდესო,“ ამბობს ერთი მთავარი გმირი ამ დრამის. და ეს დაიწერა და დაიდგა 70-იან წლებში.

სოციალურ საკითხს ანტონ ფურცელაძე ამაზე ადრეც შეეხო. მან ჯერ ისევ 60-იან წლებში, ჟურნალ „ცისკარში“ მოგვცა მშვენიერი კრიტიკულ-პუბლიცისტური განხილვა დანიელ ჭონჭაძის რომანისა „სურამის ციხის“, სადაც ბატონყმური წყობილების სიღუბ-

ქირე და ყმების უნუგეშო მდგომარეობა ნათლად და ნიჭიერად არის დახატული.

ანტონი ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც შეეხო გლეხთა საკითხს და პირველმა აღძრა ჩვენს მწერლობაში მიწის საკითხი—აზრი მიწის საერთო მფლობელობაზე (იხ. მისი პაწია ბროშურა „მიწის საერთო მფლობელობა“). მან აღნიშნა აგრეთვე თავისი პატარა მოთხრობით „ქიტყსათი“ ის ღრმა კლასობრივი დიფერენციაცია და ანტაგონიზმი, რომელიც მაშინ გლეხთა წრეებში ახლათ ჩნდებოდა და რაც შემდეგში უკიდურესობამდე განვითარდა.

ანტონ ფურცელაძემ ჯერ ისევ 60-იან წლებში პირველმა დაგვიხატა ჩვენებური ხალხოსნური ინტელიგენტის ტიპი, რომელიც ყოველგვარ გაჭირვებას იტანს, ოღონდ თავისი იდეური მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, ებრძვის თავდაუზოგველათ ყოველგვარ უსამართლობას რომელიც „მეშინაურ“ პირობებით და ბატონყმობის ნაშთებით არის გამოწვეული, რომელსაც თავისი აღტყინებული რევოლიუციური წყურვილი საქართველოში ვერ მოუკლავს, ვინაიდან აქ რევოლიუციის პირობები ჯერ არ არსებობს და ამიტომ ის პარიზის კომუნარების ბარკადებზე საბრძოლველათ მიილტვის.

ანტონის მოთხრობები „სამის თავგადასავალი“ და „ვაი მართალთა“ იმ დროს ერთათ ერთი ლიტერატურული ნაწარმოები იყო, რომელიც მკითხველ ახალგაზდობაში და მაშინდელ მუშა-ხელოსნებში რევოლიუციური ბრძოლის წყურვილს ბადებდა.

ანტონი თავისი პირადი ცხოვრებითაც და მოქმედებითაც იძლეოდა ასეთს მაგალითს: მან პირველმა მისცა ნ. ავალიშვილის მეცნიერულ თვიურ ჟურნალს, „მნათობს“ ნამდვილი მეცნიერულ-პოპულარული და პუბლიცისტურ-პოლემიკური ხასიათი. აქ მან პირველმა გააცნო მკითხველებს დარვინის თეორია. ამასთან ანტონი პირველი დაუახლოვდა პირველ მუშათა წრეს. ამ წრეს ის თავის ბინაზე იწვევდა და მას სოციალისტურ თემებზე ესაუბრებოდა.

მართალია, ეს პროპაგანდა არ იყო სისტემატიური და ერთგვარ პრინციპებზე აგებული; მაგრამ საყურადღებო აქ ის იყო, რომ ჩვენი იმ დროის მწერლებიდან ხელოვანად ის ჰქადაგებდა რევოლიუციურ სოციალისტურ იდეებს და ისიც არა ინტელიგენტურ წრეებში, არამედ ხელოსან-მუშებში (ჩვენ აქ ანტონ ფურცელაძეს სავსებით ვერ დავაფასებთ, ჩვენ მას ვეხებით იმდენათ, რამდენადაც მის მწერლობაში ჩვენი მუშათა კლასის მოძრაობის იდეოლოგიის ნიშნები სჩანს, თუმცა დიდი საყურადღებოა საზოგადოათ ამ მწერლის პიროვნება, მოღვაწეობა და მისი დაფასება. ამის შესრულება ჩვენ აღბათ სხვა ადგილას მოგვიხდება. რ. კ.).

საერთოთ კი უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ხანაში ქართველი დემოკრატიული, ხალხოსნური ინტელიგენცია არ დაახლოვებია ხალხს ისე, როგორც ეს თემურ მიდრეკილებების რუსის ხალხში მოხდა. ეს ხანა რუსეთში უტოპიური სოციალიზმის ხანა იყო და რადგან რუსის ხალხში ჯერ ისევ თემური (ობჟინური) ზნე-ჩვეულება და წესი მეფობდა, ხალხურ ინტელიგენციაშიაც ფართოდ გავრცელდა უტოპიური სოციალისტური იდეები და „ხალხში გასვლა“ იქ ინტელიგენციის მოთხოვნადაც იქცა. ასე არ იყო ჩვენში. ჩვენი მშრომელი ხალხი თავიდანვე წვრილ-მესაკუთრობამ გაიტაცა, თემური ზნე-ჩვეულება და ამგვარი ტრადიციები მან ახალი ეკონომიური პირობების გავლენით დიდი სისწრაფით დაჰკარგა. ამიტომ „ხალხში გასვლის“ ნიადაგი ჩვენში მეტათ სუსტი იყო; აქედან ჩვენს ინტელიგენციაში „ტექნიათა მოტრფიალეობამ“ ფეხი ვერ მოიკიდა.

სამაგიეროთ ჩვენში მოხდა ის, რაც რუსეთში არ იყო. აქ გაცილებით უფრო მეტათ დაუახლოვდა ხალხს მწერლობა, ვიდრე რუსეთში, ქართული გაზეთი და წიგნი „მდაბიო ხალხში“ უფრო ადრე გავრცელდა, ვიდრე რუსული გაზეთი და წიგნი რუსის ხალხში. ამის მიზეზები ზემოთ არის დასახელებული და ამის განმარტებას აქ ვერ გავყვებით და ჩვენ მხოლოთ აღნიშნავთ ამ ფაქტს.

ხსენებულ ხანაში ჩვენში გაჩნდა არა თუ „ხალხური წიგნი“, არამედ სახალხო წიგნების გამომცემელიც. „მდაბიო ხალხში“ გაჩნდა მდაბიო მკითხველი და აქედან წარმოიშვა წიგნის ბაზარი.

როგორც ძველ დროში, ისე ახლაც, მოქალაქეობრივ ცხოვრებაშიაც და საერთო კულტურულ მოძრაობაშიაც პირველი ადგილი ტფილისმა დაიკავა. აქ საბაზრო წიგნების გამომცემლებთან ახეტელოვებთან, სკანდაროვებთან და გრიჭუროვებთან ერთათ ახალი კულტურული წიგნის გამომცემელიც გაჩნდა. ეს იყო ზაქარია ჭიჭინაძე, კაცი მხნე, დაულალავი, ხალხის საშოდან გამოსული. მან პირველმა იწყო „სახალხო წიგნების“, არა ბაზრულის (ლუბოჩინია) არამედ ნამდვილ „ლიტერატურულის“ გამომცემა. როგორც ვიცით ის იყო თითქმის ოუციკიალურა გამომცემელი ანტონ ფურცელაძის ნაწიერებისა. ამ მწერლის თითქმის ყველა ნაწიერები ცალკე წიგნაკებად ზაქარია ჭიჭინაძის მიერ არის გამოცემული და ისიც რამდენჯერმე.

იმ დროს ტფილისის მდაბიო მკითხველთა შორის ძალიან გავრცელებული იყო ერთი ძველი ისტორიული ხასიათის ნაწარმოები, თბილელის „მოურავიანი“ და აი ზაქარიამ ამას დაუპირდაპირა ანტონის ისტორიული დრამა—„დიდი მოურავი“, რომელიც ტფილისის





მდაბიო ხალხში მსწრაფლ გავრცელდა და მკითხველთა მასამ ამ წიგნს ძველი ჩვეულებით „მოურავიანი“ დაარქვა.

თუ წინათ „მდაბიო მკითხველებში“ მეტათ გავრცელებული იყო: „ყარამიანიანი“, „დავრიშიანი“, „ქალ-ვაჟიანი“ და „სიზმრის ახსნა“, ამ დროიდან იმავე მდაბიო წრეებში სწრაფად გავრცელდა: ანტონის „მოურავიანი“, „ავაზაკები“ და „მაცი ხვითი“; ზაქარია ჭიჭინაძის მეოხებით გავრცელდა აგრეთვე იმ დროს მეტათ საყურადღებო ხალხური ნაწარმოები—„**არსენას ლექსი**“.

ეს ნაწარმოები მეტათ ორგინალური მოვლენაა. ის ნამდვილი ხალხური პოემაა, ხალხის შვილის, უცნობი ავტორის პოეტური ქმნილებაა. წინათ თუ დიდი ქართველი მგოსნის შოთას პოემა ვრცელდებოდა ხალხში, იმ დღიდან, როცა „არსენას ლექსი“ გამოიცა, კიდევ უფრო მეტათ გავრცელდა ხალხური პოემა—„არსენას ლექსი“—„მდაბიო მკითხველთა“ წრეებში.

აქ, როგორც ხედავთ, გაბატონებული წოდების შვილის, შოთას შემოქმედებას დაუპირდაპირდა ხალხის უცნობი შვილის თხზულება. შოთას გმირს **ტარიელს**—ხალხის გმირი—**არსენა**; და აქედან წარმოსდგა ჩვენში „მოწინავე მოღვაწეთა“ ნაწარმოების და ხალხური შემოქმედების შედუღება. ერთი მხრით მოწინავე მოღვაწეები დაეწაფენ ხალხური ნაწარმოების (ზღაპრების, მითების, თქმულება-გამოცანების და ლექსებ-შაირების) წყაროს, ხოლო „მდაბიო მკითხველები“ ხალხიდან თავის მხრით „მოწინავე მოღვაწეების“ იღებენ ეზიარენ და ეს მოხდა ჩვენში ქართული წიგნის საშუალებით და არა „მოღვაწე“ ინტელიგენციის „ხალხში სიარულით“, როგორც ეს რუსეთში იყო.

არც ერთი სხვა წიგნი ისე არ გავრცელებულა ხალხში და იმდენჯერ არ გამოკვეთულა ცალკე წიგნათ, როგორც ეს ორი ნაწარმოები—„ვეფხის ტყაოსანი“ და „არსენას ლექსი“. არც ერთ ნაწარმოებზე იმდენი არ დაწერილა და თქმულა ჩვენში, როგორც „ვეფხის ტყაოსანზე“ და „არსენას ლექსზე“.

„არსენას ლექსს“ თითქმის ყველა ჩვენი „გამოჩენილი“ მწერლის კალამი შეეხო. განსაკუთრებით ის დააფასა უფრონალ „კრებულის“ თანამშრომელმა სკანდელმა და პეტრე უმიკაშვილმა. ანტონ ფურცელაძე კიდევ უფრო მეტათ აფასებდა მას და ეს იმიტომ, რომ „არსენას ლექსი“ ყველა იმ სოციალურ საკითხებს ეხებოდა, რომლებიც ანტონს ისე აინტერესებდა. აქ ამ ლექსში ანუ პოემაში მთელი თავისი სიგრძე-სიგანით გლეხის ჩაგვრის საკითხია წამოყენებული და ამ ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა მშრომელი ხალხის მკვეთრი შემოქმედების ძლიერებით არის დახატული. აქ, ამ პოემის გმირი, **არსენა**

ნა ოქელაშვილი ებრძვის გლეხების უმთავრეს მტერს—ნაბატონებს და მის მოკავშირე მფარველს თვითმპყრობელობის ბიუროკრატის; ებრძვის „გაიძვერა“—მატყუარა ვაჭრებს—სომხებს და ურიებს, ებრძვის მშრომელი ხალხის ყოველგვარ დამჩაგვრელ ძალას. და აქ ყველაზე უფრო საყურადღებო და აღსანიშნავია ის, რომ იგი—არსენა—ინტელიგენტურათ, ჩვენებური დემოკრატ „მოღვაწეების“ ოპორტიუნისტულ მეთოდით და ტაქტიკით კი არ იბრძვის, არამედ ძალით, ძალდატანებით, ე. ი. ტერორისტული, „ბუნტარული“ მეთოდით და ტაქტიკით.

ის ჩარჩ-ვაქარ ებრაელებს ჩამოართმევს ფართლეულობის საზომს, ალაბს და მის ნაცვლათ ხელში აძლევს შვიდი მტკაველით გადაზომილ ჯოხს და ეუბნება: „ოუ ამითი არ გაყიდეთ, ვაი დედი-თქვენის ღმერთსა, სუყველას გამოგქრით ყელსაო“. ჩარჩ-ვაქარ სომეხს რომ შეხვდება „წინიდან წამოუვლის და ეტყვის: ეგ ქულაჯა აქ მომეცი, ეს თექა (ნაბდის ჩოხა) ჩაიცივი შენა“. და ამაზე ხალხი ამბობდა: „მდიდარს ართმევს ღარიბს აძლევს, ღმერთი როდი წაახდენსაო“.

ღიახ, დიდათ მოსწონდა ხალხს არსენას ტაქტიკა და დიდათ თანაუგრძნობდა მას და ვისაც სურდა ამ ხალხთან დაახლოვება და მისი შველა, მას მის მიერ მოწონებული ტაქტიკაც უნდა გაეზიარებოდა, და თუ მას ნაკლი რამ ახლდა, თავისი „განათლებული“ გონებით უნდა შეესწორებოდა ის. არსენას ტერორისტული ტაქტიკა რუსეთის რევოლუციურმა ინტელიგენციამ—„ნაროდოვოლცებმა“ კიდევ გაატარეს ცხოვრებაში. ხოლო ჩვენში კი „დროების“ დემოკრატებმა გვერდი აუხვიეს მას. მხოლოდ ერთმა ანტონ ფურცელაძემ და მისმა გამომცემელმა ზაქარია ჭიჭინაძემ მიაქციეს ჩვენში ყურადღება ამ ტაქტიკას. პირველმა დასწერა ამ მიზნით და იდეით გამსჭვალული დრამა—„ავაზაკები“, ხოლო მეორემ ხალხში გაავრცელა ის. (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „არსენას ლექსის“ თემა შემდეგში მეორე მწერალმა, ალექსანდრე ყაზბეგმაც სცადა დაემუშავებია, როგორც დრამა-პიესა, მარა როგორც ანთოლოგიისტმა და არა რევოლუციონერმა ვერ შესძლო ეს სიუჟეტი თავის სათანადო სიმაღლეზე აეყვანა. რამდენიმეთ ეს იმითაა განსხვავებული, რომ ყაზბეგი უფრო ბელეტრისტი იყო, ვიდრე დრამატურგი).

ანტონი ამავე მიზნით ერთ დროს სამეურნეო გაზეთს, „გუთნის დედასაც“ კი რედაქტორობდა. იგი ამ გაზეთში უტოპიურ სოციალიზმს ქადაგებდა და გლეხებში აჯანყების სული შეჰქონდა (ცნობა ამოღებ. ზაქარია ჭიჭინაძის ხელთნაწერიდან. რ. კ.). ამნაირათ, მუშათა ქართული მწერლობის წინამორბედი გამოცემები ჯერ ისევ

70-იან წლებში გამოჩნდნენ ჩვენში და უნდა აღინიშნოს, რაც უფრო საყურადღებოა, რომ პირველი და უკეთესი ამ ნაწარმოებთაგანი ზალხის კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი იყო. ეს იყო უცნობი ავტორის ხალხური პოემა—„არსენას ლექსი“, რომელმაც ჩვენში დასაწყისი მისცა, როგორც ხალხოსნურ-რევოლიუციონურ მწერლობას, ისე „ახალ მკითხველთა“ წრეებს.

(შემდეგი იქნება)

---



# საქართველოს რევოლუციონური მოძრაობის წარსული.

(1870 წლიდან 1905 წლამდე).

## I.

რევოლუციის კლასიკურ ქვეყნად საფრანგეთი ითვლება.

საფრანგეთის უმაგალითო, ხანგრძლივმა რევოლუციებმა მე-  
XVIII/XIX-ტე საუკუნოებში მთელი მსოფლიო შეარყია.

კულტურულად დაწინაურებულ ევროპისა თუ აზიის ოდნავ გან-  
ვითარებულ ქვეყნის თითქმის არც ერთი კუთხე არ დარჩენილა, სა-  
დაც ფეოდალურ-მონარქიულ მძიმე უღლის გადაძრობი,—განმათა-  
ვისუვლებელი რევოლუციის ეს მრისხანე ქარი არ შეჭრილიყო და  
თავისი განმანადგურებელი სუსხი არ ეჩვენებინა გაბატონებულ მო-  
ნარქიულ სახელმწიფოების მმართველობისათვის.

გაჩაღებულ რევოლუციებს ჰქონდა ბურჟუაზიული ხასიათი, რო-  
მელიც მიმართული იყო ფეოდალიზმის ამოსაფხვრელად, მონარქიზ-  
მის რესპუბლიკად შეცვლისათვის. ნაწილობრივად,—გამონაკლის შემ-  
თხვევებში,—იგი ღებულობდა თან პროლეტარულ, სოციალისტურ ხა-  
სიათსაც (პარიზის კომუნა და სხვა.).

1789—1848—1871 წლებში საფრანგეთში დანთებულ რევო-  
ლიუციების ცეცხლის ეს გადასროლილი ნაპერწკლები ყველა ქვეყნებ-  
ში ერთი ხაზით და მიმართულებით არ ღვივდებოდა, არ ვითარდებ-  
ოდა,—სხვა და სხვა ქვეყნებში იგი სხვა და სხვა ფორმებს და სა-  
ხეებს ღებულობდა.

ინგლისში, გერმანიაში, ავსტრო-ჰუნგრეთში, იტალიაში და სხვა  
პატარა ქვეყნებში ამ რევოლუციებმა მონარქიზმი ვერ დაამხო ფორ-  
მალურად, მაგრამ მოსპო კი ბატონყმობა, ამოფხვრა ფეოდალიზმის  
ნაშთები, შესლულა მეფის ბატონობა, შექმნა კონსტიტუციონალური  
წესწყობილებები, დააწესა, თუმცა, კულშეკვეცილი მაგრამ მინტ  
ხალხური თვითმმართველობა პარლამენტიზმის სახით.

## II

რევოლუციონური მოძრაობის ამ საერთო ფერხულს ვერ აუარა გვერდი და მოექცა მის ორბიტში კულტურულად ჩამორჩენილი, ნახევრად აზიური ქვეყანა, ფეოდალურ-მონარქიულ რუსეთიც, ძალით შემოერთებულ თავის განაპირა პატარა სახელმწიფოებით: პოლონეთით, ფინეთით, უკრაინა-ბელორუსიით, საქართველო-ადერბეიჯან-სომხეთით, ბუხარა-თურქესტანით და სხვა.

1825—26 წლებიდან ამ „გაერთიანებულ“ ფეოდალურ-მონარქიულ დიდ რუსეთში თავი იჩინა გმირულმა, პირველმა რევოლუციონურმა გამოსვლებმა, მიმართულმა მთავრობის წინააღმდეგ. ამ მოძრაობის გმირები ისტორიაში ცნობილი არიან „დეკაბრისტების“ სახელწოდებით. „დეკაბრისტების“ მოძრაობას ადგილი ჰქონდა ერთ და იმავე დროს თითქმის მოსკოვ-პეტერბურგში, სამხრეთ რუსეთში (კიევ-რასტოვში“), ციმბირში (ზაბაიკალის ოლქში) და სხვა წვრილ ზოგიერთ ქალაქებში. „დეკაბრისტების“ მოძრაობას სათავეში ედგა: პესტელი, რილეევი, მურავიოვ-აპოსტოლი, ბესტუჟევი-რიუმინი, კახოვსკი და სხვები, რომლებიც ჩამოხზობილნი იქნენ 1826 წელს მაშინდელი მთავრობის მიერ. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს რევოლუციონერები გამოსულნი იყვნენ მაღალი წოდების წრიდან და ითვლებოდენ მთავრობაში პასუხისმგებელ სახელმწიფო მუშაკებათ, როგორც სამხედრო სფეროში, ისე სამოქალაქოში.

ზემოხსენებულ პირების სახით წარმოდგენილი ხელმძღვანელები „დეკაბრისტულ“ მოძრაობისა არ იყვნენ ჩამოყალიბებული იდეის მატარებელნი, მათ არა ჰქონდათ შემუშავებული პროგრამა დასახული მიზნით განსაზღვრული. მიზეზი მათი რევოლუციონური მოძრაობისა იყო საფრანგეთის რევოლუციების გავლენის ქვეშ მოქცევა და ის ფეოდალური წყობილების მძიმე პირობები, რომელნიც მაშინ, ალექსანდრე I-ლის მეფობის დროს სუფევდა.

„დეკაბრისტების“ აჯანყების შემდეგ, რომელიც საშინელი მახვილით იქმნა ჩაქრობილი ალექსანდრე I-ლის მიერ, ფეხი მოიკიდა სოციალისტურმა იდეებმა.

1840—50 წლებში, ვენისა (ავსტრია) და დრეზდენის (გერმანია) აჯანყებების შემდეგ რუსულ ლიტერატურაში გაჩნდნენ უტოპისტ-სოციალისტების, — ფურიეს, სენსიმონის და ოუენის მიმდევარი მწერლები პეტრაშევსკის მეთაურობით: კოლცოვი, სალტიკოვ-შჩედრინი, ბელინსკი, პლეშიევი, დოსტოევსკი, იასტრეჟებსკი და სხვები, რომლებიც მოწინავე საზოგადოებებს, უმეტესად ინტელიგენტურ წრეებს აწვდიდნენ სოციალისტურ იდეებს და ასწავლიდნენ მათ ამ იდეისათ-

ვის გამოსაყენებელ საზოგადოებრივ მუშაობას, აცნობდენ მათ იდეის მტერს,—არსებულ ფეოდალურ-მონარქიულ წესწყობილებას.

ფეოდალურ-მონარქიულ წესწყობილების წინააღმდეგ მიმართულმა მოქმედებამ, სოციალისტური იდეების გასატარებლად გადადგმულ ნაბიჯებმა ბევრი მათგანი იმსხვერპლა, ბევრს მათგანს საშინელ წამებში დააღვინეს სიცოცხლის დღენი; ბევრი მათგანი ცივ მხარეებში, საკატორლო ციხეების ცივ საკნებში მოხუცდა.

მაგრამ რევოლიუციონური მოძრაობის გამომწვევი პოლიტიკური და ეკონომიური პირობები ამით მაინც არ გაქრა, იდეა ცხოვრების მძიმე პირობების მიერ გამოწვეული, გაფურჩქვნის პროცესში მყოფი კაცთა მსხნელი იდეა მაინც არ მოკვდა. მან, პირიქით, უფრო და უფრო მოიკიდა ფეხი საზოგადოების ყველა ფენებში. ის შეიქრა ყველგან, ატმოსფერა გაიჟლინთა სოციალისტური სურნელებით, —ერთ ზამთარში ან დახვერტილ რევოლიუციონერის ადგილზე ათობით და ასობით ჩნდებოდენ, იბადებოდენ.

ფეოდალურ-მონარქიულმა რეჟიმმა წარმოშვა ტერორი, არსებულ წყობილებით შეწუხებულ უკმაყოფილო პირებისა. ტერორს ორგანიზაციის ხელი არ ეტყო, იგი სტიქიურ, ინდივიდუალურ ხასიათის ატარებდა, მაგრამ დაწყებულ რევოლიუციონურ მოძრაობაში, დამონაგებული ხალხის გამოფხიზლებაში მან საკმაოდ დიდი როლი ითამაშა.

განშირდა მეფეზე თავდასხმა მოკვლის მიზნით, მეფის თვითნებობის ასალავნავად.

1843 წელს, რუსეთის რევოლიუციონერებმა სცადეს, პარიზში სტუმრად მყოფ მეფე ნიკოლოზ I-ლის მოკვლა.

ცდა ამაოდ ჩაურონია გაუთვალისწინებელმა, ბრმა შემთხვევებმა. ასე მიდიოდენ წლები...

### III.

ატმოსფერა დამძიმდა.

გამწვავდა პოლიტიკური პირობები.

1857 წელს გამოვიდა პირველი სოციალისტური და რევოლიუციონური ჟურნალი „ზარი“ („კოლოკოლ“) სოციალისტების—გერცენისა და ოგარევის რედაქტორობით.

ეს იყო პირველად სინათლეზე გამოსული სოციალისტური განხეთი რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში და მწერლობაში.

გამწვავებულმა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა პირობებმა ჩბ-იან წლებში მოამწიფა დამონაგებულ ყმებში განთავისუფლების



იღვა, ბორკილების დაწყვეტის წადილი. აჯანყებისათვის განწყობილმა მონა-ყმებმა 1861 წელს აიძულეს მეფე ალექსანდრე მე-11-რე გამოეცა მანიფესტი ყმებმის განთავისუფლების შესახებ.

ეს „განთავისუფლება“ რა თქმა უნდა არ იყო დიდი ბედნიერების მიმნიჭებელი ყმებისათვის,—მიწა მათთვის არ მიუციათ და საცხოვრებელი სახლი, არც არსებობის უზრუნველყოფელი სხვა რაიმე წყარო, მაგრამ ამით თავიანთი თავის დამოუკიდებლობა მათ მაინც მოიპოვეს. ბორკილ ახსნილ ყმებს ამის შემდეგ მიეცათ უფლება და საშვალება,—თავიანთი შრომის ნაყოფი, თუ მთლიანად არა, რამოდენიმეთ მაინც მოეხმარებიათ საკუთარ თავისთვის.

ამ „განთავისუფლებით“ არ შეიცვალა წოდებები, პრივილეგიები და ქონებრივი მდგომარეობა.

ყოფილ ბატონებს,—წარმოდგენილებს ეხლა თავადებით, ბარონებით, გრაფებით და აზნაურებით,—მაინც შერჩათ უკლებლად მიწა-მამულები, სახლ-კარი, წარჩინებული პრივილეგიები. ყმები ბატონებიდან განთავისუფლებულნი, თავისუფალი იყვნენ წინანდებურად ყოველგვარ უპირატესობებისაგანაც.

აი ასეთ „თავისუფალ“ ხალხს მიკუთვნებულ „უპირატესობების“ და მიხედვით ეწოდა ყმის ნაცვლად გლეხი, გლეხი რომელიც ისევ იმ მემამულე თავად-აზნაურების დაქირავებული და მოსამსახურე ხდება, გლეხი რომელიც ისევ მათ საწველ ფურათ არის გადაქცეული.

ამან გამოიწვია,—ერთი მხრივ უმიწა-წყლო ღარიბ მშრომელ გლეხკაცობის გამრავლება სოფლად, მეორე მხრივ მისი მცირე ნაწილის ქალაქებში დენა და აქ ამა თუ იმ წვრილ სახელოსნოებში ჩაბმა, ხელოსნობის სწავლა, წვრილ ხელოსნებად გახდომა და ხშირად წვრილ სახელოსნოს მეპატრონეებადაც გადაქცევა.

ცხოვრების ამ უჩვეულო, ანორმალურ, მძიმე პირობებში კულტურულად უფრო დაწინაურებულ, მრეწველობის განვითარებით უფრო მაღლა მდგომ პოლონეთში 1863 წელს ადგილი მიეცა დიდ აჯანყებას, სადაც გამარჯვებულმა რევოლიუციონერებმა გამოაცხადეს დროებითი სახალხო მთავრობა.

ეს გამარჯვება აჯანყებულ პოლონელ რევოლიუციონერებისა არ დარჩა ხანგრძლივი. მეფე ალექსანდრე II-ემ იგი ჩქარა დაამხო, რის შემდეგ ათობით და ასობით ჩამოახრჩო რევოლიუციონერები და ათასობით და ათი ათასობით გადაასახლა შორეულ ცივ ციმბირის მიდამოებში აჯანყების მონაწილენი.

#### IV

1865—7 წლებში. „გაერთიანებულ“ რუსეთის მთელი სივრცით წვრილი ხელოსნები და წვრილ სახელოსნოს მეპატრონეები ქალაქ-

ბში ერთი მხრივ, ხოლო უმიწაწყლო ღარიბი მშრომელი გლეხკაცობა სოფლად მეორე მხრივ ერთობ გამრავლდა.

არ იყო ჩამოყალიბებული კლასი ბურჟუაზიისა, არ იყო ჩამოყალიბებული კლასი პროლეტარიატისა,—რადგან არ იყო ჯერ კიდევ მრეწველი ბურჟუაზია, არ იყო ამავე დროს მრეწველობაში ჩაბმული დაქირავებული მუშა, კლასი ბურჟუაზიული, კლასი პროლეტარული ჯერ კიდევ წარმოშობის პროცესში იყვნენ, მაგრამ ორი დაპირდაპირებული საზოგადოების, ორი მტრულად განწყობილი ქვეყნის მამოძრავებელ ძალთა შეჯახების სიახლოვე კი აშკარა და ყველასათვის დასანახი გამხდარიყო.

ეს იხატებოდა,—ერთი მხრივ გრაფებით, პანებით, ბარონებით, თავად-აზნაურებით; ხოლო მეორე მხრივ ღარიბი გლეხებით, ქალაქად წასულ წვრილ, დაუძლურებულ უმწეო ხელოსნებით.

ამ ნიადაგზე მომწიფდა და აღმოცენდა ეგრედ წოდებული წვრილ-ბურჟუაზიული სოციალისტური პარტიები, როგორც იყვნენ: „ზემილია ი ვოლია“ (მიწა და თავისუფლება) და „ნაროდნაია ვოლია“ (ხალხის თავისუფლება).

სამოკდა ათიან წლებიდან ჩაეყარა საფუძველი სოციალისტ-რევოლიუციონერ პარტიასაც.

ზემოთ ჩამოთვლილი პარტიები პროგრამით, შინაგან თვისებით, დასახული მიზნით და სამოქმედო პროგრამით თითქმის ერთი და იგივე იყვნენ, ერთი მეორის დამატებას წარმოადგენდნენ იდეურად და პრინციპიალურად.

ხსენებულ პარტიების ხელმძღვანელები და თვალსაჩინო წევრები იყვნენ: ლავროვი, ნეჩაევი, ვ. ფიგნერის ქალი, ე. ლიაბოვი, პეროვსკაიას ქალი, სოლოვიოვი, ჩერნიშევსკი, კიბალჩიხი და სხვები.

ამ პარტიების წარმოშობა-განვითარებით და იმ გამძაფრებულ არსებობის მძიმე პირობებით, რომელიც ალექსანდრე II-რის ბატონობით იყო შექმნილი, განვითარდა, გაღრმავდა და ორგანიზაციულ-პოლიტიკური ხასიათი მიეცა ჯერ კიდევ ათეული წლების უკან დაბადებულ წითელ ტეროს, მეფის წინააღმდეგ მიმართულს. ამ ხანებში განსაკუთრებით „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიის კომიტეტის დადგენილებით, ისე კვირა და თვე არ გაივლიდა, რომ სადმე, რომელმე ქალაქში არ მოეკლათ თავგანწირულ რევოლიუციონერებს გუბერნატორი, მინისტრი, ჟანდარმი, ჯაშუსი და სხვები; ამას გარდა უფრო მეტი ინტენსივობით სწარმოებდა მეფეზე დავდასხმა მოკვლის განზრახვით.

1866 წელს ტერორისტმა კარაკოზოვმა სცადა მოეკლა მეფე ალექსანდრე მეორე ბოძბის სროლით. 78 წელს ვერა ზაუსლიჩმა ესროლა რევოლუციური ხარკოვის პოლიციებისტერს ფ. ტრეპოვს, ამ წელს მოჭ-



კლეს ღონის როსტოვში ჯამუში ნიკინოვი, ამავე წელს კიევში ჩაზე ხმალით გამოასალმეს სიცოცხლეს ჟანდარმთა კაპიტანთა გეიკინი, 79 წელს გრიგორ გოლდენბერგმა მოჰკლა გუბერნატორი კროპოტკინი ხარკოვში, პოლიტიკური ტუსალებისადმი ცუდათ მოპყრობისათვის, რაიც გამოიხატა ცემა-ტყეპაში, შეურაცყოფაში და წვალებაში. ამავე წელს „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე გამოიტანეს დადგენილება მეფე ალექსანდრე II-რის მოკვლის შესახებ. ამის შემდეგ არ გაუვლია დიდ ხანს, რომ ლოზოვო-სევასტოპოლის რკინის ხაზზე შეეცადენ მეფე ალექსანდრე II-რის მოკვლას, რომელშიდაც მონაწილეობა ან დებულობდნენ ეელიაბოვი, იაკიშოვის ქალი. პრესნიაკოვი, ტიხონოვი და სხვები.

## V

რუსეთის ცენტრში—მოსკოვ-პეტერბურგში და ვარშავა-კიევში წარმოებული ეს მამაცურა რევოლუციონური მუშაობა თავგანწირულ რევოლუციონერებისა დიდ გავლენას ახდენდა და იქცევა თავის ორბიტში კულტურულად დაკავშირებულ ყველა განაპირა ქვეყნებს.

ნახევრად ჯერ კიდევ ბატონყმობა დარჩენილ საქართველოში, გაძვალტყავებულ, საშინელ ცხოვრების მძიმე პირობებით ენა ჩავარდნილ, მიყუჩებულ მშრომელ ხალხის გამოუხიზლება-ამოქმედება იწყება ქალაქად გადმოხვეწილ განთავისუფლებულ ყმების წვრილ სახელოსნოებში ჩაბმა-მუშაობითა და იქ ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად,—ორგანიზაციულად შეკავშირების სახით.

ეს შეკავშირება და ორგანიზაცია გამოიხატა 65—70-იან წლებში ხელოსანთა მიერ პირველ პროფესიონალური კავშირის დაარსებით ტფილისში.

საქართველოს ცენტრში, ტფილისში, მუშათა პირველი რევოლუციონური ნაბიჯები აღიბეჭდა ეგრედ წოდებულ „ქარვალთა მოძრაობის“ სახით.

საკმაო თანხის მქონე, მდიდარმა გერმანელმა, ფრიდრიხ ზეიცერმა ტფილისში, მიხაილოვის ქუჩაზე დაარსა სადურგლო-სახელოსნო მსხვილი ფაბრიკა, სადაც ქარვალი მუშებისა და შეგირდების რიცხვი ერთად აღებული აღწევდა 80-მდის. აქ მუშაობდნენ სხვათა შორის მიხა ჩოდრიშვილი, (დურგალი), იოსებ დავითაშვილი (ჩუქურთმის მკრელი) და დავით გიგაური (ოქროთ ჩამომსხმელი). ხსენებული პირები იყვნენ წერა-კითხვის მცოდნე, სხვებზე უფრო გათვითცნობიებული მუშები. დასახელებული მუშები მიხა ჩოდრიშვილის მეთაურობით ყოველ თავისუფალ დროს ანდომებენ წიგნების კითხვას.



გონებრივ ჰორიზონტის გაფართოვებას. დადიოდენ ისინი კვირა-უქმობით ბაზარში, ყიდულობდენ ხალხური, რევოლუციონური ხასიათის წიგნებს, შემდეგ უკან დაბრუნებულნი ამა თუ იმ ამხანაგის ბინაზე შემოიკრებდენ ხოლმე სხვა ამხანაგებსაც გარშემო და ჰკითხულობდენ, ეწეოდენ მეცადინეობას. ჟურნალ-გაზეთებისა და ხალხურ-რევოლუციონურ ლიტერატურის მიწოდების ნხრიც, დიდ სამსახურს უწევდა ბუკინისტი ზაქარია ჭიჭინაძე, რომელიც ამ დროს ერთ უძვირფასეს ადამიანათ ითვლებოდა მათთვის.

ზაქარია ჭიჭინაძეს კი ამგვარი ლიტერატურის შეძენა, შემონახვა და ახალგაზრდობისთვის მიწოდება განსაკუთრებით უყვარდა.

ეს კითხვა-მეცადინეობა ისე გაღრმავდა მათში, ისე შორს წავიდა, რომ აქ მოიზიდეს და დაიახლოვეს თან სხვა სახელოსნოს მუშებიც.

ამგვარად გათვითცნობიერების გზაზე შემდგარმა მუშებმა შექმნეს ერთი მთლიანი, (თავისი პროფესიის) ამხანაგური ძლიერი ჯგუფი, ანუ „ქარგალთა კავშირი“.

ამ „კავშირმა“ ერთ უქმე დღეს ვილაც ციხრუაშვილის საჩაიე ტრაქტირში მოიწვია კრება, მუშებისათვის დასმული საკითხის, — საკუთარ, კერძო, საშინაო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების გადასაწყვეტათ.

კრებაზე მუშების საკმაო რიცხვი გამოცხადდა.

დასმული საკითხი, — ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნა, — დადებითად გადაწყდა.

სამკითხველო მოთავსებული იქნა იქვე ზეიცერის სახლში მცხოვრებ ლუარსაბ კასრაძის ბინაზე. ამ საქმის მოსაწყობად და გასაძლოლად არჩეული იქნა შესაფერი ორგანოც, — გამგეობა, რომელიც შედიოდენ: მ. ჩოდრიშვილი, იოსებ დავითაშვილი, ვარ. გოცირიძე, სიკო გამყრელიძე, კასრაძე და ნიკო მეგრელი. მათ დააწესეს თითოეულ წევრზე თვიური გადასახადი 20 კაპიკი, რომლის შემოსავლიდანაც უნდა შეეძინათ, ეყიდათ წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და სხვა.

ამ მათ შიერ დაარსებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოში მეცადინეობით, იმდენათ გათვითცნობიერდენ, იმდენად განვითარდა თვით „ქარგალთა კავშირი“, რომ აქ მათ უკვე ვაიგეს თავისი ეკონომიური მძიმე პირობების მიზეზები და დაიწყეს ძებნა გამოსავალი გზისა. გამონახული გზა უნდა ყოუილიყო მიმართული მათი ყოფამდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მწვავე მდგომარეობის შეგნებამ, განვითარებამ, იქნამდის კი მიიყვანა მუშები, რომ მათ გამოსავალი გზაც იპოვეს. გამოსავალი გზა გამოიხატა შეკავშირებულ, მტკიცე ორგანიზაციულ ნებით გაუიცივის გამოცხადებაში თავიანთ მყვლეფელ ფაბრიკის პატრონ ზეიცერისადმი.

გაფიცულმა მუშებმა ზეიცერს წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილება: 15 საათის სამუშაო დღის შეცვლა 14 საათის სამუშაოთი; 1 მანეთის ნაცვლად 1 მანეთისა და ათი შაურის მოცემა შრომის ქირად; სანარდო საქმეებზე, 20 პროცენტით გადიდება ხელფასის\*).

ამ მაგალითს შემდეგ სხვა ქარხნებმაც მიბაძეს, მაგალითად: კოტრინის საწარმოვომ; რუქსის საზეინკლომ; არაშ ენალის საღურავლომ და სხვამ.

აქ შეიქნა ერთი მთლიანი, შეკავშირებული მუშათა ფრონტი, ზრდა-განვითარების პროცესში მყოფ წვრილ ბურჟუა-მეცლეველებს წინააღმდეგ აღმართული, რომელიც დასრულდა იმით, რომ ხაზეინებმა ყველგან შემოიღეს 14 საათის სამუშაო დღე და თან ჯამაგირების გადიდებაც გაატარენ ცხოვრებაში.

მაგრამ დამარცხებული ხაზმინები აქ დიდხანს არ გაჩერებულან; მათ, დაკლებულ საათებისა და გადიდებულ ჯამაგირების სამაგიეროდ შეამოკლეს შტატი, იწყეს მუშების დათხოვნა, შეამცირეს მუშების რიცხვი სახელოსნოში.

ამ დათხოვნილ მუშებ შორის მოხდა მიხა ჩოდრიშვილიც, როგორც ხაზეინისთვის ერთი უსაშიშროესი გათვითცნობიერებული მუშათაგანი.

## VI

მუშებში საგრძნობი ხდებოდა ხელმძღვანელ, მებრძოლ ინტელიგენტების არ ყოლა, რომელიც გაუძღვებოდა მათ წინ და უფრო ფართოდ გადაუშლიდა ბრძოლის გზებს. ამას თვითონაც ამჩნევდნენ ისინი და სცდილობდნენ ასეთების მოძებნით დანაკლისი შეეცნათ.

ამ რიგად 75 წლებიდან საქართველოში უკვე იწყება ერა რევოლუციონურ ორგანიზაციათა ჯგუფების მუშაობისა.

რევოლუციონური ჯგუფები, ანუ პარტიების ჩანასახი საქართველოში იმ სახით არ მოვლინებულა როგორც რუსეთის ცენტრში.

„ნაროდნაია ვოლია“, „ზემლია ი ვოლია“ და „სოციალისტ-რევოლუციონერების“ ნაცვლად აქ გაჩნდნენ ქართველი სეპარატისტები, ნაციონალისტური ინტელიგენცია და ნაციონალ-დემოკრატიული ჯგუფები.

მე ვისარგებლობ აქ ამხ. მიხა ჩოდრიშვილის ხელთნაწერ მოგონებებით ამხ. მიხა პირდაპირი მონაწილეა 70, 80, 90 წლების მოძრაობისა, და იგი აღდესაც ჯან-ღონით სავსე კომუნიზმისათვის მებრძოლთა რიგებში ითვლება როგორც ერთი აქტიური წევრთაგანი.

ამ ჯგუფების პროგრამას შეიცავდა: საქართველოს რუსეთის მონარქიის ბატონობიდან განთავისუფლება; საქართველოსთვის სუვერენულ უფლებების დაბრუნება; საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგანა; საქართველოში ეროვნულ-ხალხური სამმართველოების შექმნა.

ეს ჯგუფები იმდენად იყვენ რევოლიუციონური და ებრძოდენ არსებულ თვითმპყრობელობას რამდენათაც ეს უკანასკნელი ატარებდა ცხოვრებაში ქართველი ერის დამონება-დაჩაგვრის პოლიტიკას და ითვლებოდა როგორც ვაბატონებული სახელმწიფო, დამპყრობელი ერი.

ყოველი აჯანყებები, ყოველი რევოლიუციონური გამოსვლები, არ დამზოგი გმირული წითელი ტერორი რუსეთის ცენტრში წარმოებული, მიმართული ფეოდალურ-მონარქიული მეფისა და მისი მთავრობის წინააღმდეგ, — საქართველოს ხსენებულ ჯგუფებში იწვევდა დიდ სიმპატიებს, სიხარულს და აღტაცებას. ამიტომ ისინი, — თუმცა სხვა ფორმებში და სამოსელში მოვლენილნი, თავიანთ თავს სთვლიდენ რუსეთის რევოლიუციონერების ძმებად და ამხანაგებად. ამ დროინდელი ჟურნალ-გაზეთებში, როგორც იყენენ — „იმედი“, „ივერია“, „შრომა“ და „თეატრი“ ხშირად იწერებოდა ქება-დიდება მათდამი.

ამ ჯგუფში შედიოდენ ანტონ ფურცელაძე, გ. ზდანოვიჩი, ვ. ჯაბადარი, მ. ბილანიშვილი, ვ. რცხილაძე, ვ. ჩერქეზიშვილი, ს. ჭრელაშვილი და სხვები. მათ შორის უკანასკნელი, — ჭრელაშვილი ეკუთვნოდა ხალხური მოძრაობის უკიდურეს ფრთას, რომელიც განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონარქიზმის წინააღმდეგ არ სცნობდა არავითარ ნაციონალურ მომენტს, არავითარ ეროვნულ პრინციპს, ეროვნული სუვერენობით და საზღვრებით. მას სწამდა პოლიტიკურად და ეკონომიურად რუსეთის რევოლიუციონერებთან გაერთიანებული, მხოლოდ ერთი მთლიანი ფრონტი; მაგრამ თუ მაინც იყო იმათთან, რომლებიც სავსებით ვერ იზიარებდენ მის აზრს და შეხედულებებს, ეს იმიტომ, რომ სხვა მომქმედი პოლიტიკური ჯგუფი ამ ხანებში არ არსებობდა; ხოლო ამ ჯგუფის დიფერენციაცია, — განვითარება-დანაწილება პრაქტიკას, რევოლიუციონურ საქმიანობას ჯერ კიდევ არ მოეტანა.

ეს იყო უკვე 80-იანი წლები.

ხსენებული ჯგუფები ეძებდენ სამოქმედო ბაზას, დასაყრდნობს. მათ უნდოდათ თავიანთი დაწყებული რევოლიუციონური საქმის განსაზღვრებლად შესაფერად დაინტერესებული, მოძრავი, გათვითცნობიერებული ხალხი. ასეთი ხალხი მათ იპოვეს „ქარგალთა კავშირში“, რომელიც თავისი ხშირი გაფიცვა-გამოსვლებით ხაზინ-



მკვლევარების მადის შესაკეცად უკვე ცნობილი იყო ტფილისში.

ჯგუფის ზოგიერთი წევრი — რცხილაძე, ჭრელაშვილი და სხვები მიდიან ამ „კავშირში“ და აბამენ მათთან დამოკიდებულობის ძაფს. განსაკუთრებით დაუახლოვდნენ ისინი მიხა ჩოდრიშვილს, როგორც უფრო რევოლიუციონური სულის პატრონს და გონიერ მუშას. მუშა მიხა ჩოდრიშვილის შემწეობით მათ მოაწყვეს „ქარგალთა კავშირის“ მუშებთან გაერთიანებული კრება. კრებაზე გააცნეს მუშებს საქართველოს წარსულის ისტორია, აწმყო მდგომარეობა, მეფური თვითმპყრობელობის მძიმე რეჟიმი, ეროვნული ჩაგვრა და სხვა. ასეთი კრებებს შემდეგაც ჰქონდა ადგილი. მათ დაბოლოს გააცნეს თავიანთი სამოქმედო პროგრამაც.

ამ ჯგუფებმა დაბეჭდეს ფოსტის ქალაქებზე 200 ცალი პროკლამაცია, — ნება დაურთველი ფურცელი, რომლის შინაარსი შეიცავდა შემდეგს: „რუსეთისა და საქართველოს მეფეების ხელშეკრულების ძალით საქართველოს დაუბრუნდეს თავისი ისტორიული საზღვრები, საქართველო უნდა გახდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რომლის გამგე და ბრძანებელი იქნება ქართველი ერთი თავისი ნების ყოფის გამომხატველი ხალხური მთავრობით“... და სხვა. ამ ფურცლებიდან ვასო რცხილაძემ რამდენიმე ათეული ცალი გადასცა გასავრცელებლად მიხა ჩოდრიშვილს. შემთვეგ ვასო რცხილაძემ კიდევ მისცა მიხას კონვერტში ჩადებული ერთი ფურცელი პოეტ და მწერალ ილია ჭავჭავაძისთვის გადასაცემად. ამის შესახებ ვალაპარაკოთ თვით მიხა ჩოდრიშვილი, რომელიც პირდაპირი მონაწილე, მნახველი და გამგონეა. ყოველივე მაშინდელი ამბების: „ილია ჭავჭავაძე ცხხოვრობდა — მოგვითხრობს მიხა, — ყუკოვის ქუჩაზე, — ნინოს სახელობის ქალების სკოლის პირდაპირ. ილიამ მე ცივად მიმიღო როგორც უცნობი, და ალბად როგორც მუშა, მუშის ტანისამოსში მყოფი, არა ინტელიგენტურად გამოწყობილი. მე გადავეცი მას კონვერტში ჩადებული ფურცელი მსწრაფლ, მსწრაფლ იმ მოსახრებით უფრო, რომ არ ეფიქრა, — რაიმე სათხოვარ და შემაწუხებელ საქმეზე ვარ მასთან მისული და არა სპეციალურ, სერიოზულ რევოლიუციონურ საქმეზე გამოგზავნილი. მან წაიკითხა ფურცელი და წამსვე, როგორც სწრაფად მივეცი, ისე სწრაფად დამიბრუნა უკან კონვერტითვე; კონვერტი ღია იყო; კონვერტში იდგა თან მის მიერ ვ. რცხილაძეზე მიწერილი პატარა საპასუხო ბარათი. — „ეს კონვერტი თავისივე წერილით, ჩემს საპასუხო ბარათთან ერთად საქაროდ მუშტანე ვასო რცხილაძეს და თან უთხარი, რომ ეხლავე, დაუყოვნებლივ ჩემთან მოვიდეს“ — მითხრა ილია ჭავჭავაძემ და გამომისტუმრა კარებიდან. ბარათი ღია კონვერტში იდგა; მე გულმა არ მომიტოპინა. — წერილის

წაკითხვის დროს მე ილიას შევატყვე, რომ მისი სერიოზული, მრისხანე და დაფიქრებული სახე, კადევ უფრო გაამრისხანა და დააფიქრა ბარათის კითხვამ.—ალბათ არ იამათქო; საპასუხო ბარათში აღნიშნული იქნება ამ უსიამოვნების მიზეზი მეთქი და მისი პატარა ბარათი ამოვიღე და გზაში წავეიკითხე. აი რას სწერდა ილია: „ვასო. ეხლავე, დაუყონებლივ შემოდი ჩემთან. აისთანავე, აქედანვე უნდა გითხრათ, რომ მეტად ცუდ საქმეს სჩადიხართ. უნდა იცოდეთ რას შვრებით და ვისთან გაქვთ საქმე. აზნაირი ფურცლებით საქართველოს მთლად დალუპავთ. არამც და არამც არ გაავრცელოთ ეს ფურცლები. ან კი როგორ ანდობთ ვიღაც უბრალო მუშას ამისთანა დიდ და სერიოზულ საქმეს. გიმეორებთ,—თქვენ ასე დალუპავთ ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხსაც... არა, ერთი მითხარით, მაშინ რას ეტყვით ქვეყანას, რომ ეგ ფურცლები მთავრობის კაცებს ჩაუვარდეთ ხელში. მაშინ საქართველოს ხომ მთლად თავის სამშობლოდაც გადაასახლებენ შუა რუსეთში და აქ კი ნაცვლად რუსებს ჩამოასახლებენ?.. ამას თქვენ ანგარიშს არ უწევთ?..“ ამგვარ მკაცრი კითხვის მიცემით თავდებოდა ბარათი. ბარათი უკანვე ჩავდევი კონვერტში და ისე გადავეცი ვასო რცხილაძეს. ვასომ წაიკითხა თუ არა ბარათი მაშინვე ზეზე წამოადგა, მსწრაფლ პალტო ჩაიცვა, თავზე ქული დაიხურა და ამ.სიტყვებით: „მე ეხლავე მოვალ, შენ არსად წახვიდე—დანიჭადეო“—გაეშურა ილიასთან.

დაახლოვებით ერთი საათის შემდეგ ვ. რცხილაძე დაბრუნდა უკან და მითხრა:

— იცი მიხა,—ფურცლების გავრცელება საჭირო აღარ არის...

— რატომ?—ვკითხე მე.

— ამაზე მიხა შემდეგ მოგელაპარაკები; ხოლო ეხლა კი ეგ ფურცლები ან დაწვი, ან და სადმე გადამაღე.—ასე მომიგო მან ჩემს გაკვირვებულ კითხვებზე..

მეც ავიღე და ჩემ ბინის ეზოში მიწაში ჩავფალი ფურცლები“.

ასე აგვიწერს ათეული წლების გამვლელი ძველი მუშა—მიხა ჩოდრიშვილი ამ პირველ, არა-ლეგალური, რევოლიუციონური ფუტლის გამოცემა-გავრცელების ეპიზოდს.

ამ ფურცლებმა გამოარკვია სხვათა შორის პრაქტიკული ნაბიჯების მიხედვით გამოჩენილი, ახალგაზრდა ილია ქავჭავაძის არა-რევოლიუციონური, შექმნილ ფეოდალურ-მონარქიულ მძიმე რეჟიმის მორჩილი და შემრიგებელი სული; ამავე დროს მან გამოაშკარავა ხსენებულ პოლიტიკურ ჯგუფის გაუბედავი, სუსტი არა-რევოლიუციონური ღირსება.

ამის შემდეგ „ქარგალთა კავშირის“ სახით წარმოდგენილ, ტფილისის რევოლიუციონურად განწყობილმა მუშებმა იწყეს ჩამოშორე-

ბა მათგან, იწყეს თანდათანობით მათთან დამოკიდებულების წყვეტა.

## VII

81—82 წელი იყო უკვე დამდგარი.

ამ დროს ტფილისის სასულიერო სემინარიაში მოზრდილ გათვითცნობიერებულ მოწაფეებს შეექმნათ ძლიერი სამაცადინო პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც იპყრობდა არა მარტო ადმინისტრაციის უურადლებას სკოლაში, არამედ გარედ, ტფილისის ფართე საზოგადოებაც გამოეფხიზლებია, დაეინტერესებია და მასაც მთელი თვალყური უმეტესად აქეთკენ მიჰპყრო.

ამ მოწაფეთა ჯგუფის უმთავრესი მიზანი იყო რევოლიუციონურ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურის შექმნა—კითხვა, პოლიტიკურ სფეროში წამაცადინება, პოლიტიკურ საზოგადოებრივ კითხვების გაცნობა-შესწავლა.

ამისათვის გამოსადეგ, საყვარელ ლიტერატურად მაშინ ითვლებოდა გერცენის, ლავროვის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პისარევისა და სხვების—რევოლიუციონური ნაწერები,—დაბეჭდილი და გამოცემული ნაბეჭრად არა-ლეგალურად, ბროშურა-წიგნაკების სახით რუსეთში, ხოლო აქ საქართველოში, განსაკუთრებით სასულიერო სემინარიის მოწაფეთათვის კი სრულგებობით აკრძალული.

სასულიერო სემინარიაში შემდგარ უმაღლეს კლასის მოზრდილ მოწაფეთა ჯგუფში შედიოდნენ: გოლა ჩიტაძე, მ. მოსეშვილი, ისიდორე რამიშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, მიხა ცხაკაია, ლალიაშვილი, მალლაკელიძე და სხვები.

სემინარიის ამ ჯგუფთან გააბეს დამოკიდებულების ძაფი „ქარგალთა კავშირში“ თავმოყრილმა მოწინავე ხელოსან-მუშებმა მიხა ჩოდრიშვილის მეთაურობით.

სემინარიის ხსენებულმა ჯგუფმა ამ მუშების შემწეობით შესძლეს კავშირის დაჭერა სხვა დარგის მუშებშიდაც, როგორც იყვნენ მეჩქმეები, მხერხავები, თერძები და მეეტლები.

აქ მათ შეჰკრეს მუშათა საგანმანათლებლო წრეები და იწყეს სისტემატიურად, პოლიტიკურ-რევოლიუციონური ხასიათის მეცადინეობა.

ამ რიგად ერთი წლის შემდეგ, წრეებში უკვე 70—80-დის წევრი ითვლებოდა საშუალოთ განვითარებული და მომწიფებული პოლიტიკურათ.

უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა წრე არსებობდა, პოლიტიკური ხასიათის მეცადინეობა სწარმოებდა, იწვრთნებოდნენ, მწიფდებოდნენ



რევოლუციონერები, მაგრამ მათ არა ჰქონდათ არც ერთს განსაზღვრული პროგრამა; არა ჰქონდათ დასახული მტკიცე, ნათელი მიზანი; ე. ი. ჯერ კიდევ არ შემუშავებულიყო მათთვის სამოქმედო პროგრამა, ჯერ კიდევ არ ჩასახულიყო მათში ბურჟუაზიანი და გაურკვევლობიდან ამოსული, ცეცხლებრ დანთებული იდეალი.

წინ, მომავლისაკენ ნაბიჯს სდგამდნენ, მაგრამ როგორი ფორმის და შინაარსის უნდა ყოფილიყო ეს მომავალი, მათ არ იცოდნენ.

1883—4 წელს ამ ჯგუფის მეოხებით გამოვიდა პირველად ქართულ ენაზე გეგტოგრაფით დაბეჭდილი ბროშურა „ოთხი ძმა“, რუსულიდან გოლა ჩიტაძის მიერ გადმოთარგმნილი.

ამავე ჯგუფის მეთაურობით ამ წლებში გადმოითარგმნა და გამზადდა დასაბეჭდათ „ორი გენერალი“ და „კლოდგე“ ვიქტორ ჰიუგოსი. ამათ შორის „ორი გენერალი“-ს დაბეჭდვა ვერ მოხერხდა, ხოლო „კლოდგე“ დაიბეჭდა არა-ლეგალურად, გეგტოგრაფით.

84 წელს, მარტის თუ აპრილის რიცხვებში ტვილისში, არსენალის გასწვრივ, მიხა ჩოდრიშვილის ბინაზე მოწვეულ იქნა კრება. კრებას დაესწრო 30—40 მდის კაცი... მიუხედავად იმისა რომ, ალექსანდრე II-რის მკვლელობით შექმნილი მძიმე რეაქცია ტვილისშიც გამძვინვარდა, კრებაზე მოწვეული მუშები მაინც სიკმაოდ გამოცხადდნენ. კრების დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხი: 1. ალექსანდრე II-რის მკვლელობა, 2. ლუდხანის გახსნა, 3. სტამბის მოწყობა, 4. „ოთხი ძმის“ მეორედ გამოცემა, 5. გოლა ჩიტაძის კაზანის უნივერსიტეტში გავზავნა და სწავლის გაგრძელება.

კრებაზე დაესწრენ სემინარიელი ჯგუფის წევრები ზოგიერთის გამოკლებით.

პირველ კითხვაზე ლაპარაკი მოუხდა ისიდორე რამიშვილს, რომელმაც ალექსანდრე II-რის მკვლელობა ჩასთავალა შეცდომათ, ცოდვათ, უტაქტობათ, მიზან შეუწყონლად.

ამის შესახებ გაიხსნა კამათი.

ისიდორე რამიშვილის მიერ მკვლელობის მნიშვნელობის შეფასებამ გამოიწვია გოლა ჩიტაძის წინააღმდეგი პასუხი.

— კაცის მოკვლის მოტრფიალე არც მე ვარ მაინც და მაინც, მაგრამ—ამბობდა გოლა—მკვლელობაც არის და მკვლელობაც: კითხვა იმაშია,—რანაირი კაცის. ალექსანდრე II-რე იძულებული გახდა ბატონყმური ინსტიტუტი გაეუქმებია; მან ყმები გამოგლიჯა ბატონის უღმობელ ხელს, გაანთავისუფლა ისინი საშინელი ტანჯვა-მონობისაგან, მაგრამ ამით განთავისუფლებული ყმის შატერიალური მდგომარეობა არ შეცვლილა; მიწა-წყალი, საცხოვრებელი ბინები მათთვის არ მოუციათ და აქ პირიქით მათი ფიზიკური არსებობის პირობები კიდევ უფრო გაუარესდა და გამწვავდა.

„გლეხის“ სახელით წოდებული განთავისუფლებული ყმები გამოუსვლელ მდგომარეობაში ჩაცვივდა და ამან მშრომელი გლეხ-კაცობა ძლიერ აღაშფოთა, მრავალ უბედურების მზიდავი ხალხი მოთმინებიდან გამოვიდა და აი მიფის მკვლელობის ერთი უმთავრესი გამომწვევი მიზეზიც ეს იყო. აბა თქვენ თვითონ იფიქრეთ, ამხანაგებო, — ისეთი კაცი, რომელიც თავის პირად ბედნიერებისათვის სწირავს ყველაფერს, კაცი, რომელმაც ათეულ მილიონიან ადამიანებს არსებობის სახსარი მოუსპო, ერთიანად სიღარიბეში, სიღატაკეში ჩაყარა, — განა უკეთეს რამეს უნდა დალოდებოდა?!.. განა ასეთი კაცის სიცოცხლისათვის გამოსაღმება უფრო სამართლიანი არ არის ვიდრე მილიონი მშრომელი ხალხის დაუსრულებელი ტანჯვა, დაუსრულებელი სიკვდილი?!.. დაასრულა ლაპარაკი გოლა ჩიტაძემ.

გოლა ჩიტაძის საპასუხო სიტყვამ მუშები სრულებით დააკმაყოფილა და შემდეგ კამათი ამ კითხვაზე აღარ გაგრძელებულა.

მეორე კითხვაზედაც გოლა ჩიტაძეს მოუწია ლაპარაკი.

— . . . ჩვენ უნდა გავხსნათ ამხანაგებო ლუდ-ხანა, რომ იმისი შემოსავლით ვბეჭდოთ, გამოვცეთ ბროშიურა-წიგნები მუშათა საკითხებზე და გავავრცელოთ ფართო მუშათა წრეებში, — დაასკვნა გოლა ჩიტაძემ.

კრების მიერ მოწონებული იქნა ეს აზრი და გადაწყდა, — შესდგომოდნენ ლუდ-ხანის გახსნას.

მესამე კითხვა — სტამბის მოწყობაც უკამათოდ, ერთხმად იქნა მიღებული, რისთვისაც არჩეული იქნა ამ საქმის სისრულეში მომყვანი შესაფერი პირები. არჩეულთა შორის მოხვდნენ; ზაქარია და მიხა ჩოდრიშვილები და გოლა ჩიტაძე, რომლებიც დაუყოვნებლივ შეუდგნენ დაკისრებული საქმის გაკეთებას.

მეოთხე და მეხუთე კითხვაც დადებამად იქნა გადაჭრილი; საჭირო იყო ცდა მისი მხოლოდ ტექნიკური მხრით მოგვარებისათვის.

## VIII.

სემინარიის ხსენებულ ჯგუფს და მაცადინეობისათვის სპეციალურად დაარსებულ მუშათა წრეებს მათგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ჩამოშორდნენ შემდეგ ბ. მოსეშვილი და ისიდორე რამიშვილი; პირველმა თავი შეაფარა შავი ქვის მრეწველობას. ხოლო უკანასკნელმა მააწავლებლობას მიჰყო ხელი ე. წ. წინამძღვარიანთ საბაღოსნო სამეურნეო სკოლაში.

მაგრამ ამით წრეებში მაცადინეობა არ შეფერხებულა.

სემინარიულ ჯგუფის დარჩენილი წევრები ჩვეულებრივ ინტენსივობით განაგრძობდნენ პოლიტიკურ მაცადინეობას ხსენებულ წრეებში და აღვივებდნენ რევოლიუციონურ სულს მუშებში.

კრების დადგენილებები სწრაფად მოდიოდა სისრულეში.

სტამბა თავისი საბეჭდავ მანქანით და ქართულ-რუსული ასობით მოწყობილ იქნა არქიელის ქუჩაზე, წრის მიერ დაქირავებულ ბინაზე, სადაც მოთავსდა საცხოვრებლად თვით გოლა ჩიტაძეც.

ბეჭდვას რომ შესდგომოდენ,—პირველ რიგში გამოეცათ „ოთხი ძმა“,—ამისათვის საჭირო შეიქნა თანხა, ფული.

დაარსებულმა მუშათა წრეებმა ამისათვის თავიანთ შორის მოაგროვეს 150-მდის მანეთი ჯერ-ჯერობით; ამას გარედ შეუდგენ ლუდხანის საჩქაროდ გახსნას, მისთვის შესაფერ ბინის გამონახვას.

სულ მალე კრების მიერ არჩეული პირების დაუღალავი მუშაობით გოლოვინის პროსპექტზე (ეხლა რუსთაველისაა) კოტე ორბელიანის სახლის ქვეშ, სარდაფში, ოთხ ოთახში მოწყობილი იქნა ლუდხანაც.

ეს ბინა ლუდ-ხანისა კარგი გამოდგა კიდევ არა-ლეგალურ კრებების სამართავადაც; ბინა ისე იყო მოწყობილი, რომ გოლოვინის პროსპექტიდან შიგ შესულს საჭიროებისამებრ შეეძლო გამოსულიყო უკანა კარებიდან საპიორის ქუჩაზე.

აქ ხშირად იმართებოდა არა-ლეგალური, პოლიტიკური ხასიათის კრებები მოზარდი, რევოლიუციონური და სოციალისტური ჯგუფისა.

დიდხანს აღარ დასცალდა მას არსებობის დღეების გაგრძელება. პოლიცია ჩქარა დარწმუნდა მასში, როგორც საეჭვო დაწესებულებაში და დახურა. თან დაიჭირა შიგ მომუშავე მიხა ჩოდრიშვილი. გოლა ჩიტაძე ამ დროს შემთხვევით არ ყოფილიყო და გადარჩა დაჭერას. მიხა ჩოდრიშვილი მეორე თუ მესამე დღეს,—დაკითხვაჩვენების ჩამორთმევის შემდეგ გაანთავისუფლეს.

პოლიციის მიერ ხმარებულმა რეპრესიებმა ჯგუფის ზოგიერთი წევრები დააფრთხო, ზოგიერთებს კი თუმცა მუშაობა არ შეუწყვეტია, მაგრამ ამ ვაკვეთილის შემდეგ უფრო ფრთხილად, უფრო აუჩქარებლად და დინჯათ იწყეს ამ სფეროში მუშაობის წარმოება.

თუმცა კავშირი და დამოკიდებულება ჯგუფსა და წრეებს შორის არ გაწყვეტილა, მაგრამ საერთოდ კი, ლუდ-ხანის დახურვით შექმნილმა მდგომარეობამ პირვანდელი რევოლიუციონური მუშაობის ტემპი შეანელა,—შესუსტდა მუშაობა.

ამ ხანებში გოლა ჩიტაძესაც მოუხდა გამგზავრება რუსეთისაკენ, უნივერსიტეტში სასწავლებლად.

## IX.

გაუარესდა მდგომარეობა.

დადგა რეაქცია.



ხსენებული ჯგუფი და წრეები დაიფანტებ.

არქიელის ქუჩაზედ მოწყობილი სტამბაც გაიბნა.

გამოურკვეველი დარჩა,—ჩავარდა თუ არა სტამბა?—ან თუ ვინ დაეპატრონა? ვინ განაგებდა მას, შემდეგ?—ისევ ამ რევოლუციის მუშაკები აწარმოებდა მას, თუ ვინმე მტერი მათი?..

84 წლის მიწურულში მიხა ჩოდრიშვილი,—ეს დაუზარებელი, გულწრფელი მუშაკი რევოლუციისა,—რამდენიმე ამხანაგებით სამუშაოს საძებნელად გაეშურა ჩრდილო კავკასიაში.

85 წელში ტფილისის მუშების მოძრაობა, რომელიც „ქარგალთა კავშირის“ სახით სწარმოებდა, ბურუსში გაეხვია; მისი ჩვეული, რევოლუციონური მუშაობა შეიცვალა უმოქმედობით, დუმით...

ისტორიის განვითარების მიხედვით მისი ადგილი ალბად უნდა დაეჭირა პროლეტარიატის სახით მოვლენილ სხვა უფრო ცოცხალ, რევოლუციონურ ძალებს, მაგრამ ასეთები ჯერ არა სჩანდნენ.

ამ წელს ერთგვარი რევოლუციონური მოძრაობის სიგნალის ცენტრად გამხდარიყო ტფილისის სასულიერო სემინარია.

სემინარიის ხსენებულ ჯგუფს კიდევ მომატებოდნენ სასწავლებელში ახლად შემოსული ფილიპე მახარაძე, ნოე ჟორდანიძე და თ. კიკვაძე.

სემინარიის მასწავლებელთა შორის დაარსებული პოლიტიკურად ამღზრდელი ჯგუფი ახლად შემატებულ ფილიპე მახარაძისა, და ნოე ჟორდანიძის მხურვალე მონაწილეობით საკმაოდ გაზრდილი ორგანიზაციულად და პოლიტიკურის ავტორიტეტით, ეხლა ერთობ გაძლიერებული, სასწავლებლის კედლებ შიგნით გამძვინვარებული ადმინისტრაციული მძიმე რეჟიმის წინააღმდეგ იწყებდა შეურიგებელ გამოსვლებს, რაიც იწვევდა დიდ ალტაცება-სიმპატიებს როგორც ყველა სასწავლებლების მოწაფეებში, ისე ტფილისის მოწინავე მუშებ შორისაც.

განსაცვიფრებელი იყო. სასულიერო სემინარია, რომელსაც უნდა აღეზარდა ღვთის მოშიში, სარწმუნოების მქადაგებელი, „ღვთის მიერ მირონცხებული“ მონარქიის დამცველი—ხუცობა,—რევოლუციის ბუდით გამხდარიყო.

„უცნაური მოვლენაა. სასულიერო სემინარია, რომლის პირდაპირი მიზანი იყო ხუცებისა და ბერების მომზადება,—სწერს თავის მოგონებებში საქართველოს რევოლუციონური მოძრაობის ერთი დიდი ბელადთაგანი ამხ. ფ. მახარაძე,—საწინააღმდეგო შედეგებს აღწევდა: არც ერთი საერთო სასწავლებელი, არც ერთი სხვა რომელიმე სასწავლებელი არ იძლეოდა ამდენ ატეისტებს, ამდენ სარწმუნოების მტრებს, როგორც ტფილისის სასულიერო სემინარია.



„ეს ერთი შეხედვით უცნაური მოვლენა აიხსნება არა მარტო იმით, რომ სემინარიის ხელმძღვანელთა სიტყვასა და საქმის შორის წინააღმდეგობა ყველას თვალში ხვდებოდა, რომ ეს ხელმძღვანელები ყოველ ფეხის გადადგმაზე ეწინააღმდეგებოდნენ თავის თავს, იმით, რომ საქმით ისინი აკეთებდნენ სულ საწინააღმდეგოს იმისას, რასაც სიტყვით ამბობდნენ და ქადაგობდნენ.“

„ამ გავლენის მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ სარწმუნოების საგნებთან ერთად, ანუ ღვთის მეტყველების გვერდით, სემინარიაში ასწავლიდნენ, — თუმცა სრულიად დამახინჯებულად და ზერელედ, სხვა და სხვა ფილოსოფიურ მეცნიერებას და თეორიებს, ქვეყნის გაჩენის, ღმერთის, სარწმუნოების, ქრისტესი და სხვათა შესახებ; ასე, რომ სემინარისტები ასე თუ ისე ეცნობოდნენ საფრანგეთის მე-18—19 საუკუნის მატერიალისტების მოძღვრებას, როგორც იყვნენ: გოლბახი და გელვეცი, აგრეთვე ფეიერბახის, ჰუგო ბაუერის რენანის თეორიებს ქრისტიანული სწავლების შესახებ და სხვა.“

აცნობდნენ რა მოწაფეებს ყველა ამ ფილოსოფიურ თეორიებს და მოძღვრებას, სემინარიის ღვთის-მეტყველები სცდილობდნენ, რა თქმა უნდა, გაემართლებიათ ეს უკანასკნელი და დაერწმუნებიათ თავიანთი მსმენელნი ამ თეორიების სრულ უმწეობაში. მაგრამ ცხადია, რომ ასეთ პირობებში და იმ ურთიერთობაში, რომელიც ამ დროს არსებობდა მოწაფეებსა და მათ მასწავლებელთა შორის, ამ მიზანს ვერ აღწევდნენ, პირიქით, სემინარისტების მნიშვნელოვანი და მასთან საუკეთესო ნაწილი ჩქარა ითვისებდა ამ ანტირელიგიურ მეცნიერებას, ვიდრე სემინარიის დახვესებულ ღვთის-მეტყველების სქოლასტიურ ბოღვას. აი რატომ მოხდა ის, რომ სემინარისტებს შორის ასე ფართოდ გავრცელდა ანტირელიგიური და ატეისტური მოძღვრებები და თეორიები“ — დაასკვნის ანხ. ფილიპე მახარაძე.

ეს გარემოება კი ერთობ ხელს უწყობდა მათ სწრაფად გადაჭრილიყვნენ საზოგადოებრივ ცხოვრების პოლიტიკურ სუეროში და შეეთვისებიათ - შეესწავლათ ბრძოლის რევოლიუციონური მეთოდები.

ამ-სათვის სემინარიაში დაარსებული იყო თვითგანვითარების წრეები, რომლებიც თანდათანობით იზრდებოდნენ და იკრებდნენ თავის გარშემო ყველა პატიოსან, საღ და გულწრფელ მოსწავლეებს.

86 წელს სემინარიის რექტორი ჩუღეცკი მოკლა სემინარიიდან გამორიცხულმა ლალიაშვილმა, რომელსაც გამორიცხვის შემდეგაც კი თურმე მოსვენებას არ აძლევდა რექტორი ჩუღეცკი და დანოს დანოსზე აგზავნიდა მის შესახებ ადგილობრივ მთავრობაში. ერთი წლის

წინათ ამავე რექტორს სცემა სილიბისტრო ჯიბლაძემ სემინარიიდან გამორიცხვის გამო. ლალიაშვილს ამის გამო უნდა რგებოდა სიკვდილით დასჯა, მაგრამ იგი იპატივა უწლოვანობამ. უწლოვანს სიკვდილით არ სჯიდენ. მას მიუსაჯეს მხოლოდ 20 წლის კატორღა.

ამ ამბების ზეგავლენით, ქუთაისის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა დიმიტრი ყიფიანმა მკაცრი მუქარის წერილი მისწერა საქართველოს მაშინდელ ეგზარხოსს პავლეს, რომელშიაც იგი სხვათა შორის სწერდა: „თუ თქვენ მართლა დასწყევლეთ ჩვენი ქვეყანა, გირჩევთ საჩქაროთ დასტოვოთ იგი“-ო\*).

დიმიტრი ყიფიანი ამის გამო გადასახლებულ იქნა საქართველოს საზღვრებიდან.

რექტორის მოკვლამ გამოიწვია სემინარიის დახურვა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ გახსნეს და განაახლეს სწავლა. გამორიცხეს მხოლოდ 50-მდე შემჩნეული მოსწავლეები. მათ შორის მომხდარიყო ფილიპე მახარაძეც, მაგრამ რალაც გაუგებრობით ისევ მიეღენ უკან.

ეს ისეთ დიდ პოლიტიკურ აქტად გახდა, რომ ამის შესახებ ამბები მთელ რუსეთს ეცნობა.

ამის გამო, ამავე წლის შემოდგომაზე სემინარია ინახულა რუსეთიდან სპეციალურად ჩამოსულმა, — შავრაზმელების მეთაურმა ე. წ. უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორმა — **პობედონოსცევმა**, მან მოუყარა ერთად მოწაფეებს თავი ოთახში და დაემუქრა იმ აჯანყების წინააღმდეგ, რომელსაც მისი აზრით სემინარიის მოსწავლეებში ჰქონდა აღვილი.

პობედონოსცევის ყოველგვარი მუქარა მოწაფეების დასაშინებლად ამაო გამოდგა.

რექტორის მკვლელობით გამოწვეულმა რეპრესიებმა სრულებით ვერ დააშინეს მოწაფეები, პირიქით ამან უფრო გააღვიძა ბრძოლის წყურვილი მათში და გამოიწვია რევოლუციონური აღზრდისათვის მეტი ინტენსიური თვით-მეცადინეობის წარმოება.

მოწაფეთა საუკეთესო ნაწილი პირდაპირი იერიშით მიდიოდა და უმართავდა მათ სასტიკ, შეურიგებელ ომს. ამ ბრძოლაში ხელმძღვანელი მეთაური თავიდანვე იყვნენ ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკია და ნოე ჟორდანი. განსაკუთრებით ირჩეოდა აქ მეთაურის როლში მოუსვენარი, მოწინააღმდეგეებთან მუდამ შეურიგებელი და არ დამთმობი ფ. მახარაძე.

1) მე აქ ვსარგებლობ ამხ. ფილიპე მახარაძის „მოგონებებიდან. იმ. ელურილი“ „მოგონებები“ № 7.



ამ რიგად სემინარიის მოსწავლეთა ხსენებულ ჯგუფში აშკარად აღინიშნა რევოლუციონურ გზაზე დადგომა, სადაც ისინი გულწრფელად, ინსტიქტიურად სთვლიდნენ თავიანთ თავს რევოლუციონერებად, სოციალისტებად.

ხ. თალაკვაძე

(შემდეგი იქნება)

## როგორ გავხდი მარქსის<sup>\*)</sup>

(ჩემი მოგონებათა ერთი გვერდი)

მე დავიწყებ ჩემი ცხოვრების უშორეს დროიდან, ბავშობის და სიჭაბუკის ხანიდან.

მე დავიბადე 1868 წ. სოფ. კარის-ყურში, ოზურგეთის მაზრაში (გურიაში), ნახევრად გლეხურ ოჯახში. მამა ჩემი იყო გაქირვებული სოფლის მღვდელი, რომელიც ჩემი დაბადების რამდენიმე წლის წინად იყო ბატონის ყმა და როგორღაც ფულის საშუალებით გამოეყიდა თავისი თავი და ოჯახი მებატონესაგან.

მამა ჩემის მრევლი შესდგებოდა დაახლოებით 30 ლარის გლეხკაცისაგან და ამიტომაც მთელი მისი ოჯახი მუშაობდა ერთნაირ პირობებში დანარჩენ გლეხებთან.

მთელი ჩემი ბავშობა სკოლაში შესვლამდე და სკოლაში შესვლის შემდეგაც მე გავატარე მუშაობაში—ყანაში და ოჯახში. ყველა ჩვენ დაქანცულობამდე ვმუშაობდით; მამა ჩემი ძალიან მკაცრი კაცი იყო და ნებას არ გვაძლევდა უსაქმოდ გავჩერებულიყავით.

მიუხედავად ამისა, ჩვენი ოჯახი მაინც ძლიერ ღარიბად სცხოვრობდა. ასე გასინჯეთ, სკოლაშიაც ფეხშიშველი დავდიოდი 5-6 ვერსის მანძილზედ. სკოლიდან დაბრუნების შემდეგ შინ მომელოდა რაიმე მუშაობა: ან უნდა წავსულიყავი ყანაში სამუშაოდ, ან ტყეში შეშის მოსატანად, ან უნდა მეკეთებია სხვა რაიმე საქმე. ხოლო რაც შეეხება გაკვეთილების სწავლას, ამაზე არავინ ფიქრობდა. ამ გვარად მიმდინარეობდა ჩემი სასკოლო ცხოვრება, არა მარტო ჩემი, არამედ ჩემი ტოლ-ამხანაგების უმრავლესობისაც. ეს სწავლა კი არა, ტანჯვა იყო; მაგრამ მაშინაც ვიცოდი, რომ ყველა ასე არ ცხოვრობდა და სწავლობდა, რომ ჩვენი მეზობლის ახნაურის დუმბაძის შვილები იზრდებოდნენ და სწავლობდნენ სულ სხვა პირობებში, და ჩემში ჯერ კიდევ პატარაობისას ჩაისახა რაღაც ფარული გრძნობა, არ

\*) ეს მოგონებანი ამაჲ თ. მახარ ძისა დაიწერა და მოთავსებული იქნა ჟურნალ „მომავალში“ ახალგაზრდა კომკავშირის თხოვნისამებრ. როგორც ისტორიული ხასიათის ძვირფას მასალას ჩვენ ვგეჲდავთ მას ისტორიულ ჟურნალ „რევოლუციის მატთანგ“-ში.

ვიცი შურის, არ ვიცი სიძულვილის თუ განრისხების გრძნობა მდინარებისადმი. შასაძლოა, ეს იყო თავმოყვარეობის გრძნობა, რომელიც ბავშობიდანვე ძლიერ იყო ჩემში განვითარებული. იყო ისეთი მომენტები, როდესაც მე მზად ვიყავი რაიმე უსიამოვნება მიმეყენებია ამ მდიდრის შვილებისათვის მაშინ, როდესაც ისინი დასეირნობდნენ ჩვენ სოფელში და თავი მოქონდათ რაღაც მაღალ შთამომავლობის აღამიანებათ. მე ხაზს ვუსვამ ამ გარემოებას იმისათვის, რათა დავამტკიცო, რომ სოციალურ უთანასწორობის ფაქტმა ჯერ კიდევ ბავშობის ხანაში მიიპყრო ჩემი ყურადღება და თავისებური გავლენა მოახდინა ჩემ ცნობიერებაზე, ასეთი უთანასწორობის ფაქტები კი იმ დროს ძალიან ბევრი იყო, ვინაიდან რამოდენიმე წლის წინად ქალაქში გაუქმებული ბატონყმობა ცხოვრებაში კიდევ განაგრძობდა არსებობას\*). მთელი საზოგადოება გაქვნილი იყო მონობის სულით, ხოლო გლეხები თავის თავს აზნაურების და თავადების მონებად სთვლიდნენ. ჩვენში ჯერ კიდევ მაშინ ჩაისახა აღშფოთების და ღრმა პროტესტის გრძნობა, რომელსაც ძალიან ჩქარა უნდა მიეღო თავისებური ფორმა.

წერა-კითხვის სწავლა მე დამაწყებინეს სახლში, როდესაც ვიყავი 7 თუ 8წლისა, ხოლო 1867-78 წელს მე მიმაბარეს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. რა სკოლა იყო ეს სკოლა? დღევანდელი გაგებით ძნელი იქნებოდა ამ სკოლის რომელიმე კათეგორიაში მოთავსება.

სასწავლებლის სათავეში იდგა მოხუცი დეკანოზი ქიქოძე, ძალიან მკაცრი აღამიანი, ამასთანავე გაუზრდელი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. სასწავლებლის ზედამხედველად დაყენებული იყო იმისათვის, რომ ძმა იყო ეუზიკოპოზისა. ეს სასწავლებელი მის საკუთარ ბინაზე იყო მოთავსებული და ის თითქოს წარმოადგენდა მისი ოჯახის შინაურ მეურნეობის დანართს, ხოლო მასწავლებლები დაყვანილი იყვნენ მისი დაქირავებულ მოსამსახურეების ხარისხამდე, მოსწავლეები კი იყვნენ თითქოს მისი ბავშვი-მონები, რომელთაც ის როზგავდა დაუზოგავად. იქ შესვლის პირველ დღესვე მე ვიყავი მოწამე იმისა, თუ როგორ დააფრინდა ერთ მოწაუეს ეს ჯვრიანი ჯალათი და თმებით მიათრევდა მას კლასში. მოსწავლეები ყველანი, რა თქმა უნდა, იყვნენ სასულიერო პირთა: მღვდლების, მედავითნეების, დიაკვნების შვილები და უმეტეს შემთხვევაში უკვე წვერ-ულვაშიანებიც. სწორედ იმ წელს, როდესაც მე შევედი ოზურგეთის სასწავლებელში, უკანასკნელ მე 4-ე კლასში სწავლობდნენ შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწენი: სიღიბისტრო ჯიბლაძე, ისიდორე რამიშვილი და ეგნატე ინგოროყვა

\*) ქუთაისის გუბერნიაში ბატონყმობა ოფიციალურად გაუქმებულ იქნა მხოლოდ 1866 წელს.



(ნინოშვილი); აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ჩემთან ერთად ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში შემოვიდა ნოე ჟორდანიაც, მაგრამ ის სულ სხვა წრეს ეკუთნოდა, ის იყო აზნაურის შვილი, სულ სხვა ზნე ჩვეულებაზე აღზრდილი, ასე რომ იგი ჩავარდა სრულიად უცხო წრეში, რომელმაც, რა თქმა უნდა, თავისი გავლენა მოახდინა მასზე.

1878 წელი იყო უკანასკნელი წელი ოზურგეთის სასწავლებელში ხუცესი ქიქოძის ბატონობისა. ზემოხსენებული პირები (ჯიბლაძე, რამიშვილი, ინგოროყვა და სხვები), ზოგიერთ მასწავლებლებთან მოლაპარაკებით, აჯანყდნენ სასწავლებელში არსებულ წესრიგის და თვით ქიქოძის წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოყვა ამ უკანასკნელის სასწავლებლიდან გაძევება. ამგვარად ამ სასწავლებელში ჩემი შესვლა მოხვდა მის განახლებასთან, მაგრამ ეს „განახლება“ ეხებოდა სასწავლებლის მხოლოდ გარეგნულ მხარეს.

სწავლების მეთოდი და სისტემა დარჩა იგივე, რაც იყო წინა დღის შექმლო მისი შეცვლა? როგორც ძველი სკოლის ყველა მასწავლებლები, ისინიც უცნაური ადამიანები იყვნენ. მოსწავლეებს ისინი არ იცნობდნენ და არც მათი ფსიქოლოგია ესმოდათ. ძალიან იშვიათი მოვლენა იყო, რომ რომელიმე მათგანს მოწაფეების ენა სცოდნოდა. საგნების სწავლება, მათ შორის ლათინურის და ბერძნული ენებისაც, რუსულ ენაზე სწარმოებდა, რაც მოწაფეებს სრულიად არ ესმოდათ. ამიტომ გაკვეთილების სწავლა ზეპირად გვიხდებოდა. თავისი სიტყვით მოთხრობა არავის არ შეეძლო. არაფერს ისეთს, რაც ბავშვის სულსა და გულს იპყრობდა, ჩვენ არ გვასწავლიდნენ. ეს იყო მკვდარი საგნები, სქოლასტიკა, რომელიც კლავდა ბავშვებში ყოველგვარ მისწრაფებას, აჩლუნგებდა მის გონებას და ნიქს. ერთი სიტყვით, ჩვენ გვაძახინჯებდნენ გონებრივადაც და ფიზიკურადაც.

### ოზურგეთის სასწავლებლის დამთავრება და სემინარიაში შესვლა.

ბოლოს, 1884 წელს, მე დავამთავრე ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელიპირველი ხარისხით, და იმავე წელს შემოდგომაზე ჟორდანიასთან და სხვებთან ერთად შევედი ტფილისის სასულიერო სემინარიაში\*). სასულიერო სემინარია გაგრძელება იყო სასულიერო სასწავლე-

\*) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ მე სასულიერო სასწავლებლის დამთავრებამდე რამდენჯერმე დავაპირე ამ სკოლიდან გასვლა და გიმნაზიაში გადასვლა, მაგრამ იერას ვაგზბდი. სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შე არას ვზით არ შინდოდა სემინარიაში სწავლა, შევეცადე ისევ გიმნაზიაში შესვლას, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა. მე შექმნელება დღეს თქმა იმისი, უკეთესი იქნებოდა თუ არა ჩემთვის გიმნაზიაში შესვლა რომ მომეხერხებია.



ბლისა. მაგრამ სემინარიაში გარეგნული პირობები სულ სხვაგვარი იყო. პირველ ყოვლისა აქ აშკარად ემჩნეოდა, რომ ჩვენ, „ბურსაკებს“, გვამზადებდნენ მომავალ ხუცეებად და ევისკოპოზებათ, სულ ერთია, ჩვენ ეს გვინდოდა თუ არა. ეკლესიის, ხუცობის და ბერობის სული დაგეტრიალებდა თავს, როგორც დემოკლეს მახვილი. სემინარიის უფროსები იყვნენ ხუცები და ბერები. დაუსრულებელ საეკლესიო ლოცვებზე დასწრება და მათში მონაწილეობის მიღება ყველასათვის სავალდებულო იყო.

ამ მხრივ სემინარიის ადმინისტრაცია ფეხ ქვეშ სთელავდა მოსწავლეების შეგნებას და ნებისყოფას. განუწყვეტელი ქადაგება ეკლესიაში და კლასებში ქრისტიანულ გრძნობაზე და სხ. აშკარათ ეწინააღმდეგებოდა ყველა იმას, რასაც სემინარიის უფროსები სჩადიოდნენ. ჯამუშობა უმაღლეს წერტილამდე იყო განვითარებული. მოწაფის თვითეულ ნაბიჯს ადევნებდნენ თვალყურს. სემინარიის მოსწავლეებლებს/უფრო დიდათ მოქონდათ თავი და უფრო მკაცრად ეპყრობოდნენ მოსწავლეებს, ვიდრე სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებლნი. ყველაფერი ეს კიდევ უფრო მეტად აღიზიანებდა მოწაფეებს და უფრო მეტ წინააღმდეგობას იწვევდა სემინარიის უფროსობისადმი და იმ წესრიგისადმი, რომელიც არ გვაძლევდა საშუალებას თავისუფლად ამოგვესუნთქა. სემინარიაში ჩემი შესვლის დროს, აქ უკვე მოწაფეთა ერთ ჯგუფში გამეფებული იყო მემამბოხური განწყობილება, ხდებოდა ნაწილობრივი მღელვარება, უდგენენ სემინარიის ადმინისტრაციას სხვა და სხვა მოთხოვნებს.

ზემოხსენებული ჯიბლაძე და რამიშვილი იყვნენ ამ დროს მე-VI კლასში, მიხა ცხაკაია კი მე-V ში. ჯიბლაძეს სწორედ ამ დროს მოუვიდა დიდი კონფლიქტი სემინარიის ადმინისტრაციასთან, აკრძალულ წიგნების კითხვის გამო, (მგონი ერთი ასეთი წიგნი იყო ჩერნიშევსკის რომანი „Что делать“), რისთვისაც ის გამორიცხულ იქნა სემინარიიდან. ამ ნიადაგზე ჯიბლაძემ კარგა მაგრად სცემა სემინარიის რექტორს დეკანოზ ჩუდეცკის, საქართველოს ეგზარქოსის მარჯვენა ხელს. ეს იყო არაჩვეულებრივი სკანდალი. მთავრობა საგონებელში ჩაეარდა; ჯიბლაძე სამაგალითოთ დასაჯეს და ორი წლის დისციპლინარულ ბათალიონში გაგზავნეს. ეს უდრიდა მის კატორღაში გაგზავნას.

ამ შემთხვევას უდიდესი მნიშვნელობა ქონდა სემინარისტების ცხოვრებაში.

ყველა ჩვენი სიმპატიები, რა თქმა უნდა, ჯიბლაძის მხარეზე იყო. უნდა შევნიშნოთ, რომ სემინარიის მოსწავლეთა კონტინგენტი წარმოადგენდა მრავალ-ფერადიან მასას. პროგრესიულ რევოლიუციონურად განწყობილ ახალგაზრდობის გვერდით ჩვენ ვხედავთ. არა მარტო ინდიფერენტულ ელემენტებს, რომლებიც არაფრით არ



იყვნენ დაინტერესებული გარდა გაკვეთილების გაზეპირებისა, არა მხოლოდ ისეთ ელემენტებსაც, რომელნიც ყოველად გამოუსადეგარი იყვნენ, რომელნიც საკუთარი ინტერესებისა და კარიერისათვის მზად იყვნენ ყოველგვარი სისაძაგლე ჩაედინათ და, თავის ამხანაგების გაცემასაც კი არ ერიდებოდნენ.

ამ ისტორიის დროს მე ვიყავი 1 კლასში და ჩემი ახალგაზრდული ჰასაკის და გამოუცდელობის გამო მე არავითარი წარმოდგენა არ მქონდა იმაზე, თუ რა ხდებოდა ჩვენ გარშემო.

ასე, მაგალითად, მე ვიცოდი, რომ არსებობს აკრძალული წიგნები, რომლის წაკითხვისათვის მოწაფეებს სდევნიან და კიდევ ითხოვენ სემინარიიდან; ვიცოდი აგრეთვე, რომ სემინარისტებს აქვთ თვით-განვითარების საიდუმლო წრეები, სადაც კითხულობენ აკრძალულ წიგნებს, რეჟურატებს და სხვა; შემდეგ სემინარისტები ერთმანეთს უზიარებდნენ მას, რომ ადამ და ევის შექმნა არავითარ ღმერთის მიერ არ ყოფილა, რომ ყველა ადამიანები წარმოიშვენ მაიმუნისაგან, რომ არც ღმერთი არსებობს და სხ. ჯერ კიდევ 1 კლასის მოწაფე, მე ყოფი ვუგდებდი ასეთ ლაპარაკს, მაგრამ არავითარ აქტივობას ამ მიმართულებით არ ვიჩენდი.

მე ვიყავი 16 წლის, ვიყავი მორწმუნე და ღრმად დარწმუნებული ღმერთის არსებობაში. მახსოვდა მამაჩემის სიტყვები, რომლითაც იგი მე ტფილისში მისტუმრებდა: „გახსოვდეს ღმერთი და მეფე თორემ საქმე ცუდათ წავივით“. მე მაშინ არ მესმოდა ამ სიტყვების მნიშვნელობა. ღმერთი ინსტიქტიურად მწამდა, მაგრამ რაც შეეხება მეფეს, ის მე აგრეთვე ინსტიქტიურად მეზიზღებოდა. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მიყრუებულ პროვინციიდან ერთბაშით მოვხვდი ტფილისის სრულიად უცნობ წრეში, სადაც არ შემეძლო ადვილად გავრკვეულიყავი. გაფაციცებით ვაღწევდი თვალყურს იმას, რასაც სხვები ამბობდნენ. ვითვისებდი ყველაფერს ამას, მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნე, არავითარ აქტივობას არ ვიჩენდი. ამას კიდევ ის მიემატა, რომ წლის ბოლოში მე ავად გავხდი ტიფით, ხოლო გამომრთელების შემდეგ წამიყვანეს სოფელში.

როდესაც 1885 წლის შემოდგომაზე დავბრუნდი ტფილისში, მე უკვე აღარ ვიყავი ის წყნარი ჭაბუკი, რომელსაც სემინარიის ადმინისტრაცია, უსულო და ვერაგ ინსპექტორის (გვარი აღარ მახსოვს) სახით, სთვლიდა მისაბამ მაგალითად ყველა დანარჩენისათვის. ერთი სიტყვით ჩემში მოხდა სწრაფი და ღრმა გარდატეხა.

პირველ ყოვლისა ეს გარდატეხა გამოიხატა იმაში, რომ რამდენადაც მე წინად მორწმუნე ვიყავი, იმდენად ამ მოკლე ხნის განმავლობაში გავხდი უკიდურესი ატეისტი. და ზოგჯერ იმ ზომამდე მივდიოდი, რომ ხელში ვერ ვიღებდი წიგნს, რომელშიაც ღმერთის შე-



სახებ იყო რაიმე დაწერილი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო შედეგი სემინარიის ცხოვრებისა, რომელიც დაფუძნებული იყო სიცრუეზე, პირმოთნეობაზე და ნაწილობრივ იმ სჯა-ბაასის გამო, რომელსაც ადგილი ქონდა სასულიერო სემინარიის კედლებში.

უცნაური მოვლენაა. სასულიერო სემინარია, რომლის პირდაპირი მიზანი იყო ხუცების და ბერების მომზადება, საწინააღმდეგო შედეგებს აღწევდა: არც ერთი საერო სასწავლებელი, არც ერთი სხვა რომელიმე სასწავლებელი არ იძლეოდა ამდენ ატეისტებს, რომელიც ვერ ეგუებოდენ ვერც ერთ სარწმუნოებას, როგორც ტფილისის სასულიერო სემინარია.

ეს, ერთი შეხედვით უცნაური მოვლენა, აიხსნება არა მარტო იმით, რომ სემინარიის ხელმძღვანელთა სიტყვასა და საქმეს შორის წინააღმდეგობა ყველას თვალში ხედებოდა, რომ ეს ხელმძღვანელები ყოველ ფეხის გადადგმაზე ეწინააღმდეგებოდენ თავის თავს, იმით რომ საქმით ისინი აკეთებდენ სულ საწინააღმდეგოს იმისას, რასაც სიტყვით ამბობდენ და ქადაგებდენ.

ამ გავლენის მთავარი მიზეზი მაინც იმაში მდგომარეობდა, რომ სრწმუნოების საგნებთან ერთად ან ღვთის მეტყველების გვერდით, სემინარიაში ასწავლიდენ, თუმცა სრულიად დამახინჯებულად და ზერელდ, სხვა და სხვა ფილოსოფიურ მეცნიერებას და თეორიებს—ქვეყნის გაჩენის, ღმერთის, სარწმუნოების, ქრისტეს და სხვათა შესახებ, რომ სემინარისტები ასე თუ ისე ეცნობოდენ საფრანგეთის მე-18 და 19 საუკუნოების მატერიალისტების მოძღვრებას, როგორიც იყვნენ: გოლბახი და გელვეცი და აგრეთვე ფეიერბახის, პუგო ბაუერის, რენანის და სხვათა თეორიებს როგორც ქრისტიანულ სარწმუნოების, ისე თვით ქრისტეს შესახებ და სხვა და სხვა.

აცნობდენ რა მოწაფეებს ყველა ამ ფილოსოფიურ თეორიებს და მოძღვრებას, სემინარიის ღვთისმეტყველები ცდილობდენ, რა თქმა უნდა, გაემართლებიათ ეს უკანასკნელნი და დაერწმუნებიათ თავიანთი მსმენელნი ამ თეორიების სრულ უმწეობაში. მაგრამ, ცხადია, რომ ასეთ პირობებში და იმ ურთიერთობაში, რომელიც იმ დროს არსებობდა მოწაფეებსა და მათ მასწავლებელთა შორის, ამ მიზანს ვერ აღწევდენ, პირიქით, სემინარისტების მნიშვნელოვანი და მასთან საუკეთესო ნაწილი უფრო ჩქარა ითვისებდა ამ ანტირელიგიურ მეცნიერებას, ვიდრე სემინარიის დახავსებულ ღვთის-მეტყველების სქოლასტიურ ბოდვას. აი რატომ მოხდა ის, რომ სემინარისტების შორის ასე ფართოთ გავრცელდა ანტირელიგიური და ატეისტური მოძღვრებები და თეორიები.

## სემინარიის მოსწავლეთა თვითგანვითარების წრეები.

მე-2-ე კლასიდან მე უკვე ვიღებდი მონაწილეობას თვითგანვითარების წრეების მეცადინეობაში. მთელ სემინარიაში ასეთი წრეები იყო სულ 3 თუ 4. თვითეულ წრეს ყავდა თავისი ხელმძღვანელი და ამ უკანასკნელის საშუალებით წრეები ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებულნი. თვითეულ წრეში წევრთა რიცხვი 8—10 კაცს არ აღემატებოდა, კონსპირატიული მოსაზრებით; მომზადების მიხედვით იყვენ უმაღლესი და დაბალი წრეები.

წრეებს არ ჰქონდათ განსაზღვრული შემუშავებული პროგრამა. წრის მიზანი იყო თვითგანვითარება, მაგრამ სწორედ ეს იყო მიუღებელი ქვეყნის ბატონ-პატრონებისთვის.

მაგრამ, მეორე მხრივ, ეს წრეები არალეგალურად არსებობდენ, მაშასადამე, ისინი წარმოადგენდენ არალეგალურ, ჰერ ქვეშა ორგანიზაციის ჩანასახს. იყო შემთხვევა, როდესაც ამ წრეებში მონაწილეობისათვის სემინარისტებს არა თუ ითხოვდენ, არამედ სხენაირადაც სჯიდენ. სხვათა შორის წრეებში მონაწილეობისათვის 1885 წელს სემინარიიდან გამორიცხეს **ლალაშვილი, ჩიტაძე,\*** მალაკელიძე და სხვები.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ამ წრეებში მუშაობა არ სწარმოებდა გამომუშავებულ პროგრამის, არც სხვა რაიმე განსაზღვრული სისტემის მიხედვით. არც ერთმა ჩვენთაგანმა არ ვიცოდით, რა გვინდოდა ჩვენ, ან როგორი იყო ჩვენი გეგმა. ჩვენ ვიცოდით, რომ საჭირო იყო ჩვენთვის გავცნობოდით და შეგვესწავლა **ღობრაღლიუბოვის, ჩერნიშევსკის, ბელინსკის, პისარევის** და სხვა თხზულებანი. და მართლაც, ჩვენც ასე ვიქცევოდით: გკითხულობდით და ვარჩევდით წრეში ამ მწერლების თხზულებებს; გკითხულობდით აგრეთვე ამ უამად უკვე დავიწყებულ ინგლისელ მწერლის **სმაილსის წიგნს თვითმოქმედების** და თვით-აღზრდის შესახებ, რომელსაც მხოლოდ პედაგოგიური ხასიათი ქონდა. ჩვენ ავტორიტეტად ითვლებოდა **მიხაილოვსკიც**. მაგრამ ეს მაინც კიდევ არ იყო ის, რაც ჩვენ გვესაჭიროებოდა. საიდან უნდა მიგველო ჩვენ ის, რაც ჩვენთვის საჭირო იყო? თითქმის არსაიდან. ჩვენ გარეშემო სიბნელე იყო გამეფებული. მე ვგრძობდი, რომ წრე არ მაკმაყოფილებდა; მაგრამ სხვა ჩვენ არაფერი გვქონდა.

## სემინარიის რექტორის ჩუღეცკის მკვლელობა.

ამ დროს მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც შეაჩოქოლა არა მარ-

\*) გოლა ჩიტაძე წინ იღბა დანარჩენ მოწაფეთა შორის, როგორც ნიკით ისე განვითარებით. გარდაიცვალა ის სრულიად ახალგაზრდა.



ტო სემინარიის ადმინისტრაცია, არამედ მთელი საზოგადოებაც. ვლადიმერ კობე სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მკვლევლობის შესახებ, 1886 წლ. მაისში, სწორეთ იმ რექტორის, რომელსაც ერთი წლის წინად ს. ჯიბლაძემ სცემა.

ეს მკვლევლობა მოახდინა სემინარიიდან გამორიცხულმა ზემოხსენებულმა ლალიაშვილმა. ჩუდეცკი მოსვენებას არ აძლევდა მას სემინარიიდან გამორიცხვის შემდეგ. მას ნაბრძანები ქონდა ტფილისიდან სხვაგან გადასახლება\*). ლალიაშვილი ჯერ კიდევ 19 წლის არ იყო. ის იყო კარგი მოყვანილობის, მაგრამ შეუმჩნეველი, და არც ერთი ჩივენგანი არ მოელოდა, რომ ის ამ საქმეს ჩაიდენდა. მან ხანჯლით მოჰკლა ჩუდეცკი და პირდაპირ გააოცა ყველა მისმა გამბედაობამ და ნების ყოფამ, რომელიც მან ამ აქტის დროს გამოიჩინა. ეს მოხდა აშკარად, დღისით, ჩვენ ამ დროს გამოცდებს ვაბარებდით და კლასში ვისხედით. უეცრად ჩვენ გავიგეთ, რომ რექტორი დასჭრეს, გამოცდა შესწყვიტეს, ყველანი აივანზე გამოვედით, მაგრამ სემინარიიდან არავის უშვებდენ, და ბოლოს, როდესაც ჩვენ გავიგეთ, რომ რექტორი გარდაიცვალა, სიხარულით თამაში დავიწყეთ, და მოვივინეთ ის, რომ თავის სიკვდილის წინა დღით ეკლესიის კათედრიდან ჩუდეცკი მოუწოდებდა მსმენელებს შემდეგი სიტყვით „ამაღლდეთ ზეცით“, აი ეხლა კი ამაღლდა იგი ზევითო ვამბობდით სიცილით ჩვენ. ლალიაშვილი ჩვენ წარმოდგენაში გმირი გახდა. მან ერთმა დაიხსნა სემინარია ასეთი ტირანისაგან. ჩვენ მხოლოდ გვეშინოდა, რომ მას იქვე არ გასწორებოდენ. მაგრამ ჩქარა გამოიჩინა, რომ მას შედარებით ლოიალურად მოეპყრენ; იგი თითონაც დაჭრილიყო და დაეკარგა გრძნობა. მას შეუხვიეს ჭრილობა და ციხეში გაგზავნეს. უმაღლეს ხელისუფლების განკარგულებით იგი გადასცეს სამხედრო სასამართლოს და რომ სრულწლოვანი ყოფილიყო მას სიკვდილით დასჯიდენ. სიკვდილით დასჯა მას შეუცვალეს 20 წლის კატორღით\*\*).

ამ ამბავთან დაკავშირებულია ქუთაისის თავად-აზნაურობის წინამძღოლის დიმიტრი ყიფიანის საქართველოდან გადასახლება, იმის გამო, რომ ყიფიანმა თავხედური წერილი მისწერა საქართველოს მაშინდელ ეკზარხოს პავლეს, რომელშიაც ის სხვათა შორის სწერდა: „თუ თქვენ მართლა დასწყევლეთ ჩვენი ქვეყანა, გირჩევთ საჩქაროთ დასტოვოთ იგიო“.

\*) საქმარისი სისწორით იწერილია ეს მკვლევლობა, ვინმე მონაწილეს პირით გაზ „ლომისში“ (№ 20). მონაწილეს მოგონება დაიბეჭდა ჩემი მოგონების გამოქვეყნების შემდეგ.

\*\*) რამდენიმე წლის შემდეგ ლალიაშვილმა მოახერხა ციხიერიდან ამერიკაში გაქცევა, სადაც ის შემდეგ ამერიკის მოქალაქე გახდა. ჩვენ, მისი ამხანაგები, წერილებსაც ვღებულობდით მისგან, იგი სამშობლოში დაბრუნებასაც თქრობდა.



სემინარია ამ ამბის შემდეგ დაუყოვნებლივ დაითხოვეს. გავრცელდა ხმები, რომ ამ ამბის გამო ტფილისის სემინარიას სრულიად დახურავენო. მაგრამ ეს ხმები არ გამართლდა. გამოირიცხეს დაახლოებით 60 მოწაფე, რომელნიც შემწინულად ითვლებოდნენ. მათ შორის, რა თქმა უნდა, მეც მოვხვდი, მაგრამ თურმე ჩემი გულისათვის თავი გამოიღო ინსპექტორმა, რომელსაც ახსოვდა თუ როგორ სამაგალითო მოწაფედ ვითვლებოდი მე პირველ კლასში და რომელიც ფიქრობდა, რომ მე შემეძლო „გამოსწორება“.

გასაკვირალი არ იყო, რომ ყველა ამის გამო ტფილისის სემინარიამ მაშინ თითქმის მთელი რუსეთის ყურადღება მიიპყრო. 1886 წლის შემოდგომაზე ჩვენი სემინარია ინახულა ცნობილმა შავრაზმელმა, მაშინდელ რეაქციონურ რუსეთის მეთაურმა, ე. წ. უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორმა პობედონოსცევმა. ჩვენ შეგვაგროვეს ერთ დიდ დარბაზში და მან მოგვმართა ჩვენ მრისხანე სიტყვებით, გვემუქრებოდა და გვაშინებდა იმ აჯანყებისათვის, რომელიც მისი აზრით აღმოაჩინეს ჩვენ სასწავლებელში.

მაგრამ ეს მუქარა სულ ტყუილ-უბრალო იყო. რექტორის მკვლელობის გამო დაწყებულმა რეპრესიებმა ჩვენ არა თუ ვერ შეგვაშინა და ვერ გაგვტეხა, პირიქით ამ რეპრესიებმა ჩვენ შეგვმატა ახალი ძალა შემდეგი რევოლიუციონური განვითარებისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ სემინარიის მოწაფეთა ერთი ნაწილი ამ დროიდან არა თუ ოპოზიციაში ჩაუდგა სემინარიის ადმინისტრაციას, არამედ მან გამოუცხადა მას სასტიკი ბრძოლა. შეიძლება იმის თქმაც, რომ ამ მოსწავლეთა შორის მე თავიდანვე ვიყავი ერთი პირველთაგანი, და ჩქარა დავიწყე ხელმძღვანელი როლის თამაში. ჩვენ საბოლოოთ დავადექით რევოლიუციონერობის გზას, და ამასთანავე ინსტიტუტურად სოციალისტებიც გავხდით, თუმცა არც კი ვიცოდით თუ რაში გამოიხატებოდა სოციალიზმი.

### თვითგანვითარება.

არ ვანებებდი რა თავს წრეებში მეცადინეობას, მთავარი ყურადღება მივაქციე დამოუკიდებელ კითხვას. უმთავრესად ვკითხულობდი ისტორიულ და საბუნებისმეტყველო შინაარსის წიგნებს, ხოლო კრიტიკას და განსაკუთრებით ბელეტრისტიკას თავი დავანებე. მე გამიტაცა შემდეგი ავტორების კითხვამ და შესწავლამ: ბოკლის („ცივილიზაციის ისტორია ინგლისში“), **დრეპარის** („ევროპის ისტორია“), **ლუი-ბლანის** („საფრანგეთის რევოლიუციის ისტორია“), **ზიბერის** („პირველყოფილ კულტურის მიმოხილვა“) **ღებზოკი** (იგივე პირველყოფილ კულტურის შესახებ) გერ. სპენსერი და სხვ. ამავე

დროს მე ვეცნობოდი კლასიკურ გაშოკვლევებს აბტონომიის დარგში (გერშელი, არაგო და სხვები), გეოლოგიას (ლაიელი) ზოოლოგიას (დარვინი და სხვა), ფიზიოლოგიას და სხვ. თავის-თავად ცხადია, რომ ისტორიაში მე ასე თუ ისე ვითვისებდი წაკითხულ წიგნების შინაარსს, საბუნების-მეტყველო წიგნების კითხვის დროს მე ვითვისებდი მხოლოდ ზოგად დებულებებს. მაგრამ მაინც ამ წიგნების კითხვამ, მომიტანა ძალიან ცოტა სარგებლობა, ვინაიდან მათი შეთვისება მოითხოვდა მომზადებას და, რაც უმთავრესია, სხვა გარემოებას და სხვა პირობებს. მაგრამ მაინც ასეთმა გულმოდგინე მუშაობამ თვითგანვითარების დარგში ის შედეგი მომიცა, რომ ჩემი მსოფლმხედველობა ძალიან გაფართოვდა და ამას ამჩნევდენ არა მარტო ჩემი ამხანაგები, არამედ თვით მასწავლებლებიც, რომელნიც წინად ყველაზე უნიჭო მოწაფეთ მთვლიდენ. განსაკუთრებით ეს გამოაშკარავდა წერითი სამუშაოებში, თხზულებების წერის დროს მიუხედავად იმისა, რომ მე ძალიან შემჩნეული ვიყავი ადმინისტრაციის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ მე სისტემატიურად ვაკლდებოდი არა მარტო სავალდებულო საეკლესიო ლოცვებს, არამედ საკლასო მეცადინეობას და დემონსტრაციულად არ ვამზადებდი ვაკვეთილებს, სემინარიის მასწავლებელნი მაინც იძულებულნი იყვენ შერიგებოდენ იმ აზრს, რომ მე ვიყავი კლასში ერთი პირველი მოწაფეთაგანი, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მე ყველაზე უკეთესად ვსწორდი თხზულებებს მოცემულ თემებზე. ეს იყო დიდი მორალური გამარჯვება არა მარტო ჩემთვის პირადად, ეს ნიშნავდა სემინარიაში არსებულ მასწავლების სისტემის სიკოტრეს, ეს ამტკიცებდა უილაჯობას და არარაობას ყველა იმ დიპლომის მქონე პირებისას, რომელნიც იძულებულნი იყვენ ელიარებინათ კაპიტულიაცია ერთ-ერთ თავის მოწაფის წინაშე, რომელიც თავხედურად და დაუსჯელად არღვევდა მათ წესებს.

მე, რა თქმა უნდა, შევეცადე სავსებით მესარგებლა შექმნილი მდგომარეობით, ე. ი. დავიწყე რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ვაკვეთილების გამოტოვება და ყველა იმ მოვალეობათა არ შესრულება, რომელიც მქონდა დაკისრებული; მე უფრო მეტი ენერგიით შევუდექი ჩემს თვითგანვითარების და განათლების საქმეს. ჯერ კიდევ მესამე კლასში მე, ჟორდანიამ, კიკნაძემ და რამდენიმე ამხანაგმა გამოვეცით ხელთნაწერი ჟურნალი „ლამპარი“. რამდენიმე ნომრის გამოშვების შემდეგ ჟურნალის გამოცემა შევსწყვიტეთ.

სანამ შევეხებოდე ჩემი სემინარიაში ყოულის უკანასკნელ პერიოდს, მინდა აღვნიშნო აქ ერთი გარემოება: უნდა ვაღვიარო, რომ რამდენიც არ უნდა მოგვენდომებია გარეშე პირის დაუხმარებლად, ჩვენ ბევრი რამის მიღწევას, თუნდაც თვითგანვითარების მხრივ, ვერ

მოკახერხებდით. ავიღოთ თუნდაც წიგნები. ჩვენ კერძო ბინაზე ქონდა პატარა ბიბლიოთეკა, მაგრამ იქ იყო სულ ცოტა წიგნები და რაც კი მოიპოვებოდა ისიც იკარგებოდა.

ერთად-ერთი მუღმივი წყარო, საიდანაც ჩვენ ვმოულობდით საჭირო წიგნებს, რაც მაშინ ტფილისში მოიპოვებოდა, იყო ცნობილი **ზაქარია ჭიჭინაძე**. ამ პიროვნების შესახებ საჭიროა რამდენიმე სიტყვის თქმა. კარგათ არ მახსოვს ეხლა, თუ ვისი საშუალებით გავეცანი მას. მახსოვს მხოლოდ, რომ ის იმ დროს იყო ბუკინისტი და ყიდდა ძველ წიგნებს ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ბნელ და ნესტიან სარდაფში. მე ხშირად დავდიოდი ბუკინისტებში და შესაძლოა ამ დროს გავიცანით ჩვენ ერთმანეთი. მაგრამ შემეძლო მისი გაცნობა სხვა გზითაც, ვინაიდან ჩვენ წრეებს უკვე ქონდა მასთან კავშირი.

ზაქარია ჭიჭინაძე არის შვილი ბატონის ყმის გლეხისა, რომელიც გამოიქცა რაჭიდან ტფილისში, მამა-მისმა არაფერი არ დაუტოვა მას გარდა ერთი პატარა ქონისა, ტფილისში ისეთ მიუვალ ადგილზე, რომ დიდი ვაჭირვებით შეიძლებოდა მხოლოდ იქ მისვლა. სამაგიეროთ იქ ჩვენ უზრუნველყოფილი ვიყავით სემინარიის მეძებრებისაგან.

ზაქარიას არავეითარი განათლება არ მიუღია. პირველად ის მსახურობდა სასტუმროში მოსამსახურეთ. მან შეისწავლა წერა-კითხვა და დაიწყო ქართული წიგნების და გაზეთების კითხვა. ეს იყო გასული საუკუნის 70 წლებში. ამ დროს იგი ეცნობა რუსეთის ზომიერ რევოლიუციონერებს; რომელნიც ტფილისში იყვენ გადმოსახლებულნი, მათი საშუალებით იგი ეცნობა აგრეთვე რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობას და მათგანვე იღებს სხვა და სხვა რევოლიუციონურ არალეგალურ ლიტერატურას. ეს იყო სახალხო თავისუფლების, ნაროდნიკული ლიტერატურა, გაზეთები: „კოლკოლი“, („ზარი“, რომელიც გამოდიოდა ლონდონში გერცენის ხელმძღვანელობით, „გპერიოდ“, რომელსაც სცემდა ლავროვი, მგონი პარიზში, შემდეგ „ხალხის თავისუფლების“ (Народная Воля) უწყება „მიწა და თავისუფლება“ და ზოგიერთი სააგიტაციო ბროშურები როგორც „Хитрая механика“, პეტრე ალექსეევის სიტყვა სასამართლოს წინაშე და სხვა, წიგნები რომელნიც გამოდიოდა რუსეთში როგორც ლეგალურად ისე არალეგალურად. ამ გამოცემათა ერთად-ერთი შემნახველი ტფილისში იყო მაშინ **ზაქარია ჭიჭინაძე**. მაგრამ გარდა ამისა მას ქონდა კიდევ 60-იან წლების მწერალთა ბიბლიოთეკა: ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ბელინსკი, ლავროვი და სხვა და პერიოდულ ჟურნალების კოლექცია, რომელიც იცემოდა 60-ან წლებში, როგორც მაგ. „Современник“, „Отечественные записки“, „Знание“, „Неделя“ და



სხვა. მთელი ეს ლიტერატურა, თუმცა ლეგალურად გამოდიოდა, მაგრამ ჩვენთვის, სემინარისტებისთვის, იგი აკრძალულ ხილს წარმოადგენდა. რამდენადაც სახსარი ნებას მაძლევდა, რომელიც ჩემთვის ისედაც ძლიერ განსაზღვრული იყო, ასეთ წიგნებს ვიძენდი და ვაძლევდი იმავე ჭიჭინაძეს შესანახად, ვინაიდან ჩვენი ბინა ხშირად იჩხრიკებოდა. ამის გამო, თითქმის მთელი კვირაობით მივდიოდი ჭიჭინაძის სახლში და ვკითხულობდი ამ წიგნებს.

როგორც ვიცით ზაქარია ჭიჭინაძე ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი სწერდა წინად ისტორიულ ხისიათის შენიშვნებს და აგრეთვე საზოგადო მოღვაწეების და მწერლების ბიოგრაფიებს. ჩემი სემინარიაში ყოფნის უკანასკნელ წელს მან შეადგინა და გამოსცა სსვათა შორის პრუდონის, რობერტ-ოუენის, შარლ-ფურიეს, ლასალის, ლუი-ბლანის ბიოგრაფიები.

ამ პირთა ბიოგრაფიების შედგენის ფაქტი მეტად საინტერესოა არა მარტო ზაქარია ჭიჭინაძის, არამედ მაშინდელ საზოგადოების პროგრესიულ და მოწინავე ნაწილის დასახასიათებლად.

თავის თავად ამ ბიოგრაფიებს არავითარი ღირებულება არა აქვთ და მათი საშუალებით არ შეიძლებოდა წარმოდგენა გვქონოდა ამ თეორეტიკოსთა მსოფლმხედველობაზე და არც მათ მოძღვრების პრაქტიკულ მხარეზე, ამას ვერც მოვთხოვდით ამ ბიოგრაფიების შემდგენელს. კარგი იყო ის, რომ იგი თავისებურად ლაპარაკობდა სოციალისტების შესახებ და აცნობდა მათ ქართველ მკითხველებს. ეს მკითხველები კი იყვნენ უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობა და უწინარეს ყოვლისა სემინარისტები. უნდა გამოვტყდე, რომ მე თვითონ არ მქონდა მაშინ არავითარი წარმოდგენა არც ლუი-ბლანის, პრუდონის, ფურიეს თეორეტიულ მოძღვრებაზე და არც მათ თვალსაზრისთა განსხვავებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავის თავს სოციალისტებს უწოდებდნენ, არც პრუდონი, არც ფურიე და არც სხვა რომელიმე ზემოხსენებული სოციალისტი ჩემში არასოდეს არ იწვევდა ცხოველ ინტერესს და ბრძოლის სურვილს ხალხის მჩაგვრელთა წინააღმდეგ. სულ სხვა იყვენ რუსეთის სოციალისტები, 70—80 წლების „ნაროდოვოლცები“. ამათი რევოლიუციონური მოღვაწეობა, თავდადებული გმირული ბრძოლა მეფის და მისი მინისტრების წინააღმდეგ, ყველაფერი ეს ჩემში იწვევდა თანაგრძობას.

მუშის პეტრე ალექსეევის სიტყვები: „и подымется мускулистая рука миллионов рабочего люда,“ რომელიც მან სთქვა მეფის სასამართლოს წინაშე, ჩემზე უფრო მეტ შთაბეჭდილებას ტოვებდა, ვიდრე თეორეტიული მსჯელობა სოციალიზმის შესახებ. სემინარიაში ყოფნის უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში მე მაინც საკმაოდ გავე-

ცანი „ნაროდოვოლცების“ მოღვაწეობას და კერძოთ პროცესს ალექსანდრე II მკვლელობის შესახებ.

ისეთი რევოლიუციონერები, როგორც იყვენ ჟელიაბოვი, პეროვსკაია, კიბალჩიჩი და სხვები, იდეალათ ითვლებოდენ ჩემთვის, იმათკენ მივისწრაფოდი მთელი ჩემის არსებით. ეს იყო პირველი ნაბიჯი ჩემი გარევოლიუციონერების გზაზე, მაგრამ მე არ მქონდა გარკვეული პოლიტიკური პროგრამა, არ იყო საუფქველი, არ მქონდა სინამდვილის ანალიზი, თითქოს ჰაერში ვიყავი დაკიდებული. ეს სულ უბრალოთ აიხსნება-მარქსისტულ ლიტერატურის სრულ უქონლობით; ასეთი ლიტერატურა არც კი არსებობდა, გარდა „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ საზღვარ-გარეთელ ორგანიზაციის ორიოდე გამოცემისა, რომელიც ჩვენამდე არ აღწევდა. მხოლოდ მახსოვს ერთი შემთხვევა, არ ვიცი. 1888 თუ 1890 წ. წ. ხელში ჩამივარდა **პლენხანოვის** ბროშიურა: „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“, პირველი მარქსისტული ბროშიურა, რომელიც დაწერილი იყო რუსული მარქსიზმის საუფქველის ჩამყრელის მიერ. მაგრამ უნდა გამოვტყდე, მე იგი მაშინ არ წამიკითხავს, ვინაიდან **პლენხანოვის** სახელს მაშინ სრულიად არ ვიცნობდი; მეგონა, რომ რუსეთის რევოლიუციონერ და სოციალისტურ ლიტერატურას ვითომდა ძალიან კარგათ ვიცნობდი.

### ახალი რექტორი ნიკოლოზი და მისი წესები.

1889 წელში გადავედი უკანასკნელ VI კლასში და ერთი წლის შემდეგ მე უნდა გამოვთხოვებოდი სემინარიას, შემდეგ კი ვუიქრობდი უნივერსიტეტისაკენ გზის გაკაფვას. ეს მე მიმაჩნდა ერთად ერთ საშუალებათ მომავალ ბრძოლისათვის, არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ. სემინარიაში ჩემი მდგომარეობა მტკიცედ მიმაჩნდა იმ მხრივ, რომ მე რაღაც რევოლიუციონური გზით მივალწიე იმას, რომ არ მთხოვდენ საეკლესიო მოვალეობათა შესრულებას, ერთის მხრივ, და მეორე, ის რომ თვითონ გავინთავისუფლე თავი გალობის და ლიტურგიის გაკვეთილებისაგან,—ამ გარემოებას თითქოს შეურთგდენ მასწავლებლები და ინსპექცია. ასეთ პირობებში ჩვენს შორის თითქოს დროებითი ზავი იყო დადებული.

მაგრამ უეცრად სამოსწავლო წლის დასაწყისში დაუძლურებულ და ნებისყოფას მოკლებულ რექტორის **პაისის** მაგიერ ინიშნება ახალგაზრდა, ენერგიული, მტკიცე ხასიათის მქონე რექტორი **ნიკოლოზი**. სემინარიაში შემოსვლის პირველი დღიდანვე მან გადასწვიტა ბოლო მოელო იმ დაუდევრობისთვის, რომელსაც მის მოსვლამდე იჩენდა სემინარიის ადმინისტრაცია მოწაფეების მიმართ; მან ერთ-

ბაშაო მოინდომა აღვირ-ახსნილ მოწაფეების შებოკვა და დაუყონებლივ შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას. მოხდა ისე, რომ მე არდადეგების შემდეგ სემინარიაში შესვლის პირველი დღიდანვე დავარღვიე წესრიგი, რომელიც შემოიღო ახალმა რექტორმა. მან დამიჭირა, როგორც ამბობენ, დანაშაულის ჩადენის ადგილას; ჯერ-ერთი, მე არ დავესწარი იმ დღეს წირვას, და მეორე შეგნებულათ გამოვტოვე გალობის გაკვეთილი, ამიტომ ჩვენ შორის მოხდა სერიოზული ლაპარაკი. არც ერთმა ჩვენგანმა არ დაუთმეთ და თავ თავის აზრზე დავრჩით. მე მაშინვე ვიფიქრე, რომ საქმე მაქვს სერიოზულ მოწინააღმდეგესთან, რომ მომელის სერიოზული ბრძოლა ჩემი უკულების და მოწაფეების უკულებათა დასაცავად. ჩემი წინასწარი გრძობა არ გამართლდა.

რა თქმა უნდა ახალი რექტორი იყო არა თუ უფრო ჭკვიანი, არამედ უფრო ტაქტიკურიც ძველ რექტორთან შედარებით. იგი ძალიან ფრთხილად მომეკიდა. ის იქცეოდა ისე, როგორც ერთი რუსული ანდაზა ამბობს: „Мярко стелет, да жестко спать“. მან მიმართა ტკბილ სიტყვებს და ამავე დროს გააძლიერა ჯაშუშობა. ვხედავდით რა ამას, როგორც მე ისე ჩემმა მახლობელმა ამხანაგებმაც შევეცვალეთ ტაქტიკა. გადავწყვიტე არ მიმეცა მისთვის მიზეზი, მაგრამ არც შევეშენებე. იგი ეძებდა მიზეზს ჩემთვის შარი მოედვა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. მეორეს მხრივ მან თავისი სიმკაცრით და რებრესიებით აამხედრა თავის წინააღმდეგ მთელი სემინარია. ის იმდენად წინდაუხედავი იყო, რომ ეგონა, ვითომდა მოწაფეებს იგი უყვართ. იგი მოქმედობდა ზედამხედველების საშუალებით და ფიქრობდა, რომ მოწაფეების უკმაყოფილება მათ წინააღმდეგ გამოაშკარავდებოდა. პირველად მართლაც ეს შესაძლებელი იყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მთელი პასუხის-მგებლობა მას უნდა დაწოლოდა. ერთი სიტყვით, ასე იყო თუ თუ ისე მზადდებოდა სერიოზული შეტაკება, არა განზრახ, არამედ სტიქიურად. იყო შემთხვევები, როდესაც ზედამხედველნი ცდილობდნენ ერთგულების დამტკიცებას უკუროსებისადმი და ხევდნენ შშობლების წერილებსაც, ქართულ ენას კი ძალღის ენა უწოდეს. იყო კიდევ უფრო სერიოზული მიზეზები მოწაფეების უკმაყოფილებისათვის: მაგ., სემინარიაში არ იყო ქართული ენის და ქართული ისტორიის სწავლება. ამგვარად იყო მიზეზი ადმინისტრაციისათვის მოთხოვნილებათა წარსადგენად, საჭირო იყო მხოლოდ საბაბი. საბაბი იყო ის, რომ პანსიონში მცხოვრებ მოწაფეებს საქმელი გაუუარესეს.

### გაფიცვა და სემინარიის პერიოდის დასასრული.

როდესაც გამოირკვა, რომ მოწაფეების მღელვარება მიიღებდა ექსცესების ხასიათს, მე და რამდენიმე ჩემმა ამხანაგმა მე-VI კლა-



სიდან (მათ შორის იყვნენ ნოე ჟორდანიძე და ო. კიკვაძე) გამოვიდნენ თვითეულ კლასიდან თითო წარმომადგენელი მოსალაპარაკებლათ, მოქმედების გეგმის შესამუშავებლად. ამ თათბირზე შემუშავებული იქნა დაახლოვებით შემდეგი გეგმა: სემინარიის მმართველობას, ე. ი. რექტორს წარედგინება მოთხოვნილებანი (სულ იყო 10 მოთხოვნილება, მათ შორის მოთხოვნილება სემინარიაში ქართული ენის და საქართველოს ისტორიის სწავლების შემოღების, მოწაფეებისადმი ზრდილობიანი მოპყრობის, მოწაფეების მიერ ოფიციალურად გაზეთების გამოწერის უფლების და სხვ. შესახებ). მეორე დილით ლოცვის დროს რექტორს უნდა გამოეცხადებია, აკმაყოფილებდა თუ არა ამ მოთხოვნილებებს? თუ იგი არ დააკმაყოფილებდა ჩვენ მოთხოვნილებებს, მაშინ ჩვენ მიერ მიცემული ნიშნით ყველა მოწაფეები უნდა ჩასულიყვნენ ეზოში, ე. ი. შეეწყვიტათ სწავლა, მანამ არ დააკმაყოფილებდნენ მოთხოვნილებებს. საღამოზე ეს მოთხოვნილებები დაბეჭდილ კონვერტით გადაეცა სემინარიის მმართველობას. მაშასადამე, მეორე დილით ჩვენ უნდა მიგველო პასუხი.

მაგრამ ჩვენი დადგენილებანი და ის პირები, ვინც მონაწილეობას იღებდა ამ მოთხოვნილების გამომუშავებაში უკვე იცოდა რექტორმა თავის ჯამუშების საშუალებით. ჩვენ ყველანი გულის ფანცქალით მოველოდით მეორე დღეს. მეორე დღეს მოწაფეები შეიკრიბნენ ლოცვაზე; აი უკვე ყველანი შეიკრიბნენ და გულის ფანცქალით ელიან ლოცვის გათავებას და რექტორის პასუხს. ლოცვა დასრულდა. რექტორი მშვიდათ იწყებს თავის იესუიტურ სიტყვას და ათავეტს ვანცხადებით, რომ არც ერთი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ იქნებოა. სიტყვის ამოუღებლად, დინჯათ, მიცემული ნიშანის თანახმად მთელი სემინარია სტოგებს საყდარს და ჩადის ეზოში. როგორც მოსალოდნელი იყო გვიღალატა მე-VI კლასმა (ოთხი კაცის გამოკლებით მე, ჟორდანიძე, კიკვაძე და მიქაძე). ის არ შეურთდა მოძრაობას. დანარჩენ კლასებში (ყველა კლასებში იყო პარალელური განყოფილებანი) დარჩენ მხოლოდ ერთეულები, ყველა მშვიდარა, მხდალი და საძაგელი პიროვნებანი. თითქმის მთელი სემინარია ეზოში იყო იმის მაგიერ, რომ წასულიყო გაკვეთილებზე. ქალაქში სწრაფათ გავრცელდა ხმები, რომ სემინარია ხელახლა აჯანყდაო. უმაღლესმა ხელისუფლებამ დაუყონებლივ მისცა წინადადება რექტორს დაესახელებია მოძრაობის მეთაურები, რომ მოძრაობისთვის თავი მოეკვეთა. რექტორმა მერყეობა გამოიჩინა და სთხოვა ხელისუფლებას დაეცადათ. ამავე დროს მან მიმართა სხვა საშუალებებს: ჯერ დაიწყო მოფერებით და შემდეგ გადავიდა მუქარაზე. გაუზზანა მოწაფეებს მასწავლებლები, რომელნიც პატივისცემით სარგებლობდნენ მოწაფეებში. დამახასიათებელია, რომ ყველა ზედამხედველნი

და მასწავლებლები, რომელნიც დამნაშავედ გრძნობდნენ თავს მოწაფეების წინაშე, მიიმაღნენ. მაგრამ ყველა მოწაფეებს ჩინებულად ეჭირათ თავი: მათ არ სურდათ ამ შუამავლების მოსმენა. ისინი მოკლეთ უპასუხებდნენ: ჩვენ მეტი ლაპარაკი არ გვინდა, ჩვენი მოთხოვნილებანი სემინარიის მმართველობას მოეხსენება, მათი დაუკმაყოფილებლად ჩვენ სკოლაში არ შევალთო. რამდენიმე საათის შემდეგ გაფიცულ მოწაფეებთან მოვიდა თვით რექტორი. მან მოგვმართა დაახლოვებით შემდეგი სიტყვით: იგი ავით გახდა ამ ისტორიის გამო, ამიტომ ყველასთან ლაპარაკი არ შეუძლია და გვთხოვა გაგვეგზავნა დელეგატები, ამასთანავე მან თითონ დაასახელა მათი გვარები (მათ შორის ვიყავით მე და ჟორდანიაც). მოწაფეები მაშინვე მიხედნენ, რაშია ც იყო საქმე და უპასუხეს, რომ თუ სურს ყველას მოელაპარაკოს და რომ დელეგატებს ისინი არ ენდობიან. იგი ვერას გახდა და ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ მოწაფეები მტკიცეთ დგანან თავის გადაწყვეტილებებზე.

იმავე დღეს სემინარიიდან წასვლის დროს, რექტორმა მაინც დამიჭირა მე და გამომიწვია ლაპარაკში. მან მითხრა, რომ მთავარმმართველობა მოითხოვს მისგან მეთაურების დასახელებას, რომ მას არ უნდა საქმის გამწვავება, დაისჯება რამდენიმე კაცი, მაგრამ რა უნდა ვქნაო. ამ სიტყვებზე ის აქვითინდა, როგორც დედა, რომელმაც ძვირფასი შვილი დაჰკარგა. მაგრამ მე ვიცოდი, რომ ის პირფერობდა და თვალთმაქცობდა, და მე მკვახეთ შევიკითხე: რა გნებავთ ჩემგან მეთქი? ამასთანავე მე უთხარი, რომ დეე ეხლავე გამომრიცხონ სემინარიიდან და გამაგზავნონ სადაც საჭიროა, მაგრამ მოწაფეებს ეს არ დაამშვიდებს მეთქი. მაშინ მან მითხოვა დამემშვიდებია მოწაფეები და დამერწმუნებია ისინი, რომ ყველა მათი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებული იქნებაო. მე გადაჭრით უარი განუცხადე და ვურჩიე თვით მოლაპარაკებოდა მოსწავლეებს. ეს თავისებური სტიქიური ვაუიცივა, რომელიც მოხდა 1890 წლის მარტში, 3 დღეზე მეტი გაგრძელდა. მოწაფეები მტკიცედ იდგნენ თავის გადაწყვეტილებაზე; ამასთანავე ყველა თავდაჭერილად იქცეოდა. იმ დღეებში, როდესაც სემინარიის მთელი ადმინისტრაცია სადღაც მიიმალა, სრული წესრიგი სუუვედა. რა თქმა უნდა, ამ ხნის განმავლობაში, როგორც სემინარიის მმართველობის ისე უმაღლეს ხელისუფლების მხრივ, გადადგმული იქნა სათანადო ნაბიჯები, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ ჩაეშალათ გაფიცვა სხვა და სხვა დაპირებებით, მაგრამ ვერაფერმა ვერ გასჭრა. ბოლოს, სემინარიის მმართველობა სინოდის თანხმობით წავიდა დათმობაზე. რექტორმა საერთო კრებაზე გამოაცხადა, რომ მოთხოვნილებათა ერთი ნაწილი

ეხლავე იქნება დაკმაყოფილებული, ხოლო დანარჩენ მოთხოვნებზე  
 თა შესახებ სათანადო შუამდგომლობა იქნება აღძრული სინოდის  
 წინაშე, ვინაიდან სემინარიის მმართველობას უფლება არა აქვს თვით  
 გადასჭრას ეს საკითხები. ამასთანავე მან შემოგვფიცა და მოგვცა  
 „პატიოსანი სიტყვა, რომ ამ გაფიცვებისათვის არც ერთი სემინა-  
 რისტი არ დაისჯება“-ო.

მან თავისი ფიცი მხოლოდ ნახევრად შეასრულა. რა თქმა უნ-  
 და, მაშინდელ კანონების მიხედვით, ჩვენ, ე. ი. ამ არა ჩვეულებრივ  
 გაფიცვის მეთაურები, რომელთაც შევამჩქოლეთ მაშინდელი საზო-  
 გადოებრივი წრეები და მთავრობა საკმაოდ მძიმე პირობებში  
 ჩავაყენეთ, სასტიკად უნდა დავესაჯეთ, სემინარიიდან გამორი-  
 ცხვის გარდა. არც ერთ ჩვენგანს ექვი არ ეპარებოდა ამაში.  
 მაგრამ გაფიცვა ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. არც ერთი ჩვენგან-  
 ი არა თუ არ იქნა სერიოზულად დასჯილი, სემინარიიდანაც კი  
 არ გამოურიცხავთ. მაგრამ რექტორ ნიკოლოზს არ შეეძლო ჩვენთვის  
 ამ ისტორიის პატიება და მან გადასწყვიტა სამაგიეროს გადახდა.  
 ჩქარა დაიწყო გასათავებელი გამოცდები. ჩვენ ყველამ კარგად ჩავა-  
 ბარეთ გამოცდები. რექტორმა გამონახა „კარგი“ საშუალება. სამა-  
 გიეროს გადასახდელათ ატესტატში ჩვენ ყველას ყოფაქცევაში „4“  
 დაგვიწერა, ხოლო თითონ ჩუმად გაიპარა პეტერბურგში. ამით მან  
 ჩვენ დაგვიხშო კარი უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. მან  
 იცოდა, რომ ამით ის მართლაც ცუდ მდგომარეობაში გვაყენებდა.

ასე დამთავრდა ჩემი ცხოვრების სემინარიის მღელვარე პერიო-  
 დი, რომელმაც წაუშლელი ბეჭედი დაასვა ჩემს ცხოვრებას.

ფ. მახარაძე.

(დასასრული იქნება)



# „რევოლუციონერ მოგონებათა“ სალამო.

(სტენოგრაფიული ანგარიშები).

თავმჯდომარეობს—ამხ. ამასი.

პირველი სიტყვა ეძლევა ამხ. ფ. მახარაძეს (მქუხარე ტაში და „ინტერნაციონალის“ სიმღერა; ხმები: „გაუმარჯოს კავკასიის რევოლუციის ვეტერანს ამხ. ფილიპე მახარაძეს, გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს; ხანგრძლივი ტაში).

**ფ. მახარაძე:** როდესაც შევიტყვე დღევანდელი სალამოს მოწყობის ამბავი, მე, ერთის მხრით, ძლიერ გამახარა ამ გარემოებამ, ვინაიდან ჩვენში, ტფილისში დღეს პირველად იმართება ასეთი სალამო, მაგრამ, მეორეს მხრით, მე არ ვიცოდი შევძლებდი თუ არა მონაწილეობის მიღებას ამ სალამოზე, რადგანაც ჩემი ფიზიკური ჯანმრთელობა ბოლო ხანებში მეტის ნეტათ შეირყა. მაგრამ მე, რომელიც ძველათგანვე შეჩვეული ვარ ფიზიკურ დაბრკოლებათა გადალახვას, ეხლაც გადავსწყვიტე დამეძლია ჩემი უღონობა, ვინაიდან მე არ შემეძლო უარი მეთქვა იმ სიამოვნებაზე, რომ გამოვსულვიყავი აქ და მომეგონებია ზოგიერთი ამბავი ჩემი ხანგრძლივი ცხოვრებიდან, განსაკუთრებით ასეთ ამხანაგურ და ახლობელ წრეში. და როდესაც მე გადავსწყვიტე გამეცნო ამხანაგებისათვის ის პერიპეტეიები, ის მოვლენები, რომელშიაც მე მიხდებოდა მონაწილეობის მიღება, მე ჩავფიქრდი იმის შესახებ, თუ ჩემი ცხოვრების რომელი ეპოქიდან, რომელი პერიოდიდან უნდა ამელო თემა შესაფერისი დღევანდელი საუბრისათვის. და აი აქ ორმა გარემოებამ ითამაშა ჩემთვის გადამწყვეტი როლი და მე ავირჩიე ის თემა, რომლის შესახებაც მე ეხლა მოგახსენებთ. მე ვფიქრობ, რომ ასეთი სალამოები ერთი და ორი არ გაიმართება, არამედ მათ ჩქნებათ სისტემატიური ხასიათი. ჩვენი უფროსი ამხანაგები, რომელთაც განიცადეს ეს პერიპეტეიები, გააცნობენ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას უკრო ნორჩ თაობას, რომელსაც დღეს აღარ უხდება განიცადოს ის პერიპეტეიები მუშათა საქმისათვის ბრძოლისა, რაც ჩვენ გავვივლია, ძველ, მოხუ-

ცებულ ამხანაგებს. მეორე გარემოება არის ამას წინაღ „ზარია ვაჟი“ მოთავსებული „არკომედის“ წერილი, რომელიც ეხება კავკასიაში სოც.-დემოკრატიული მოძრაობის წარმოშობის საკითხს. ამ წერილის ავტორს პირადად ვიცნობ და მინდოდა დამეწერა პასუხი, რადგანაც ამ წერილში საკითხი სრულიად არ არის სწორად გაშუქებული. მე ვიცი, ამხანაგებო, რომ ამ წერილის ავტორი მენშევიკია და, თავისთავად ცხადია, მას არ შეეძლო, უწინარეს ყოვლისა, როგორც მენშევიკს, გაეშუქებია ჩვენი მოძრაობა ნამდვილად, ისე, როგორც იგი დაიწყო და ვითარდებოდა. მეორეც ის, რომ ამ წერილის ავტორი, რაც უნდა იყოს, თუმცა იგი ჩვენთან იყო მოძრაობის დასაწყისში, მაგრამ ახლო მონაწილეობა ამ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წარმოშობაში არ მიუღია. მთელი რიგი ჩვენი ამხანაგებისა, რომელნიც ღებულობდნენ მონაწილეობას, როგორც საერთოდ მუშათა, ისე კერძოდ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის შექმნაში, საუკეთესო ჩვენი მოღვაწენი, აღნიშნულ წერილში სულაც არ არიან მოხსენებულნი. ცხადია, ესენი, როგორც ბოლშევიკები გამოსტოვა მენშევიკმა, ამ ორმა გარემოებამ აშკარად განსაზღვრა ჩემთვის დღევანდელი საუბრის თემა. დღეს მე მინდა მოვიგონო შორეული წარსული, ძალიან შორეული ისტორია არა თუ თქვენთვის, არამედ ჩემთვისაც: ეს არის პირველი ნაბიჯები, კი არა, პირველი ნაპერწკლები სოც.-დემოკრატიული მოძრაობის ჩასახვისა ჩვენში. და აი, მე შეეჩერდები ჩემი ცხოვრების პერიოდზე, როდესაც მე სხვა ახალგაზდა ყმაწვილებთან ერთად—ვიტყვი პირდაპირ—**ნოე უორდანიასთან, სერგო მიქაძესთან და მიხეილ მირიანაშვილთან** ერთად, გავემგზავრე სწავლის გასაგრძელებლად ვარშავაში 1891 წლის შემოდგომაზე. უეჭველია, რომ ვარშავამ ითამაშა ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე დიდი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი. იქ დავინახეთ, თუ რას წარმოვადგენთ ჩვენ: მე არ ვლაპარაკობ ორ უკანასკნელ ამხანაგზე, ესენი თავიდანვე ჩამოგვცილდნენ. მე და უორდანიას, რომელიც პირველ ხანებში მუდამ ჩემთან იყო, ჩვენ ვცდილობთ გამოგვერკვია—რას წარმოვადგენდით ჩვენ იქ და რას წარმოვადგენდით აქ კავკასიაში და ტფილისში. თავის-თავად ცხადია, რომ ჩვენ წავედით მეცნიერების შესასწავლად, მაგრამ ეს სრულიადაც არ გამოხატავს იმას, რასაც ჩვენ ვესწრათოდით. ვსწავლობდით რა ტფილისში, ჩვენ ვიგრძენით, რომ ჩვენში ვითარდებოდა რაღაც ბუნტარული სული. ჩვენ ინსტიქტიურად გავხდით რევოლუციონერები. მაგრამ ჩვენს გარშემო იყო ბნელეთი, არ იყო არც ერთი ნათელი სხივი, რომელიც გვიჩვენებდა თუ საით უნდა წავსულიყავით. ჩვენ წინ გვხვდებოდა სხვა და სხვა მიმართულება და პარტია, ხალხის თავისუფლების პარტია და უბრალოდ ხალხოსნური

პარტია. მაგრამ გარკვეული გზა არ სჩანდა. ერთი იყო მხოლოდ ამკარა: ჩვენ უკვე გავხითთ, ასე ვსთქვათ, სოციალისტები, უფრო ჩქარა ანარქისტები,—თეორეტიულად, თუ გნებავთ,—მაგრამ არაფერი გარკვეული და ამკარად განსაზღვრული ჩვენ არა გვქონია, ჩვენ შევიქენით პროტესტანტები, უარყოფდით ყოველივე არსებულს, მაგრამ ჩვენ არ გვქონდა ცოდნა იმისა, თუ როგორ და საიდან დაგვეწყო, ვისთვის მიგვემართა? რჩევა—დარიგებას ვერავისაგან მივიღებდით. ასეთი სუმბურული განწყობილებით, ბრძოლის ასეთი მისწრაფებით არსებული რეჟიმის, ცარიზმის წინააღმდეგ, ჩვენ ვესტუმრეთ ვარშავას. ჩვენ წარმოდგენაც არ გვქონდა—რა არის ვარშავა, რა არის პოლონეთი. გეოგრაფიიდან, რასაკვირველია, ჩვენც ვიცნობდით პოლონეთს, მის ქალაქებს. მაგრამ მივედით რა იქ, ჩვენ მოგზავდით უცხოეთში, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. არც ენა, არც ზნე-ჩვეულება და კულტურა არა ჰგავს არც ჩვენსას, არც რუსეთისას. ეს იყო ნამდვილი უცხოეთი: ენა უცხო, ხალხი უცხო, კულტურა უსათუოდ მაღალი, ევროპიული. ასეთივე იყო სახალხო განათლება, მრეწველობა, სოციალური პირობები და პირველ ხანებში იქ არ ვიცოდით სად წავსულიყავით. უპირველესი, რაც ჩვენ თვალში გვეცა, ეს იყო ზიზღი რუსებისადმი. მთელი ისტორია პოლონეთისა, ხსნის ამ სიძულვილს, მაგრამ ჩვენთვის იგი გაუგებარი იყო. როდესაც პოლონელები შეიტყობდნენ, რომ ჩვენ ქართველები ვართ და არა რუსები, დამოკიდებულება ჩვენდამი იცვლებოდა, მაგრამ ყველას ხომ ვერ ვტყვოდი რამ შენ ქართველი ხარ. იქ იყო განწყობილება რევოლუციონური და პატრიოტული. უნდა ვსთქვათ, რომ იქ უკვე არსებობდა მუშათა პარტია—„პროლეტარიატი“. მას ქონდა თავისი ისტორია, თავისი ბრძოლა, მას უკვე გაელო ამ ბრძოლაში დიდი მსხვერპლი. მაგრამ ეს პარტია არ იყო წმინდა მარქსისტული, თუმცა ბევრი საერთო ქონდა მარქსიზმთან. მაგრამ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ცოტათ თუ ბევრათ დაახლოება პოლონელ მუშებთან, ან პოლონელ სტუდენტებთან. ჩვენ ჩავედით ვარშავაში სასწავლად. საქმე იმაშია, რომ რუსეთში ჩვენ არსად არ გვიღებდნენ, არც ერთი სასწავლებელი არ გვიშვებდა თავის კედლებში, იმიტომ რომ ჩვენ გვქონდა „ვოლჩი“ ბილეთები. ჩვენ აქ გავათავეთ სემინარია და იძულებული ვიყავით წავსულიყავით პოლონეთში, რადგანაც მხოლოდ ვარშავის ვეტერინარულმა ინსტიტუტმა გამოსთქვა სურვილი ჩვენი მიღებისა და ჩვენც მივაშურეთ ამ ქალაქს; მივაშურეთ, რა თქმა უნდა, მეცნიერებას: ფიზიოლოგიას, ფიზიკას, ქიმიას და სხვა საბუნებისმეტყველო საგნებს, რომელიც ძალზე გვიტაცებდა ჯერ კიდევ სემინარიაში ყოფნის დროს, ხოლო ეხლა გვეძლეოდა მეტი შესაძლებლობა მათ შესწავლისათვის; მაგრამ ეხლა ეს მეცნიერება აღარ გვანტე-



რეგებდა... ეს ის არ იყო, რასაც ჩვენ ვესწრაფოდით. საჭირო სწრაფობა გზის მონახვა. ზე აი, თვითგანვითარების გზების ძიებაში, ჩვენ თავს წავატყდით ერთ მარქსისტულ წრეს წმინდა თეორეტიული ხასიათისას. უნდა ვსთქვა, რომ ეხლა ყოველივე ეს ძალიან ცოცხლად მიდგას თვალწინ. ეს იყო 1891 წლის შემოდგომაზე, ოცდაათი წლის წინად, მაგრამ ყველაფერი ისე ნათლად მაქვს წარმოდგენილი, თითქოს ეს გუშინდელი ამბავი იყოს. ეს ახალგაზდა ყმაწვილები სწავლობდნენ მარქსს. უნდა ვსთქვა, ამხანაგებო, რომ პოლონურ ენაზე მოიპოვებოდა მაშინ რამდენიმე ბროშურა კაუცკისა, სვიდერსკისა და სხვ., რომელნიც მხოლოდ შემდეგში იქნა გადმოთარგმნილი რუსულ ენაზე. ზოგიერთი ამ ბროშურებიდან მაინც მოიპოვებოდა რუსულად, მაგრამ ხელთნაწერის სახით და ჩვენც შეუღდექით მარქსის შესწავლას. აღნიშნული წრე იძლეოდა წმინდა თეორეტიულ ცოდნას. პირველად ჩვენ შევისწავლეთ პოლიტიკური ეკონომია სვიდერსკის წიგნით, მაგრამ უმთავრესად კაუცკის ბროშურით „Учение Карла Маркса“, რომელიც ჩვენ გვქონდა ხელთნაწერის სახით. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ ხელი მოვკიდეთ უკვე „კაპიტალს“. ყოველივე ამას ქონდა მხოლოდ თეორეტიული ხასიათი, ასე რომ ამ აკადემიური წლის (1891—1892) განმავლობაში ჩვენ იმის მეტი არაფერი გავვიკეთებია, რომ ვზეპირობდით მარქსისა და ენგელსის თეორიას. 1892 წლის საზაფხულო კანიკულებზე ჟორდანია წამოვიდა კავკასიაში; მე კიდევ დავრჩი ვარშავაში ზაფხულზე და განვაგრძობდი მუშაობას. მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ წრეში მუშაობის მეორე წელიწადზე ჩვენ ნელ-ნელა ვსცილდებოდით ჩვენ ჩარჩოებს. მაშინდელ პირობებში, განსაკუთრებით ვარშავაში, სადაც მრავლად თარეშობდნენ პროვოკატორები და ჯაშუშები, მეტად მძიმე იყო პრაქტიკული მუშაობის წარმოება. ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდი, რომ წინ არ დაგვხედროდა პროვოკატორი ან ჯაშუში. იყო შემთხვევა, როცა ჩვენი ამხანაგის მამა მოვიდა ჩვენთან, როგორც ნამდვილი პროვოკატორი იმ მიზნით, რომ ჩვენთვის რამე დაეტყუებია. მაგრამ, თავის თავად ცხადია, წაბძანდა უშედეგოთ. მისი პროვოკატორობა ჩვენ შემდეგ გავიგეთ.

ამ გვარად მაშინდელ პირობებში ვარშავაში მეტად მძიმე იყო მუშაობა. ჩვენ მივიდიოდით მუშებთან, ვასწავლიდით მათ ანბანს, წერა-კითხვას და თან და თან ვაცნობდით მათ მუშათა მოძრაობას მარქსიზმის დედა-აზრს და სხვ. ამით არ ვკმაყოფილდებოდით. ეს ის დრო იყო, როცა საზღვარგარეთ პირველად დაიწყო ცოტათი თუ ბევრათ ფართო საგამომცემლო მუშაობა რუსულ ენაზე, როცა ძველმა სოციალ-დემოკრატმა პლენხანოვმა გამოსცა, სხვათა შორის, ფრიდ სერიოზული და მეცნიერული მარქსისტული ორგანო—„სოციალ-დემოკრატი“. იყო სხვა ლიტერატურაც რუსეთის მაშინდელ საშინელ

სიმშობასთან დაკავშირებით. ვარშავა იყო ცენტრი ამ ლიტერატურის გადაგზავნისა რუსეთის ყველა კუთხეებში. ჩვენ წრეს უხდებოდა ფულის შოვნა, კავშირის დაჭერა რუსეთთან და არალეგალური ლიტერატურის გადაგზავნა ზოგიერთ ქალაქში. გაგზავნა ხდებოდა ძალიან პრიმიტიულად. ბევრი თქვენგანი ალბათ იცნობს ამ საშუალებას: ვისმე ვატანთ ლიტერატურას, იგი გაიხდის ტანსაცმელს, შემოიკრავს ტანზე ლიტერატურას, შემდეგ ჩაიცვამს და ამ სახით მიემგზავრება დანიშნულ ადგილისაკენ. იყო სხვა საშუალებებიც. მაგრამ აქ უნდა მოვიგონო ერთი საინტერესო ეპიზოდი. გავიდა რამდენიმე თვე ჟორდანიას წასვლის შემდეგ და მე მივიღე მისგან წერილი; წერილში იყო პროგრამა ახალი პარტიისა, რომელიც უნდა დაარსებულიყო აქ, კავკასიაში. სამწუხაროდ ეს დოკუმენტი მე არა მაქვს და ალბათ არც სადმე მოიპოება, მაგრამ რომ იგი დღეს გვქონდეს იმ სახით, როგორც იგი მე მივიღე, მაშინ ეს პროგრამა დიდ სინათლეს მოჰფენდა მომავალი მენშევიკების მთელ ტაქტიკას, პოლიტიკას და პროგრამას. საქმე იმაშია, რომ ამ პროგრამას ერქვა: „ნაციონალ-დემოკრატიული პარტია“. არ მახსოვს იყო თუ არა იქ სიტყვა—„საქართველოს“ მაგრამ „ნაც.-დემოკრატიული“ კი იყო. თუმცა კიდევ რომ არ ყოფილიყო ეს სიტყვა, იგი იგულისხმებოდა, ვინაიდან სხვანაირად არც შეიძლებოდა. საქმე იმაშია, რომ რუსეთში მაშინ სოც.-დემოკრატია არ არსებობდა. ასეთი პარტია იყო გერმანიაში და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში. ჟორდანიას პროექტი მე გადავეცი ჩვენ წრეს; ჟორდანიას აქ იცნობდენ, ვინაიდან ჩვენ ერთად ვმუშაობდით 7—8 თვე. ყველა გაანკვიფრა ჟორდანიას პროექტმა. ჩვენ დაუნდობლად გვაეკრიტიკეთ ეს პროგრამა და, სხვათა შორის, მე მომანდევს ყოველივე ამის შესახებ, მთელი კრიტიკით და რჩევა-დარიგებით მიმეწერა პასუხი პროექტის ავტორისათვის. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ სოც.-დემოკრატიული პარტიის დაარსებაზე, მსგავსად გერმანიის სოც.-დემოკრატიისა. რამდენათაც მახსოვს, ეს ამბავი მოხდა 1893 წლის დასაწყისში ან, შეიძლება, 1892 წლის დამლევს; ამ მხრით მე მახსოვრობა მალატობს, არ შემიძლია დრო გადაჭრით განვსაზღვრო, მაგრამ ეს თარიღი მეტად მნიშვნელოვანია. მახსოვს მხოლოდ, რომ პასუხი ვარშავაში მე აღარ მიმიღია. ამ დროს ჩვენ გვქონდა დიდი და გახურებული მუშაობა. ძნელია ახლა იმ მუშაობის წარმოდგენა, რომელსაც ასრულებდა მარქსისტების ეს ნორჩი წრე. ჩვენ ვთარგმნიდით სათანადო ლიტერატურას, ვაწყობდით მეტად ფართო კრებებს. მახსოვს, სწორედ იმ წელიწადს სრულდებოდა ათი წელი მარქსის გარდაცვალებიდან. ჩვენმა წრემ გადასწყვიტა გაემართა საღამო მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრის ხსოვნის აღსანიშნავად. საღამო გაიმართა

1893 წლის მარტის 14-ს, სადაც მე წავიკითხე რეფერატი მარტის დამსახურებათა შესახებ. მაგრამ ამის შემდეგ ამბები ვითარდებოდა თავბრულდამსხმელი სისწრაფით. უცხოეთიდან გვესტუმრა ერთი ამხანაგი, გადმოგვცა დოკუმენტები, რომლითაც ჩვენ უნდა მიგველო ლიტერატურის დიდი ტრანსპორტი. მან გვაცნობა, რომ ტრანსპორტი თითქოს ჩაიშალა. ლიტერატურა მიიღო სატრანსპორტო საზოგადოებამ—„იმედი“. ტრანსპორტი უკვე მოვიდა, ხოლო მოსული ამხანაგი საჩქაროდ უნდა გაბრუნებულიყო საზღვარ-გარეთ. ეს ლიტერატურა შეკვეთილი იყო საქართველოდან და აგრედვე რუსეთის სხვა ადგილებიდან, ფულიც მიღებული გვქონდა. მაგრამ მდგომარეობა ისეთი იყო, რომ ჩვენ იძულებული ვიყავით გამოგვეყო წრიდან ორი ამხანაგი (ისე, რომ დანარჩენებსაც არ სცოდნოდათ) უაღრესი კონსპირაციის მიზნით. საქმეს შევუდექით მე და ამხ. ანტოკოლსკი. აღვნიშნავ გაკვრით, რომ 25 წლის განშორების შემდეგ, მე შევხვდი უკანასკნელს მხოლოდ 1918 წელს კავკაზში, სადაც იგი ჩამოსულიყო რამდენიმე საათით იმ მომენტში, როცა დღეშეთის აჯანყება ჩაქრობილ იქნა და ისე წავიდა, რომ მე ვერც კი მოვახერხე მასთან საუბარი ხეირიანად. ამის შემდეგ, სამწუხაროდ, მე აღარაფერი ვიცი ამ ამხანაგის შესახებ.

მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენ ამბავს. ჩვენი გეგმა ასეთი იყო: რადგანაც ჩვენ იჭვები გვქონდა, რომ ტრანსპორტი ლიტერატურით, რომელიც იგზავნებოდა საოჯახო ნივთების სახით, შენიშნულია ხელისუფლების მიერ, ამიტომ მისი ნიღება კანტორა „იმედიდან“ ისე უნდა მოგვეწყო, რომ ჩვენ მაინც არ გავაშულიყავით მახეში. ჩვენ (მე და ანტოკოლისკიმ) გადავსწყვიტეთ ასე: მიგველო ტრანსპორტის მიღება კანტორიდან ვინმე გარეშე კაცისათვის (посильный), რომლისთვისაც პირველად უნდა მიგვეცა არა ნამდვილი მისამართი; ჩვენ თვალყური უნდა გვედევნებია ამ გაგზავნილი კაცისათვის თვით კანტორაში ყუთის მიღების დროს. თუ დავრწმუნდებოდით, რომ საქმე მართლა წამხდარია და ტრანსპორტს უთვალთვალევენ, მაშინ ჩვენი კაცი წაიღებდა ყუთს მიცემული არა ნამდვილი მისამართით და ამ გვარათ ლიტერატურა დაიკარგებოდა, მაგრამ ჩვენ მაინც გადავრჩებოდით; წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ ლიტერატურა შენიშნული არ იქნებოდა, ჩვენ მივსცემდით გაგზავნილ პირს უკვე ნამდვილ მისამართს, სადაც იგი მოიტანდა ყუთს ლიტერატურით; ამასთანავე, ბინაზეც, სადაც ლიტერატურა მოვიდოდა, ყოველი შემთხვევისათვის, მიღებული იყო საჭირო ზომები სიფრთხილისათვის. პირობისამებრ, გაგზავნილ კაცთან მარტო მე უნდა მქონოდა საქმე; ამხ. ანტოკოლსკის კი თვალყური უნდა ედევნებია მისთვის თვით აკანტორაში ყუთის მიღების დროს და ეცნობებია ჩემთვის პირობითი



ნიშნებით, თუ როგორ უნდა მოექცეულიყავ: მიმეცა ყუთის მიმღებმა სათვის სწორი მისამართი თუ არა. იმ მომენტში, როცა გაგზავნილმა უკვე მიიღო ყუთი და „დროგზე“ უნდა დაედო, ანტოკოლსკი მომი-ახლოვდა და მითხრა, რომ საქმე დაღუპულია და ყველას დაგვიტყერენო. მაგრამ ამ განცხადებას მე სკეპტიკურად შევხედე და ხალხით გატყდილ ქუჩაში იმ მომენტში, როცა ჩვენი კაცი ყუთს ეტლზე სდებდა, მე გადავეცი მას ჩვენი ნამღვილი მისამართი; ეტლი დაიძრა და მეც კვალ და კვალ ავედევნე ტვირთს, თან გარშემო ვიყურებოდი, ხომ არაფერს გვხვევრავდა, მაგრამ ვერაფერი საეჭვო მე ვერ შევნიშნე. ყუთი მშვიდობით მოვიდა დანიშნულ ადგილს, რაიც მე თითონ შევამოწმე რამდენიმე წამის უკან.

ამის შემდეგ მე წავედი შინ, სადაც დამხვდა ამხ. ანტოკოლსკი რომელიც მარწმუნებდა, რომ ჩვენ დავიღუპებით. მე დავაჯერე ანტოკოლსკი რომ ეს ტყუილია, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის, იქვების გასაფანტავად, ჩვენ წავედით ამხ. შუმოვთან, რომელმაც კარგად იცოდა აღნიშნული ლიტერატურის მიღება ვარშავაში. მოუყევით მას რაც მოხდა; იგი ჩუმად გავიდა გარეთ და რამდენიმე წამის შემდეგ შემოიყვანა ჩვენი „პოსილინი“, კანტორაში. რომელმაც ყუთი მიიღო. ამ ხნის განმავლობაში ჩვენთან მოვიდა აგრეთვე მეოთხე ამხანაგი, გვარად—რუნკევიჩი, რომელიც ჩვენში ითვლებოდა რევოლიუციის გენერლად, იგი ყველაზე უფროსი იყო ამხანაგებში. სამწუხაროდ, რამდენათაც მე ვიცი. რუნკევიჩი, რომელიც შემდეგში გაგზავნილ იქნა ციმბირში, დაიკარგა, როგორც რევოლიუციონერი. ჩვენდა საუბედუროთ ამხ ანტოკოლსკიმ ჩაიდინა აქ ერთი დიდი უტაქტობა, რამაც დაღუპა მთელი საქმე. იგი თითქმის გადაეხვია „პოსილინის“ და წამოცდა, რომ ყუთში, რომელიც დღეს მან გადაიტანა, იყო არა-ლეგალური, ხელისუფლებისაგან აკრძალული ლიტერატურა და იქნებ მას შეუძლია გვითხრას,—იცის რამე ამის შესახებ პოლიციამ თუ არა. „პოსილინი“ ხელი გაიქნია და ყველაფერი გადაფიცა, თითქოს მას არც კი გაეგებოდა, თუ რაზე იყო ლაპარაკი. ეს არა სასიამოვნო საუბარი ჩვენ უცბათ მივაფუჩეჩეთ. ვაჩუქეთ მას ათი მანეთი და გაუშვით. დავრჩით რა მარტო, ჩვენ პცირეოდენი მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ დაუყოვნებლივ, იმ სალამოსვე გადაგვეტანა ლიტერატურა სხვა ადგილას. ამ მიზნით მე და რუნკევიჩი გავეშურეთ ბინაზე, სადაც ლიტერატურა გვქონდა; მაგრამ როდესაც ბინას მივადექით, კარი გაგვიღო სრულიად უცხო პირებმა, რომელნიც დაცინვით იღიმოდენ, ხოლო შუა დერეფანში იდგა ჩვენი ყუთი, რომელზეც იჯდა კიდევ ორი, ასეთივე საეჭვო პირი. ჩვენ, რასაკვირველია, მივხდით, რომ უკვე ჩაეცვივდით სიშიკ-უანდარმების ხელში და აქედან აღარ გაგვიშვებენ. მაგრამ ჩვენ მაინც ვსცადეთ გამოძრომა ამ უბედურებიდან,

გადაფიქვით; თითქოს ჩვენ არაფერი არ გვესმის და დავაპირეთ წამოსვლა; მაშინ გამოგვიცხადეს, რომ ჩვენ ვერსად ვერ წავალთ საქანდარმო სამმართველოს უუროსის მოსვლამდე. შეგვიყვანეს ოთახში სადაც დავგვდა ბინის პატრონი ამხ. მ—ლი, რომლითაც ჩვენ მხოლოდ დროებით ვისარგებლეთ ლიტერატურის შესანახად. მ—ლიმ გვიამბო რომ 20—30 წამის უკან მას მიადგა როტმისტრი აგენტებით, რომელმაც მოთხოვა ის ყუთი, დღეს რომ მიიღო ლიტერატურით. როტმისტრის კითხვაზე თუ ვისგან მიიღო ყუთი, მ—ლიმ უპასუხა, რომ იგი გამოგზავნა ფ. მახარაძემ. ამის შემდეგ როტმისტრს აგენტების ერთი ნაწილი დაუტოვებია აქ, ბინაზე, ხოლო დანარჩენებთან ერთად წასულიყო ჩემ საძებნათ. რამდენიმე წამის შემდეგ ჩვენ ცალ-ცალკე გავგვზავნეს ჯერ ქანდარმთა სამმართველოში, ხოლო შემდეგ ალექსანდრეს (ციტადელში\*). საეჭვოა, დღეს ყველამ იცოდეს, რას წარმოადგენდა ეს ციტადელი, ეგრედწოდებული, მე-10 პაილიონი, რომელიც დანიშნული იყო მხოლოდ პოლიტიკურ, ანუ სახელმწიფო დამნაშავეთათვის. თვით მკაცრი რეჟიმით და მრავალი სხვა მხრით, იგი არაფრით ჩამოუყარდებოდა პეტრო-პავლოვსკის ციხეს. იმის შესახებ, რაც მე განვიცადე ამ ციტადელში ორი წლის განმავლობაში,— შეიძლება დაიწეროს მთელი წიგნი. აქ აღვნიშნავ მხოლოდ შემდეგს: მთელი ხნის განმავლობაში ვერც ერთხელ ვერ შევხვდი მე სხვა პატიმართ, როპელთა რიცხვი მეტად მნიშვნელოვანი იყო, გარეშე საზოგადოებას შემოხედვაც არ შეეძლო ციხეში; პატიმარნი პირდაპირ ცოცხლად დამარხულნი იყვნენ. პირველი წელიწადი მე დაყავი ქვედა სართულში, თითქმის სარდაფში, ყველაზე ბნელ კამერაში, სადაც არა თუ მზის სხივი, უბრალო სინათლეს ძლივს შემოდის; კედლები სველი იყო სინეტისაგან. სასერიზოდ გამომიყვანეს მხოლოდ 3 თვის შემდეგ დღიდან დაპატიმრებისა და ისიც 2—3 წამით. უნდა ვსთქვა, რომ ამ წუთიერ გამოსვლასაც ჰაერზე დიდი მნიშვნელობა ქონდა ჯამრთელოზისათვის, მაგრამ რადგანაც სერიზობას თან სდევდა ათასი დაცინვა ქანდარმების მხრით, ამიტომ მე ხშირად უარს ვამბობდი ამ სიამოვნებაზე. პატიმრებს თითქმის არავითარი ამბავი გარედან არ მოსდიოდათ. ყოველ შემთხვევაში მე სრულიად არაფერი ვიცოდი, რა ხდებოდა გარეთ, მით უმეტეს რომ, ჩემი დაპატიმრების შემდეგ, ყველა ჩემი ამხანაგები ერთი მეორეზე დატუსაღებულ იქნენ, სხვათა შორის, ჩემი ყოფნის დროს ალექსანდრეს ციტადელში, გარდაიცვალა მეფე ალექსანდრე მე-III რომანოვი. მაგრამ ეს მე დიდხანს არ ვიცოდი. აღსანიშნავია

\*) ეს ისტორია უფრო დაწერილებით ნამუბობი მაქვს ჩემს წერილში—„როგორ ვაგვძლი მე მარქსისტი“, რომელიც მოთავსებულია ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის ჟურნალში—„მოშავალი“.

მხოლოდ, რომ ამ დროს ციტადელში რაღაცა არაჩვეულებრივი ფა-  
ცი-ფუცი იყო; ჯარისკაცებმა უეცრად შესწყვიტეს სიმღერა და მუ-  
სიკა, გაძლიერებულ იქნა შინაგანი ყარაული კორიდორებში, სალ-  
დათებს აძლევდნენ რაღაც ახალ ინსტრუქციებს და სხვ. მე ვფიქრობ-  
დი, რომ ვარშავაში რაღაც ამბავი ხდება, შეიძლება, გავიფიქრე,  
იფეთქა რაიმე აჯანყებამ, ვარშავა ხომ იმ თავითვე რევოლუციონუ-  
რი ქალაქი იყო და იქ მუდამ ადგილი ქონდა დუღილსა და მოძრაო-  
ბას. და მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგე, რომ ყველაფერი  
ეს გამოწვეული იყო ალექსანდრეს III სიკვდილით. ძნელი წარმოსად-  
გენია რა კმაყოფილება ვიგრძენი, ამასთანავე მე დარწმუნებული ვი-  
ყავი, რომ ჯალათი არ მომკვდარა ბუნებრივი სიკვდილით, არამედ  
მოჰკლეს რევოლუციონერებმა.

დაპატიმრების შემდეგ მე წამომიყენეს ბრალდება ერთი მუხ-  
ლის ძალით, რომლითაც გათვალისწინებული იყო სიკვდილით დას-  
ჯა, მაგრამ შემდეგ ეს მუხლი შესცვალეს, მეორე უფრო ლმობიერი  
მუხლით. გამოძიება გრძელდებოდა მთელი წელიწადი. მუდამ გამოატ-  
ყვრენდნენ ხოლმე რაიმე ახალს, ახალ ბრალდებას და ფაქტებს; ეს  
იმით აიხსნება, რომ ჩემს შემდეგ დაპატიმრებულ იქნენ თითქმის  
ყველა ამხანაგები, რომელნიც მონაწილეობდნენ ჩვენს წრეში. ეს გამო-  
ძიება და თითოეული დაკითხვა იყო ნამდვილი წამება, მიმართავდნენ  
ხოლმე ყოველგვარ ხერხსა და საშუალებას. უნდა მოგახსენოთ, რომ  
მე სრულებით დავკარგე განთავისუფლების იმედი. მე ვიცოდი, რომ  
სიკვდილით დასჯა არ მელოდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ  
აღმოსავლეთი ციმბირი მაინც არ ამცდებოდა. და აი სრულიად მოუ-  
ლოდნელად 1895 წლის იანვრის ერთ-ერთ ღამეს მე გამაღვიძეს,  
ამაყენეს ლოგინიდან და წამიყვანეს კანცელარიაში. მე გავიფიქრე,  
რომ უკვე დაჰკრა ჩემი ცხოვრების უკანასკნელმა საათმა, მაგრამ  
როგორი იყო ჩემი გაკვირვება, როდესაც მე გამომიცხადეს, რომ  
პეტერბურგიდან ტელეგრაფით მიღებული განკარგულების თანახმად  
მე განთავისუფლებული ვარ თავდებობის ქვეშ საწინდართ და ამას-  
თანავე დაუყოვნებლივ უნდა გავემგზავრო სამშობლოში. მე არც კი  
დამაბრუნეს ჩემს კამერაში, რომ ჩემი ნივთები წამომეღო; უანდარ-  
მებმა თითონ მომიტანეს ყველაფერი და გამიყვანეს ჭიშკარს გარეთ,  
სადაც მიცდიდა ეტლი. ყოველივე ეს მოხდა 5—10 წამში. ვარშავა-  
ში უკვე დილას მოვედი, მაგრამ არ ვიცოდი, ვისთან წავსულიყავ-  
გავეშურე ყოველ დიასახლისისაკენ, მაგრამ მას ბინა გამოეცვალა.  
მომცეს მისი ახალი მისამართი, მეც წავედი; დიასახლისი შემხვდა  
მეტად გაკვირვებული, ძალიან კარგად მიმილო. შემდეგ მე მოვნახე  
ამხ. ლიუბიმსკი; ეს იყო ერთად ერთი ამხანაგი ჩვენი წრის წევრთა  
შორის, რომელიც გადაურჩა დევნას ჩემი პატიმრობის დროის გან-



მავლობაში (ბოლო დროს იგი გარდაიცვალა ციხეში ჭლეკით). ლიბნიმსკიმ მიამბო ყველაფერი, რაც გადახდათ ჩვენ ამხანაგებს ჩემი დატუსაღების შემდეგ და ამასთანავე გამაცნო ის განწყობილება, რომლითაც შეპყრობილი იყო მაშინ არა მარტო ლიბერალური წრეები საზოგადოებისა, არამედ რევოლუციონური ჯგუფებიც. ეს ნაწილობრივ აიხსნებოდა ახალი ხანით, რომელიც დაიწყო ნიკოლოზ რომანოვის (შემდეგში ნიკოლოზ სისხლიანის სახელით მონათლული) გამეფებით, ხოლო მეორეს მხრით ორი მარქსისტული წიგნის გამოსვლით ლეგალურ ლიტერატურაში: 1) „Критические заметки о развитии капитализма в России“—პეტრე სტრუვესი და 2) „О развитии монистического взгляда на историю“—ნ. ბელტოვის (გ. პლენანოვის). ორივე წიგნი გამოვიდა სწორედ 1894 წლის გასულს. როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევებში, ისე ეხლაც ბევრს დაეხადა ილუზია პოლიტიკის კურსის და აგრეთვე თვითმპყრობელობის რეჟიმის შეცვლისა და კონსტიტუციონური წესწყობილების შემოღების შესახებ ზევიდან, მეფის დეკრეტით. იწყებოდა რაღაც მოძრაობა ერობის ლიბერალ მოღვაწეთა შორის. ვაღვიარებ, რომ მე სრულიად არ ვიყავი საქმის კურსში. მაგრამ, როდესაც ვაივებ რაშიც იყო საქმე, მე ძალიან სკეპტიკურად შევხედე აღნიშნულ იმედებს, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ცარიზმი არ უღალატებს თავის თავს და რომ ფუჭია ყველა იმედი ახლად გამეფებულ ნიკოლოზზე დამყარებული. ამის შესახებ მე ვეუბნებოდი ამხ. ლიბნიმსკის და ჩემი წინასწარმეტყველება მალე გამართლდა. ჯერ კიდევ გზაში ვარშავიდან მე წავიკითხე დეპუტატებში ცნობა იმის შესახებ, რომ ნიკოლოზმა მიიღო ერობის დეპუტატები, რომელთაც მიუთითა. მათი ოქნების უაზრობაზე. ამით ცხადდებოდა მეფის პოლიტიკის ახალი კურსი, რომელიც არაფრით არ განირჩეოდა „მშვიდობის მომფენი“ ალექსანდრე III პოლიტიკის კურსიდან. მეორეს მხრით, ახლა ნათელი იყო, რომ ცვლილება ახლოვდება მეორე მხრიდან, რომ იწყება დამოღვიძება მუშათა მასებისა. აი საიდან უნდა გეჭონოდა იმედი ხსნისა.

მე დავბრუნდი საქართველოში 1895 წლის იანვრის გასულს, ან თებერვლის დამდეგს. საცხოვრებლად დამინიშნეს ჩემი სოფელი და ამიკრძალეს თავისუფალი მოძრაობა; დიდის სისასტიკით მადევნებდნენ თვალყურს. ასე ვიწვალე მთელი წელიწადი. მე აღვძარი შუამდგომლობა, რომ მოეცათ ნება გამომეცვალა საცხოვრებელი ადგილი და მეორე წელიწადს მე ნება დამართეს მეცხოვრა ტფილისის მაზრაში, მაგრამ არა ტფილისში. მიუხედავად იმისა მე მოვაწყვე ისე, რომ არა ლეგალურად ვცხოვრობდი ტფილისში. საქართველოში მაინც და მაინც დიდი ცვლილებები არ დამხვედრია, მაგრამ იყო

ერთი ახალი მოვლენა: მწერალი ნინოშვილი, რომელთანაც მე **ქიან-ლა** მიწერ-მოწერა ვარშავაში ყოფნის დროს დაპატიმრებამდე, — გარდაცვლილიყო. ჟორდანია ცხოვრობდა საზღვარგარეთ; იგი წასულიყო მას შემდეგ, რაც გაეგო ჩემი დაპატიმრება 1893 წ.. შემდეგ მე შევიტყვე, რომ ნინოშვილის დაკრძალვაზე გამოსულა ახალგაზრდა ინტელიგენტების ახალი ჯგუფი ს. ჯიბლაძის მეთაურობით; გავიგე რომ ამ ჯგუფს ეწოდა „მესამე დასი“ და ატარებდა სრულიად ვარკვეულ მარქსისტულ ტენდენციებს. მაგრამ სამწუხაროდ ეს იყო ინტელიგენტების სულ უმნიშვნელო ჯგუფი, რომელიც საესეებით მოწყვეტილი იყო მუშათა წრეებს და კმაყოფილდებოდა მხოლოდ იშვიათი გამოსვლებით ჯერ კიდევ ლეგალურ ყოველკვირეულ გაზეთში „კვალში“, რომელიც გამოდიოდა გ. წერეთლის რედაქტორობით. აშკარა გახდა, რომ საჭირო იყო დაკავშირება მუშებთან და ამ გზით დაწყება შეტევისა ცარიზმის და საერთოდ მთელი ბურჟუაზიულ-ბატონყმური წესწყობილების წინააღმდეგ.

მაშინ მე მომაგონდა ერთი ტფილისელი მუშა, რომელსაც მე ვიცნობდი ჯერ კიდევ ვარშავაში გამგზავრებამდე და რომელიც მას შემდეგ არასოდეს ჩემი ხსოვნიდან არ ამოშლილა. ვცხოვრობდი რა ტფილისში არა-ლეგალურად, მე ვეძებდი ამ მუშას და შევიტყვე, რომ ის იმყოფება ტფილისში და მუშაობს რკინის გზის სახელოსნოებში. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს მუშა ითამაშებს მეტად მნიშვნელოვან როლს ჩვენი ქვეყნის მუშათა მოძრაობის საქმეში. კარგად არ მახსოვს როდის, მაგრამ დაახლოებით 1896 წლის დამლევს თუ **1897** წლის დამდეგს ჩვენ შეეხვდით ერთმანეთს ქუჩაზე ღამით და ხმაზე ვიცანით ერთმანეთი. ეს მუშა იყო დღესაც ჩვენ შორის მყოფი **არაქელ ოქუაშვილი**; მასთან იყო **ზაქარია ჩოდრიშვილიც**. სწორედ ესენი არიან პირველი მოღვაწენი, რომელთაც პირველი საფუძველი ჩაუყარეს მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობას ჩვენ ქვეყანაში.

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ დღეს ამით დავასრულო ჩემი მოგონებანი.

## ქვირფასი და გულამ დაუპიწყარი ზაქრო ჩოდრიშვილი

1889 წელში დიდის თხოვნით ერთმა რკინის გზის მუშამ წამომიყვანა ტფილისში. დავდექი რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოში სამხატვრო ცეხში. ამ ცეხში დავდექი იმიტომ, რომ ერთად ერთი ცეხი იყო მაშინ რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოში, სადაც უფროსმა ოსტატმა „მასტერმა“ ქართული ენა იცოდა, თუმცაღა თვითონ რუსი იყო—გვართთ გარბენკო. მე კი რუსულზედ მწყურალათ ვიყავი. ეხლავე გაიგებთ, მე მაშინ როგორი რუსული ვიცოდი. ოსტატმა გამომცადა და მკითხა: „პორუსკი ზნაიშ“-ო—„მალენკი ზნაიუ“-მეთქი. „ბალშიი ნე ზნაიშ“-ო—კვლავ შემეკითხა იგი.

ამ გამოცდის შემდეგ დავიწყე მუშაობა სახელოსნოში 1889 წელს.

მუშებში მაშინ არავითარი პარტიული \*) მუშაობა არ სწარმოებოდა, არამც თუ პარტიულ უბრალო წიგნს,—გაზეთსაც კი არავინ არ კითხულობდა; თუმცაღა გაზეთი მარტო ივერია გამოდიდა, რომლის შექმნაც ფუფუნებათ ითვლებოდა. ვმუშაობდით ჩვეულები-სამებრ დიდის ექვსის ნახევრიდან საღამოს ექვსის ნახევრამდე.

ზედმეტს ვმუშაობდით თითქმის მუდამ ცხრა საათამდე და ძალიან ხშირად ღამის 12 საათამდისაც. კარგი ბიჭი და კარგი მუშა ის იყო, ვინც თვეში 50 დღეს გააკეთებდა. ხდებოდა მაგალითად დეპოში, რომ 60 დღესაც აკეთებდენ.

თუ ოდესმე მუშებს თავისუფალი დრო ჰქონდათ, ჩაღებოდა ცეკვა-თამაში, ბურთაობა, კიდაობა და სხვა.

ნაძალადევი მაშინ ორი-სამი სახლი თუ იქნებოდა. პარტიული მუშაობა, თუ შეიძლება იმას პარტიული ვუწოდოთ, რაც მაშინ კეთდებოდა, დაიწყო 1896 წელს. პირველი წრე, როგორც მაშინ ვეძახოდით ე. ი. „იაჩიკა“, როგორც ახლა ქვიან შესდგებოდა შემდეგი პირებისაგან: **მიხა ბოკორიძე, ვ. სტურუა, ვ. ჩხეიძე, ი. კოპალეი-**

\*) ამ სიტყვების გამო უნდა შევნიშნოთ, რომ საიდან შეიძლება მაშინ პარტიული მუშაობა, როცა არავითარი პარტია იმ დროს ჩვენში არ არსებობდა.



**შვილი, დ. დვალი, როსტომაშვილი.** მეორე წრე შესდგა მაშინვე მასში შედიოდენ: **არაქელა ოქუაშვილი, ზაქრო ჩოდრიშვილი, ყიბაშაშვილი, აბ. ენუქიძე, კ. გოჯუა.** პირველი ორი ამ მეორე წრეში იყვნენ მუშები, დანარჩენნი ტენიკოსები, რომლებიც დეპოში იყვნენ პრაქტიკაზე.

ამათგან შემდეგში ბოლშევიკები გახდნენ: ჩოდრიშვილი, არაქელა ოქუაშვილი, აბელა ენუქიძე, ვანო სტურუა, მიხა ბოქროძე. მაშინ ისეთ კონსპირაციას ვიცავდით, რომ პირველმა წრემ თითქმის არ იცოდა მეორეში ვინ იყო და ასევე მეორემ პირველში.

ინტელიგენტური ძალაც არ იყო პირველ ხანებში. ამ მუშათა წრეებში დადიოდენ **რაუდენ კალაძე და ვასო ცაბაძე.** გვიკითხავდენ დიკშტინის და 8 საათის სამუშაო დღეს. კითხვები იყო მხოლოდ ეკონომიური. პოლიტიკურ კითხვებს მაშინ ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ მუშებში, მხოლოდ თუ ვინმე რამეს იტყოდა ვაკვრით კონსტიტუციის შესახებ. მუშებში მაშინვე პირველი ალაგი დაიჭირა **ზაქრო ჩოდრიშვილმა.** ზაქრო იყო უბრალო სიღნაღელი გლეხის შვილი. დაიბადა 1868 წელში სოფ. **ვაქირში\*).** წერა-კითხვა მან კარგად იცოდა თავისი ძმის ჩვენი მოხუცის—მიხა ჩოდრიშვილის წყალობით. მიხა იყო ზაქროს ძმაც და მამაც, რადგანაც მას მამა ადრე მოუკვდა. დედა ჰყავდა მეტად ჰკვიანი და პატიოსანი ქალი, რომელსაც ჩვენ კარგად ვიცნობდით; როცა ჩვენ პატარა ბნელ ოთახში კრება გვქონდა, ეს მოხუცი—ზაქროს დედა—გარედ გვდარაჯობდა. ზაქრომ გაათავა ფტილისში სამოქალაქო სასწავლებელი. მას ურჩევდენ, რომ გამოსულიყო სასწავლებელი, მაგრამ მან მოინდომა ხელობა და შევიდა სახელოსნო სასწავლებელში, იქ დაჰყო ორი წელიწადი. იქიდან გამოაგდეს, მაშინ როდესაც იქაურ დირექტორს სცემეს. ამის შემდეგ იმან დაიწყო თავისი ძმის მიხას ხელმძღვანელობით ქარხნებში მუშაობა. ის დადგა რკინის გზაზედ, მაგრამ დიდხანს არც იქ გააჩერეს. რადგანაც არ მოეწონა მისი ურჩობა მაშინდელ გაბატონებულ უფროს ოსტატს—„მასტერს“. იქიდანაც გამოაგდეს. ზაქროს პატარაობიდანვე არ მოსწონდა მონობა, უსიტყვოთ და ხმა ამოუღებელივ ჰპანის წევა. ყველგან ხმას აღიმალლებდა, სადაც უსამართლობას დაინახავდა, ეს უსამართლობა კი ყოველ ფეხის გადადგმაზე შეგხვდებოდა. ის 1896 წლამდის „ნაროდნიკი“—„ტეტიათა მოტრფიალე“—იყო. ზაქრო იმდენათ იყო გატაცებული მუშათა მოძრაობით, რომ ის მუდამ იმაზედ ფიქრობდა, როგორ შეექმნა მეტი მუშათა წრეები და ამათთვის ეშოვა ინტელიგენტური ძალები, რომლებიც იმუშავებდენ მათში მათ განსავითარებლად, ამი-

\*) თვით ზაქროს ძმის—ამხ. მიხას გადმოცემით, ზაქრო დაიბადა სიღნაღში 1867 წელს. იხ. მისი „მოგონება“.

სთვის ჩქარ-ჩქარა იტყოდა: „სად არიან ის „ნაროდნიკები“, წუთავი ვიცოდე ეხლა ისინი რა აზრისანი არიანო, იზიარებენ, თუ არა სოციალ-დემოკრატიულ პრინციპებსო\*“). ამ დროს მუშებში ხმა გავარდა, რომ ფილიპე მახარაძე უკვე გამოუშვიათ ვარშავის (ციხიდანო\*\*). ცოტა ხნის შემდეგ ამხ. ფილიპე მახარაძე ჩამოვიდა ტფილისში. გაიგო თუ არა ზაქრომ ფილიპეს ჩამოსვლა, მაშინვე გაეშურა მისკენ. ზაქროს სასიხარულოდ ამხ. ფილიპე უკვე სოციალ-დემოკრატათ დაბრუნებულიყო. ზაქრომ რაკი გაიგო ამხ. მახარაძისაგან, რომ ის უკვე ეკუთვნის რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, მაშინ უამბო ამხ. ფილიპეს ტფილისში მუშების წრეების არსებობა და სთხოვა მეცადინეობა წრეში, რაზედაც ამხ. მახარაძე დასთანხმდა. ფილიპე მახარაძის ნახვის შემდეგ ისე გახარებული იყო ზაქრო, რომ არ იცოდა რა ექნა, სულ იმას გაიძახოდა: „ეს კარგი ძალა შეგვემატა, ეხლა აღარაფერი გვიშავსო“.

1900 წელში გაფიცვა მოვაწყეთ რკინის გზაზედ. ამ გაფიცვის სულის ჩამდგმელი იყო ზაქრო. მას დღე და ღამე არ ეძინა და მუშაობდა. ღამეში ორჯელ გადიოდა ავლაბარში, ვერაზედ და სხვა და სხვა ქალაქის კუთხეებში; ისე გამოდიოდა ნაძალადევეში და მეორე დღეს 5—საათზე ისევ სამუშაოდ მიდიოდა. ახლანდელ ზოგიერთ ახალგაზრდებს გონიათ, რომ ეს საქმე, რევოლიუცია ავტომობილებით გაკეთდა. ამის დასამტკიცებლად გეტყვით ერთ პატარა ფაქტს: დიდი ხანი არ არის, ამ ორი სამი კვირის წინათ რუსთაველის პროსპექტიდან ნაძალადევეში საჭირო იყო წასვლა პარტიულ საქმისათვის და ახალგაზრდა კომუნისტმა მითხრა, რომ ავტომობილი ვერ ვიშოვნე და ვერ წავედიო. ეს არავის საწყენათ არ მითქვამს, მე მხოლოდ ფაქტი აღვნიშნე, მაგრამ ზაქროსათვის თავის დღეში ეს დაბრკოლებები არ ყოფილა და მე სრულიად დარწმუნებული ვარ, დღეს რომ ზაქრო ცოცხალი იყვეს, თუმცა ხანში შესული იქნებოდა, მაგრამ ის დღესაც ავტომობილს არ დაელოდებოდა, თუ კი რევოლიუციის საქმე ექნებოდა გასაკეთებელი.

ზაქრო აგრეთვე დიდი ოპტიმისტიც იყო. მახსოვს 1909 წელში ბაქოს საპრობილეში ვიჯექით. ყოველ დღე ელოდებოდა

\*) აქ ზაქრო უთუოთ იგონებდა იმ ციხიბრიდან გამოგზავნილ ამხანაგებს, რომლებსაც იხსენიებს ამხ. მიხა ჩოდრიშვილი თავის მოგონებაში

### რედ.

\*\*) ეს იყო 1897 წელს, ვარშავაში გამგზავრებამდის ფილიპე იცნობდა თბილისში ერთადერთ მუშას, — ეს იყო არაქელი ოქუაშვილი. თბილისში დაბრუნებისას ფილიპე ცდილობდა არაქელას ნახვას, როგორც შემდეგ გამოირკვა, ესე-თივე სურვილი ქონებოდათ არაქელასაც და მასთან ერთად ზაქროსაც, მათ სამივეს რა თქმა უნდა ჩქარა ნახეს ერთმანეთი.

რევოლიუციას. ერთხელ სასაიროდ დავდიოდით, მითხრა: „კაცო, რათ იგვიანებს რევოლიუცია, ჩემის აზრით ძალიან ჩქარა უნდა მოხდესო. „იგვიანებს“-ო ეს ისე სთქვა თითქო ვინმე მასთან სანახავათ მოდიოდა ციხეში და დავგვიანებოდეს.

ამ 1900 წლის გაფიცვამდე ჩვენ სრული თავისუფლება გვქონდა. თუმცა კრებებს ჩუმად ვახდენდით, მაგრამ ჩვენ კი არავინ არც გვეძებდა და არც ყურადღებას ვვაქცევდა. ამ გაფიცვის დროს ჟანდარმები პირველად მოვიდნენ სახელოსნოს კარებში და დაატუსაღეს ვინც ტანათ ზორბეები იყვნენ; ორი ძმა კობახიძეები, ორივენი სწორეთ თანასწორნი იყვნენ, საყენი სიმაღლე ქონდათ და შესაფერი სისქეც. ამათ არამთუ მაშინ, დღემდეც არაფერი გაუკეთებიათ. მაგრამ დაიჭირეს მხოლოდ იმისთვის, რომ დიდები იყვნენ. ეს ამტკიცებს იმას, რომ მაშინ მთავრობამ არაფერი იცოდა მოძრაობაზე. ცოტა ხანს შემდეგ დააპატიმრეს ზაქრო და არაქელა. აქ უკვე ჩაისახა **ჯაშუშობა და პროვოკატორობა**. მას შემდეგ დავიწყეს თვალ-ყურის დევნება, დავიჭერდნენ მაგრამ ჩქარ-ჩქარა გვიშვებდნენ.

1901 წელს ავლაბარში კომიტეტი ავირჩიეთ. ამ კომიტეტში არ გავიდა **სტალინი—ჯუღაშვილი**. იგი მაშინ წავიდა ბათუმში და იქ დაიწყო მუშაობა. იალიან კარგად მოხდა, რომ სტალინი არ გავიდა, თორემ ბათუმში არ წავიდოდა და მისმა ბათუმში წასულამ კი ჩაუყარა საძირკველი მუშათა მოძრაობას იქ. თორემ მე მახსოვს 1900-ში გამგზავნეს ბათუმში ჩხეიძესთან\*), რომელსაც უნდა დავეყენებინე როტშილდის ქარხანაში და დავეწყო მუშებში მუშაობა. მაგრამ ჩხეიძემ ხელის გული მაჩვენა და მითხრა, აქ ასე სჩანს ყველაფერი და ტყვილა მოსულხარო, აქ არაფრის გაკეთება არ შეიძლებაო. მეც გამოვბრუნდი. მაგრამ სოსო სტალინმა კი ამ ხელის გულზედ დაიწყო მუშაობა და ბევრი რამეც გააკეთა.

ახლა დაუბრუნდეთ ისევ კომიტეტს. ამ კომიტეტს დიდხანს არ უარსებებია. 1902-ში კრება გვქონდა ზაქროს სახლში, ნაძალადევში მას ქონდა პატარა საკუთარი სახლი. ამ კრებაზე მოველოდით კომიტეტის წევრს, მუშა იყო, ხელობით დურგალი, კარგი შეგნებულნი იყო, გვარად სტარაცენკო. მან, როგორც ბოლოს გამოირკვა, თავის მაგივრად გამოგვიგზავნა ეხადარმერიის როტმისტრი, ჯალათი **ლაგროვი**. ჩვენ ეჭვი შეგვეპარა იმის დავიანების გამო და ჩქარა გავათავეთ კრება. 9 საათზე დავიშალენით. დავრჩით იქ: ზაქრო, არაქელა, ჩხეიძე და კ. გოგუა, რადგანაც საქმე გვქონდა გასანაწილებელი მეორე დღისთვის ერთმანეთში. როცა ჩვენც გავათავეთ და მივდიოდით, ამ დროს შემოყო თავი ზაქროს ძმამ—ნიკამ და გვითხრა,

\*) ალბად, კარლო ჩხეიძეზე ლაპარაკი.



რომ ვილაკებები მოვიდნენო. ამ დროს შემოვიდა კიდევ ლავროვი ნაბად წამოსხმული; გადიხადა ნაბადი და დაგვანახვა ბრჭყვილა პავონები, თუმცაღა ყველა ჩვენგანი ნაბადშიაც კარგად ვიცნობდით ლავროვს. პირველი მისი სიტყვა იყო: „А где остальные? вшли!? жалко!“.. ამ დროს ზაქრომ ჩაყლაპა პატარა ქალღმერთის ნაგლეჯი, რომელზედაც ეწერა მეორე დღეს რა უნდა გვიკეთებინა. დაიწყეს ჩხრეკა. ზაქრომ მოითხოვა გარეთ გასვლა. გაიყვანეს. ფეხის ალაგთან რომ მისულიყო, ამოელო ჯიბიდან „ისკრის“ ხომრები და ანგარიშები და გადაეგდო მეორე ეზოში. იქ ჟანდარმი მდგარიყო, აეღო და მიეცა ზაქროსთვის, ნუ დაკარგავო, დაცინვით ეთქვა. შემოიყვანეს უკან. ლავრომა დაუწყაო ყვირილი. ზაქრომ უპასუხა: „რა გაყვირებს, ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ, თქვენ თქვენი გააკეთეთ“-ო. ლავროვს შერცხვა და ტკბილად დაიწყო მუსაითე. პაპიროზიც მიაწოდა ზაქროს, ზაქრომ უარი უთხრა: „მე მაგნაირ პაპიროსს არა ვარ დაჩვეული“-ო. აიღო სამი კაპეიკი, მისცა ჟანდარმს და უთხრა, მე ამით მიყიდე პაპიროსიო.

ზაქროს ოთახის ქერიდან ჩამოიტანეს ხელის სტამბის პლიტა და ვალიკი, რომელიც არაქელას სახლში უნდა მოგვეწყო. იქ უკვე მზადდებოდა სტამბისათვის. „ეს რა არისო“-იკითხა ლავროვმა. ზაქრომ მიუგო: „Это игрушка для детей, на базаре купил“-ო. ლავროვმა წაიღულლულა: „Хорошая детская игрушка“. ჩვენ იქიდან პირდაპირ ციხეში ვაგვგზავნეს. მაგათ არ უნდა გაჩხრეკა, მაგათთან სულ ერთია ვერაფერს იპოვიო. ერთი კვირის წინათ ვიყავით გაჩხრეკილი. არაქელა წაიყვანეს თავის სახლში გასაჩხრეკათ. ალბად, იმიტომ რომ სტარაცენკო, თუმცაღა მას ყველავერს არ ვანდობდით, მაგრამ გრძნობდა, რომ არაქელასთან რაღაცა კეთდებოდა, მხოლოდ რა, არ იცოდა.

ამ ჩხრეკისა და ინკვიზიციის დროს ზაქროს ისეთი სახის გამომეტყველება ქონდა და ისეთი მხიარული იყო, რომ თითქოს ქორწილში მიდიოდა და არა ციხეში. ზაქროს ამ მხიარულებამ მოთმინებიდან გამოიყვანა ლავროვი და ისევ ღრიალი დაიწყო. ზაქრომ უთხრა: „რატომ არ ვიმხიარულებ, ცოტას დავისვენებ ციხეშიო“.

**პირველი მაისის დღესასწაული** ტვილისში პირველად ჩატარდა ნაძალადევში, მთებს გადაღმა 1898 წელს, რასაც მან კაცი დაესწრო. ამ პირველი არა-ლეგალურ მაისობის მოწყობაში ზაქრო უმთავრეს როლს ასრულებდა, თითქმის სულ ის იყო ამ დღეობის მომწყობი. მეორედ 1899-ში, დაესწრო 75 კაცი, რომლის ინიციატორი ისევ ზაქრო იყო. 1900-წლის დღესასწაულმა ზაქროს მონაწილეობით მიიღო უფრო ვრცელი ხასიათი, ასე რომ ამ წელის პირველი მაისის დღესასწაულში მონაწილეობდა 500-600 კაცამდე.

მოინდომეს ქალაქშიც გავლა, მაგრამ ზაქროს რჩევით ეს გადაიდო შემდეგისთვის.

1901 წლის მაისობა დანიშნული იყო ახალი სტილით 18 აპრილში, რადგანაც ჩვენის აზრით გვინდოდა ევროპის პროლეტარიატთან ერთად გამოვსულიყავით. მაგრამ მთავრობამ უკვე გაიგო და მიიღეს სასტიკი ზომები; რამდენიმე მოწინავე მუშაც დაატუსაღეს 18—სთვის.

მაგრამ ზაქრო მაინც არ შედრკა. მოუყარა თავი რამდენიმე მახლობელ ამხანაგებს და უმტკიცებდა პირველ მაისობის მნიშვნელობას. ზაქროს ასეთმა ენერგიულმა მოქმედებამ გავლენა იქონია ამხანაგებზე და გადაწყვეტილი იქმნა გამოსვლა. დილით ადრიანათ ზაქრომ გასცა განკარგულება ამხანაგებ შორის, რომ ორ—ორი ამხანაგი გაგზავნილი ყოფილიყვნენ ყველა რაიონებში დასაზვერავად. სადაც უფრო სუსტი იქნებოდა მტრის ძალა, იქ უნდა მომხდარიყო გამოსვლა და აფრიალებულიყო წითელი დროშა. ზაქრო და არაქელა ერთად წავიდნენ დასაზვერავად. აქ უნდა აღენიშნოთ ზაქროს სულის ძლიერება. ის ძალიან ხშირად დიდ განსაცდელის დროს ოხუნჯობდა, რომ ამით გაემხნეებინა თავისი ამხანაგები; როდესაც ზაქრო და არაქელა მოვიდნენ არტილერიის მოედანზე დასაზვერავად, მოვიდა „დრაგუნები-ს“ ჯარიც. „დრაგუნები ცხენებზე ისხდნენ და მზად იყვნენ. ამის ნახვაზე არაქელამ მიმართა ზაქროს, ბიჭო, ეს ცხენები გვეყოფა, რომ ჩვენ გავგვსრისონ, მხედრები საჭირო აღარ არიანო. ზაქრომ ოხუნჯური კილოთი უპასუხა: როცა ცხენებით იერიშით წამოვლენ ჩვენზედ, ჩვენ ყველამ თითო ჩხრიალა ვიქონიოთ და ამ ჩხრიალებით დაუფრთხოთ ცხენებიო.

შემდეგ, საათის ათზედ, როგორც პირობა იყო, ყველა მზვერავები ერთად შეიკრიბნენ და მოიტანეს ცნობები. გამოირკვა, რომ გამოსვლა დღეს ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ყველგან ჯარი ჩასაფრებულყოფი და პოლიცია, ჟანდარმები და მეფოვეები კეტებით ქუჩაში მზად იყვნენ. აქ უმრავლესობა ამხანაგებისა იმ აზრისა იყვნენ, რომ მაშინ პირველ მაისის დღესასწაული ყოვლად შეუძლებელი იყო. მაგრამ ზაქრომ თავისი დაუშრეტელი ენერგიით და სულის სიძლიერით დაძლია ამხანაგები და გადაწყდა ზაქროსვე მეთაურობით: კვირას, 22 აპრილს აფრიალებინათ წითელი დროშა იარმუკაში, რადგანაც იქ ამ დროს აუარებელი ხალხი იქნებოდა. და ეს განზრახვა მოიყვანეს კიდევაც სისრულეში.

21 აპრილს, შაბათს დღეს, საათის ოთხზედ ზაქროს განკარგულებით (მანამდე კვირის გამოსვლა საიდუმლოდ იყო შენახული), დაიგზავნა ყველა რაიონებში შიკრიკები, რომლებმაცაც აცნობეს მუშებს, რომ კვირას ათ საათზედ იარმუკაში მოგროვილიყვნენ.

კვირა დილით, როცა გავედით იარმუჯაში, უკვე ეტყობოდა, რომ მთავრობას აეგებული ქონდა და ზომები იყო მიღებული. პოლიცია და თანდარმერია მხათ იყვენ, დანიშნულ საათზე და ალაგზე, როცა შეიკრიბნენ დემონსტრატები. პოლიციამ შენიშნა შეჯგუფება მუშებისა და გზები გადაჭრა, რომ მუშები ვერ მიმატებოდნენ დემონსტრანტებს. ზაქროს და არაქელას მეთაურობით შეკრებილი მუშები მოყვნენ მტრის ალყაში. როცა არაქელამ მიმართა ზაქროს, რომ საქმე ცუდად არის და ვერ შევძლებთ დროშის ერევნის მოედანზედ ატანასო, ზაქრომ უპასუხა: „შე ყურუმსალო, განა იმას აქვს მნიშვნელობა, რომ დროშა ერევნის მოედანამდე მიიტანო? მნიშვნელობა აქვს ამართვას, აფრიალებას, თუ შენ უარს ამბობ, მოიტა აქ მე ავსწევ დროშას“-ო.

დროშა, იქმნა ამართული, გაიმართა ხელ-ჩართული ბრძოლა პოლიციელებს და მუშებს შორის: ხმალი, ხანჯალი, თოფი და კეტი აიარა ერთმანეთში. ცოტა ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს მტარვალეზმა. დროშა იქმნა წართმეული და რამდენიმე ამხანაგი დაჭერილი. როცა მედროშე არაქელა მოყავდათ გაქაჩული, ზაქრო ბალ-და-ბალ რევოლვერით ხელში მისდევდა და ეძებდა შესაფერ დროს, რომ თავს დასცემოდა დარაჯებს და ამხანაგი გაენთავისუფლებინა. ამ დროს დაჭერილმა მედროშემ გადასძახა, რომ საქმე წაგებულია და თავს უშველეო. ამის შემდეგ ზაქრო მისმა ორმა ძმამ ნიკომ და სანდრომ წაიყვანა.

ამით დასრულდა პირველ ღაისობის გამოსვალა ტფილისში 1901 წელს. მე ვთქვი ზემოთ, თუ ლავროვმა როგორ დაგვატუსალა. 1903 წ. გადაგვასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში.

სწორედ ჩვენ გადასახლებამდე 1903 წ. მოხდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ყრილობა ლონდონში. აქ პარტიაში განხეთქილება მოხდა. განხეთქილება გამოიწვია, როგორც ვიცით, იმ გარემოებამ, რომ პარტიაში იმ ხანებში ჩაისახა წვრილ-ბურჟუაზიული სულისკვეთება, რამაც ჩაუყარა საფუძველი განხეთქილებას. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ეს ორი მოპირდაპირე მიმართულება, ერთი მხრით წმინდა პროლეტარული, რომელსაც ამხ. ლენინი მეთაურობდა და, მეორეს მხრით, წვრილ-ბურჟუაზიული, ერთმანეთს მხარი-მხარს ვერ გაყვებოდნენ, ვერ შეეგუებოდნენ, რადგანაც ისინი, ცალ-ცალკე სულ სხვა ინტერესებს ემსახურებოდნენ. ლონდონის ყრილობაზე წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიის მიმდევრებს უმცირესობა მიეკედლა. აქედან წარმოიშვა **მენშევიზმი და ბოლშევიზმი**. მე აქ ახლა არ შეუდგები ამის ისტორიის წერას, ვიტყვი მხოლოდ, თუ საიდან წარმოიშვა ბოლშევიკ-მენშევიკობა. ეს ამბავი პირველად გვითხრა ჩვენ რიონის სადგურზედ, ეტაპით ციმბირისაკენ როცა





გაგვამგზავრეს, ჩვენთვის ძვირფასმა და დაუფიწყარმა, მენშევიკ-ესტრების ჯალათების მიერ წამებულმა ალიოშა-პროკოფი ჯაფარიძემ, რომელიც მოვიდა ჩვენს სანახავად სადგურზე და გადმოგვცა ეს ახალი ამბავი, თან დაამატა, რომ ჟორდანიამ მუშათა კლასს უღალატაო.

ზაქრომ ციმბირში ვერ მოისვენა; თუმცა უნდა გითხრათ, რომ მაშინ ციმბირში ბატონივით ვცხოვრობდით. თვეში გვაძლევდნენ ცხრა მანეთს და ათ შაურს, რომლითაც შესანიშნავად შეიძლებოდა ცხოვრება. გირვანქა პური ღირდა 2 კაპეიკი, ოთხი კაპეიკი გირვანქა ხორცი, 5 ფუთიანი ტომარა კარტოფილი 50 კაპეიკი, ზაქრო პირველ შემთხვევისთანავე გამოიქცა ციმბირიდან და დაიწყო მუშაობა ბათუმში, როდესაც არამც თუ ბათუმი, არამედ მთელი საქართველო წვრილ-ბურჟუაზიულ მენშევიკების პარტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. რაც მაშინ მენშევიკებმა ტანჯვა გაატარებინეს ზაქროს, ამხედ რომ ვილაპარაკოდ შორს წაგვიყვანს; ვიტყვი მხოლოდ, რომ რაც ნიკოლოზის მთავრობას არ უფიქრია მაშინ ზაქროზედ, იმას მენშევიკები ფიქრობდნენ.

ასე წარმოიდგინეთ, მოკვლაც კი დაუპირეს, ისე გაუჭირა მან მენშევიკებს საქმე.

ჩვენ, ზაქროსთან გადასახლებულები, დავბრუნდით ციმბირიდან 1905 წ. ივნისში. თითქმის ყველანი ციმბირიდან დაბრუნებულები მენშევიკები იყვნენ, მეც მათში ვიყავი. თუმცა სიმართლე უნდა გითხრათ, ციმბირში ისეთ მიყრუებულ სოფელში ვცხოვრობდი ორ წელიწადს, რომ არც ერთის, არც მენშევიკების და არც ბოლშევიკების არაფერი გამეგებოდა. ჩემი ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ, მაშინვე ჩამოვიდა ჟორდანიის სოფ. დიდ-ჯიხაიში და ამიხსნა ბოლშევიკურ-მენშევიკური მიმდინარეობა თავისებურად, უკუღმა. ძალიან კარგად მახსოვს, ჟორდანიის მიმტკიცებდა, რომ ბოლშევიკები გამოეყვნენ მუშათა პარტიას და შეუერთდნენ წვრილ ბურჟუაზიასაო, ამ მხრივ იმდენი მელაპარაკა, თითქმის დამაჯერა.

ამის შემდეგ ჩამოვედი ტფილისში, ვნახე ამხანაგები და მათ შორის, რასაკვირველია, ზაქროც. ზაქრომ მითხრა, თუ რას წარმოადგენდა საზოგადოდ მენშევიზმი და მასთან ერთად მისი სულის ჩამდგმელი ჟორდანიისა.

მე თუმცაღა მაშინვე ვიგრძენი, რომ ზაქრო მართალს ლაპარაკობდა, მაგრამ თავმოყვარეობამ დამძლია და უმტკიცებელი ჟორდანიის სიტყვებით მენშევიზმის უპირატესობას. ზაქრო ამან გააჯავრა და მითხრა: „შენ ჯამაგირის მენშევიკი ხარო“.

(მაშინ მენშევიკები ჯამაგირს აძლევდნენ მოწინავე მუშებს და ინტელიგენტებს).

ამის შემდეგ უნდა გამოგტყდე, ისევ ზაქრომ დამაყენა თავის გავლენის ქვეშ. ზაქრო დიდი ორატორი არ იყო, საზოგადოდ არც ბევრი ლაპარაკი უყვარდა. მაგრამ ისეთი ორგანიზატორული ნიჭი და მოქმედება ქონდა, რომ ლაპარაკი საჭირო არ იყო, მისი თავგანწირული დაუღალავი და მუდამ მომქმედი არსება ყოველთვის გავლენის ქვეშ დაგაყენებდა.

ზაქრო ისე ნდობით, სულით და გულით მოგენდობოდათ, ისე მოგექცეოდათ, რომ თვითონ საქმეს რომ გააკეთებდა თქვენ მოგაწერდათ. კაცი, რომ მშინშარა ყოფილიყო გულადად აქცევდა. მისი მოქმედება ისეთი იყო, თუ კაცი გაფუჭებული, გათახსირებული არ იყო, უეჭველად თავის ბრძანებას აგასრულებინებდა; თუმცაღა ის ბრძანების კილოთი თავის დღეში არავის არაფერს ეტყოდა. ამხანაგებზე ამას ცუდს ვერასდროს ვერ ათქმევინებდი.

ზაქროს ერთი ნაკლი ქონდა. თავის დღეში დანიშნულ ალაგს დანიშნულ დროზე არ მოვიდოდა. ამისთვის ბევრჯერ გავლანძღვით. მაგრამ ის თავის დღეში თავის გამართლებას არ დაიწყებდა და არ გეტყოდა მიზეზს, თუ რათ დაიგვიანა. „რა ვქნა, დამაგვიანდა და მაპატიეთო“. ბოლოს გავიგეთ, რომ დანიშნული დრო და ალაგი ბევრი ქონდა და ყველგან მისვლას თავის დროზევე ასწრობდა.

1900 წელში\*) ფედერალისტების მამამთავარი არჩილ ჯორჯაძე ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან. დაგვიბარა ჩვენ. მახსოვს მაშინ იქ იყვნენ ზაქრო, ვანო სტურუა, მ. ბოქორიძე, და არაქელა. არჩილ ჯორჯაძეს სურდა ჩვენი განაციონალისტება. მაგალითად, ძალიან კარგად მახსოვს, როცა ჯორჯაძემ გვითხრა: „კაცო, ვითომ რა იქნება ამოიღოთ სიტყვა „სოციალ“ და მის ადგილას ჩასვით „ნაციონალ“-იო. ერთი სიტყვით მისი აზრით ნაციონალ-დემოკრატებად უნდა გავეხადეთ. ზაქრომ, ამ ყოველთვის და ყველგან მუშათა კლასის ინტერესების დამცველმა ასე მიუგო: „ბარემ გვითხარი, რომ მუშებს ყელები გამოვჭრათ და ბურჟუაზიის გასამაგრებლად ვიბრძოლოთო“. ჯორჯაძემ უპასუხა: „მთელი ევროპა შემოვიარე და თქვენისთანა მუშები არ მინახავსო“. „ალბად თქვენ მუშები სრულებით არ გინახავთ, თქვენ გეტყობათ მარტო ბურჟუები და არისტოკრატები გინახავთ ევროპაშიო“, მიუგო ზაქრომ. ამის შემდეგ ჯორჯაძე, რასაკვირველია, წავიდა თავის გზით, ხოლო ჩვენ, — ზაქროს მეთაურობით — ჩვენის გზით წავედით.

ერთხელ, კარგად არ მახსოვს, 1897 თუ 1898 წელს, პაპიროზის ფაბრიკაში გათიქვას ვახდენდით. ფაბრიკის მუშები წავიყვანეთ

\*) ჩვენის აზრით აქ ამხ. გ. ჩხეიძე ცდება: ეს უნდა ყოფილიყო შემდეგ წლებში და არა 1900 წელს.

ნაქალაქის უკან გორაზე. ავტორად მოვიყვანეთ ვასო ცაბაძე, რომელმაც ქართული ენა კარგად იცოდა, მაგრამ მუშებმა ცაბაძის წასვლის შემდეგ სთხოვეს ზაქროს, რათა ამ უკანასკნელს აეხსნა ცაბაძის ნალაპარაკები. როდესაც ზაქრომ აუხსნა, მაშინ მუშებმა სთქვეს: „აი ეხლა კი გვესმისო“. ნათქვამია, ბავშვის ენა დედამ იცისო. აი სწორედ ამ დედის როლში გამოვიდა ზაქრო ფაბრიკის მუშებთან. ზაქრომ იცოდა იმათი ენა, ისინი უფრო გაიგებდნენ ავლაბრულ ქართულს ვიდრე ლიტერატურულს, რომელზედაც ცაბაძემ ილაპარაკა. ზაქრომ იცოდა ერთიც და მეორეც, ამასთანავე იგი ღრმად იყო ჩაწდომილი მუშების ფსიქოლოგიაში, მათ სულის მოძრაობაში.

1908 წ. ზაქროს ნაწევ-ნადაგი, მისი საკუთარი ფრჩხილებით, მისი ინიციატორობით გაკეთებული იარაღის საწყობი და სტამბა, რომელიც იყო მოთავსებული არაქელას სახლში, ნადიროვკაში, ჩაუვარდა ხელში პოლიციას; არაქელა ოქუაშვილი დატუსაღებულ იქმნა, ხოლო ის კი, ვისაც საწყობი ებარა, **ერიქოვი**, ვითომდა გაიქცა. ერიქოვი რაღაც უცნაური გარეგნობის კაცი იყო, არაჩვეულებრივად წითელი, რომლის მაგვარიც, არამც თუ ტფილისში, არამედ მე მგონია მთელ დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება. ბოლოს გამოირკვა, რომ სწორედ ამ ერიქოვმა გასცა ის საწყობიც და ჩვენც მასთან ერთად. ზაქრო იმ დროს რკინის გზაზედ მუშაობდა; გაიგო თუ არა არაქელას საწყობის დაქერა, ისიც მაშინვე დაიძალა. დაუწყეს ძებნა, მაგრამ ის თავის თავზე იმდენს არა ფიქრობდა, რამდენადაც საქმეზე და სხვებზე. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან მავალითს. ტყვილათ გამოქცეული ერიქოვი ვითომ ემალებოდა მთავრობას და მოინდომა ქალაქიდან წასვლა. ზაქრომ იშოვა შავი საღებავი და ისე შეღება ეს წითელი გამცემი, რომ ჩვენც კი ვერ ვიცანით და ვაგზავნა ბაქოში ბაქრადის პასპორტით. რამდენიმე დღის შემდეგ თვითონაც წავიდა იქ და მივიდა თავის წითელ, შავათ შეღებულ ერიქოვთან. მეც, თქვენი უმორჩილესი მონა, დამიჭირეს ამ საქმეზედ რამდენიმე ხნის შემდეგ და მიმბრძანეს არაქელასთან მეტეხში. როცა არაქელას საბრალმდებლო ოქმი ჩააბარეს, იქ ეწერა ერიქოვის ნათქვამი, რომ ზაქროს და არაქელას მოქონდათ და მიქონდათ იარაღი, ხოლო სად მიქონდათ არ ვიცისო. არაქელას მიაკრეს რვა წლის კატორღა, მე გამგზავნეს ხუთი წლით იაკუტსკში. ჩვენ თუმცა წავიკითხეთ ოქმში ერიქოვის ჯამუშობა, მაგრამ იქამდე გულუბრყვილები ვიყავით, მაინც არ გვჯეროდა, ერიქოვი როგორ გაგვცემდა, ეს მთავრობამ მოუგონაო. ზაქრო ამ დროს არა-ლეგალურათ მუშაობდა. მეც ეტაბიდან, გზიდგან გამოვიქეცი და მივედი ბაქოში ზაქროსთან, ზაქრო კი ერიქოვთან ცხოვრობდა. აქ ვანო სტურუამ დაგვიწ-



ყო რწმუნება, რომ ერიქოვი გამცემია, ჯაშუშიაო. მაგრამ ჩვენ მაინც არ გეჯეროდა. ჯაფარიძესთან ერთად წამებული, კარგად ცნობილი სტეფანე შაუმიანი სულ გვეუბნებოდა: „რას ამბობთ, ერიქოვის ჯაშუშიაობა როგორ შეიძლება“-ო. ზაქროს ბაქოში დღე-ღამე არ ეძინა, მუშაობდა პარტიაში. ბოლოს უკვე ემჩნეოდა, რომ მისი ბაქოში დარჩენა შეუძლებელი იყო. მოველაპარაკეთ გემის კაპიტანს, რომელიც შეგვპირდა, ზაქროს სპარსეთში გავიყვანო. იმ ღამესვე გაუკეთეთ პასპორტი; მეორე დღეს უნდა წასულიყო, მაგრამ იმ ღამეს დაიჭირეს. და რადგანაც ახალი პასპორტი ვერ უნახეს, ჰკითხეს: „რა უყავი ის პასპორტი სპარსეთში წასასვლელად რომ გავიკეთეს“-ო? ახლა კი ეჭვი შეგვეპარა ერიქოვზე. რამოდენიმე ხნის შემდეგ მეც მიმამბრძანეს ზაქროსთან და როდესაც უთხარი, რომ ერიქოვი გამცემია მეტი-„მეორედ არ მითხრა, თავის დღეში მაგას არ დავიჯერებო“. ზაქრო მოკვდა კატორღაში, დარწმუნებული ერიქოვის სისპეტაკეში.

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ გამოირკვა, რომ ნიკო ერიქოვი იყო აგენტი ჟანდარმერიის და იღებდა თვეში ხუთ თუმანს. ერიქოვზედ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ იმაზე არ ღირს არც ქალაქის გაფუჭება და არც მკითხველისთვის დროს წართმევა. ის უკვე დახვრეტილია.

ზაქრო წამოიყვანეს ბაქოდან ტფილისში და მიუსაჯეს უკვე წინასწარ გადაწყვეტილი რვა წლის კატორღა. კატორღიდან აქვს მას რამდენიმე წერილი თავის ძმასთან. მიხასთან, გამოგზავნილი. ზოგი უკვე დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“, დანარჩენიც დაიბეჭდება, ამიტომ ჩვენ მას არ შეგვხვებით. მხოლოდ ვიტყვი, რომ ზაქრომ, ჯანით სუსტმა, თუმცა სულით ძლიერმა, ვერ აიტანა კატორღის ჯოჯოხეთური პირობები და დალია თავისი ძლიერი სული რევოლიუციის მოლოდინში. ექვსი თვის შემდეგ, მისი სიკვდილისა, კიდევ იფეთქა რევოლიუციამ, მაგრამ ჩვენი ძვირუასი ზაქრო ვერ მოესწრო და ვერ ნახა თავისი მტარვალების დამარცხება.

ზაქრო რომ მგვანებოდა ზოგიერთ ამხანაგებს, რომლებიც თავის თავზე უფრო მეტს ზრუნავდენ, ვიდრე საქმეზედ, შეიძლება დღესაც ცოცხალი ყოფილიყო.

ზაქრო არც ტანისამოსზე და საქმელზედ ფიქრობდა. ჩვენ ძალიან კარგათ გვახსოვს, როცა ძალით უყიდეთ ტანისამოსი და ჩავაცვით, აგრეთვე საქმელს ბევრჯერ ჩვენ ვუკეთებდით და ისე ვაქმევდით, თორემ მას ამისათვის არ ეცალა. ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც პარტიული მუშაობის დროს საქალის ჭამა დავიწყებია და იქამდე მისულა, რომ შიმშილის გამო წაქცეულა. აგრეთვე მუშაობის დროს ჭამა ავიწყდებოდა და როცა ძალიან დასუსტდებოდა

მიწვევბოდა. „რას შერები, ზაქრო, რათ წევხარ“—ვეკითხებოდი, —  
„ვისვენებო“, თუმცა კი შიმშილით იყო მისუსტებული. ზაქრო იმ-  
დენათ იყო გატაცებული მუშათა მოძრაობით, რომ ამის მეტი არა-  
ფერი აგონდებოდა.

გ. ჩხეიძე.

## მოგონება

**ზაქრო ჩოდრიშვილზე, თუ ვინ იყო იგი, სად დაიბადა და რა პირობებში აღიზარდა, მისი ძმის მიხა ჩოდრიშვილის მიერ დაწერილი.**

**ზაქრო ჩოდრიშვილი** დაიბადა 1867 წელს ქალ. სიღნაღში ერთ ღარიბ ოჯახში. ზ. ჩოდრიშვილის მამა იყო ქ. სიღნაღის მცხოვრები, იგი ცხოვრობდა თავის მამა-პაპეულ სახლში, რომელიც მდებარეობდა სიღნაღის დასავლეთის მხარეს და რომელსაც ეწოდება მიხანანთ ხევი-კლდე, და აი ამ ხევი-კლდის პირად სდგას ერთი ღარიბულად აგებული ერთ-სართულიანი პატარა სახლი, ერთ ოთახიანი, რომელშიაც სცხოვრობდნენ ზაქ. ჩოდრიშვილის მშობლები: **ხოხია** და **ანა**, ექვსი წერილი შვილებით და იკვებებოდნენ მხოლოდ ოჯახის უფროსის დღიური შრომით. სოსიას სიკვდილის შემდეგ მთელი ოჯახი გადმოსახლდა ტფილისში და დაბინავდა კუკიის ერთ მივარდნილ ქუჩაში, კვირაცხოვლის გადმოღმა. დედამ შვილები შევირდებად მისცა ზოგი ხელობაზე და ზოგი ვაჭრობაში. ზაქრო ჯერ სულ პატარა 6—7 წლის მიაბარეს თამბაქოს ფაბრიკაში შევირდად. რამოდენიმე წლის შემდეგ იგი გადაიყვანა თავისთან დურგლობაზე უფროსმა ძმამ მიხამ, რომელიც მუშაობდა ზეიცერის სადურგლო ფაბრიკაში მიხეილის ქუჩაზე.

ამ ფაბრიკის მეორე მხარე ეკირა საქალაქო საოსტატო სასწავლებელს (სამასწავლებლო ინსტიტუტს). ამ სასწავლებელთან იყო სამოქალაქო სკოლა, რომელშიაც 1877 წელს ზაქრო შევიდა, სადაც მან სწავლა დაამთავრა 1881 წელს. უნდოდა საოსტატო სასწავლებლის დამთავრებაც, მაგრამ გარემოებამ ხელი შეუშალა და ამიტომ აქედან სახელოსნო სკოლაში შევიდა, რათა იქ ხელობა ესწავლა. 1884—85 წ. წ. აქ მოწაფეებსა და სკოლის ადმინისტრაციის შორის მოხდა განხეთქილება მოწაფე კაკაბაძის მეთაურობით. სკოლის დირექტორი ვალახული იქნა და ამის შემდეგ რამოდენიმე—მოწინავე დაითხოვეს სახელოსნო სკოლიდან და მათთან ზაქროც.

ზაქრო ჯერ კიდევ სკოლაში იყო, რომ ტფილისში 1880 წლებში არსებობდა პატარა **ჯგუფი სოციალისტურად წოდებული**, სა-



ხელდობრ **ნაროდნიკური**, რომელშიაც ზაქროს უფროსი ძმები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ, აგრედვე რუსეთიდან გადმოსახლებული რუსი—ამხანაგები, ზოგი მუშა და ზოგი სტუდენტი, ლაპარაკობდნენ და მსჯელობდნენ, თუ რა ხდებოდა რუსეთში იმ ხანებში, თუ რათ ატუსაღებენ სტუდენტებს და მუშებს პოლიციელები, რაში გამოიხატება სოციალისტური მოძრაობა და სხვ.

აი ასეთ ოჯახში იზრდებოდა ზაქრო. რადგან ჯერ იგი სკოლაში იყო და თან პატარაც, უფროს ძმებს არ უნდოდათ, რომ იგი კრებებს დასწრებოდა, რადგან ეშინოდათ, რომ ზაქრო გულს აიცრუებდა სწავლაზე, და ამიტომ მის კრებებზე არ უშვებდნენ. მაგრამ პატარა ზაქრო მიანიც ახერხებდა ამ კრებების ყურებას კარების ქუქრუტანებიდანაც. ამ ნიადაგზე ასეთ შემთხვევას ქონდა ადგილი.

ერთხელ ძმამ შეამჩნია რომ ზაქრო კრებას ყურს უგდებდა კარების ქუქრუტანებიდან.

ამაზე ძმა ზაქროს ჯერ გაუჟავრდა და მერე დარიგებით უთხრა, რომ ჯერ შენი დრო არ არის, რომ ამისთანა კრებებს ყური უგდო, ჯერ სწავლაში ხარ და სწავლა არ დაგიმთავრებია და როცა კი სწავლას დაამთავრებ, უფრო კარგი დრო გექნება და ახლა კი შენთვის ნაადრევია ყოველივე ეს, წადი ისევ შენი გაკვეთილები ისწავლე, ეს უფრო კარგი იქნება შენთვისო. ზაქრო ძმას დიდ პატივსაც სცემდა, ყოველივე მის რჩევა-დარიგებას უსიტყვოთ ასრულებდა, მაგრამ ახლა კი გაბედა და უთხრა: ძმაო, ახლა მე ისეთი უგუნური და პატარა აღარ ვარ, რომ ჩვენი საიდუმლოება ქვეყანას მოვფინო და ან სწავლაზე გული ავიცრუვო; პირიქით, მე ვუიქრობ, რომ უფრო გამოიორკეცდება სწავლა-ცოდნის წყურვილი და სურვილი, ვინაიდან მეც მიინდა გავიგო, თუ რა ხდება სკოლის გარეშე ქვეყანაზე. მე მგონია არც შენ უნდა დამიშალო, რომ სკოლის გარეშეც ვიმეცადინო და შევისწავლო პრაქტიკულად ცხოვრების ავ-კარგო. ძმას ეს წრველი ლაპარაკი ზაქროსი ისე მოეწონა, რომ სიხარულით გადაკოცნა და უთხრა ზაქროს: მაშ კარგი. მოკიდა ხელი და შეიყვანა კრებაზე, სადაც სხვათა შორის იყვნენ ორი რუსი ამხანაგი ციმბირიდან მოსულები, რომელთაც ვადა გაეთავებიათ იქ და მხოლოდ აქ, ჩვენში, ტფილისში ქონდათ ცხოვრების ნება. ერთი მათგანი იყო მუშა **ა. გაღავაცკი** და მეორე სტუდენტი **ლუბინსკი**. ისინი იყვნენ მოსკოვიდან გადასახლებული ციმბირში და ციმბირიდან კი ტფილისში გადმოსახლებულნი. უფროსმა ძმამ კრებას გააცნო ზაქრო.

ზაქრომ პასუხი ვაცა ზოგიერთ ამხანაგების შეკითხვაზე, რითაც ყველაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ დღიდან მან დიწყო ასეთ კრებებზე სიარული. ეს კრებები იმართებოდა ძმათა ჩოლრიშვილის სახლში. ამ კრებებზე შემდეგში თვით ზაქარიასაც მო-

ყავდა ზოგიერთი თავისი ტოლ-ამხანაგები. ჩოდრიშვილების სახელმძღვანელო დაბინავდნენ ის ორი ციმბირელი ამხანაგები, რომლებიც ზევით მოვიხსენიეთ. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ზაქროს სოციალისტურ საფუძველზე მომზადებას. ამავე ციმბირელ ამხანაგებს ქონდათ ბევრი კარგი წიგნები რუსულ ენაზე, და ზაქარიასთან ერთად მთელი ღამობით კითხულობდნენ ამ წიგნებს და ვითარდებოდნენ.

როგორც ზემოთ მოვახსენეთ ზ. ჩოდრიშვილი არეულობის გამო სახელოსნო სკოლიდან დათხოვნილი იქნა 1888 წ. მიწურულეში. 1889 წელს იგი შევიდა რკინის გზის მთავარ სახელოსნოში. ამ წელს რკინის გზა გადავიდა ხაზინაში და ახალმა სამართველომ გამოაცხადა, რომ აკორდი დაკლებულია 50 პროცენტით და სამუშაო დღეს მოემატა კიდევ ერთი საათი ე. ი. 10 საათის მაგიერ შემოღებულ იქნა 11 საათის მუშაობა. შემოიღეს სასტიკი წესები, ისე რომ 5 წუთით დავვიანება იწვევდა ნახევარ დღის ქირით დაჯარიმებას. ამაზე მუშები გაიფიცნენ და გავიდნენ დიდუბის მინდორზე. თხოულობდნენ ამ წესების გაუქმებას, მაგრამ შეუგნებელი და შეუკავშირებელი მუშები მალე დამარცხდნენ და განაახლეს მუშაობა. ეს იყო პირველი გაფიცვა ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე. ამის გამო ბევრი ცოტად თუ ბევრად მომზადებული მუშები დაისაჯენ, ზოგი ციხეში ჩასვეს, ზოგიც დაითხოვეს. ამ უკანასკნელებში მოხდა ზაქარიაც, რომელიც ამიტომ იძულებული შეიქნა ტფილისი დაეტოვებია და 1891 წელს ბათუმში ნობელის ქარხანაში დაეწყო მუშაობა. მაგრამ აქაც მუშებმა მოითხოვეს პირობების გაუმჯობესება, ეს არ მოეწონა ქარხნის გამგეს და რამოდენიმე მუშა დათხოვნილი იქნა. ამათში მოყვა ჩვენი ზაქარიაც.

რომ ქუჩაზე არ დარჩენილიყო 1892 წ. იგი შევიდა მუშების დემტვირთველ-გადამტვირთელ არტელში, როგორც უბრალო მუშა. აქ მან მძიმე სამუშაოს ვერ გაუძლო და ავით გახდა. ამიტომ 1895 წელს ისევ ტფილისში დაბრუნდა და ერთ დროს რომელღაც რედაქციაში გაზეთის დამტარებლად იყო, მაგრამ მოსამსახურეებს არ მოეწონათ მისი თამამი და გაბედული ლაპარაკი და დაითხოვეს. 1884 წელს ზაქრო ტფილისის სამხედრო სახელოსნოში (არსენალში) შევიდა, აქედან 1895 წელს გადავიდა ისევ რკინის გზის დეპოში.

დაახლოებით 2-3 წლის შემდეგ მან დაიწყო მუშაობა ახლად დასაარბულ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციაში, რომელიც ეს იყო პირველად იმ ხანებში გაჩნდა ჩვენში და რომლის მეოხებით მომზადდა 1901 წელს პირველი მაისის დემონსტრაცია. დემონსტრაციის გეგმა და ორგანიზაცია მომზადდა ზაქრო ჩოდრიშვილის ბინაზე ნახლოვებაში, სადაც ფიცვიც დასდეს, რომ რათაც უნდა დაგვიჯდეს 1901 წელს პირველი მაისი საჯაროდ ვიდღესასწაულოთ წითელი დროშის აფრიალებით. ფიცვი სისრულეში იქნა მოყვანილი:

1901 წელს 22 აპრილს ტფილისში მოხდა მუშების დიდი დემონსტრაცია წითელი დროშის აფრიალებით. მაგრამ შემდეგ კი გაძლიერდა ჭერა-დაპატიმრება და 1902 წელს ზაქრო ჩოდრიშვილიც იქნა დაპატიმრებული თავის 18 ამხანაგით და შორეულ ციმბირში გადასახლებული, საიდანაც დაბრუნდა 1904 წელს და დაიწყო სხვის გვარზედ მუშაობა ბათუმსა და ტფილისში, ხოლო 1908 წელს, ბაქოში, ხელახლა იქნა დატუსაღებული; იგი ჩამოიყვანეს გასასამართლებლად ტფილისში და მიუსაჯეს 8 წლის კატორღა. 1910 წელს გავზავნეს იაროსლავის საკატორღო ციხეში, ხოლო 1914 წ. აქედან გადაიყვანეს ნიკოლაევის საკატორღო ციხეში, სადაც 1916 წელს 3 იპრილს გარდაიცვალა.

1908 წელს ზაქრო და სხვა მისი ამხანაგები გასცა პროვოკატორმა ერიქოვმა. ზაქრო ამ დროს განაგებდა ნადიროვკაში საიდუმლო პარტიულ სტამბას და იარაღის საწყობს, რომლებიც ბოლშევიკების ორგანიზაციას ეკუთვნოდნენ.

ამნაირად შეეწირა იგი მსხვერპლათ მუშათა საქმეს.



# ავტობიოგრაფიები

## I

### ლადო [ვლადიმერ] ლუგბაძე.

მე ვარ 44 წლის, მუშა, პროფესიით ასოთ ამწყობი, საშუალო შეძლების გლეხის შვილი. დავამთავრე სამ-წლიანი სოფლის სკოლა 1892 წ. მამა ჩემმა მიმბარა მოწაჟეთ ქ. ოზურგეთში თავართქილადის და მიქელაიშვილის სტამბაში. ერთი თუ ერთნახევარი წლის შემდეგ მათ მეორე სტამბა გახსნეს ახალ-სენაკში და სხვებთან ერთად მეც იქ გადამიყვანეს. კვირა დღეს მუშაობაზე უარის თქმის გამო ძლიერ ვაბრაზდა ჩემზე ხაზეინი და კიბიდან გადმომავდო. მე ძლიერ შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი, გავეშურე მისკენ და მიხდოდა დამეჩხება ცულით, მაგრამ იარაღი აწყარეს, დამაპატიმრეს და გამგზავნეს პოლიციის „კუტუხკაში“. იქ ვიჯექი ორი დღე. მილიციას სურდა ჩემი გაგზავნა სახლში ეტაპით, მაგრამ მოხელე მკინძავმა ნიკოლაიშვილმა და მისმა ბიძამ მასწავლებელმა იასონ ნიკოლაიშვილმა წერილობითი პირობა დასდეს, რომ მე სახლში წამიყვანდნ და მეც თავდების ქვეშ გამომიშვეს იმავე საღამოს. პირველი მატარებლით ნიკოლაიშვილმა წამიყვანა სახლში. მაშინ მე ვიყავი 14 წლის. მე სახლში დავრჩი ერთი წელი, შემდეგ წამიყვანეს ბათომში და მიმბარეს იმავე თავართქილადის სტამბაში.

დავამთავრე სწავლა და შევირდის თანამდებობაზე მე ვმუშაობდი ბათომის თითქმის ყველა სტამბებში.

1900 წლის დასაწყისში მე ვმუშაობდი გურსკის სტამბაში, სადაც იბეჭდებოდა შავრახშული გაზეთი „ჩერნომორსკი ლისტოკ“-ი პალმოვის რედაქტორობით. გაზეთი აწარმოებდა სასტიკ ხულიგანურ კომპანიას ახლად აღმოცენებულ სოციალ-დემოკრატიულ („მესამე დასელები“-ს) მოძრაობის წინააღმდეგ.

ბათომის ქალაქის საბჭოს წინასწარ საარჩევნო კამპანიის დროს, ჩვენ, მუშებს წინადადება მოგვცა ისიდორე რამიშვილმა და კარლო ჩხეიძემ (ისინი მაშინ მასწავლებლები იყვნენ ბათომში) უფროსი ამხანაგის, ასოთ ამწყობის, მაქსიმე წულაძის საშუალებით, შეგვეჩერებია ამ ხულიგანური გაზეთის ბეჭდვა, არჩევნების დროს მაინც. ჩვენ მოვაწყვეთ გაფაცვა, დავშალეთ აწყობილი გაზეთი და ამ რიგად

ერთი კვირის განმავლობაში არ გამოუშვით გაზეთი, სანამ ტფილისიდან არ ჩამოიყვანეს ასოთ-ამწყობები შტრეიკბრეხერები. მესამე დღეს ჩვენ წაგვიყვანეს პოლიცემისტერის კანცელარიაში, გაგვაჩერეს რამოდენიმე საათს და შემდეგ გამოგვიშვეს ყველანი ამხ. ს. თოდრიას გარდა, რომელმაც ლაპარაკის დროს ხელი გაიშვირა მეფე-ნიკოლოზის სურათისაკენ. როგორც მეუვის შეურაცხყოფელი, ის ორი დღით დააკავეს. „იდეურად“ ამ გაუცივას ხელმძღვანელობდა ჭლასა მგელაძე.

1900 წლიდან იწყება ჩემი რევოლუციონური მუშაობა. ვაწყობდი და ვბეჭდავდი არა-ლეგალურ ბროშურებს-„ოთხი ძმა“ „ობობები და ბუზები“ და სხვა არა-ლეგალურ გამოცემებს. იმავე წლის დასასრულს ბათომში დაარსდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ჯგუფი, რომელსაც მე მივემხრე ფაქტიურად.

1902 წელს, ბათომის მუშების საყოველთაო გაფიცვის დროს (9 მუშის მოკვლის გამო), რომელშიაც მეც ვღებულობდი მონაწილეობას, მე და ამხ. თოდრიას დაგვაკისრეს მოგვეწყო სასწრაფოდ არა-ლეგალური სტამბა ფურცლებისათვის, რაც ჩვენ კიდევ შევასრულეთ. ვმუშაობდით რა სამეცადინო საათებში კერძო სტამბებში და ვპოულობდით საარსებო საშუალებას, საღამოობით და უქმე დღეებზე ჩავდიოდით იატაკ-ქვეშ და ვბეჭდავდით არა-ლეგალურ ფურცლებს რ. ს. დ. მ. პ. ბათომის ორგანიზაციისათვის.

1902 წლის დასასრულს, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კავკასიის საკავშირო კომიტეტის დადგენილებით მე გადამიყვანეს ბაქოში რ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტის არა-ლეგალური სტამბის პროფესიონალურ პარტიულ მუშაკად.

ამ სტამბაში იბეჭდებოდა მაშინ გაზეთი „ისკრა“ და მრავალი არა-ლეგალური გამოცემანი მთელი რუსეთისათვის.

ამ სტამბაში, ჩემს გარდა, მუშაობდნენ აგრეთვე აბელი ენუქიძე, ტრიფონ ენუქიძე, ვანო სტურუა, სილიბისტრო თოდრია, ვანო ბოლქვაძე და სხვები. 1903 წ. ივნისში იმავე რ. ს. დ. პ. კავკასიის საკავშირო კომიტეტის დადგენილებით მე გადმომიყვანეს ბაქოდან ტფილისში, იმავე კავკასიის კომიტეტის არა-ლეგალურ სტამბაში. აქ ჩემთან ერთად მუშაობდნენ ამხანაგები: ვანო ბოლქვაძე, რომელიც აგრეთვე გადმოყვანილი იყო ბაქოდან და ვასო (პატარა) ურუშაძე. ამავე წლის ოქტომბერში, დიდი კოკისპირული წვიმის დროს, ნაძალადევში, ნიაღვარმა წაიღო ჩვენი პატარა სახლი, რომელშიაც მოთავსებული იყო ჩვენი არა-ლეგალური სტამბა და ორგანიზაცია რამოდენიმე ხნით მოკლებული იყო ტექნიკურ საშუალებებს. მაშინ მე კავკასიის საკავშირო კომიტეტმა დამავალა სასწრაფოდ, დროებით მაინც, მომეძებნა სტამბისათვის შენობა. მე ვიშოვნე ასეთი ჩუღურე-



თში, ამატუნევის ქუჩაზე, ვარდენ გვენცაძის—მუშა-ხელოსანის სახლში. ეს ადგილი მაინცა და მაინც არ იყო გამოსადეგი, რადგან საჭირო იყო ტენიკის გაფართოება და ჩვენ ამხ. ბოჭორიშვილთან ერთად შეუდექით უფრო დიდი სტამბის მოწყობას: ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიის მახლობლად შევიძინეთ დავით როსტომაშვილისაგან (ყოფილი რკინის გზელის, ხოლო იმ დროს ვაჭარისაგან) ორი ნაჭერი მიწა და ჩემი ხელმძღვანელობით და მეთვალყურეობით ავაშენეთ კავკასიის საკავშირო კომიტეტის საკუთარი სახლი, რომელიც შესდგებოდა 3 სართულისაგან: ერთი სართული ორი ოთახით მიწის ზემოდ და ორი სართული მიწის ქვემო (სარდაფი-სარდაფის ქვეშ) ამ სარდაფის ქვემო სარდაფში მე მოვაწყვე არა-ლეგალური სტამბა რომელშიც მოიპოებოდა ერთი საშუალო ზომის პოლიგრაფიული საბეჭდავი მანქანა, ერთიც ამერიკული, შრიფტების 12 კასა და ერთი საბროშურო. ამ სტამბაში ჩემთან ერთად მუშაობდნენ შემდეგი პირები: მიწის ზემოდ ოფიციალური დიასახლისი იყო საქართველოს რევოლუციის ბებია ბაბაღე (ლაშაძე), ტიტკო კალანდაძე, მანასი გოგუაძე, ტიგრან ვარტანოვი, გიგო ლელაშვილი და ვასო ურუშაძე. ამ სტამბაში იბეჭდებოდა სამი რეგულიარული ჟურნალი: „ბრძოლა“ ქართულ ენაზე, „ბორბა“ რუსულ ენაზე და „ბანგორი კრივი“ სომხურ ენაზე. ამ ჟურნალებს გარდა იბეჭდებოდა აუარებელი ბროშურები, ფურცლები და მოწოდებები ყველა ენებზე. ამ სტამბაში შესასვლელად უნდა გავველო ორი ჭა, 30 საენი სიმაღლით, პირველში ვეშვებოდით ბაწრით, 10 საენი გვირახის გავლის შემდეგ შევდიოდით მეორე დახურულ ჭაში, რომლიდანაც ხის კიბის საშუალებით ავდიოდით სარდაფის—ქვემო სარდაფში, სადაც მოთავსებული იყო სტამბა. ამ სტამბამ იმუშავა აღნიშნული შტატით 1905 წლის 17 ოქტომბრამდე, გადატრიალებამდე, ხოლო შემდეგ დაეხურეთ, რადგან ღრობებით საშუალება მოგვეცა ლეგალური მუშაობისათვის.

1906 წ. იანვარში, რეაქციის გაძლიერებას, მე კვლავ წინადადება მომცა კავკასიის საკავშირო კომიტეტმა, რათა დამეწყო მუშაობა არა-ლეგალურ სტამბაში. განახლების შემდეგ ვმუშაობდით შემდეგი ამხანაგები: მე, მანასი გოგუაძე, მაკარი გოგუაძე, ლელაშვილი და ტიგრან ვართანოვი. ოფიციალური დიასახლისი იყო ამხ. მარო ვოგუაძე. მუშაობის განახლებიდან 15 დღის შემდეგ მე მომიხდა იქ მუშაობისათვის თავის დანებება. რ. ს. დ. პ. ცეკამ მე, ამხ. ვანო ბოლქვაძესთან, ტიტკო კალანდაძესთან და აბელი ენუქიძესთან ერთად მომითხოვა პეტროგრადში ამავე არა-ლეგალურ მუშაობისათვის. პირველად ჩვენ ოფიციალურად მოვეწყვეთ ლეგალურ პარტიულ სტამბაში ჯერ ლიტინის ქუჩაზე, ხოლო შემდეგ ფონტოკზე, მაგრამ ამ ლეგალურ სტამბაში იბეჭდებოდა არა-ლეგალური ლიტერატურა და მუშაობას ვასრულებდით მხოლოდ ჩვენ.



რეაქციის გაძლიერებისა და ლეგალური სტამბის დახურვის შემდეგ, ჩვენ წინადადება მოგვცეს გადაგვეტანა საჭირო მასალები ფინეთში ქ. ვიბორგში და იქ მოგვეწყო ბეჭდვის საქმე. შრიფტის პირველი პარტია წავიღეთ მე და ამხ. ბოლქვაძემ, მაგრამ ამხ. შლიხტერი, რომელთანაც ჩვენ უნდა მივსულიყავით, სახლში არ დაგვიხვდა და ჩვენ ქუჩაში დავრჩებოდით, რომ არ გვენახა ამხანაგი ლენინი, რომელიც ჩამოვიდა ამხ. შლიხტერთან. მე მივმართე მას და აუხსენი რაშიც იყო საქმე. ამხ. ლენინმა მაშინვე წაგვიყვანა ჩვენ მეორე ამხანაგთან. ეს იყო დამის 12 საათზე. ვიბორგში ჩვენ მოვაწყვეთ სტამბა შვეციის ერთ-ერთ ლეგალურ სტამბაში. იქ იბეჭდებოდა ორი არა-ლეგალური რევოლუციური გაზეთი „პრავდა“ და „ვპერიოდ“ და ბევრი ფურცლები და ბროშურები. ამ სტამბაში მუშაობდნენ ჩემთან ერთად შემდეგი ამხანაგები: ბოლქვაძე, ენუქიძე ტრიფონი, ყარამან ჯაში, მაკარი გოგუაძე, ვიქტორ კოსო და შემდეგ ამხ. სილიბისტრო თოდრია და სოფიო (თოდრიას ცოლი). ეს სტამბა მუშაობდა 1907 წლის ბოლომდე რეაქციის გაძლიერებამდე, როდესაც დააპატიმრეს რუსეთის მრავალი რევოლუციონერები. ამის შემდეგ ჩვენ იძულებული ვიყავით გადმოვსულიყავით პეტერბურგში, სადაც უმთავრესად ვმუშაობდით ლეგალურათ. 1908 წ. 9 აპრილს მე დამაპატიმრეს მოქალაქე ბუხმილტერის კერძო ლეგალურ სტამბაში. დააპატიმრეს თვით სტამბის პატრონიც. ვიჯექი „ოლინოჩკაში“ „კრესტებში“ და წინასწარი დაპატიმრების სახლში—სრული ორი წელი. 1911 წ. დეკემბერში გამასამართლეს მთელს ჯგუფთან ერთად, რომელიც შესდგებოდა 14 კაცისაგან, რაღაც მოსაზრებით მეც მიმაწერეს პეტროგრადის კომიტეტის ამხანაგებს. სასამართლოდან მე შევსძელი გაქცევა (გამოიტანეს განაჩენი და მომისაჯეს გადასახლება იქ დასახლებით) და ბაქოში ჩამოსვლა. იქ მე ბაქოს ორგანიზაციამ დამავალა არა-ლეგალური სტამბის მოწყობა, რასაც მე კიდევ შეუდექი, მაგრამ არ დამცალდა მისი დაბოლოება, მე გამცა პროვოკატორმა ერიქოვმა და დამაპატიმრეს 1912 წელს, ივლისში. დეკემბერში მე გადამასახლეს ირკუტსკის გუბერნიაში, ვერხოლოვსკის მაზრაში ილძინსკის თემში. იქ მე დავჰყავი 1917 წლის თებერვლის გადატრიალებამდე.

მონაწილეობას ვღებულობდი პარტიულ, პროფესიონალურ და გადასახლებულთა ორგანიზაციებში. პირველად ვმუშაობდი ლენინს აუზის შესწავლის ექსპედიციაში. მცირეოდენი ფულის შეგროვების შემდეგ მე გამოვიქეცი გადასახლებისაგან, მაგრამ შევჩერდი ტომსკში გზის ფულის მოსაგროვებლად. ორი თვის შემდეგ დამაპატიმრეს იქ ამხ. პავლე საყვარელიძესთან ერთად, ლასა მგელაძის გაქცევის გამო, რომელიც მიჰყავდათ ეტაპით ნარიმის მხარეში.

მე და ამხ. საყვარელიძე (რომელიც აგრეთვე გამოქცეული იყო ირანის ტსკის გუბერნიიდან) გაგვასამართლეს და მოგვისაჯეს 6 თვის ციხე. სასჯელის მოხდის შემდეგ გაგვაგზავნეს უკან ირკუტსკის გუბერნიაში. რამოდენიმე თვის შემდეგ მე ნება დაურთველად წავედი ქ. ირკუტსკში და ვსთხოვე გუბერნატორს ერთი თვით ქალაქში დაბრუნების უფლება. შევედი მაკუშინის სტამბაში და ორი შემდეგი ნებართვა ამიღო თვით სტამბის ადმინისტრაციამ. სტამბის მუშების არა-ლეგალური კავშირის გადაწყვეტილებით უნდა მომხდარიყო სტამბების საყოველთაო გაფიცვა, უმთავრესად ეკონომიური ხასიათის. საყოველთაო გაფიცვის მოწყობა შეუძლებელი გახდა, მაგრამ მაკუშინის სტამბაში (ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი სტამბა იყო, მუშაობდა იქ 200 კაცი) გაფიცვა შეესძლებოდა. გაფიცვის მეორე დღეს დააპატიმრეს 40 კაცი და ამ გაფიცვის ხელმძღვანელობა სავსებით მე დამეკისრა. ერთი კვირის შემდეგ გაფიცვა დამთავრდა მუშების ნაწილობრივი გამარჯვებით, მაგრამ მე იძულებული ვიყავი მემუშავა არა-ლეგალურად. ბინას, რომელშიაც მე ვცხოვრობდი ამხ. პ. საბაშვილთან ერთად პოლიციამ ალყა შემოარტყა და ჟინდოდა ამხ. საბაშვილის შეპყრობა რომელიც საღამოს დაბრუნდა სამუშაოდან და იძულებული იყო სამუშაო ტანსაცმელით გაქცეულიყო და დამალულიყო, თუმცაღა მას არ ჰქონდა პირდაპირი დამოკიდებულება გაფიცვასთან. მთელი ჩვენი „სიმდიდრე“ დარჩა ოთახში, მაგრამ ამხ. საბაშვილმა შესძლო ცოტა რამეს გაპარება პოლიციელების თავდასხმის დროს, ხოლო დანარჩენი წაიღეს პოლიციაში. დაეძებდნენ ამხ. საბაშვილსაც, მაგრამ საბედნიეროდ მისი გვარი ვერ გამოარკვიეს. რევოლიუციამდე მე ვიმალებოდი სხვა და სხვა ადგილებში, ხოლო გადატრიალების შემდეგ გადასახლებულების პარტიასთან ერთად დავბრუნდი ტფილისში. რევოლიუციის პირველ დღეებში ბოლშევიკები და მენშევიკები ერთად მუშაობდნენ. მე არ მქონდა გარკვეული თანამდებობა და, როგორც თითქმის ყველა სხვა ბოლშევიკები, ვმუშაობდი ყოველგან, სადაც კი მიმითითებდნენ, უმთავრესად პროფკავშირებში. ვიყავი პოლიგრაფიული საქმის მუშაკთა კავშირის გამგეობის და პროფკავშირის საბჭოს წევრი. ჩვენი პარტიის კომუნისტურ პარტიათ გადაქცევის და მენშევიკებთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ, მე შემიყვანეს კომუნისტური პარტიის კავშირის საოლქო კომიტეტში.

ოქტომბერში ტფილისის სტამბების მუშებმა მე ამირჩიეს დღეგატად პოლიგრაფიული წარმოების მუშათა სრულიად-ოუსეთის ყრილობაზე, რომელიც მოწვეული იყო რუსეთში, მაგრამ გადაიღო და ოქტომბრის რევოლიუციის დროს მე მოვხვდი პეტროგრადში.

ამ გადატრიალებაში ჩემი მონაწილეობა გამოინახატება მხოლოდ იმაში, რომ მე მონაწილეობას ვღებულობდი მუშებისთვის ვინტოვ-

კების და სხვა იარაღების დარიგებაში, შეიარაღებულ მუშებთან მსგავსებზე ვაგვეზავო კერენსკის წინააღმდეგ გატჩინაში, მხოლოდ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიმიღია და მეორე დღეს დაებრუნდი პეტროგრადში და იქიდან მალე გავემგზავრე ტფილისს. 1918 წლის იანვარში საოლქო კომიტეტის დადგენილებით მე და ამხ. კამო გავვაგზავნეს პეტროგრადში პარტიის საქმიებისათვის. ჩვენ პეტროგრადში იმ დროს მივედით, როდესაც გერმანელები შეტევაზე გადმოვიდნენ და აიღეს პსკოვი. პეტროგრადის მუშების მთავარ რაზმთან ერთად მე და ამხ. კამო გავვემგზავრეთ პსკოვისაკენ. ჩვენ დანიშნული ვიყავით მთავარ ეშალონის კომისრებათ და დავრჩით პსკოვის რაიონში გერმანელებთან ზავის ჩამოგდებად. საზავო დელეგაციასთან ერთად მე და ამხ. კამო წამოვედით პეტროგრადში, ხოლო აქედან, საოლქო კომიტეტის დავალებათა შესრულების შემდეგ—ტფილისში.

1919 წლიდან მთელს საქართველოში იწყება მენშევიკების საწინააღმდეგო მოძრაობა, უმთავრესად გლეხობის მხრივ. სთხოვდნენ საოლქო კომიტეტს იარაღს, რაც მას არ მოეპოვებოდა, მას არ გააჩნდა არც ფული. საოლქო კომიტეტის დადგენილებით მე გამაგზავნეს ცარიცინში ამხ. ორჯონიკიძესთან, როგორც ფულისათვის, ისე იარაღისათვისაც. ამხ. ორჯონიკიძემ და მინინმა მომცეს მე იარაღიც, ფულიც და გამომამგზავრეს სპეციალურ ვაგონით. ცარიცინს და ტიხორეცკაიას შუა სად. ზიმოვნიკთან, რომლის მახლობლათ მაშინ სწარმოებდა გაცხარებული ბრძოლა კადეტებთან (ასე უწოდებდნენ იქ ყაზახებს), გაიგეს, რომ მე მიმქონდა იარაღი, რაც მათ ძლიერ ესპტირობოდათ. პირველად სთხოვეს ჯავშნიან მატარებელის უფროსს, რომ მე მიმეცა მათთვის იარაღი რამდენიც შემეძლო, რაც მე უსიტყვოდ შევასრულე. მაგრამ იქაურ საბჭოს ეჭვი დაებადა ჩემში, რომ მე ვარ აგენტი საქართველოს მენშევიკური მთავრობის (სხვაგვარად მათ არ შეეძლოთ იმის ახსნა, რომ ისინი ცარიცინთან ბრძოლაში მოკლებული იყვნენ იარაღს და ვერც ლეზულობდნენ მას და ამ დროს იარაღს გზავნიან საქართველოში მომავალი აჯანყებისათვის). ეჭვი დაებადათ აგრედვე ამხ. ორჯონიკიძის და მინინის მიერ მოცემულ მანდატის სისწორეში და გადასწყვიტეს ჩამოერთვათ ჩემთვის ყველაფერი და მე დავეპატიმრებინეთ, ყველა ჩემი ახსნა-განმარტება ამაო იყო, არც დეპეშის მიცემის უფლება მომცეს. ვიყავი დაპატიმრებული 4 დღეს, სანამ ყველაფერი არ გამოირკვა. მეოთხე დღეს მიიღეს სასტიკი ბრძანება შტაბისაგან, რომელიც მაშინ მოთავსებული იყო ველიკოკნიაჟესკაიაში, დამიბრუნეს ყველაფერი, რის დაბრუნებაც კი შეიძლებოდა და ძლიერი დამცველი რაზმით გამომგზავნეს ტიხორეცკაიაში. ამხ. კალინინმა გამომატანა მეორე დამცველი რაზმი და ამ რიგად დარჩენილი იარაღი და ფული მოვიტანე ვლადიკავკავში.





ამ ხნის განმავლობაში საქართველოში დაიწყო ბოლშევიკური დევნა და საოლქო კომიტეტი გადმოვიდა ვლადიკავკაზში.

1918 წელს, ივლისში, ღუშეთის მაზრაში იფეთქა გლეხების აჯანყებამ და საოლქო კომიტეტმა მე გამგზავნა იქ ხელმძღვანელად.

ღუშეთის მაზრა სავსებით ხელთ ივდო გლეხობამ, გამოორეკა მენშევიკები, იყო რამოდენიმე მსხვერპლიც. ამ რიგად მაზრა აჯანყებულების ხელში იყო თითქმის მთელი თვის განმავლობაში. მე ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი ვიყავი დამარცხებამდე, ხოლო შემდეგ იძულებული გავხდი წავსულიყავი ვლადიკავკაზში.

ამავე წლის ოქტომბერში ვლადიკავკაზის ოლქში მოხდა ყაზახთა აჯანყება და აჯანყებულებმა დროებით ხელთ ივდეს ქ. ვლადიკავკაზი. ამ ბრძოლაში მე უშუალო მონაწილეობას ვღებულობდი იარაღით ხელში და დამკრეს სამ ადგილას (ორი ჭრილობა მქონდა ფეხში და ერთიც მუცელში). ქალაქის ყაზახთა კონტრ-რევოლუციონისაგან ვაწმენდის და მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნების დროს მე ამირჩიეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ.

1919 წელს, თებერვალში დენიკინელების ვლადიკავკაზზე შემოტევის დროს მე აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი მტრისგან თავდაცვაში, როგორც ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი. წითელი არმიის ვლადიკავკაზის ნაწილის საქართველოს მხარისაკენ უკან დახევისას მეც სხვა ამხანაგებთან ერთად (პასუხისმგებელ მუშაკებთან) უკან დავიხიე, უკან დახეულების ყაზბეგიდან ტფილისში გამოგზავნის შემდეგ, ვლადიკავკაზიდან მოგზაურობის დროს მე 6 პასუხისმგებელ ამხანაგთან (კოტე ცინცაძესა, ქავთარაძესა, ვ. ბახტაძესა, ა. ზუბკოვსა, მ. გახოკისა, პ. აღნიაშვილთან) ერთად დამაპატიმრეს და გამოგზავნეს ტფილისში. გზაში მე შავი სახადით ავად გავხდი. დიდი დავიდარაბის და ორი ამხანაგის—(ექიმების) კიკალიშვილის და მამულიას პასუხის მგებლობით მენშევიკურმა მთავრობამ ნება დამართო დაეწოლილიყავ ქალაქის საავადმყოფოში, საიდანაც განკურნების შემდეგ უნდა გადავეყვანეთ ციხეში, დანარჩენები კი გაგზავნეს ციხეში. კრიზისის გადატანის შემდეგ ამხ. კამომ მე გამაპარა საავადმყოფოდან და მომათესა კერძო კონსპირატიულ ბინაზე, სადაც მე სავსებით გამოვჯანმრთელდი. გაჯანმრთელების შემდეგ მე ვმუშაობდი საქართველოში არა-ლევალურად 8 თვის განმავლობაში. ოქტომბერში და ნოემბერში მე ვიყავი ამხ. ფ. მახარაძესთან, ნაზარეტიანთან და საოლქო კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ამ აჯანყებებს. ამავე წლის ნოემბერში მე დამაპატიმრეს. ვიჯექი მენშევიკების ციხეში სამი თვე. შემდეგ კი მე, ამხანაგმა ფ. მახარაძემ (რომელიც იმავე დროს დააპატიმრეს), კ. ცინცაძემ, ა. მახარაძემ მოვახერხეთ ციხიდან გაქცევა.

ციხიდან გაქცევის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში ამხ. სოლოვიანის ბინაზე, სადაც ჩვენ დანიშნული გვქონდა კრება, მე კვლავ შემიპყრეს ამხ. სოლოვიანთან, ვ. ღონენკოსთან და სხვებთან ერთად, მაგრამ მე მოვახერხე გაქცევა ამ ბინიდან და მენშევიკების საგანგებო რაზმელებს ხელში შერჩათ მხოლოდ ჩემი ქუდი და პალტო. 1920 წ. მარტში, საოლქო კომიტეტმა მე გამგზავნა განსაკუთრებული დავალებებით ჩრდილოეთ-კავკასიაში (მაშინ დენიკინი განადგურებული იყო და ჩრდილოეთ-კავკასიაში დამყარებული იყო საბჭოთა ხელისუფლება. მე დავრჩი ვლადიკავკავში, სადაც ივნისში ამხ. ე. სტასოვასთან და ორჯონიკიძესთან ერთად შემიყვანეს რ. კ. პ. საოლქო კომიტეტში). რ. კ. პ. კავკასიის ბიურომ გადამიყვანა აზერბეიჯანში. აზერბეიჯანში მე შემიყვანეს ა. კ. პ. ცეკაში და დამნიშნეს აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას მდივნად.

საქართველოზე საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოტევის დროს მე მათთან ერთად მოვდიოდი და ტფილისში მათი შემოსვლისას მეც შემოვედი და დამნიშნეს საქართველოს რევკომის წევრად და შრომის კომისრად. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ თვეში, საქართველოს კომპარტიის ცეკას აპარატის შექმნამდე, ვიყავი ცეკას მდივანი და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე. დიდი მუშაობის გამო მე გამანთავისუფლეს ცეკას მდივნობისაგან და განვაგრძობდი შრომის სახალხო კომისარის და პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობებზე მუშაობას.

რ. კ. პ. პირადი შემადგენლობის გაწმენდის და შემოწმების დროს მე ვიყავი დანიშნული რუსეთის კომპარტიის ცეკას მიერ კავკასიის საოლქო კომისიის წევრად. ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა ორთავე საბჭოს მიერ მე არჩეული ვიყავი მის თავმჯდომარედ. საქართველოს კომპარტიის პირველ ყრილობაზე ამირჩიეს კომპარტიის ცეკას წევრად.

მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოთა პირველ ყრილობაზე მე ამირჩიეს **სრულიად საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის** და მისი პრეზიდიუმის წევრად.

პროფკავშირების სრულიად რუსეთის მეხუთე ყრილობაზე არჩეული ვიყავი სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და მისივე კავკასიის ბიუროს წევრად.

## თ. კალანდიაძე.

მამა ჩემი იყო მჭედელი, ნახევრად პროლეტარი, თითქმის უმიწაწყო გლეხი. ჩემი ოჯახი იყო რევოლუციონური—ორი ძმა დაიღუპა 1904—5 წ. რევოლუციის და მის შემდეგ გაძლიერებულ რევოლუციის დროს. მესამე (ყველაზე უფროსი) ძმა დაიღუპა აგრეთვე რევოლუციის სადარაჯოზე, იყო რა უკიდურესი „მესამე დასელი“ და პლებეების ბელეტრისტის—ნინოშვილის თანამგრძნობი; უმცროს ძმაზე იგივე შეიძლება ითქვას, რაც ჩემზე. დედა ჩემი იყო უკიდურესი რევოლუციონერი ქალი, რომელიც, მიუხედავად საშიშ და მუდმივ გაჭირვებისა, მუდამ ჩვენთან იყო და ჩვენ გვამხნევებდა. ასეთივე იყვნენ დებიც; რომელთაც საკმაო გაჭირვება ხვდათ წილად ორთავე რეჟიმის (მეფის და მენშევიკების თვითმპყრობელობის) დროს.

ოც წელიწადზე მეტია, რაც კომუნისტი ვარ. ოთხმოცდაათიან წლების დასასრულს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში, აშხ. მ. ცხაკაიას გაყენებით გავხდი „დასელი“. სავსებით შეგნებული ბოლშევიკი გავხდი 1903 წლის დასასრულს, გადასახლებაში ყოფნისას. პირველად სოციალ-დემოკრატიული მუშაობისთვის დამაპატიმრეს 1902 წ. გაზაფხულზე, გურიის რევოლუციონურ-აგრარულ მოძრაობის დასაწყისში და ვადამსახლეს ეტაპის წესით (ხმელეთის გზით), ესე იგი ხანგრძლივი და საწამებელი წესით, ასტრახანის გუბერნიაში (ასტრახანში), სადაც დაუყოვნებლივ შევედი ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში, 1902 წლის ბოლოს.

ამ დროდან ვითვლები პროფესიონალურ პროპაგანდისტ-აგიტატორად, ორგანიზატორად და (იშვიათად და შემთხვევით) ჟურნალისტადაც.

ასტრახანში, სხვათა შორის, გავიცანი ბ. ავალოვი, ანნა მიხეილის ასული, მისი ქმარი ვრჟოსეკი (იურისტი), დუბროვინსკი ინოკენტი და ახალგაზდა სტუდენტი პოპოვი.

იქ გამცა პროვოკატორმა (მიროვმა—დურგალმა) და დამაპატიმრეს 1904 წლის ზაფხულს. ჩემთან ერთად შეიპყრეს ასტრახანის პარტიის კომიტეტი (მაშინ სავსებით ბოლშევიკური) საბრალდებლო დოკუმენტებით, რაც იმავე პროვოკატორის წყალობით მოხდა.



ასტრახანის ციხეში ვიჯექი დაახლოვებით 3 თვეს, ხოლო შემდეგ ავადმყოფობის (ფილტვების ტუბერკულოზის) და აგრეთვე იმის გამო, რომ ჩემს წინააღმდეგ არ ჰქონდათ დოკუმენტები და ნივთიერი საბუთები, გამომიშვეს თავდებით.

ციხიდან გამომიშვეს დროებით, გასამართლებამდე, მაგრამ ასტრახანში დარჩენის უფლება არ მომიცეს—გადმომასახლეს (გასამართლებამდე) ოდესაში. ოდესაში გავატარე 1904 წლის შემოდგომა და 1905 წლის ზაფხული, სადაც უმთავრესად ვმუშაობდი ნავთსადგურის ქართველ მუშებს შორის, ვღებულობდი მონაწილეობას ოდესის გრანდიოზულ დემონსტრაციებში, შემოდგომაზე.

1905 წლის ზაფხულის მიწურულში სასამართლოს მიერ გაწყვეტის გამო დაებრუნდი ასტრახანში.

მაგრამ გასამართლება გადაიდო განუსაზღვრელ დრომდე, რევოლუციის განვითარების გამო, და მე მიბრძანეს კვლავ დამეტოვებია ასტრახანი. მაგრამ ამიკრძალეს სატახტო ქალაქში და კავკასიაში ყოფნა. ორი კვირით არა-ლეგალური ცხოვრების შემდეგ გავემგზავრე ბაქოს (იქ სააღყო წესები იყო გამოცხადებული) გზით ტფილისში. აქ ბოლშევიკების მდგომარეობა სავალალო იყო (მათი სრული მოწყვეტა მასებისაგან და, პირიქით, ბათომის მუშებთან ერთად, ლამის იყო, „ერთბაზად“ გადასვლა „კერპის“ ნ. ჟორდანიას მხარეზე). ტფილისის მენშევიკები, ესე იგი რამიშვილი, ხომერიკი, ცდილობდნენ ჩავეთრიე მე მათ მუშაობაში, ვინაიდან მასები, ამბობდნენ ისინი, ჩვენს მხარეზეაო, მაგრამ მიიღეს სასტიკი და ჯეროვანი წინააღმდეგობა, რადგან არც ერთს მათგანს გაცნობილი არ ჰქონდა ფრაქციული ლიტერატურა.

მოკლე ხნის შემდეგ გავემგზავრე ბათომში, სადაც პირველად მომიხდა სიტყვის წარმოთქმა ქართულად დიდ მიტინგზე, რომელზედაც შეგროვილი იყვნენ როტშილდის მუშები, რომლებიც ემზადებოდნენ სოფლებში წასასვლელად, მეფის მთავრობის მიერ როტშილდის ქარხნის დახურვის გამო. მ. არსენიძე და „ბროდიავა“ არჩევდნენ სხვათა შორის ლენინის ბროშიურას, რომელიც მაშინ ახლად გადმოთარგმნილი იყო ქართულ ენაზე (დროებითი მთავრობის, რევოლუციისა და დიქტატურის შესახებ).

ჩემი სასტიკი და შეურიგებელი გამოსვლა მენშევიკებისათვის საგნებით მოულოდნელი იყო და მათ იმედიც დაჰკარგეს ჩემში. ბათომიდან მალე გავემგზავრე გურიაში (ჩემი სამშობლო), სადაც მომიხდა გამოსვლა გურიის სამაზრო მენშევიკურ (ბოლშევიკების ხსენებაც არ იყო მაშინ იქ) კრებაზე მენშევიკების წინააღმდეგ, ესე იგი ჩვენი პოზიციის დასაცავად. ეს იყო 1905 წ. ზაფხულის დასაწყისში. გურიაში ვიმუშავე 1906 წ. შემოდგომამდე, გამოვდიოდი რა მენშე-

ვიკების წინააღმდეგ, სადაც კი შესაძლებელი იქნებოდა, თუ, უმთავრესად, მრავალრიცხოვან სახალხო მიტინგებზე, ვაწყობდი რა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს სამაზრო მასშტაბით, ვძლევდი ყოველგვარ დაბრკოლებებს, ვიტანდი დიდ გაჭირვებას, თვით საფრთხესაც მენშევიკების მხრივ, მემუქრებოდენ ტერორით რევოლუციონური მოძრაობის გაჩაღებისას, თუ არ ვილაპარაკებთ 1906 წ. გაძლიერებულ მეფის რეაქციაზე.

როგორც ვიცით, გურიაში იმ დროს ძლიერ დათარეშობდენ მეფის ბაში-ბუზუკები. ამ ხნის განმავლობაში შესაძლებელი ვახდა გურიაში მოწინავე და რევოლუციონურ მუშათა და გლეხთა თვალსაჩინო ჯგუფის შექმნა.

1906 წ. შემოდგომაზე გავემგზავრე ტფილისში, სადაც ვმუშაობდი 1907 წ. შემოდგომამდე, როდესაც ბოლშევიკების ტფილისის ბიურომ გამგზავნა ბაქოში, საიდანაც თხოულობდენ დაჟინებით ტფილისიდან მუშაკების გაგზავნას. ბაქოში ვმუშაობდი 3—4 თვეს და 1907 წ. დასასრულს ავადმყოფობის გამო კვლავ დავბრუნდი ტფილისში. ტფილისში ამ დროს სწარმოებდა გაცხარებული საყრილობო კომპანია, იმართებოდა სასტიკი ფრაქციული დისკუსია, რომელშიაც მე მონაწილეობა მიმალდებიეს, ამაყენეს რა საწოლიდან. ვიყავი ერთად-ერთი დელეგატი მენშევიკურ (ტფილისის არა-ლეგალურ) ყრილობაზე, რომელიც წარმოადგენდა ტფილისის 400 მუშას. ყრილობის დამთავრების შემდეგ მე დამაპატიმრეს ქუჩაში (გამცა ვილაც ჯაშუშმა ზეინკალმა ბაქოდან, მკონი ხარკოვიდან იყო, რომელსაც, როგორც ამბობდენ, სიკვდილი მოუნდომეს ბაქოში, საიდანაც ის გაიქცა თავის გადასარჩენად) და წამოიკვანეს მეტეხის ციხეში.

წამომიყენეს ბრალდება 102 მუხლის მიხედვით. მიმცეს სამხედრო სასამართლოში. ვიჯექი ციხეში 3—4 თვე. (დაპატიმრების დროს მოვინდომე-ვაქცევა, რისთვისაც მაგრად მცემეს მხეცებმა—ყაზახებმა). ეს იყო 1908 წ. დასასრულს, რეაქციის მძვინვარების დროს. შემდეგ მე ავადმყოფობის (სისხლის ნთხვევის) გამო გირაოს (1200 მ. ეს ფული მიშოვნა მე ამხ. სტასოვამ პეტროგრადში) ქვეშ გიმომიშვეს. 1908 წ. შემოდგომაზე, როდესაც მოახლოვდა სამხედრო სასამართლოს დაბარების დრო, იძულებული ვიყავი მემოგზაურა შვეიცარიაში. შვეიცარიაში და ზოგჯერ პარიზში გავატარე დაახლოვებით 3-ნახ. წელი, მუდმივ წამლობაში და ბრძოლაში მენშევიკ-ლიკვიდატორების (მარტინოვი, ლიბერი და სხვ.), პლენანოვის, ოტზოვისტ-ულტიმატი-სტების (ლუნაჩარსკი, მიხა (ჯაკაია) წინააღმდეგ. 1912 წ. ზაფხულზე დავბრუნდი საქართველოში, სადაც ვმუშაობდი არა-ლეგალურად 1913 წ. აგვისტომდე; შემდეგ კი დამაპატიმრეს (საქართველოში) და გამაგზავნეს ტფილისში სამხედრო სასამართლოს განკარგულებაში 1908

წლის საქმის გამო. ახლა, ხუთი წლის გასვლის შემდეგ, სამხედრო სასამართლომ მე „გამამართლა“ საბრალმდებლო საბუთების სიმცირის გამო (1908 წ. კი ლუარება იყო) და მიუხედავად „გამართლებისა“ მე მაინც გამაჩერეს ადმინისტრატიული წესით სრული 6 თვე და გამომიშვეს მხოლოდ 1914 წ. ზაფხულში იმპერიალისტური ომის დაწყების წინ. ომის განმავლობაში მე ვმუშაობდი საქართველოში; პირველად ნახევრად ლეგალურად, როგორც ბოლშევიკი—„პორაქენეც“ი, ვებრძოდი რა მენშევიკ „ობორონცებს“ და მეფის თვითმპყრობელობას. 1916 წელს, ზაფხულში დამაპატიმრეს ქუჩაში და გამგზავნეს მეტეხის ციხეში, სადაც მამყოფეს ამ წლის ბოლომდე. მომისაჯეს ადმინისტრატიულად გადასახლება ირკუტსკის გუბერნიაში. მაგრამ გამანთავისუფლა თებერვლის რევოლუციამ.

ამ დროიდან განუწყვეტლივ ვმუშაობდი, ვებრძოდი რა მენშევიკებს ისე შეურიგებლად, როგორც წინად და თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავი მათთან გაერთიანების (რაც გაატარეს, მაგრამ ხანმოკლედ, როგორც ამას მეც ვწინასწარმეტყველობდი). 1918 წლის თებერვალში მე დამაპატიმრეს მენშევიკებმა (სხვა კომუნისტების დაპატიმრებამდე) და მომათავსეს მეტეხში, სადაც ვიჯექი ერთი თვე და შემდეგ გამათავისუფლეს „თავდებ ქვეშ“. ამავე წელს ივლისის პირველ რიცხვებში კვლავ დამაპატიმრეს და გამგზავნეს ქუთაისის საკატორლო ციხეში, იქ დაპატიმრებული ვიყავი 1919 წლის მარტამდე. გამათავისუფლეს (ყველა ბოლშევიკები ჩემზე წინ გაანთავისუფლეს) ჩემს მიერ სიმშვილობის გამოცხადების შემდეგ და გამგზავნეს ჩემს სოფელში „მეთვალყურეობის“ ქვეშ. ვხელმძღვანელობდი გურიის აჯანყებას 1919 წ. ნოემბერში. აჯანყების ჩაქრობის და 11 კომუნისტ-გლეხის დახვრეტის შემდეგ, ვიძალბობდი იქვე, ხოლო მენშევიკების ბანდები დამიძებდენ ანგარიშის საბოლოოდ გასასწორებლად.

მხოლოდ 1920 წ. აპრილში მოახერხეს მენშევიკებმა ჩემი დაჭერა და გამგზავნეს ქუთაისის ციხეში, საიდანაც ჩქარა გამათავისუფლეს მაისში მომხდარ „მენშევიკების მოსკოვთან შეთანხმების“ ძალით. 1920 წლის დასაწყისში კვლავ დამაპატიმრეს, მიუხედავად „ლეგალიზაციისა“, და გამგზავნეს ქუთაისის ციხეში, სადაც გამაჩერეს წლის ბოლომდე, შემდეგ კი გადამისახლეს საქართველოდან ბაქოში. 25 თებერვალს 1921 წელს კვლავ დავბრუნდი ტფილისში, სასაქართველოში, მაგრამ ეხლა უკვე საბჭოთა საქართველოში.

ამ რიგად: თვითმპყრობელობის რეჟიმის დროს ვავატარე დაახლოვებით ციხეში . . . . .	2	ნახევარი წ.
გადასახლებაში . . . . .	2	ნახევარი წ.
ემიგრაციაში . . . . .	3	ნახევარი წ.
მენშევიკების რეჟიმის დროს ციხეებში. . . . .	17	თვე
ციხეში (არა-ლეგალ.) . . . . .	8	თვე
გადასახლებაში . . . . .	2	თვე

სულ დაახლოვებით. . . 11 წ.



ჩემს რევოლუციონურ ცხოვრებაში მრავალი იყო საყურადღებო მომენტი, მაგრამ ახლა არ ძალმიძს მათზე შევჩერდე.

ვიტყვი თავის თავზე მოკლედ შემდეგს: მე ვიყავი მუდამ შეუღრეკელი ბოლშევიკი, ლენინის შეხედულობისა. ამხ. ლენინი ჩემთვის მუდამ გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი იყო. მე არასოდეს არ ვიცოდი რყევა და შიში, როდესაც საქმე ეხებოდა ჩვენს პარტიას, ჩვენს დროშას. მე მუდამ ვიყავი კაცი პარტიის, კაცი კოლექტივის, ენტუზიასტი და ფანატიკოსი ჩვენი საქმის და საშიშრად მეჯავრებოდა მეშხანური ცხოვრება, ცხოვრება პირადი კეთილდღეობისათვის. მენშევიკების სიძულვილი (არა მარტო საქართველოში) ჩემდამი, როგორც ბოლშევიკისადმი, არის ჩემი ცხოვრების ყველაზე უფრო ნათელი ფურცელი. მე ასეთად მიცნობს მთელი ჩვენი პარტია (ყოველ შემთხვევაში-საქართველოში მაინც) ჩვენი ძველი გვარდია. ახალი, 1921 წ. თებერვლის ბოლშევიკების გამოკლებით.

## ნიმუ ნიჟიშას ასული ალაჯაროვისა.

მე დავიბადე 1880 წელს ქალ. დონის-ნახიჩევანში მდაბიო მოქალაქის ოჯახში, რომელიც შესდგებოდა მამისა და ოთხი ბავშვისაგან (დედა მომიკვდა, როცა სამი წლის ვიყავი).

ერთად ერთ წყაროს ჩვენი არსებობისას შეადგენდა სახლი, რომელიც გაცემული გვქონდა იჯარით.

რვა წლისამ მე დავიწყე სკოლაში სიარული, იმავე დროს დავიწყე მუსიკაში მეცადინეობაც. გავათავე თუ არა სკოლა, სადაც დავყავი 14 წელი, მე მივებარე მუსიკალურ სკოლაში, რომელიც დავასრულე 1896 წ.

მამასთან გაუტეხელ ბრძოლის შემდეგ, მე ვახერხებ წასვლას პეტროგრადში მუსიკალურ განათლების გასაგრძელებლად. იქ მე მოვხვდი სომეხ-თანამემამულეთა სტუდენტების წრეში, რომელსაც ხელმძღვანელობდა არშაკ ზურაბოვი, სადაც პირველად ეცნობოდენ მარქსის თეორიას, რუსეთის მუშათა მოძრაობას და სხვას, და ვგრძნობდი რა არა საკმარისს ცოდნას და მოუმზადებლობას ხელი მივყავი ამ დანაკლისის შეესებას.

1900 წელს, ჩავაბარე რა გამოცდები სიმწიფის მოწმობაზე და გავათავე კონსერვატორია, მე ვბრუნდები სახლში მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ გავმგზავრებულვიყავ საზღვარგარეთ და იქ საფუძვლიანათ შემესწავლა ჩემთვის საინტერესო საკითხები.

ამავე წლის სექტემბერში მე მივემგზავრები ბერლინს, შევდივარ უნივერსიტეტში და ამავე დროს ვესწრები მუშათა კრებებს. ახლო ვეცნობი გერმანიის სოც.-დემ. მუშათა მოძრაობას. აქ უკვე საბოლოოთ ირკვევა ჩემი მსოფლ-მხედველობა.

1902 წელს, როცა რუსეთში დაიწყო მუშათა ფართო გაფიცვები, მე რამოდენიმე სტუდენტებთან ერთად, გადავწყვიტე დაბრუნება სამშობლოში, რათა დამეწყო მუშაობა. ბერლინელ ამხანაგებმა მე მომანდევს გადამეტანა საზღვარგარეთ არა-ლეგალური ლიტერატურა, რაც მშვიდობიანათ შევასრულე.

ეს იყო ჩემი პირველი ბრძოლის ნათლისღება. შემოდგომაზე, 1902 წ. მე მოვდივარ ტფილისში. აქ პირველ ხანებში დავიწყე მე-

კადინეობა მუშათა საკვირაო სკოლაში და აგრეთვე ვუკითხავდი ში-  
 ლიტკურ ეკონომიას თავის ბინაზე (შსმენელთა რიცხვში იყო კამო  
 პეტროსიანიც). შემდეგ მე შევედი ორგანიზაციაში და ვმუშაობდი  
 წრეებში, როგორც პროპაგანდისტი ქალი 1904 წლამდე. უფრო გვიან  
 მე ვასრულებდი სამდივნო მუშაობას კავკასიის კავშირთა კომიტე-  
 ტში (მიხა ცხაკაია, წულუკიძე საშა, კანუნიანი და სხვა).

1906 წლის დასაწყისში კომიტეტის დადგენილებით იყო გამო-  
 ყოფილი მებრძოლი ჯგუფი, ქუჩაში ბრძოლის მეთოდების, ასაფეთქე-  
 ბელი იარაღების (ჯურვთა) დამზადების და სხვათა შესასწავლათ. ამ  
 ჯგუფში ვიყავი მეც. ამავე წლის მაისში საიდუმლო სტამბა, სადაც  
 ჩვენ გადავსახლდით ნაღმების და ბომბების დასამზადებლათ, დაი-  
 ლუპა. მონაწილეებმა დროზედ მოვახერხეთ სტამბიდან გასვლა, ხო-  
 ლო ორი მათგანი მე და მიხეილ ბოჭორიშვილი ვიქენით დატუსა-  
 ლებული. დატუსალებულ იქნენ კიდევ 29 კაცი—ბოლ. და მენშევ. (ფ.  
 მახარაძე, მიხა ცხაკაია, შალვა ელიავა, რამიშვილი და სხვ.). საპ-  
 ყრობილეში მე ვიჯექი ორი თვე და დანაშაულობის დაუმტკიცებლო-  
 ბის გამო მე განმათავისუფლეს. ამ ხნის განმავლობაში ჩემი სიჯან-  
 სალე მეტად დაზიანდა (ჭაჭების ანთებით, ნერვების აშლით) და  
 ამის გამო ექიმებმა გამგზავნეს ბერლინში საექიმოთ. იქ ორი წლის  
 ყოფნის შემდეგ დავბრუნდი რუსეთს-ბაქოში და შეუდექი ხელახლა  
 მუშაობას.

მაგრამ მალე ჩემი ავადმყოფობა განახლდა და მე დავბრუნდი  
 ტფილისში, სადაც რამოდენიმე წლის განმავლობაში მოკლებული ვი-  
 ყავი საშვალებას—მუშაობას შევსდგომოდი. მხოლოდ თებერვლის  
 რევოლიუციის შემდგომ ვანახლებ მუშაობას. ვიღებდი მონაწილეო-  
 ბას მკერვალთა პროფესიონალურ კავშირის ორგანიზაციაში. მათ  
 მიერ ვიყავი არჩეული მუშათა და გლეხთა დეპუტატების პირველ  
 საბჭოში.

1917 წ. ოქტომბრის დასაწყისში კავკასიის საოლქო ყრილობა-  
 ზე ვიყავი არჩეული მდივნათ და შემდეგ წევრად საოლქო კომიტე-  
 ტისა (სტეფანე შაუმიანი, ჯათარძე, ფ. მახარაძე და სხვანი).

1917—1919 წლამდე ვიყავი მდივნათ „სანაპირო კომიტეტისა“.  
 ავადმყოფობის გამო იძულებული ვიყავი ხელახლად დავთხოვებოდი  
 მუშაობას.

ენკენისთვეში 1920 წ. ექვი აიღეს ჩემზე გენერალ ბარათოვის  
 მოკვლის ცდაში, რისთვისაც ვიყავ დატუსალებული, ხოლო გამან-  
 თავისუფლეს საპყრობილედან სამი თვის შემდგომ დაპატიმრებისა,  
 მსჯავრ-დაუდებლად და გამოუძიებლად. მე წინადადება მომცეს სამი  
 დღის განმავლობაში ვავსულიყავი საქართველოს საზღვრებიდან.



წავედი სომხეთში, სადაც დავრჩი, ვიდრე საქართველო შეკრავდა სამშვიდობო ხელშეკრულებას რ. ს. ს. რესპუბლიკასთან, რომლის მეოხებით მე მომეცა საშვალეობა დავბრუნებულვიყავ ტფილისში.

წითელ ლაშქრის საქართველოზე შემოტევის დროს 1921 წელს ვიყავი დაპატიმრებული და გადაგზავნილი ჯერ ქუთაისში და შემდგომ ბათუმის ციხეში, საიდანაც განვთავისუფლდი წითელ ლაშქრის შემოსვლისთანავე. საპყრობილეში ვიჯექი 1—2 თვე.

1921 წ. მაისში ცენტრალური საქართველოს კომიტეტის მიერ ვიყავი გაგზავნილი დელეგატათ საერთაშორისო ქალთა კონფერენციაზე მოსკოვში.

---

# პარტიული არქივი

## ახალი ოინგაზოგა\*\*).

(მენშევიკების „მუშების დელეგაციის“ გამო).

სრულიად შენთხვევით ჩამივარდა ხელში ქართველ მენშევიკების ორგანოს, გაზ. „ბორბა“-ს ერთი ნომერი (№ 209—764). აქ ჩემი ყურადღება მიიქცია განსაკუთრებით შემდეგმა წერილმა, რომელსაც სათაურათ აქვს: „Наказ пролетариата Грузии рабочей делегации в Россию“, მაშასადამე, მენშევიკები „მუშების დელეგაციის“ გაგზავნას აპირებენ საბჭოთა რუსეთში! ესეც ერთი იმათი „საქმეთაგანია“.

და მართლაც ასეთ განზრახვაში არაფერი გასაკვირალი არ არის. მაგრამ საინტერესოა არა ეს. საინტერესოა ბ-ნ ხელაძის სიტყვა, წარმოთქმული შეერთებულ სხდომაზე, საინტერესოა თვით „ნაკაზი“, საინტერესოა კიდევ ბ-ნ იხ. რამიშვილის „გამოსვლა“ ამავდესხდომაზე.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა ის, თუ როდის, თუ რომელი დროდან შესცვალეს ლაპარაკის კილო ამ ვაჟბატონებმა საბჭოთა რუსეთზე, რუსეთის პროლეტარიატზე? განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ყველა ეს ვაჟბატონები „ერთობა“-ში და „ბორბა“-ში, კრებებზე და მიტინგებზე, უშვერი ლანძღვით და გინებით იხსენიებდნენ საბჭოთა რუსეთს და რუსეთის პროლეტარიატს, რომელიც სამი წლის განმავლობაში შეურყეველად დგას თავის რევოლიუციონურ პროლეტარულ პოსტზე და საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციის ებრძვის? მაგრამ განა ეს მხოლოდ წინეთ იყო ასე და ახლა ბ.ბ. ხელაძეებმა, დევდარიანებმა, რამიშვილებმა, შარაშიძეებმა, ჟორჯოლიანებმა და სხვ. შესწყვიტეს თავის საზიზღარი კომპანია რუსეთის მუშების და გლეხების წინააღმდეგ, კომპანია, რომელიც გამსჭვალულია

\*) პარტიული არქივის განყოფილებაში ყველა მასალები იბეჭდება უცვლელად.

\*\*\*) ამ სტატიის დაბეჭდვა არ მოხერხდა მაშინ გაზეთის დაბურვის შიშით. ახლა ვბეჭდავთ, როგორც დოკუმენტს პარტ-მისაღისათვის.

შურით, ღვარძლიანობით და ბრმა სიძულვილით საბჭოთა მთავრობისადმი და რომელიც ეყრდნობა მხოლოდ ტყუილზე, სიცრუეზე და ცილისწამებაზე?

როცა კითხულობთ მენშევიკების „ნაკაზს“, რომლებიც ბ. ზ. ხელაძეებს და რამიშვილებს შეუდგენიათ ვითომც „მუშების დელეგაციისთვის“ რუსეთში გასაგზავნათ, როცა კითხულობთ ამ ვაჟბატონების სიტყვებს რუსეთის და საქართველოს პროლეტარიატის დამეგობრებაზე და ძმურ კავშირზე, ასე გეგონებათ, რომ ეს თვალთმაქცეები და ფარისევლები მარტო რუსეთის პროლეტარიატის კეთილდღეობისთვის ზრუნავდნენ. ნამდვილათ კი როცა ისინი ამას წერდნენ და ამას ლაპარაკობდნენ, ფოთში და ბათუმში ინგლისის გემები იტვირთებოდა ნავით, ნახშირით და სხვა მასალით, რაც რუსეთის და საერთოთ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის და გლეხობის მოსისხლე მტერს—**ვრანგელს**—ეგზავნებოდა. ახლაც ამასვე სჩადიან. შემდეგ, განა ქართველ მენშევიკების ლიდერები თვით ტფილისშივე არ ადგნენ და არ ასაზრდოებდნენ ისეთ დაწესებულებებს, რომლებიც მიმართულია საბჭოთა რუსეთის და, მაშასადამე, რუსეთის პროლეტარიატის წინააღმდეგ, როგორც, მაგ. ის გამოცემები, რომლებსაც სათავეში უდგას „ცნობილი“ ახმედ ცალიკოვი? მათ, ამ ორგანოების მიზანს არ შეადგენს როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, ისე ამიერკავკასიაშიაც კონტრ-რევოლუციონურ აჯანყების მოწყობა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ? ახლა აზერბეიჯანელი კონტრ-რევოლუციონერები, ხანები და ბეგები: სად და ვისთან ეძიებენ და შოულობენ ისინი დახმარებას, თუ არა ქართველ მენშევიკებთან?—ახლა შეხედეთ, როგორ ტკბილათ უმდგარიან ეს ვაჟბატონები! ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ბ-ხ ის. რამიშვილს, როცა იგი ამბობს, რომ „საქართველოს პროლეტარიატს და გლეხობას არავითარი მტრული განზრახვა არა აქვს და არც შეიძლება ქონდეს რუსეთის მიმართო“. დიახ, საქართველოს მუშები და გლეხები მუდამ საბჭოთა რუსეთის პროლეტარიატთან და გლეხებთან იყვნენ და არიან მთელი თავისი არსებით, მაგრამ იგივე მუშები და გლეხები ბ.ბ. მენშევიკების ბურჟუაზიულ მთავრობას ებრძოდნენ და ებრძვიან დღესაც. ბატონებო! თქვენ არავითარი უფლება არა გაქვთ ილაპარაკოთ საქართველოს პროლეტარიატის და გლეხკაცობის სახელით. თქვენ შეგიძლიათ ილაპარაკოთ იმათი სახელით, ვის ინტერესებსაც თქვენ იცავთ, თქვენ შეგიძლიათ ილაპარაკოთ ქართველი შოვინისტური ბურჟუაზიის სახელით, ქართველი სპეკულიანტების და ვაჭრების, ქართველი სამღვდელოების, ქართული ეკლესიის, საქართველოს მიტროპოლიტების და კათალიკოსების სახელით; თქვენ შეგიძლიათ ილაპარაკოთ იმ საზოგადოებრივი კლასების და ჯგუფების სახელით,





რომლებიც რუსეთის პროლეტარიატის და გლეხკაცობის მოსიძულე მტრები არიან, რომლებიც თანაუგრძნობენ და აქტიურად ეხმარებიან ვრანგელს და საერთოთ ყველა ბნელ რეაქციონურ ძალებს. რა უფლება გაქვთ თქვენ, ქართველო მენშევიკებო, რუსეთის პროლეტარიატი არწმუნოთ თავის მეგობრულ განწყობილებაში, როცა თქვენ დიდი ხანია გაყიდეთ რუსეთის პროლეტარიატის ინტერესები, როცა თქვენ დიდი ხანია ლალატობთ მას? პირდაპირ დაცინვა და სინამდვილის და ჭეშმარიტების მასხარათ აღებაა, როცა თქვენ თავის „ნაკაზში“ სწერთ: „შექმნილმა ისტორიულმა პირობებმა აუცილებელი გახადეს რუსეთის და საქართველოს მუშათა კლასის ერთი მთლიანი ოჯახის ორ ნაწილად გაყოფა... რუსეთის და საქართველოს მუშათა კლასის წარმომადგენლებს ამ ხნის განმავლობაში არ ქონდათ შემთხვევა შეხვედრის და მოლაპარაკებისათვის. ამ ხნის განმავლობაში ამ ორ პროლეტარულ ოჯახის ცხოვრებაში ადგილი ქონდა მრავალ სამწუხარო მოვლენათ, რომლებსაც სამწუხაროთ ხელი შეუწყვეს ურთიერთ გაუგებრობას და დაყოფას.

„აუცილებელია ის დებულება, რომ თითოეული ხალხი თვით არის თავის ისტორიის შემქმნელი და, მაშასადამე, რევოლიუციასაც ქმნის თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობების მიხედვით. სწორედ ამ გზაზე დავმორდით ჩვენ რუსეთის მუშათა კლასს... ამკარაა, რომ როგორც ჩვენი გზა, ისე რუსეთის მუშათა კლასის გზა ისტორიული აუცილებლობითაა გამოწვეული და ერთნაირად კანონიერია. „რუსეთის და საქართველოს მუშათა კლასის ერთი მიზანი აქვს: სოციალიზმის დამყარება. ვმორდებით ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ ბრძოლის მეთოდებში, და ეს დაშორება, განსხვავება აუცილებელია...“ (ხაზი ჩვენია).

ყოველივე ეს, სიტყვიდან სიტყვამდე, მარტოიდენ სიცრუე, სიყალბე და ტყუილია. რუსეთის და საქართველოს მუშათა კლასის მთლიანი ოჯახი არსებითად არ გაყოფილა, ეს ორივე ნაწილი ერთი ოჯახისა მუდამ ერთობას გრძნობდა და დღესაც გრძნობს, და თუმცა მენშევიკებმა ძალით, ხელოვნურათ გათიშეს ისინი დროებით, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ეს მუდამ ასე იქნება. ამას თვით მენშევიკებიც კარვად გრძნობენ დღეს, რასაც, სხვათა შორის, ამტიკებს ის გარემოება, რომ ისინი აპირებენ რუსეთში დელეგაციის გაგზავნას „საერთო ენის გამოსამუშავებლათ“.

მენშევიკების „ნაკაზის“ სიტყვები, რომ თითოეული ხალხი რევოლიუციას ქმნის თავის საკუთარ პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობების მიხედვით „და აი სწორედ“ ამ გზაზე დავმორდით ჩვენ რუსეთის მუშათა კლასს“-ო, სწორედ ამ ვაჟბატონების სრული ბუნებრივი უმწეობის და გაკოტრების ნაყოფია. ვანა საქართველოს მუშებს და გლეხებს.

შეედლოთ რუსეთში ან ვთქვათ დღევანდელი საქართველოს საზღვრებში რუსეთის თვითმპყრობელობის არსებობის დროს რევოლიუციის მოხდენა? მხოლოდ ჭკუაზე ხელაღებულს თუ შეუძლია ამაზე დადებითი პასუხის მიცემა, მაგრამ თუ რევოლიუციის მოხდენა ქართველ ხალხს არ შეუძლო ცალკე, განა ამ რევოლიუციის გაგრძელებას კი შესძლებდა იგი თავისი საკუთარი ძალებით, რუსეთის მუშათა კლასიდან გამოთიშვით? აშკარაა რომ არა, და თუ მენშევიკებმა საქართველოს მშრომელი მასა გამოთიშეს რუსეთის მუშათა კლასს უდიდეს რევოლიუციის ხანაში, ეს იყო აშკარა კონტრ-რევოლიუციონური აქტი და მართლაც, ამ გამოთიშვას აუცილებლათ მოყვა საქართველოს მუშების და გლეხების მოქცევა ევროპის და ამერიკის მტაცებელი დამწავრელი იმპერიალისტების ქსელში, იმ იმპერიალისტების, რომლებიც საერთაშორისო მუშათა კლასის და პროლეტარული რევოლიუციის მოსისხლე მტრებია. მენშევიკები თითქო ყველა ქვეყნის მუშების სოლიდარობას იზიარებენ, ისინი თითქო ქადაგებენ: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! მაგრამ ყველა ეს მხოლოდ ქალაქდზე. სინამდვილეში ისინი ერთი ქვეყნის პროლეტარიატს მეორე ქვეყნის პროლეტარიატისაგან თიშავენ და რევოლიუციასაც ვიწრო საზღვრებში ახდენენ. არა ბატონებო: ასეთ „ფილოსოფიას“ არაფერი საერთო არ აქვს არც პროლეტარიატთან და არც სოციალიზმთან. ეს ნამდვილი სოციალ-შოვინიზმი და სოციალ-კატრიოტიზმი, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ეს ნამდვილი დალატია მუშათა კლასის წინაშე, რუსეთის პროლეტარიატმა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა ყველა ქვეყნის სოციალ-მოლაღატეებს და სოციალ-შოვინისტებს; იგი იბრძვის საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის ლოზუნგის ქვეშ და ახორციელებს და ცხოვრებაში მოყავს ეს ლოზუნგი თავისი კომუნისტური პარტიის და თავისი სახელოვანი და გმირული წითელი არმიის საშუალებით. თქვენ კი... თქვენ ებრძვით როგორც ერთს ისე მეორეს, და იმავე დროს ფიქრობთ, რომ რუსეთის მუშები თქვენ ძმურ ხელს გამოგიწვდიან. არა, ბატონებო! რუსეთის პროლეტარიატი თქვენ საკმარისათ გიცნობთ, რომ ამის ღირსი გაგხადოთ.

ბოლოს, მენშევიკები თავის „ნაკაზში“ ამბობენ: რუსეთის და საქართველოს მუშათა კლასს ერთი მიზანი აქვს: სოციალიზმის განხორციელება. ვმორდებით ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ ბრძოლის მეორედებში. ასე აცხადებენ ქართველი მენშევიკები. ერთ დროს ასე აცხადებდნენ კატკოვებიც, გრინგმუტებიც და მენშევიკებიც: იმათ ხალხის ბედნიერება სურდათ, მხოლოდ სხვა საშუალებით, სხვა გზით, ვინემ რევოლიუციონურ სოციალისტებს. რუსეთის მუშათა კლასი

სოციალიზმს ანხორციელებს ბურჟუაზიის დაძლევით, ბურჟუაზიული წესწყობილების დამხობით და პროლეტარიატის დიქტატურის შემოღებით. მენშევიკებს კი სოციალიზმის განხორციელება სურთ ბურჟუაზიული წესწყობილების დამყარებით და გამაგრებით, ბურჟუაზიის დაცვით და მფარველობით ერთი მხრით, და კომუნისტების დევნით და წვალებით, მუშების და გლეხების დატუსაღებით და ხვრეტით, მეორე მხრით. როგორც ხედავთ, რუსეთის მუშათა კლასსა და ქართველ მენშევიკებს შორის სულ ცოტა განსხვავება ყოფილა: პირველი ბურჟუაზიულ წესწყობილებას ამხობს და პროლეტარიატის დიქტატურას აარსებს სოციალიზმის მისაღწევათ; მეორენი კი ამავე მიზნით ბურჟუაზიულ წესწყობილებას ამაგრებენ და ბურჟუაზიას მფარველობენ! ერთი სიტყვით, განსხვავება სულ ცოტაა!

საინტერესოა ისიც, რომ ამ ბრძოლის მეთოდების სხვადასხვაობაზე ლაპარაკობს ბ-ნი ა. ხელაძე, რომელმაც ამ მხრით ასე ისახელა თავი, რომელიც „ცნობილია“ მუშათა პროფესიონალურ კავშირების დევნით და დარბევით.

მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა „ნაკაზის“ შემდეგი სიტყვები: „იმაზე ლაპარაკი ახლა, თუ რომელი მეთოდი უკეთესია: ჩვენი (მენშევიკების) თუ იმათი (რუსეთის პროლეტარიატის) **სრულიად ზედმეტია**, ვინაიდან ამ მეთოდების შესაფერი დაფასება მომავლის საქმეა.... ჩვენი მიზანია შევადგინოთ ნათელი წარმოდგენა რუსეთის მუშათა კლასის მოღვიწეობაზე და მივსცეთ უკანასკნელს ასეთივე სწორი წარმოდგენა ჩვენ მუშაობაზე. ასეთ ურთი-ერთ გაცნობის დროს შესაძლებელია ვისწავლოთ რაიმე იმათგან, ან იმათ რაიმე ჩვენგან“. მაშასადამე, მენშევიკები წინდაწინ უარყოფენ რუსეთის პროლეტარიატის და თავისი საკუთარი ბრძოლის მეთოდების შედარებას და დაფასებას, რომელი იმათაგანი უფრო სასარგებლო და მისაღებია მუშათა კლასისთვის საზოგადოთ. და ეს ადვილი გასაგებია. ვინაიდან, როცა მენშევიკების და ბოლშევიკების მეთოდების დაფასებაზე მიდგება საქმე, მენშევიკების მეთოდები გამტყუნებული და უარყოფილი იქნება. მაშ რაშია საქმე? მენშევიკები არც ისე გულუბრყვილონი არიან, რომ საბჭოთა რუსეთის დათვალიერება და ნახვა ენატრებოდეთ. იმათ განსაზღვრული მიზანი აქვთ: ერთი მხრით ისინი ფიქრობენ, რუსეთის მუშები თავისი ოინბაზობით შეცდომაში შეიყვანონ; მეორე მხრით ცდილობენ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ინსინუაციების და ცილისწამების შეთხზვისათვის ახალი საბაბი იშოვონ. მაგრამ ქართველი მენშევიკები სასტიკად სცდებიან: ისინი რუსეთის მუშებს შეცდომაში ველარ შეიყვანებენ; დეე ეს იმათ იცოდენ. რაც შეეხება ინსინუაციებს და ცილისწამებას, ამისთვის მენშევიკები საბაბს ყოველთვის იშოვნიან. რა უნდა უთხრან იმათ რუსე-



თის მუშებს? განა ისინი უამბობენ რუსეთის მუშებს, რომ იმათ კრიტიკულ დროს უღალატეს და გასცეს რუსეთის რევოლუცია და რუსეთის მშრომელი ხალხი, რომ ისინი შეიქნენ რუსეთის პროლეტარიატის დაუძინებელი მტრების—ანტანტის იმპერიალისტების—ლაკიები და დამქაშები, რომ ისინი შველოდენ და ეხმარებოდენ დენიკინს, ალექსეევს, კალედინს, რომ დენიკინელ გენერლის—ბარათოვის დაჭრის გამო იმათ მოკლეს უძველესი რევოლუციონერი და კომუნისტი, რომ იმათ ცეცხლით ჭ მახვილით ჩააქრეს გლეხებისაჯანყება საქართველოში, რომლებიც იბრძოდენ მიწათმფლობელობის მიწების სრულ კონფისკაციისათვის და საბჭოთა მთავრობის დაარსებისათვის; რომ იმათ ასობით დახვრიტეს და აწამეს კომუნისტები მუშები და გლეხები, რომ მიღებულია ყოველგვარი ზომები კომუნისტების მოსასპობად საქართველოს ტერიტორიაზე; რომ იმათ დღესაც მკიდრო კავშირი აქვთ ვრანგელთან და სხვა კონტრ-რევოლუციონერებთან? არა, რა თქმა უნდა, ამაებს ისინი არ უამბობენ რუსეთის მუშებს. სამაგიეროთ ისინი აი რას ეტყვიან რუსეთის მუშებს: ქართველი მენშევიკები იბრძვიან, რომ იმათ მთელი მიწა ჩამოართვეს მიწათმფლობელებს და უსასყიდლოთ გლეხებს გადასცეს, რომ მართალია ბურჟუაზიისთვის ხელი არ ეხლოთ, მაგრამ მუშათა კლასს სრული ბედნიერება მიანიჭეს, ნამდვილი სამოთხე განუხორციელეს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არც სიმშისს აქვს ადგილი, არც სიცივეს, რომ გლეხ-კაცობა და ქალაქის პროლეტარიატი სავსებით დაკმაყოფილებულია და არავითარ უკმაყოფილებას იმათში ადგილი არა აქვს,—რომ, ერთი სიტყვით, საქართველოში ნამდვილი მუშების და გლეხების მთავრობაა, ე. ი. განხორციელებულია პროლეტარიატის დიქტატურა, რომ ტფილისში და სხვა ქალაქებში არსებობენ მუშათა დეპუტატების საბჭოები, ე. ი. უამბობენ იმას, რაც ამას წინაზე ეწერა მენშევიკების ერთ არალეგალურ ფურცელში, რომელიც მიმართული იყო რუს წითელ არმიელების მიმართ და რომელიც ბ-მა კედიაშვილმა დაიჭირა როგორც საიდუმლო გამოცემა, რომელიც ამბობდა, რომ საქართველოში მთავრობის საბჭოთა მთავრობა არსებობდეს. და ბ-ნი კედიაშვილი ამ მხრით მადლობის ღირსია. მენშევიკები ეცდებიან ამავე დროს გადააფუჩქონ ნაციონალური საკითხი; ისინი ეცდებიან დაუმალონ რუსეთის მუშებს, თუ როგორ ექცევიან ისინი ნაციონალურ უმცირესობათ, სომხებს, თათრებს, აფხაზებს, აჭარლებს, ოსებს; ისინი შეეცდებიან გვერდი აუარონ იმ საშინელებას, რომელიც იმათ ამ ორი-სამი თვის წინეთ ჩაიდინეს სამხრეთ ოსეთში და დღესაც იდენენ იმ ოსების წინააღმდეგ, რომლებიც გაფანტულათ ცხოვრობენ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში.



მაგრამ ვინ მოუხსენის მათ, ვინ დაუგდებს ყურს? ვის სცალია იმათ ზღაპრების მოსასმენათ? ვისთვისაა საჭირო ეს სიცრუე, ეს ტყუილი, ეს სიყალბე? რუსეთის მუშებს ამისთვის როდი სცალიათ.

ღიახ, მართალია, რუსეთის მუშები დიდი სიამოვნებით ეგებებიან და უსმენენ ევროპის მუშებს, როცა ისინი რუსეთში მიდიან. რუსეთის მუშებმა კარგათ იციან, თუ ვისთან აქვთ ამ შემთხვევაში საქმე. იმათ იციან, რომ ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, შვეციის და სხ. მუშები იმიტომ კი არ მიდიან რუსეთში, რომ რუსეთის მუშები დაატყუილონ და შეცდომაში შეიყვანონ თავიანთ ქვეყნების შესახებ, არამედ იმიტომ, რომ ქვეშარიტება გაიგონ, იმიტომ, რომ რუსეთის პროლეტარიატისაგან ისწავლონ ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ კაპიტალის ბატონობის დასამხობათ. ევროპის და ამერიკის რევოლუციონური პროლეტარიატის წარმომადგენლებმა დღეს უკვე იციან, რომ საბჭოთა რუსეთი ერთად ერთი ქვეყანაა, სადაც მზადდება და იკედება ძლიერი იარაღი მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ დაჩაგრული და დამონებული კაცობრიობის გასანთავისუფლებლათ. ეს პროლეტარიატი უკვე ჩამოშორდა მეორე ყვითელ ინტერნაციონალს, ყვითელ სოციალ-დემოკრატას, ყველა ქვეყნის მენშევიკებს, რომლებიც დღეს იმპერიალისტური ბურჟუაზიის აგენტები შეიქნენ, რომლებიც კაპიტალის ბატონობას მფარველობას უწევენ. ჩვენ გვესმის, როცა ამ პროლეტარიატის წარმომადგენლები მიდიან საბჭოთა რუსეთში; იქ ისინი საქირდავათ, დასაციანავათ და ნიშნის მოსაგებათ კი არ მიდიან, არამედ სასწავლად, გამოცდილების მისაღებათ და თან დასახმარებლათ იმ გიგანტისებურ, იმ ტიტანიურ ბრძოლაში, რომელსაც საბჭოთა რუსეთი ეწევა მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. და ასეთი წარმომადგენლები მიდიან დღეს საბჭოთა რუსეთში ასობით კი არა, არამედ ათასობით და ათიათასობით ყველა ქვეყნიდან, ვინაიდან საბჭოთა რუსეთი ყველა დაჩაგრულთა და დამონავებულთათვის გადაიქცა ნამდვილ ალთქმის ქვეყანათ. და ასეთ წარმომადგენლებს საბჭოთა მთავრობა ფართოთ უღებს კარებს და ძათ ეუბნება: მობრძანდით და ნახეთ, ჩვენ თავის ნაკლულეგანებას არ ვფარავთ, ჩვენ გეუბნებით, რომ ჩვენ განვიცდით ეკონომიურ დაქვეითებას, წარმოება მოშლილი ან შემცირებულია, ხალხი სიმშვილს და სიცივეს განიცდის, მაგრამ ყოველივე ეს თქვენივე მჩაგვრელების, თქვენივე იმპერიალისტების ბრალია, რომლებიც საშუალებას არ გვაძლევენ, რომ მთელი ჩვენი შემოქმედებითი ძალა წარმოების აღდგენას და აღორძინებას მოვანდომოთო. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ მსოფლიო ბურჟუაზიამ ჩვენ ალყა შემოგვარტყა, მიუხედავათ იმისა, რომ სამი წლის განმავლობაში ჩვენ ყოველი მხრიდან ფრონტი გვაქვს, ჩვენ მაინც ვსძლიეთ გარედან შემოსეული

მტრები, ჩვენ შევექნით უმაგალითო წითელი არმია, ჩვენ მოვახდინეთ სასწაული სახალხო განათლების დარგში და ჩვენ ვეწვეით შემოქმედებით მუშაობას ყველა სხვა დარგში, უკანასკნელ დროს ჩვენ ავსწიეთ მალლა შრომის ნაყოფიერება და ვაფართოვეთ როგორც მრეწველობას, ისე სასოფლო მეურნეობას; ჩვენ ჩავუყარეთ მკვიდრი საფუძველი სოციალისტურ მიწათ-მოქმედებას, ჩვენ ვარჩინეთ სამილიონიანი ჯარი, ჩვენ ვაცმევთ და ვკვებავთ 120 მილიონ ხალხს. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი წითელი ჯარი მარტო საბჭოთა რუსეთს კი არ იცავს დღეს, იგი იცავს საერთაშორისო პროლეტარიატს, იგი იბრძვის მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის, იგი აკეთებს საერთაშორისო პროლეტარიატის საქმეს. და ამაში არ არის არაფერი გადაჭარბებული; არავინ არ უარყოფს, რომ ეკონომიური წარმოება მოშლილია, და სად არ არის დღეს ის მოშლილი, მაგრამ აღორძინება უკვე დაიწყო და სწრაფათ მიდის წინ, მაშინ როცა სხვა ქვეყნებში დღეს სულ სხვას ვამჩნევთ, იქ მდგომარეობა ამ მხრით არა თუ უმჯობესდება, არამედ სულ უფრო და უფრო უარესდება. ისეთი მოვლენები, როგორც „სუბოტნიკები“, ან განათლების, გლეხის და სხვა კვირეები, საავიტაციო მატარებლები, ვემები, ეტლები და სხვა და სხვა, არა თუ გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენენ, არამედ მეტათ დიდ, პირდაპირ კოლოსალურ მუშაობას ასრულებენ. ერთი სიტყვით, საბჭოთა რუსეთმა სულ მცირე ხნის განმავლობაში შექმნა და მოიქმედა იმდენი რამ, რამაც არ შეიძლება განცვიფრებაში არ მოიყვანოს, რამაც არ შეიძლება არ ალაფროთოვანოს ყველა ისინი, ვისაც კი შემთხვევა ეძლევა ის ინახულოს თავისი თვალთ. ის კიდევ არაფერი, რომ ევროპის და ამერიკის რევოლუციონური პროლეტარიატი დღეს რუსეთზე აწყარებს უმთავრეს თავის იმედებს; საქმე იმაშია, რომ საბჭოთა რუსეთმა, და მხოლოდ მან შესძლო ჩამორჩენილი, დამონებული, გაქვავებულ-გარინდებული აღმოსავლეთის შენძრევა და მოძრაობაში მოყვანა.

და ამავე დროს გამოდიან ვიღაც კაცუნა ხელაძეები და რუსეთის პროლეტარიატს ჭკუის სწავლებას პირდებიან! მაგრამ ეს ვაჟბატონები არც თუ ისე შტერები არიან. იმათ არ შეუძლიათ არ იცოდნენ, თუ რა სახელი აქვს საბჭოთა რუსეთის პროლეტარიატში ანტანტის გმირებს, ანტანტის აგენტებს, როგორიც არის მეორე ყვითელი ინტერნაციონალი ანუ ყვითელი სოციალ-დემოკრატია, ე. ი. შენშევიკები. ამიტომ, თუ მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მიიწვევენ საბჭოთა რუსეთში, მაინც უნდათ თავისი ყვითელი სახე დაანახონ რუსეთის მუშებს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ აქ რაღაც მატრებაზობა და ოინბაზობაა, აქ რაღაც დიდი სიყალბე და დატყუილება უნდა ხდებოდეს. მაგრამ ვისი დატყუილება, ან ვის წინაშე იდენენ



ასეთ სიყალბეს? მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ქართველმა მენშევიკებმა, რომელთა საქმენი საგმირონი საყოველთაოდ ცნობილია, და განსაკუთრებით ცნობილია ეს რუსეთის მუშებისთვის, რუსეთის პროლეტარიატი შეიყვანონ რაიმე შეცდომაში, თავისი ყალბათ შედგენილი დოკუმენტებით ის დაატყუილონ. მაშ ვისთვისაა საჭირო ეს სიყალბე, ეს ოინბაზობა, ეს ახალი ტყუილი? თავის თავათ იგულისხმება, რომ ისევ იმ გაბრუებულ, იმ გონება დაბრმავებულ მუშებისთვის, რომლებიც დღემდის მენშევიკებს ჯერ კიდევ უკან მისდევენ. მენშევიკებმა იციან, რომ დღეს, როცა საბჭოთა რუსეთის სინამდვილე ასე თუ ისე მთელი ქვეყნიერებისათვის ნათელი და აშკარა ხდება, ძველებურათ მასზე ქორების გავრცელება, ინსინუაციების და ცილისწამებების თხზვა, როგორც ამას ადგილი ქონდა და დღესაც აქვს იმპერიალისტურ და ყვითელ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში, შეუძლებელი ხდება. და ამიტომ საჭიროა რაიმე ახალი სიყალბის ჩადენა, ახალი ოინბაზობის გამოგონება, თორემ საცაა ეს გაბრუებული, ეს გონება დაბრმავებული მუშებიც გოხს მოვლენ და მაშინ მენშევიკების სიყალბე, იმათი ტყუილების ხუხულა ერთი შებერვით დაინგრევა.

აი სად უნდა ვეძიოთ მენშევიკების ახალი ოინბაზობის წარმოშობის ე. ი. რალაც ვითომდა „მუშების დელეგაციის“ საბჭოთა რუსეთში გაგზავნის მთავარი მიზეზი. ასევე მოიქცენ მენშევიკები აპრილში, როცა მათ როგორც გარედან, ისე შიგნიდან სასიკვდილო საფრთხე მოელოდათ. მაშინაც აფრინეს წითელ მოსკოვში ჩუმათ თავისი დელეგაცია, და ერთი მხრით თითქო თავის მიზანს მიაღწიეს. ახლა მათ სხენაირი, მაგრამ არა ნაკლებათ საშიში და მრისხანე საფრთხე მოელისთ, საბჭოთა რუსეთი დღეს აშკარათ, ყველას დასანახავათ გამოდის მთელი საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის მეთაურათ. ამ რევოლიუციის ტალღები ახლო მომავალში აუცილებლათ საქართველოს მუშათა კლასს მოხვდება. ამას კარგათ ხედავენ მენშევიკები, და ერთხელ კიდევ ცდილობენ განიმეორონ აპრილის ცდა, ვინძლო ახლაც შესძლონ თავიდან განსაცდელის აცილება საბჭოთა რუსეთში „მუშების დელეგაციის“ გაგზავნით. ვინ არ იცის, რომ ამ „დელეგაციას“ განსაკუთრებული რაზმის დელეგაციათ წოდება ბევრათ უკურო შეეფერება, ვინემ მუშების დელეგაციათ მონათვლა.

ჩვენ ფარდას ვხდით მენშევიკების ამ ახალ ოინბაზობას, პირფელობას, სიყალბეს. ჩვენ ვამბობთ, რომ სანამ მენშევიკებს საქართველოში არ აუღიათ ხელი თავის მოღალატურ პოლიტიკაზე, სანამ მათ არ დაუგმიათ არა სიტყვით, არამედ საქმით მთელი თავისი წარსული და აწმყო მოღვაწეობა, სანამ ისინი არ გამოსულან მეორე ყვი-

თელი ინტერნაციონალიდან, რომელმაც 1914 წელს გაყიდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობა, რომელმაც იმპერიალისტური ომის დროს გასცა ევროპის მუშათა კლასი, სანამ იმათ არ შეუწყვეტიათ ფაქტობრივი კავშირი რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერებთან და მეფის შავ გენერლებთან, მანამ ამათი განზრახვა, რომ რუსეთის პროლეტარიატზე იმათ არა თუ რაიმე გავლენა მოახდინონ, არამედ მათ მოუსმინონ, მათ ყურადღება მიაქციონ.

ამას კარგათ გრძნობენ თვით მენშევიკები, კარგათ გრძნობენ, თუ რა დანაშაული მიუძღვით მათ რუსეთის მუშების და გლეხების წინაშე, და ამიტომაც ადვილი ასახსნელია, როცა ბ-ნ ხელაძეს ეკითხებოდნენ: დაგვრთავენ ნებას, არ გვახლებენ ხელსო? განა ევროპის ან ამერიკის რომელიმე სახელმწიფოს მუშებში შესაძლებელი იყო ასეთი კითხვების აღძვრა? თავისთავათ იგულისხმება, რომ არა. ასეთი კითხვები რომელიმე სხვა სახელმწიფოს მუშებში მარტო სიცილს გამოიწვევდა. მაგრამ ქართველ მენშევიკებისთვის ასეთი კითხვების აღძვრა სრულიად ბუნებრივია. დასკვნა ნათელი და აშკარაა, მენშევიკები ახალ ოინბაზობას იკონებენ თავის შერყეული პოზიციის შესანარჩუნებლათ რამდენიმე ხნით მაინც. საქართველოს მუშების და გლეხების წინაშე ჩვენ ფარდა უნდა ავხადოთ ამ ოინბაზობას. ჩვენ უნდა ვუთხრათ მათ, რომ აქ არავითარ მუშების დელეგაციაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ესაა ბ-ნ ხელაძეების, რამიშვილების, ჯულელეების, გოგუაძეების, დევდარიანების და კომპანიის დელეგაცია; ერთი სიტყვით, ეს არის მენშევიკების იმ „ბელადების“ დელეგაცია, რომელთაც ამოდენი დანაშაული მიუძღვით რუსეთის მუშების და გლეხების წინაშე; ჩვენ არ ვამბობთ იმაზე, თუ რა დანაშაული მიუძღვით მათ საქართველოს მუშებისა და გლეხების წინაშე.

ამიტომ ჩვენ წინდაწინ ვამბობთ, რომ ეს ახალი ოინბაზობა მიზანს ვერ მიაღწევს.

ფ. მახარაძე.

ბაქო 18/IX 1920 წ.

კავკასიის კავშირი რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიისა  
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

## დაგეგმვა „პროლეტარიატის ბრძოლის“

11 №-სა.

**თბილისი.** ქალაქის თვითმართველობის დარბაზი, რამდენიმე დღე პოლიტიკურ აგიტაციის ასპარეზით გადაიქცა. აქ იკრიბებოდნენ, თითქმის ყოველ საღამოს, ადგილობრივი მუშები და საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც თავისუფალ სიტყვის მოსმენა კაი ხანია სწყურია. ამ კრებებზე ლაპარაკობდნენ მეფის მთავრობის უფარგისობაზე და მისი განადგურებას ყველა ერთხმით ითხოვდა. მთავრობა უყურებდა ყველა ამას და სდუმდა... ბევრს ეგონა, რომ მთავრობა შედარკა, წინააღმდეგობის თავი აღარა აქვს და ძალა უნებურათ დაუთმო ხალხს სიტყვის და კრების თავისუფლებას; მაგრამ ასე ეგონათ, მხოლოდ გულბრყვილოებს, რომლებიც თვითმპყრობელობას კარგათ არ იცნობენ. „თავისუფლება“ 25 აგვისტოდან დაიწყო. ამ საღამოს ქალაქის „მამებს“ კავკასიაში ერობის შემოღებაზე უნდა მოელაპარაკნათ. ეს გაიგო სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა („უმცირესობისამ“ და „უმრავლესობისამ“) და გადასწყვიტეს კრებაზე დასწრება, სხვა-და-სხვა განძრახვით, რასაკვირველია. თვითმართველობის დარბაზში თავი მოიყარა—2000-მდე მუშამ. ეს არ ეპიტნავათ „მამებს“ და დარბაზი მიატოვეს, დარჩა ზოგიერთი, უფრო „გულადი“, მაგრამ ისინიც შორიდან უთვალთვალედნენ „უკანონო“ ყრილობას. ხმონების გაპარვამ კრება ვერ ჩაშალა. ხალხმა აიჩრია თავმჯდომარე და შეუდგა კითხვის განსჯას. მეუმცირესეთა წარმომადგენელმა წაიკითხა რეზოლიუცია, მიღებული მათ მეორე კონფერენციაზე.—მეუმრავლესეთა ორატორებმა გამოსთქვეს ის აზრი, რომ ერობას ბოიკოტი უნდა გამოუცხადოთ, როგორც კონტრ-რევოლიუციონურ მოვლენასო. კრებამ გასტანა 4 საათამდი და მშვიდობიანათ დაიშალა. ამის შემდეგ თითქმის ყოველ ღამ იკრიბებოდა 200—300 კაცამდე, მსჯელობდნენ თავისუფლათ და პოლიტიკის არც ერთხელ ხელი არ შეუშლიო, იყო სულგანაბული და იცდიდა. ასე გასტანა 29 აგვისტომდე. ამ



დღეს ხმა გავარდა, რომ ქალაქის „მამებმა“ სახელმწიფო სათბობიროზე უნდა „ითათბირონ“ და მუშებსაც იწვევენო. საღამოს 8 საათ. საბჭოს დარბაზთან 2000—2500 ქალმა და კაცმა მოიყარა თავი. უმრავლესობას მუშები შეადგენდნენ, რომლებსაც „უმცირესობის“ ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა. დარბაზის კარი დაკეტილი იყო; მუშებმა შეამტვრიეს და შევიდნენ. და რაკი „მამები“ ახლაც არსად გამოჩნდნენ, კრებამ გადასწყვიტა ბაქოში მომხდარ ამბებზე ელაპარაკნა, სულ ნახევარ საათს არ გაუვლია, რომ დარბაზში პოლიციელი შემოვიდა და გენერალ-გუბერნატორის სახელით განაცხადა:—„დაიშაღენითო“. აღელვებულმა ხალხმა შესძახა: „ძირს პოლიცია, ძირს თვითმპყრობელობა“-ო. პოლიციელმა მიაშურა კარებისაკენ; მას გაყვა მცირე ნაწილი კრებისა. აქ თავმჯდომარემ კრება გაამხნევა და განახლდა მსჯელობა. გაიარა კიდევ 15 წუთმა და შენობას 400—500 კახაკი შემოერთყა ირგვლივ, და დარბაზშიც შეიჭრენ გამხეცებულები. ხალხმა დაინახა თუ არა კახაკები შეჩოჩქოლდა და წამოსვლა დააპირა. ამ დროს ჭერიალა ზალპმა, მას მოყვა მეორე, მესამე და შეკრთა კრება. თავზარ დაცემული ხალხი მოადგა გასაფაღს, მაგრამ კარები დაკეტილი დახვდა და, მოემწყვდა ადრევე დაგებულ ხაფანგში. დადგა ჯოჯოხეთური წამი: ყოველ მხრიდან ტყვია სეტყვასავით მოდის,—ქუჩიდან დარბაზში, დარბაზიდან გასაღებში, და აწვეს კაცს-კაცზე. კარიდორობში ჩაყენებული კახაკები კონდახებით და მათრახებით უხვდებიან და ასახიჩრებენ ყველას; მეორე რიგი კახაკებისა დახოცილ-დაჭრილებს ისვრის კიბეებიდან და მით ბრძოლის ველს უფართოვებს ჯვაროსან „მეომრებს“; ამავე დროს არ ივიწყებს თავის „ხელობას“ და სძარცვავს, როგორც მკვდრებს, ისე ცოცხლებს. ბევრმა ფანჯრიდან მოინდომა გადმოხტომა, მაგრამ შეხტომისთანავე უკანვე გადმოვარდა, ტყვიით გულგამირული. უარეს სურათს წარმოადგენდა შენობის ქვედა სართული—აქ, ბნელ სარდაფებში და კარიდორობში შემწყვდეულ ხალხზე, დაგეშილი ძაღლებივით ნადირობდნენ ბაშიბუზუკები. ესევე იყო ქუჩებშიაც—ვინც-კი, როგორმე თავს დააღწევდა შიგნით მხეცებს, ის გარეთების მსხვერპლი ხდებოდა და ასე შეუწყნარებლათ იღვრებოდა უიარაღო ხალხის სისხლი, როგორც შიგნით, ისე გარეთ.

ამ საზიზღარმა „ომმა“ გასტანა 40 წუთამდე. მოკლულია 60-დე ქალი და კაცი. დაჭრილთა რიცხვი არაა გამორკვეული, ამბობენ 300-დეაო; მათში ბევრი სასიკდილოთაა დაჭრილი.

ასე დაიწყო თვითმპყრობამ „რეფორმები“ კავკასიაში.

უნდა სამწუხაროთ აღვნიშნოთ, რომ ორგანიზაციის მოუმზადებლობამ ყოველივე მოლოდინს გადააქარბა; არაერთარი სამზადისის ნიშანწყალი არ ეტყობოდა დაწყობილ საქმეს. სამაგიეროთ მთავრო-



ბა სამიგალითოთ იყო მომზადებული; როგორც ჩანს დიდ წინააღმდეგობას ელოდა, მაგრამ პატარაც არავის გაუწევია, რის გამოც ასე დაუსჯელათ შერჩა თავის მხეცობა.

ამ დრამის შემდეგ, 31 აგვისტოს, „მეუმცირესეთა“ კომიტეტმა ფურცელი გამოუშვა, სადაც ამ ხოცვა-ჟლეტის ისტორიაა აწერილი და მისი მიზეზებია დასახელებული. ამ ფურცელში უმთავრეს დამნაშავეთ ქალაქის თავი (ვერმიშევი), ქალაქის ხმოსნები და „სტორეები“ არიან გამოყვანილი. ფურცელი ასე თავდება—„ძირს ვერმიშევი!“ საკვირველია, რატომ ვერმიშევი „ძირს“ და არა ის დედა-ბოძი, რომელზედაც ვერმიშევი და საზოგადოთ ბურჟუაზიის დამცველები ეყრდნობიან გაჭირვების დროს?! ნუ თუ პროლეტარიატის ლოზუნგი ვერმიშევის ძირს ჩამოვდება უნდა იყო? განა სოციალ-დემოკრატია ქალაქის თავის და მისი „სტორეების“ ჩამოვდება უნდა დაისახოს მიზნათ ამ რევოლიუციის ხანაში? ნუ თუ პროლეტარიატის პარტია ამ წვრილმანებზე უნდა ხურდავდებოდეს, ვილაც ვერმიშევზე უნდა მიიტანოს იერიში, მაშინ, როცა თვითმპყრობელობა ხელ-უხლებელია? გიკვირთ, როგორ ავიწყდებათ „მეუმცირესეთ“ ის ჭეშმარიტება, რომ: „წყალი სათავეში უნდა მოწყდეს“? მაგრამ, დიდ იმედებს დიდი გაცრუება მოსდევსო, იტყვიან. და, აი მათაც ასე დაემართათ. ისინი მუდამ დიდ იმედებს ამყარებდნენ ლიბერალებზე: მათ ბანკეტებზე მიდიოდნენ იმ აზრით, რომ სოციალ-დემოკრატიული რევოლიუცია გაეყვანათ და თავის მოთხოვნები ლიბერალების საშვალეებით განეხორციელებინათ. ბულიგინის მიერ მოწვეულ საერო კრებიდან—დამკუთხნებელ კრებას გამოელოდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ყველა პარტიებს ჩვენ მოვიმხრობთ და მთავრობა მარტო დარჩებაო და სხ... და რაკი ეს მოლოდინი არ გამართლდა, მათი ოცნება პირველსავე შემთხვევაში სინამდვილეს შეეღწეა და მით იმედები გაუცრუვა, ამიტომ ჩაცვივდნენ „მეუმცირესენი“ მეორე უკიდურესობაში და ვერმიშევზე გაილაშქრეს.

ასე ემართება ყველას, ვინც მტერს მოყვრათ მიიღებს. იმედია ახლა მაინც—გაიცნობენ ეს ახირებული მეთაურები ლიბერალების ნამდვილ ბუნებას და მათ აღერსს თავს მიანებებენ.

მთავრობის მხეცურ ჟლეტას მუშებმა ერთი დღის გაფიცვით უპასუხეს. გაფიცვამ შესამჩნევად ჩაიარა—1 სექტემბერს მთელი ქალაქის მაჯის ცემა შეჩერებული იყო.

ბაქო. საერთო გაფიცვას, რომელიც ბაქოს საშინელი ამბების (20—27 აგვ.) რამდენიმე დღის წინად მოხდა, მთლათ უმნიშვნელოთ არ ჩაუვლია ამ ამბებისთვის. საერთო გაფიცვას რომ სხვა ბოლო

ჰქონოდა შეიძლება იმ საშინელებათა მოწამე აღარ ცყოფილიყავით ამ აზრის სიმართლეს ქვევით დაეინახავთ—ამიტომ საჭიროთ ვთვლით ორიოდ სიტყვით საერთო გაფიცვას შევხვით. უმცირესობამ და დროშაკისტებმა ყოველივე ღონისძიება იხმარეს, რომ საერთო გაფიცვა ჩაეფუშათ: ცნობილი ბაქოელი ბელადი მეუმცირესეთა ასეთ დარიგებას აძლევდა მეუმცირესე მუშებს:—როცა გაფიცვის მეთაურები თქვენ ზავოდში მოვლენ მუშაობის შესაჩერებლად, ზრდილობას ძალიანაც ნუ აჰყვებით—სცემით და გარეკეთო.—ასეთმა სიტყვებმა მეუმცირესე მუშებიც-კი გულის სიღრმემდის აღაშფოთა—მაგრამ ხელის შეშლა კი მაინც გადასწყვიტეს. დროშაკისტები იარაღის გამოღებასაც-კი იყვნენ დამუქრებული. და რადგანაც დაშლა ყოველთვის ადვილია აშენებაზე ამ ამრევ-დამრევებსაც არ გაუჭირდათ საერთო გაფიცვის ჩაფუშვა. ამ ღებორგანიზაციის დაწვრილებით აწერას, აღარ გამოვეკიდებით. გაფიცვის ჩაფუშვამ მთელი ბაქოს პროლეტარიატი სულთ დააძაბუნა—თვით უმცირესობის ორგანიზაციის გარშემო მყოფი მასსა, გრძნობდა რა თვისი ბელადების სიმტყუნეს, სულთ დაეცა. ამნაირათ ის, ვისაც ერთი კვირის შემდეგ ხმა უნდა აემალლებინა მხეცურ სცენების შესაჩერებლათ—ბაქოს პროლეტარიატი—ენერგია ჩამქრალი, ექვებით ხელ-ფეხ შებორკილი აღმოჩნდა. ამან ხელები გაუხსნა მომავალი საშინელი დრამის გმირებს. დროშაკისტები და პანისლამისტები ემზადებოდნენ.—თუ ხოცვა დაიწყება, ჩვენ მოხარული ვიქნებით: ისეთ სისხლის აბანოს გაუმართავთ თათრებს, რომ თავის დღეში არ დაივიწყონო“,—ამბობდნენ დროშაკისტები. რამდენიმე დღის წინადავე დაიწყო მითქმა-მოთქმა მომავალ შეტაკებაზე,—მთავრობამ იცოდა, რასაკვირველია, რაცა მზადებოდა მაგრამ ასაცილებლათ არაფერს არა ცდილა. ის მხოლოდ მაშინ ჩაერია, როცა გვიანდა იყო, და ხოცვაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო. პირველ ორ დღესვე აღმოჩნდა, რომ დროშაკისტები გაცილებით უკეთესად მომზადებულიყვენ ვიდრე თათრები. ამბალების და ამშარას მომზადებაზე ხომ სასაცილოც იქნებოდა ლაპარაკი—იმათ „პოლიტიკის“ დარდი არასოდეს ჰქონიათ. აი სწორედ ესენი ხდებოდნენ ეროვნულ პოლიტიკის მსხვერპლნი. დროშაკისტები შეუბრალებლათ უშენდნენ ტყვიას ამბალებსა და ამშარას ოღონდ თათრის სახელი-კი რქმევოდათ. არც თათრები აკლებდნენ სამაგიეროს—მხეცური ფანატიზმით აწამებდნენ და ხოცავდნენ, ვინც-კი ხელში ჩაუვარდებოდათ. ვისაც თავის თვალთ არ უნახავს, ის ვერც წარმოიდგენს... საერთოდ თათრები მეტი დაიხოცა.

ბალახანაში და ბიბიეიბათში უფრო საზარელი სურათები ხდებოდა. აქ სიკვდილს ცეცხლიც მიემატა და ყველაფერი განადგურა. მთავრობა აქაც საუცხოვო თადარიგს იჩენდა—ხალხი სწყდებოდა



გამხეცებულ ბრბოს მახვილით და ტყვიებით, მათ სარჩო-საბადებელს ცეცხლი ნთქავდა და ხულიგანები არბევდნენ, მთავრობის წარმომადგენლები—კი იძახდნენ ჩვენ მანდ საქმე არა გვაქსო. ის სულ სხვა რამეს ზრუნავდა. ბალახანის ერთ რაიონში—ზაბრატში, მანთაშევის ზავოდში თათრებმა რამდენიმე ათი სომხის ოჯახი მოიმწყვდიეს და დღე დღეზე ამოწყვეტას უპირებდნენ. მომწყვდეულებს იარაღი სამყოფი შეესწროთ და გმირულად თავს იცავდნენ. ორი ათასამდე თათრების შეიარაღებული ურდო ხუთი ექვსი დღის განმავლობაში დღე და ღამე არ ასვენებდნენ და ყოველ წამს ლამობდნენ შევარდნას. სომხებს გამოეღლიათ სურსათი—და სამი დღის განმავლობაში დახალული ქერით იკვებებოდნენ. მდგომარეობა თანდათან კრიტიკული ხდებოდა... მთავრობას მათი განწირული ყოფა-კი არ აღარდებდა, არამედ ის რომ... მათ იარაღი ჰქონდათ და თათრებს მოხერხებით იგერიებდნენ. ადმინისტრაციამ მოლაპარაკება გამართა მათთან—იარაღი აიყარეთ და სამშვიდობოს გაგიყვანეთო, როცა მოსალაპარაკებლად მიახლოვება უნდოდათ ზავის ნიშნათ დროშას უფრიალებდნენ, სიფრთხილეს თავი არ სტკივავო. ბოლოს ზარბაზანი თავს დაემუქრენ. სომხებმა სთხოვეს ქალები და ბავშვები მიიყვანეთ სადგურზე და ჩვენ აქ ვიქნებითო. მთავრობა ამაზე არ დათანხმდა. მეტი ღონე არ იყო უნდა იარაღი გადაეცათ. მეორე ალაგას ასევე მომწყვდეულ სომხებს (საბუნჩის საავატიმყოფოში) ზარბაზანი დაუშინა...

(შემდეგი იქნება).

**ჭიათურა** (მიტინგები ერობის წინააღმდეგ). მეფე „გაგულკეთილდა“, მან კეთილი ინება და ხალხს ნასუფრალი გადმოუყარა. თავისი „მოწყალება“ არ მოაკლო კავკასიისაც, ერობა შემოიღო და ამ „მოწყალების“ დასარიგებლათ დაგზავნა სოფლებში თავისი დამქაშები, აქაც ჭიათურის რაიონშიაც მობრძანდნენ პოლიციელები, მეფის მოციქულები და ამცნეს ხალხს მეფის „გულკეთილობა“: კავკასიაში ერობა შემოგვაქსო. მაგრამ წარმოიდგინეთ მათი გააკვირვება, როცა ხალხმა მეფის „საჩუქარი“ არ მიიღო და ეს ძალათ მაცხონენი კულამოდუებული გამოისტუმრა... თანახმად მესამე კრების დადგენილებისა (резолуція объ отношеніи къ тактикѣ правительства наканунѣ переворота) და აგრეთვე ქუთაისის კონფერენციის გარდაწყვეტილებისა, ჩვენმა ორგანიზაციამ ზომები მიიღო, რომ ხალხს ბოიკოტი გამოეცხადებია ერობისათვის... შემუშავდა ამგვარი პლანი. წინ-და-წინ,

სანამ პოლიციელები მოვიდოდნენ სოფლათ, ჩვენ აგიტატორებს, უნდა გაეწია აგიტაცია ერობის წინააღმდეგ. თვითონ კრების დღესაც, როცა პოლიციელები მოვიდოდნენ, ჯერ უნდა დაგვეცლია მათთვის ლაპარაკი. გაათავებდნენ თუ არა, — უნდა გამართულიყო მიტინგი, სადაც უნდა გამოსულიყო ჩვენი აგიტატორი, რომელიც ილაპარაკებდა პოლიციელების წინააღმდეგ მეფის დაყვავების პოლიტიკის შესახებ, დამუშუნებელ კრებაზე და ურჩევდა ხალხს არ ამოერჩიათ წარმომადგენელი. უნდა აშვებულიყო დროშა და მარსელიეზის სიმღერით უნდა გაგვემართა დემონსტრაცია...

ყველგან ვატარდა ეს პლანი, სადაც-კი კრებები მოხდა ჩვენს რაიონში: 24 აგვისტოს ს. კაცხში (სადაც შეკრებილი იყო კაცხის და რგანის საზოგადოება) პოლიციელებს პროტესტი გამოუცხადეს ერობაზე — გაიმართა მიტინგები, აიმართა დროშა, იმღერეს „მარსელიეზა“. ასეთივე ამბავი მოხდა 25 აგვ. ს. ითხვისში (სადაც მოწვეული იყო ქორეთისა და პერევისის საზოგადოება), ამავე დღეს კიდევ პროტესტი გამოუცხადეს მთავრობას ხეითისა და მუჯირეთის საზოგადოებებში. აგრეთვე მოხდა ს. სვერში 27 აგვისტოს (აქ ჩხიროულისა და მერევის საზოგადოება იყო) და ს. დილიკოურში (ბოსლევისა და საზანოს საზოგადოება). „მეუმცირესენი“ შეეცადნენ თავიანთი ტაქტიკის გაყვანას, მარა ვერას გახდნენ. სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნენ ისინი. არ იცოდნენ რა გზას დადგომოდნენ (მათ თავიანთ კონფერენციის გარდაწყვეტილება არ მოსვლოდათ). ერთ ხანს აგვეყენენ ჩვენ და ჩვენს ტაქტიკას დაადგენენ, მაგრამ როცა რამოდენიმე დღის შემდეგ მოუვიდათ კონფერენციის გარდაწყვეტილება „კაცები აირჩიეთო“ — მაშინ გვიანლა იყო! მათ უკვე ხალხში (თავიანთ რაიონში საჩხერეში) ნათქვამი ქონდათ „კაცებს ნუ აირჩიეთო“. მათ უკუღმა აგიტაცია გასწიეს. „კაცები აირჩიეთო“. მაგრამ ხალხმა ყური აღარ დაუგდო.

**შეცდომის გასწორება.** 14 გვ. მეორე სვეტში ქვევიდან მე-5 სტრ. არის: პროფესიონალურ ორგანიზაციათ. უნდა იყოს — პროფესიონალურ რევოლუციონერთა ორგანიზაციათ. იგივე შეცდომაა 2 სტრ. ქვეით. 16 გვ. მეორე სვეტში ზევიდან 21 სტრ. არის: გამოგვააშკარავეთო. უნდა იყოს: რათ გამოგვააშკარავეთო.

**ივლის-აგვისტოს განმავლობაში მივიღეთ:** მანგლის. 26 მ. ქიათურ. 30 მ. იქიდანვე 200 მ. ქუთ. 10 მ. იქიდანვე 20 მ. ც. კ. — სგან

100 მ. კოლუმბისგან 5 მ. გრიგოლასგან 1 მ. გორ. 30 მ. ბაქ. 35 მ.  
სურამ. 43—50 კ. მანგლის. ეგორასგან 35 მ. ყვირილ. 31 მ. ქიზიყ.  
44 მ. ბასილერელისგან 500 მ. ნადეჟდასგან 300 მან.

---

ჯამუშები ქიზიყში: პეტრე დარჩიევი, ლევან სიყმაშვილი, სოფ-  
ლის მწერალი შაქრო კავალიშვილი.

---



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!  
კავკასიის კავშირი რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიისა.

## ქართლ-კახეთის გლეხ-კაცობას.

გატყდა ძველი დროება. დაირღვა სოფლის მყუდროება. სოფელშიც გაახილა თვალი და ახმაურდა. გუშინ ქედწახრილმა, მიწასთან გასწორებულმა გლეხ-კაცობამ დღეს თავი მაღლა აიღო, წელში გაიმართა და ამაყად შესძახის სისხლის მწოველებს: ჩვენც ადამიანები ვართ და ადამიანურ ცხოვრებას ვითხოვთ!..

და განა დრო არ იყო გამოღვიძებისა?

გადახედეთ წარსულს. გახსოვთ „ბატონ-ყმობის გადავარდნა“, როცა მეფის მთავრობამ საჯაროთ გამოაცხადა: ბატონ-ყმობა აღარ არის, დღეიდან თავისუფალი იქნებითო? ისიც ხო გახსოვთ, რა გახარებული მიეგებეთ ამ ამბავს? თქვენ, გამოუცდელებს ყველაფერი გჯეროდათ, რასაც-კი მთავრობა ამბობდა, და გახარებულნი, ერთმანეთს განთავისუფლებას ულოცავდით! რას იფიქრებდით? თურმე გატყუებდნენ, თვალებს გიბამდნენ და ახალ ბორკილებს გიმზადებდნენ!

დიახ, გატყუებდნენ, რადგანაც მიწები, თქვენი წინაპრების სისხლით მორწყული მიწები, ტყე, საბალახო, წყალი,—ყველა ეს უნამუსოთ ჩამოგართვეს და მებატონეებს გადასცეს; მებატონეები გააძლიერეს, თქვენ ხელცარიელი დავტოვეს და ამავე დროს უსირცხვილოთ გარწმუნებდნენ—ბატონ-ყმობა გადავაგდეთო!

გატყუებდნენ, რადგანაც ძველ, საბატონო გადასახადებს ახალი, სახელმწიფო გადასახადები მოუმატეს, არაყიდან და ნავთიდან დაწყებული უკანასკნელ ლილამდე ყველაფერს ბაჟი დაადეს; სულამდე ხელი ჩაგაწვდინეს, თავისუფლება მოგისპეს და ამავე დროს ფარისევლურათ ჩაგწურჩლებდნენ ყურში: თავისუფლები ხართ, მეტი რაღა გინდათო!

გატყუებდნენ, რადგანაც თქვენს დასაუძლურებლათ და წელში გასატეხათ სალდათობა შემოიღეს, დავაუკაცებელი ოჯახიშვილები ხელიდან გამოგაცალეს და უმუშა-ხელოთ დავტოვეს, ოჯახი ძირიანათ დაგინგრიეს, კერა მოგვიშალეს და იმავე დროს უნამუსოთ გარწმუნებდნენ—გლეხის ოჯახს ავაყვავებთო!

დიახ, გლენებო, მიწები ჩამოგვართვეს, ახალი ხარჯები გავაწერეს, სალდათობა შემოიღეს, მემამულეების ბატონობასთან მეფის ბატონობაც მოგვახვიეს თავზე, მემამულეების უღელთან ერთათ მეფის უღელიც დაგვადგეს მხრებზე, ჩვენს ჩასაჩუმებლათ და მოსამადლიერებლათ თითო ციდა ადგილი გადმოგვიგდეს, ცოტა რამ თავისუფლება გვიწყალობეს. და ყველა ამ თვალთმაქცობას „ბატონყმობის გადაფარდნა“ დაარქვეს. და ასე, ორ უღელში შებმულნი სიღარიბისა და შიმშილობის კერძათ გადაგვაქციეს.

წყევლა და სიკვდილი მეფის მთავრობას, რომელმაც ასე ახლართდახლართა ჩვენი გაპირებული ცხოვრება!

თუ ერთი უღელი სამძიმო იყო ჩვენთვის, ორი უღელი უფრო დაგვამძიმდებდა. და აი გაპირდა ცხოვრება, შიმშილობა შემოგვეპარა, ჩვენი ცოლშვილი შიშვლათ დაიარება, მეტი მოთმენა შეუძლებელია. ჩვენს გაპირებაში ქვაც-კი ხმას ამოიღებს. დაფიქრდით აბა, ის ვინც დედამიწას გული გაუსხნა და ზურმუხტათ აახვერდა, ვინც ტყეები გაჩეხა და სოფლები გააშენა, ვინც წელებზე ფეხს იდგამს და დღე მუდამ ოფელს იწურავს, ის ვინც ქვეყანას ძუძუს აწოვებს—ის ხალხი გლენჯაცობაა: და აი სწორეთ ეს ხალხია დღეს სიღარიბესა და შიმშილობაში ჩავარდნილი. დიახ, მეტი მოთმენა შეუძლებელია, აქ ქვაც-კი ხმას ამოიღებს. საჭიროა თითონ ხალხმა მოჰკიდოს თავის საქმეებს ხელი, რადგან **ხალხის განთავისუფლება თითონ ხალხმა უნდა მოახდინოს, და არა მეფეებმა.** და აი „დაიძრა სოფელი“. გურიიდან დაწყებული ქიზიყამდე ყველგან ფეხზე დადგა გლენჯაცობა და ერთ ხმათ გრიალებს: **ძირს ბატონ-ყმური წესები! ძირს მეფის მთავრობაო!** მათ წინ მიუძღვის ქალაქის მუშები და ისე სოფლისა და ქალაქის მშრომელნი ერთ დიდ ჯარათ გადაქცეულნი სასტიკო იერიშით მიდიან „ძველი წესების“ წინააღმდეგ. ქართლ-კახეთის გლენებო! ჩვენც შეუერთდეთ ამ რაზმს, ჩვენც გავერიოთ მათ ფერხულში, მათთან ერთათ ჩვენც დავცეთ მტერს ყიჟინა და მოვითხოვოთ:

1. წოდებების გაუქმება (ჩვენ არ გვინდა არც აზნაურობა, არც გლენობა; ჩვენ გვინდა, რომ ყველა თავისუფალი მოქალაქე იყვეს და ყველას ერთნაირი უფლება ჰქონდეს).
2. მოსპობა ყოველგვარი ბეგარისა, საბატონო იქნება ეს ბეგარა, სამღვდლო თუ სახელმწიფო.
3. მოსპობა საბატონო და სამღვდლო გადასახადებისა (თავდასახსნელი ფული, ღრამა და სხვა),
4. „ხიზნებს“, „დროებით ვალდებულებს“, სახაზინო და საეკლესიო გლენებს საკუთრებათ გადაეცეს ყველა ის მიწები, რომლითაც დღეს სარგებლობენ ისინი.

5. დაუბრუნდეს გლეხებს ადგილ-მამულები, რომლებიც ჩამო-  
უქრეს მათ „ყმების განთავისუფლების“ დროს და შემდეგ (სახნავი  
მიწები, ტყე, საბალახო, წყალი).

6. დაუბრუნდეს გლეხებს ის ფული, რომელიც გადაიხადეს მათ  
•თავდასნის დროს ან სხვა ხარკების გადახდაში. ამისთვის მონასტრებს,  
ეკლესიას და მეფის საგვარეულოს ჩამოერთვას მამულები; ცალკე  
გადასახადი გაეწეოს სხვილ მემამულე თავად-აზნაურებს, რომლებ-  
მაც თავ-დასახსნელი ფული ჩაიჯიბეს. დაუბრუნდეს აგრეთვე მათ  
ღალის ფულები თავისი სარგებლით. ყველა ეს ფულები უნდა მოხმარ-  
დეს სოფელს მისი საკიროების დასაკმაყოფილებლათ (საავითმოყო-  
ფოები, გზები, ხიდები და სხვ.).

ყველა ამ ცვლილებების მოსახდენათ უნდა დაარსდეს **საგლეხო  
კომიტეტი** (თვითეულ სამამასახლისოში ან რამდენიმე სამამასახ-  
ლისოში თითო საგლეხო კომიტეტი), რომლებიც მოაწესრიგებენ სა-  
ქმეს გლეხ-კაცობის სასარგებლოთ.

7. მოისპოს „მირი პოსრედნიკობა“ და დაარსდეს გლეხებისა-  
გან არჩეული სასოფლო სასამართლოები, რომლებიც ეცდებიან შეამ-  
ცირონ ღალა და სხვა საიჯარო ხარჯები. მიწის ღალა მოსავლის  
მეათედზე მეტი არ უნდა იყვეს, მემამულემ თითონ უნდა წაიღოს  
თავის ხვედრი.

8. მოისპოს ბაყები არაყზე, სპიჩკაზე, ნავთზე და სხვა ამისთა-  
ნა გადასახადები. ამის მაგიერ დაწესდეს პირდაპირი გადასახადი  
შემოსავლის და კვალათ. ვისაც ორმოცდაათ თუმანზე მეტი არ ექნე-  
ბა წლიური შემოსავალი, ის არავითარ ხარჯს არ უნდა იხდიდეს.

9. მოისპოს ხალდათობა და დაწესდეს სახალხო შეიარა-  
ღება.

10. დაწესდეს უფასო და ყველასთვის სავალდებულო სწავლა-  
განათლება როგორც ქალებისთვის ისე კაცებისთვის თექვსმეტ წლამ-  
დე. ღარიბ მოსწავლე ბავშვებს სახელმწიფო ხარჯით უნდა ეძლეო-  
დეს საზრდო, ტანისამოსი და სასწავლო ნივთები.

11. მოისპოს „ბაშფორთები“. ყველას უნდა ჰქონდეს უფლება  
იქით წავიდეს, საითაც მას სურს.

12. არ გვინდა „პრისტავები“ და „უეზდი ნაჩალნიკები“. და-  
წესდეს სოფლის, დაბის და მაზრის თვითმართელობა. მმართვე-  
ლებს ჩვენ თითონ უნდა ვირჩევდეთ ყველა, —ქალები და კაცები,  
პირდაპირი, თანასწორი და დახურული კენჭის ყრით.



აი ის მოთხოვნები, რომლისთვისაც ვიბრძოლებთ ჩვენ, **მთელი გლეხ-კაცობა.**

თქმა არ უნდა, რომ მემამულეება და მღვდლები ჩვენ წინა-ალმდგე იქნებიან. მაგრამ მათთან გამკლავებას დიდი რამე არც უნდა. ისინი ეხლავე სორობს ეძებენ. ალბათ იციან, რომ ჩვენთან ზუმრობა იაფათ არ დაუჯდებათ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ აქ წინ გადაგველობება მეფის მთავრობა, ის მთავრობა, რომელმაც მებატონების უღელთან ერთათ მეფის უღელიც დაგვადგა ზურგზე და გაქირვებაში ჩავგავლო. აი ამ მთავრობას უნდა დაეხედეთ ვაჟკაცურათ! არ დაივიწყოთ, გლეხებო, რომ მეფის მთავრობა მემამულეებისა და სხვა მდიდრებისგან შესდგება! ესენი ადგენენ დღეს კანონებს. ესენი გვაწერენ ხარჯებს, ესენი განაგებენ ჩვენ საქმეებს. მეფე, მინისტრები, გუბერნატორები, „უეზნნი ნაჩალნიკები“, „პრისტავები“, ჩაურები, ჟანდარმები და სხვა ამათთანა მუქთა-ყლაპიები,—აი ვინ შეადგენენ მეფის მთავრობას. როგორც ძალისაგან ბატკანი ვერ დაიბადება, ისე ამ მთავრობისაგან სიკეთეს არ უნდა ველოდეთ. **ჩვენ ვერ ავასრულებთ ჩვენსას, ხანამ ქვეყნათ მეფის მთავრობა იბოგინებს.** ამიტომ ჩვენ უნდა მოვსპოთ მეფის მთავრობა. ჩვენ უნდა გადავლახოთ მეფის მთავრობა და მის ადგილზე ავირჩიოთ **დამფუძნებელი კრება** ყველამ, ქალმა და კაცმა, პირდაპირი, თანასწორი და დახურული კენჭის ყრით. ჩვენ უნდა დავავალოთ ამ დამფუძნებელ კრებას, რომ მან **დემოკრატიული რესპუბლიკა**, ან სხვანაირათ რომ ვთქვათ, **ხალხის მთავრობა** შემოიღოს ქვეყნათ, რომელიც ხალხის მოსამსახურე იქნება, და არა თავისი თავის.

მოისპოს მეფის მთავრობა და მის ადგილზე ავირჩეს ხალხის მთავრობა, **დემოკრატიული რესპუბლიკა!**

აი რას მოვითხოვთ ჩვენ, აი, რას ითხოვს დღეს მთელი რუსეთის მუშა-ხალხი: ვიმეორებთ, ჩვენ მარტონი არა ვართ ამ წმინდა საქმეში, ჩვენთან არის დღეს მთელი რუსეთის მუშა-ხალხი, ჩვენთან არის აგრეთვე ყველა გამოფხიზლებული გლეხ-კაცი, ჩვენ გაუაცრიცებით ყურს გვიდგებს სალდათებიც-კი, ის სალდათები, რომლებიც მეფის ტახტს უნდა იცავდნენ! და როცა სოფლისა და ქალაქის მშრომელები ერთმანეთს ხელს გაუწოდებენ, ძმათ შეეფიცებიან და საერთო იერიშს მიიტანენ მეფის ტახტზე—იცოდეთ გლეხებო, რომ მათ ვეღარა დაუდგება-რა წინ!

მაშ წინ მედგრათ, ვაჟკაცებო **გავიმძღვაროთ წინ ქალაქის მუშები** და გავყვეთ მათ **დემოკრატიული რესპუბლიკისაკენ.** გავყვეთ და მათთან ერთათ დავღვწოთ საზიზღარი წესები, რომ გზა გავიკაფოთ იმ თანასწორობის ცხოვრებისაკენ, იმ **სოციალისტური** წესე-

ბისაგენ, საიოკენაც ასე გაუაცვიცებით მისწრაფიან ქალაქის მუშებია  
და ღარიბი გლეხკაცობა.

ძირს ბატონყმური უღელი!

ძირს მეფის მთავრობა!

გაუმარჯოს სახალხო დამფუძნებელ კრებას!

გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მუშა-საღვს!

კავშირის კომიტეტი.

---

19 მარტი 1905 წ.

სტამბა კავკასიის კავშირისა.

## ამხ. ს. გაგულის წერილი

მინაწერი ამხ. ფილიპესადმი საქართველოს კომუნისტური  
პარტიის მდგომარეობის შესახებ მენშევიკების ბატონობის  
დროს 1920 წ.

დიდათ პატივცემულო ამხ. ფილიპე!

გიძღვნით კომუნისტურ სალამს. ქართულ ბიუროს \*) საქმე ვერ მიდის კარგათ... სამი დღის წინეთ აქ ჩამოვიდა ქუთაისიდან X... და მოიტანა შემდეგი ამბავი: მაზრების წარმომადგენლების არა-ლეგალურ თათბირს დაედგინა არა-ლეგალური ყრილობის მოწვევა 24 ოქტომბერს, სადაც საბოლოოდ გადაწყდება პრტიის არა-ლეგალურ ნიდაგზე გადასვლის საკითხი და არჩეული იქნება ცეკაც. წერილში, რომელიც მოიტანა X-მა იყო სხვათა შორის ორი კითხვა: 1) ვინ აირჩია პირველი ცეკა და სად არისო ფილიპე? როგორც X გადმოგვცა, გადაწყვეტილი აქვთ თქვენი მოწვევა. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ პირველი ცეკა იყო არა არჩეული, არამედ დანიშნული, რომელიც ფაქტიურათ დაშლილია. მის ნაცვლათ დანიშნულია ახალი ცეკა, რაც მათ გაცნობეთ. თქვენ შესახებ ჩვენ მივსწერეთ, რომ თქვენ მოსკოვში ხართ წასული, მაგრამ თუ კი იქნებით არჩეული ყრილობაზე, ჩვენ გვაცნობონ და ჩვენც გაცნობებთ თქვენ. ჩვენ ჩვენს საპასუხო წერილში იმედი გამოვსთქვით, რომ თქვენ ანგარიშს გაუწევთ საქართველოს კომუნისტური პარტიის სურვილს და ჩამოხვალთ. ერთი სიტყვით, თქვენ აუცილებლათ იქნებით არჩეული და გამოწვეული და თქვენ იცით, თუ არ დააობლებთ საქართველოს კომუნისტურ პარტიას. მართალი უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ყველას გვეტყობა, შექმნილი მდგომარეობის გამო რევოლიუციონური მაჯის ცემის მოდუნება და თუ ეს მდგომარეობა დიდ ხანს გაგრძელდა, დიდს ზიანს მოუტანს საქართველოს კომუნისტურ პარტიას. საჭიროა სიკვდილის გზაზე შემდგარი პარტიის გამოცოცხლება, მასა მიისწრაფვის გამოცოცხლებისაკენ, მხოლოდ მას სჭირია მისი სულისკვეთების ნამდვილი გამომხატველი ხელმძღვანელი. ხელმძღვანელათ ის გირჩევთ თქვენ, და იმედია, თქვენც დაემორჩილებით მის სურვილს. აწი თქვენ იცით. ცნობას ჩვენგან მიიღებთ.

\*) ეს ბიურო არსებობდა ბაქოში 1920 წ.



შეიძლება ყრილობა 24/X-დან გადაიდვას 1/XI-თვის. თქვენი წერილი „ახალი ოინბაზობა“.....

აქ მეტი ახალი არაფერია. მომიკითხეთ სილიბისტრო. მოგიკითხათ ორივე ანიამ. მშვიდობით!

კომუნისტური სალამით **ხ. მამულია.**

---

P. S. დღეს ჩამოვარდა სილიბისტროს მეუღლე და მოიტანა ამბავი, რომ სილიბისტროს საქართველოში შესვლის ნება დართესო.

**ხ. მ.**

---

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

## უ ვ ე ლ ა მ უ შ ე ბ ს.

რევოლუცია გრგვინავს! რუსეთის რევოლუციონური ხალხი ყალყზე შედგა და საიერიშით შემოერთყა მეფის მთავრობას! ფრიალებს წითელი დროშები, შენდება ბარიკადები, იარაღს ისხამს ხალხი, იერიშით მიდის სახელმწიფო დაწესებულებებზე,—კიდევ გაისმა მამაკაცთა ყიჟინა, კიდევ ამღერდა მიყუჩებული ცხოვრება... რევოლუციის გემმა იალქანი აუშვა და თავისუფლებისკენ გაემართა. ამ გემს რუსეთის პროლეტარიატი ხელმძღვანელობს.

რა სურთ რუსეთის პროლეტარებს, საით მიდიან ისინი?

ძირს დავცეთ მეფის სათათბირო და ავაშენოთ სახალხო დამფუძნებელი კრება—აი რას ამბობენ დღეს რუსეთის პროლეტარები. პროლეტარიატი არ მოსთხოვს მთავრობას წვრილალ დათმობას, ის არ მოსთხოვს მას „სამხედრო დებულების“ და „ეკუიკუციის ახსნას“ ზოგიერთა ქალაქებსა და სოფლებში—პროლეტარიატი არ იკადრებს ასე დაწვრიმალებას! ვინც მთავრობისგან დათმობას ითხოვს, მას არ სწამს მთავრობის სიკვდილი,—პროლეტარიატი კი ამ რწმენით სულდგმულობს; ვინც მთავრობისაგან „შეღავათს“ ელის, მას არ სწამს რევოლუციის სიძლიერე,—პროლეტარიატი კი ამ რწმენით ცოცხლობს. არა! პროლეტარიატი არ დააწვრიმალებს თავის ენერგიას უთავებოლო მოთხოვნებზე. თვითმპყრობელობისთვის მას მხოლოდ ერთი მოთხოვნა აქვს: ძირს იგი, სიკვდილი მას; და აი, რუსეთის მიდამოებში მედგრათ და მედგრათ გაისმის მუშების რევოლუციონური ძახილი: ძირს სახელმწიფო სათათბირო, გაუმარჯოს სახალხო დამფუძნებელ კრებას! აი საით მიილტვის დღეს რუსეთის პროლეტარიატი.

მეფე ვერ მოგვცემს სახალხო დამფუძნებელ კრებას, მეფე ვერ მოსპობს თავისსავე თვითმპყრობელობას,—ის არ იზამს ამას! პაწია „კონსტიტუცია“, რომელსაც ის „გვაძლევს“,—დროებითი დათმობაა, მეფის ფარისევლური დაპირებაა და მეტი არაფერი! რა თქმა უნდა, ჩვენ ამ დათმობით ვისარგებლებთ, ჩვენ უარს არ ვიტყვით—ყვავს

კაკალი გამოვტაცოთ, რომ თავის გაუტეხთ მას ამ კაკლით; მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტათ დაზრება, რომ ხალხი ვერ ენდობა მეფის დაპირებას,—ის მხოლოდ თავის თავს უნდა ენდოს, ის მხოლოდ საკუთარ ძალას უნდა დაეყრდნოს: ხალხის განთავისუფლება ხალხისავე ხელით უნდა მოხდეს. მხოლოდ დამჩაგვრელთა ძვლებზე შეიძლება აწინდეს ხალხის განთავისუფლება, მხოლოდ დამჩაგვრელთა სისხლით შეიძლება განოყიერდეს ხალხის თვითმპყრობელობის ნიადაგი! მხოლოდ მაშინ, როცა იარაღ-ასხმული ხალხი პროლეტარიატს დაიმძღვარებს და საერთო აჯანყების დროშას აატრიალებს,—მხოლოდ მაშინ შეიძლება დაემხოს ხიშტებზე გამაგრებული მეფის მთავრობა. ცარიელი ფრაზები კი არა, უაზრო „თვითშეიარაღება“ კი არა,—ნამდვილი შეიარაღება და შეიარაღებული აჯანყება, აი საით მიდიან დღეს მთელი რუსეთის პროლეტარები.

ძლევა მოსილ აჯანყებას მთავრობის დამარცხება მოჰყვება. მარადამარცხებული მთავრობა ხშირათ ამდგარა ფეხზე. ჩვენშიაც შეიძლება ის ფეხზე ადგეს. ბნელი ძალები, რომლებიც აჯანყების დროს კუთხეებში მიიმალებიან—აჯანყების მეორე დღესვე გამოძვრებიან სოროებიდან და მთავრობის წამოყენებას მოინდომებენ. ასე სდგებიან მკვდრეთით დამარცხებული მთავრობები. ხალხმა უეჭველათ უნდა ალაგმოს ეს ბნელი ძალები, მან მიწასთან უნდა გააწვროს ისინი! ყველა ამისთვის კი საჭიროა, რომ გამარჯვებული ხალხი აჯანყების მეორე დღესვე შეიარაღდეს დიდიან-პატარიანათ, რევოლიუციონურ არმიათ გადიქცეს და მუდამ მზათ იყვეს—იარაღით ხელში დაიცვას ახალ მოპოვებული უფლებები. მხოლოდ მაშინ, როცა გამარჯვებული ხალხი რევოლიუციონურ არმიათ გადაიქცევა, მხოლოდ მაშინ შეიძლება მას საბოლოოთა განადგუროს ცხოვრებაში მიმალული ბნელი ძალები. მხოლოდ რევოლიუციონურ არმიას შეუძლიან განამტკიცოს დროებითი მთავრობის მოქმედება; მხოლოდ დროებით მთავრობას შეუძლიან მოიწვიოს სახალხო დამფუძნებელი კრება, რომელმაც ცხოვრებაში უნდა შემოიღოს დემოკრატიული რესპუბლიკა. რევოლიუციონური არმია და დროებითი რევოლიუციონური მთავრობა—აი, საით მიიღტვიან დღეს რუსეთის პროლეტარები.

ასეთია ის გზა, რომელზედაც შედგა რუსეთის რევოლიუცია. ეს გზა ხალხის თვითმპყრობელობისკენ მიდის და პროლეტარიატი იწვევს ყველა ხალხის მეგობარს ამ გზაზე გაემართოს.

მეფის თვითმპყრობელობა წინ ელობება ხალხის რევოლიუციას, მას უნდა თავისი გუშინდელი მანიფესტით შეაფერხოს ეს დიადი მოძრაობა,—ცხადია, რევოლიუციის ტალღები შთანთქავს და შორს გადაისვრის მეფის თვითმპყრობელობას...



ზიზღი და მტრობა ყველა იმას, ვინც პროლეტარიატის გზაზე არ შესდგება: ის საძაგლათ ლალატობს რევოლიუციას! სირცხვილი ყველა იმას, ვინც საქმით ამ გზას დაადგა და სიტყვით კი სხვასა ლაპარაკობს: ის სულმდაბლათ უფროთხის სიმართლეს.

ჩვენ ვერ დაგვაფრთხობს სიმართლე, ჩვენ ვერ შეგვარყევს რევოლიუცია! დეე ძლიერათ დასჭექოს მეხმა, დეე ძლიერათ დაჰქროლოს ქარტეხილმა! გამარჯვების წაში მოახლოვდა! ჩვენ აღტაცებით გავიმეორებთ რუსეთის პროლეტარიატის ლოზუნგებს, ჩვენ არ გვაშინებს წმინდა სიმართლე, ჩვენ არ გვაშინებს ხალხის გამარჯვება!

**ძირს სახელმწიფო სათათბირო!**

**გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას!**

**გაუმარჯოს რევოლიუციონურ არმიას!**

**გაუმარჯოს დროებით რევოლიუციონურ მთავრობას!**

**გაუმარჯოს სახალხო დამფუძნებელ კრებას!**

**გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!**

**გაუმარჯოს პროლეტარიატს!**

თბილისის კომიტეტი.

ოქტომბერი 1905 წ.

---

სტამბა თბილისის კომიტეტისა.

## რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 4.

### 19 თებერვლის გამო.

## მეფის რეჟიმი, თუ ხალხის რევოლუცია?

დღეს 45 წელი სრულდება მას მერე, რაც მეფემ ყმათა „განთავისუფლება“ გამოაცხადა.

ეს ის დრო იყო, როცა ყირიმში დამარცხებულ მთავრობას გარს შემოერტყა ამღელვარებული გლეხობა და დაჟინებით სთხოვდა მიწასა და თავისუფლებას. მეფეს არ უყვარდა გლეხები, მას სძულდა მათი მოთხოვნები, მარა მას ეშინოდა გლეხთა აჯანყების და სწორედ ამიტომ იყო, რომ მცირე დათმობით განიზრახა აზვირთებული გლეხების დამშვიდება. ტყუილათ კი არ ეუბნებოდა მეფე მოსკოველ აზნაურებს: „საჭიროა ჩვენ თითონ განვათავისუფლოთ ხალხი ზევიდან, თორემ ხალხი აღზდგება და თვითვე განთავისუფლებს თავს ქვედანა“. აი რისთვის დასჭირდა მთავრობას დაყვავების პოლიტიკა და რომ ხალხს ვერ გაეგო მთავრობის თვალთმაქცობა, მეფის მოლიბერალე ლაქიებმა ასტეხეს წარა-მარა კრიჭინი: „მეფე ხალხს ანთავისუფლებს“, მეფე „მზრუნველი მამაა“, „განმათავისუფლებელ“ მეფეს გაუმარჯოსო და სხვა ამისთანები...

ლაპარაკი არ უნდა, რომ გლეხობა მით უფრო დიდი იმედებით დაუწყებდა ლოდინს მეფის „განმათავისუფლებელ“ მანიფესტს. რას იფიქრებდა, თუ ყველა ეს ცარიელი თვალთმაქცობა იყო და მისი ინტერესები ბაზარზე გასაყიდათ გაჰქონდათ!

და აი, დადგა 19 თებერვალი. გამოვიდა მეფის მანიფესტი და გამოჩნდა, რომ მთელი ეს ლათაიები „მზრუნველ მეფეზე“ და „გლეხთა განთავისუფლებაზე“ ცარიელი ფარისევლობა ყოფილა და მეტი არაფერი!

გლეხებს მიწა უნდოდათ, ის მიწა, რომელიც მათ საუკუნოების განმავლობაში მორწყეს საკუთარი სისხლითა და ოფლით. მეფემ კი უსირცხვილოთ ჩამოართვა მათ სწორედ ეს მიწა, გადასცა თავად-აზ-

ნაურებს და, შემდეგ, ნიშნათ მოწყალებისა, ნება დართო ხებს მამა-სისხლათ გამოეყიდათ ბატონებისაგან თავისივე საკუთარი მიწები!

გლეხებს თავისუფლება უნდოდათ, სრული თავისუფლება მებატონეთა სამარცხვინო ბორკილებისაგან. მეფემ კი თითქმის შეუცვლელათ დასტოვა ეს ბორკილები და ზედ კიდევ თავისი სახიზლარი ბორკილებიც დაუმატა—მეფის თვითმპყრობელობის ბორკილები—ასე რომ გლეხობა იძულებული გახდა ორგვარი უღელი ეწია მეფისა და ბატონის გასასუქებლათ!

გლეხებს საბატონო გადასახადის მოსპობა უნდოდათ. მეფემ-კი რამოდენიმეთ ისევ დასტოვა ეს გადასახადები და ზედ კიდევ სახელმწიფო გადასახადები დაუმატა. ლაპარაკი არ უნდა, რომ გლეხის მდგომარეობა უკულმა დატრიალდებოდა...

და რომ გაჭირვებაში ჩავარდნილი გლეხობა არ აჯანყებულყო, მიწასთან არ გაესწორებინა თვითმპყრობელობის ტახტი, მეფემ სალდათობა გამოიგონა, მოსტაცა გლეხებს საუკეთესო ოჯახიშვილები, გადააცვა სალდათის მუნდირი და სასტიკი ფიცი ჩამოართვა, რომ უკმაყოფილო ხალხს შეუბრალებლათ დაუშენენ ტყვიას!..

მართალია, გლეხებმა ცოტა რამ პირადი თავისუფლება გამოიღვეს მთავრობას, რითაც აიძულეს ის ანგარიში გაეწია ხალხის ძლიერებისთვის—სწორეთ ამიტომ ვდღესასწაულობთ ჩვენ 19 თებერვალს—მარა რა არის გლეხისთვის პირადი თავისუფლება, თუ მიწა და ადამიანური უფლებები არ ექნება?..

აი, რას ეძახიან თურმე ისინი „ყმათა განთავისუფლებას“, აი როგორ ახერხებდნენ ისინი საქმით ხალხის სისხლის დაღვევას და სიტყვით კი „ხალხის თავისუფლებაზე“ ლათაობას!

ნუ თუ ამისთვის იბრძოდა მრავალ-ტანჯული გლეხკაცობა? და ნუ თუ მწარე დაცინვა არაა გლეხებზე, როცა მეფის ფარისევლურ საქციელს ყმათა განთავისუფლებას უწოდებენ და ჯალათი მეფე კი ხალხის „განმათავისუფლებლათ“ გამოჰყავთ?

არა! გლეხებს ესეთი „განთავისუფლება“ ვერ დააკმაყოფილებს!

გლეხებს მიწები ჩამოართვეს—საჭიროა სრულიათ უსასყიდლოთ დაუბრუნდეს მათ მთელი მიწები, რომ მით ბოლო მოეღოს ბატონყმურ ნაშთებს!

გლეხებს მებატონეთა ბორკილებთან ერთად მეფის ბორკილებიც გადაჰკიდეს—საჭიროა დაიმხზვრეს ორივე ბორკილები, რომ დამცირებული გლეხობა წელში გაიმართოს და თავისუფლათ ამოისუნთქოს!

გლეხების ძველ გადასახადებს ახალი, არა-პირდაპირი სახელმწიფო გადასახადებიც მიუმატეს—საჭიროა მოისპოს ეს გადასახადე-



ბი და პირდაპირი გადასახადი გაეწეროს მხოლოდ შეძლებულებს, რომ რამოდენიმეთ მაინც არის ფესზე დადგეს გლეხის დაქვეითებული ოჯახი!

გლეხებს სალდათობა მოახვიეს კისერზე—საჭიროა სამუდამოთ მოისპოს სალდათობა და ხალხის შეიარაღება იქნეს შემოღებული, რომ გლეხს ვერაფერ ვერ წაართვას თავის საუკეთესო ოჯახიშვილები!

აი როგორი „განთავისუფლება“ უნდა გლენობას!

და ყველა ეს უნდა მოახდინოს საბრალო მეფის სასაცილო მანიფესტებმა კი არა,—არამედ თითონ ხალხმა თავისი საკუთარი რევოლიუციით; ვინაიდან მთელმა წარსულმა და უფრო კი 19 თებერვლის მანიფესტმა აშკარათ დაგვანახვა, რომ მეფის მდიდრული სასახლიდან ბორკილების მეტს არაფერს არ უნდა ველოდეთ, რომ გლეხთა განთავისუფლება მხოლოდ გლეხებისავე ხელით შეიძლება მოხდეს! ტყუილათ კი არ ამბობენ ევროპიელი მუშები ერთ თავიანთ სიმღერაში:

ვერა, ვერ გვიხსნის ვერა რა გმირი,  
 ვერც ღმერთი, მეფე „მირონცხეზული“,  
 მონობის უღელს დავამსხვრევთ მხოლოდ  
 ჩვენ თითონ, ხალხი შეერთებული!

დღე ახსოვდეთ გლეხებს ეს ძვირფასი სიტყვები ევროპიელი მუშებისა, დღე იცოდნენ მათ, რომ მხოლოდ მაშინ, როცა ისინი თავს მოიყრიან ქალაქის მუშების გარშემო და რევოლიუციის დროშას ააფრიალებენ,—მხოლოდ მაშინ ეღირსებიან ნამდვილ ადამიანურ განთავისუფლებას!

თვითმპყრობელობის ავაზაკებს კი, რომლებიც „გამოსასყიდი ჩამონაჭრებით“ ცდილობენ ერთხელ კიდევ მოატყუონ მრავალჯერ მოტყუებული გლეხობა, კარგი იქნებოდა სცოდნოდათ, რომ მათი სასაცილო პლანები ჰაერში გაიფანტება, როცა აჯანყებული გლეხობა პროლეტარიატს გაიმძღვარებს წინ და ყიჟინით დასძახებს:

**ძირს ბატონყმური ნაშთები!**

**ძირს მეფის რეფორმა!**

**გაუმარჯოს ხალხის რევოლიუციას!**

**გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!**

**გაუმარჯოს პროლეტარიატს!**

თბილისის შეერთებული კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ.,

თებერვალი 1906 წ.

სტამბა თბილისის კომიტეტისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!  
კავკასიის კავშირი რუსეთ. სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიისა.

## თფილისის შაართიგულ გუშაგს.

ამხანაგებო! დღეს დაფარული აღარავისთვის არის, რომ თფილისის კომიტეტის თაოსნობით შარშანწინ პირველი კრება მოხდა ბათუმის, ბაქოს და თფილისის კომიტეტის წარმომადგენლებისა. აქ, ამ კრებაზე, უნდა გადამწყდარიყო კავკასიის მუშათა შეერთების საქმე, აქ უნდა შეერთებულიყვნენ ისინი ერთ კავკასიის კავშირათ და მით შესამჩნევათ გაეადვილებინათ თავიანთი ბრძოლა მთავრობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ჩვენი სატრფილო აზრი, ჩვენი სანატრელი მისწრაფება შესანიშნავათ განახორციელა ხსენებულმა კრებამ,—მან დაარსა კავკასიის კავშირი; და ყველა ეს მოხდა იმიტომ, რომ კრების მედროშეთ თფილისის კომიტეტი გამოვიდა. ცხოვრებაც და პროგრამაც აშკარათ გვიმტკიცებდა, რომ სწორე გზაზე ვიდუქით. კავკასიის შეერთებული მუშების მოძრაობამ 1903 წელს (ივლისში), რომელმაც ძირიანათ შეარყია მეფის თვითმპყრობელობა და ჩვენ-კი წინანდელზე უფრო მაგრა შეგვეერთა,—ამ მოძრაობამ თვალსაჩინოთ დაგვანახვა, რომ ჩვენ არ მოგტყუებულვართ, როცა კავკასიის კავშირათ შევერთდით. ამავე დროს ჩვენი პარტიის მეორე კრებამ თავის წესდებაში და რეზოლიუციაში „რაიონულ ორგანიზაციებზე“ (იხილე „უწყება მეორე პარტიულ კრებაზე“) ნაყოფიერთ აღიარა კავკასიის კავშირი და განამტკიცა ის. თფილისის კომიტეტი და თფილისის მუშები დღესასწაულობდენ; მათი მოწოდება—შევერთდეთ კავკასიის კავშირათ და შევესისხლხორცოთ პარტიას, როგორც კავშირი კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა, და არა როგორც ცალკე ორგანიზაციები—ეს მოწოდება მოწონებულ იქმნა, როგორც ჩვენი რევილიუციონური მოძრაობისაგან, ისე პარტიისგან, ამ მოძრაობის ხელმძღვანელისაგან... და აი მოულოდნელათ ვიგებთ, თფილისის კომ. კავშ. კომიტეტისგან გამოსულა (იხილე თფილისის კომიტეტის დადგენილება 17 იანვარს 1905 წლის). გესმით ამხანაგებო! თფილისის კომიტეტი ფეხქვეშა სთელავს კავკასიის კავშირის იდეას, მიღებულს პარტიის მეორე კრებისგან. თფილისის კომიტეტი უარყოფს თფილისის მუშების დაკავშირებას ბათუმის, ბა-

ქოს, ქუთაისის, იმერეთ-სამეგრელოს, გურიის და სხვა მუშებთან! თფილისის კომიტეტი გვარწმუნებს, რომ მასთან ერთათ თფილისის შეერთებულმა მუშებმაც გადასჭრეს კავშირი შესწყვიტონ ბაქოელ, ბათუმელ და სხვა ამხანაგებთან—გამოვიდნენ კავკასიის კავშირიდან და მით პარტიის გარეშე დარჩნენ. განა ეს დასაჯერებელია, ამხანაგებო! ნუ თუ ის თფილისის მუშები, რომლებიც ამ ორი წლის წინათ შეერთებას ურჩევდნენ კავკასიის მუშებს, ნუ თუ ის თფილისის მუშები თვითონვე გაილაშქრებენ ამ შეერთების წინააღმდეგ? არა, ამხანაგებო, ჩვენ ვერ დავიჯერებთ ამას! პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენთვის არც კი შეუტყობინებია თფილისის კომიტეტს მისი კავშირიდან გამოსვლა (თფილისის კომიტეტი 17 იან. 1905 წელს გამოვიდა კავშირიდან). ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს მოუფიქრებელი გადაწყვეტილება თქვენ კი არა, მხოლოდ რამდენიმე პირს ეკუთვნის, რომლებიც თფილისის კომიტეტის წევრებათ ითვლებიან—ეს პირები თქვენ უკან გეწევიან, წარსულისკენ, როცა ყველა ჩვენგანი ცალ-ცალკე იბრძოდა,—ისინი თქვენი ინტერესების წინააღმდეგ მიდიან და ამიტომ გაფრთხილებთ თქვენ—არ გაჰყვეთ მათ! უკან კი არა, განცალკევებისკენ,—წინ უნდა მივისწრაფოდეთ, შეერთებისკენ, აი რაშია ჩვენი მიზანი, ამხანაგებო! აი ამ მიზნით—შემუშავა კავშირის კომიტეტმა შემდეგი რეზოლიუცია:

კავშირის კომიტეტის რეზოლიუცია შესახებ თფილისის კომიტეტის გამოსვლისა კავკასიის კავშირიდან.

მიიღო რა სახეში კავშირის კომიტეტმა, რომ

1. კავკასიის კავშირი, როგორც რაიონული ორგანიზაცია, თანახმად პარტიის მეორე კრებაზე მიღებულ პრინციპისა და ცენტრალურ კომიტეტისაგან დამტკიცებულ კავშირის წესდებისა,—პირდაპირი ხელმძღვანელი და შემაერთებელია სოციალ-დემოკრატიულ მუშაობისა კავკასიაში;

2. კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები შედიან რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, არა როგორც ცალკე ორგანიზაციები, არამედ, როგორც ნაწილნი ერთი რაიონული ორგანიზაციისა, რომელსაც კავკასიის კავშირი ეწოდება.

ცენტრალურმა ორგანომ კავკასიის კავშირისა—კავშირის კომიტეტმა თფილისის კომიტეტის კავშირიდან გამოსვლის შესახებ დაადგინა: თფილისის კომიტეტის ასეთი საქციელი (კავშირიდან გამოსვლა) არღვევს პარტიის მეორე კრებისაგან მიღებულ პრინციპებს, კავშირის წესდებას და მით პარტიის გარეშე სტოვებს დღევანდელ წევრებს თფილისის კომიტეტისას; ამიტომ კავშირის კომიტეტი აარსებს თფილისის ახალ კომიტეტს, რომელიც პარტიის ნამდვილი წარმომადგენელი იქნება თფილისში და სხვა კავკასიელ ამხანაგებთან ერთად აგვარბძოლებს მთავრობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.



ამხანაგებო! იმ დროს, როცა ჩვენ ერთმანეთს ხელს უნდა ვუწოდებდეთ და ძმით ვეფიცებოდეთ, თფილისის კომიტეტი კავშირს გვაწვევტინებს სხვა კავკასიელ ამხანაგებთან და მთელ პარტიასთან! ჩვენი ვალია ჩამოვწორდეთ ასეთ საქმის ამრევ პირებს და თავი მოვიყაროთ კავშირის კომიტეტისაგან დაარსებულ თფილისის ახალი კომიტეტის გარშემო; მაშ მივცეთ ხელი ერთმანეთს და ვიბრძოლოთ ახალი კომიტეტის ხელმძღვანელობით!

**გაუმარჯოს კავკასიის კავშირს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!**

**გაუმარჯოს რუსეთის სოციალ-დემოკრატი. მუშათა პარტიას!**

**კავშირის კომიტეტი.**

† თებერვალი 1905 წ.

სტამბა კავშირისა.

ყველა ქვეყნის მუშებო, შეერთდით!

კავკასიის კავშირი რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტიისა.

## თბილისის მუშებს!

ამხანაგებო!

გახსოვთ ცხრა იანვარი, როცა პეტერბურგში ავარდნილმა რევოლიუციის ალმა ირგვლივ შემოირბინა რუსეთი და გული აუნთო პროლეტარიატს, როცა პეტერბურგის მოძრაობამ დემონსტრაციები გამოიწვია რიგაში, ვარშავაში, ვილნოში, ადესაში, თბილისში და სხვაგან, ფეხზე დააყენა და ააბობოქრა რუსეთის სოფლები,—და მით ქვეყანას დაანახვა, რომ რუსეთში რევოლიუცია დაიწყო?..

როგორ შევხედით ამ შესანიშნავ მოვლენას, ვიყავით, თუ არა მომზადებულნი?

სამწუხაროთ, არა, ამხანაგებო. იანვრის დემონსტრაციებმა და, კერძოთ, თბილისის გაფიცვა-დემონსტრაციამ ნათლათ დაგვანახვა ჩვენი მოუზადებლობა. მართალია, რუსეთის პროლეტარებმა გაფიცვა-დემონსტრაციებით უპასუხეს პეტერბურგელ ამხანაგებს; მაგრამ რა უფასო აქვს ცარიელ გაფიცვებსა და დემონსტრაციებს, და ისიც სხვა და სხვა დროს მომხდარს, როცა კითხვა რევოლიუციაზეა დაყენებული? იმ დროს, როცა ჩვენი ამხანაგები სისხლს აქცევდნენ პეტერბურგის ქუჩებზე და რევოლიუციის დროშას მიაფრიალებდნენ,—ჩვენ და ჩვენთან ერთად სხვა რუსეთელი ამხანაგები ჩვეულებრივათ განვაგრძობდით მუშაობას. და შემდეგ, როცა ჩვენც ხმა ავიმაღლეთ და პროლეტარული სალაშქრო გავეუზახენეთ პეტერბურგელ გმირებს, ესენი უკვე ცივს სამარეში განისვენებდნენ; ცოცხლათ დარჩენილები კი ბოლშევიკთა გულში იკლავდნენ, ბედსა სწყევლიდნენ და მუშაობას ადგებოდნენ. ასევე იყო მოსკოვში, ვარშავაში, რიგაში, ადესაში და სხვაგან.

რუსეთის პროლეტარიატი დანაწილებული, ჯგუფებათ დაქუცმაცებული შეხვდა რევოლიუციას და ამიტომ დაინთხა მისი სისხლი ასე უბრალოთ. საჭირო იყო საერთო გალაშქრება, საჭირო იყო ერთსა და იმავე დროს ამდგარიყო მთელი რუსეთის პროლეტარიატი და მედგარი იერიში მიეტანა მთავრობაზე, საჭირო იყო შეიარაღება, მეტი შეიარაღება და კიდევ შეიარაღება. საჭირო იყო გახურებული აგიტაცია სალდათებში და მათი ჩვენსკენ გადმოყვანა და კიდევ ბევ-

რი რამ სხვა,—მაგრამ ვერც ერთი ეს ვერ მოხდა, როგორცა წინათ ამხანაგებო.

რა იყო ამის მიზეზი? მხოლოდ ის, ამხანაგებო, რომ ჩვენ არა გვქონდა მაგარი პარტია მტკიცე ცენტრალური კომიტეტით სათავეში, რომელიც წინ წაუძღვებოდა და გზას გაუხანებდა აჯანყებულ პროლეტარიატს; მხოლოდ ის, ამხანაგებო, რომ ცალკე ჯგუფებათა ვართ დანაქუნტლებული და ჯერ კიდევ ვერ შევერთებულვართ ერთ დიდ არმიით.

დიახ, იანვრის მოძრაობამ ნათლათ დაგვანახვა, რომ ჩვენთვის აუცილებელზე აუცილებელია მაგარი პარტია, რომელიც ერთ დიდ არმიით შეგვაერთებს და იერიშს მიგვატანინებს ძველს წესებზე. და ჩვენ უნდა შეექმნათ ასეთი პარტია, რათაც უნდა დაგვიჯდეს ეს!

ერთი და განუყოფელი პარტია—აი რა გვინდა ჩვენ.

და ეს საჭიროა ჩვენთვის არა მარტო ძველი წესების დასაღწევათ, არამედ ახალის ასაშენებლათაც. ყველა თქვენგანმა უნდა იცოდეს, ამხანაგებო, რომ ძველის დანგრევა საკმარისი არაა. ბევრჯერ დაანგრეეს საფრანგეთში ძველი წესები, მაგრამ მარტო ამით ბევრი არა გაკეთებულა რა. საქმე იმაშია, თუ რას ავაშენებთ ძველის ადგილზე, საქმე იმაშია, თუ ვინ ისარგებლებს ძველის დანგრევით. აი აქ არის ჩვენთვის საჭირო მტკიცე და შეურყეველი წინამძღოლები. ჩვენ არ უნდა გვინდოდეს ისეთი „წინამძღოლები“, რომლებიც თვედათვე იცვლიან „მიმართულებას“. რომლებსაც ვერ შევუმუშავებით შეურყეველი პროლეტარული ტაქტიკა და მუდამაც მოირყევიან, მიხედვით იმისა, თუ საიდან დაჰბერავს ქარი. ჩვენ შეურყეველი კაცები გვინდა და მხოლოდ მათ გავყვებით ბრძოლაში!..

ცალკე ჯგუფები-კი არა,—ერთი და განუყოფელი პარტია.

რყევა და ყოყმანი კი არა,—მტკიცე და შეურყეველი ტაქტიკა. აი რასა გვთხოვს პროლეტარიატის ინტერესები, და ჩვენ შეურყეველათ ვიბრძოლებთ ამისთვის, რათაც უნდა გვიღირდეს ეს ბრძოლა!

გაუმარჯოს ერთს და განუყოფელ რუსეთის სოციალ-დემოკ. მუშათა პარტიას!

თბილისის კომიტეტი 1906 წ.

სტამბა კავშირის კომიტეტისა.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!  
კავკასიის კავშირი რუსეთის ს.-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა.

## კავკასიის მუშებს. რ ა გ ა მ ო ი რ კ ვ ა ?

**ამხანაგებო!** სულ რამდენიმე თვე იქნება მას მერე, რაც რუსეთში „ახალმა სიომ“ დაბერა. ეს ის დრო იყო, როცა ეგრედწოდებულმა სვიატოპოლკ-მირსკიმ „ნღობა“ გამოუტყადა „საზოგადოებას“. სწორეთ ამას უცდიდნენ ლიბერალები. მათ უმაღ ენა<sup>ა</sup>ამოიღგეს,—და დაიწყო ბანკეტ-ვეჩერ-პეტიციები. „ჩვენ ვართ მარილნი ქვეყანისა, მამ ცოტა რამ თავისუფლება გვიწყალობეთო“,—ასე ეუბნებოდნენ ისინი მეფის მთავრობას. აქა-იქ „სოციალ-რევოლიუციონერების“ რევოლვერებმაც დაიტყაცუნა,—და „აყაყანდა ქვეყანა“: „გაზაფხული დგებაო“! მეფე-კი უჭურებდა ყველა<sup>ა</sup>ამას და ეცინებოდა... მაგრამ ყველაფერს აქვს ბოლო. მოსწყინდა მეფეს ეს „დაუსრულებელი ყაყანი“, მობეზრდა პეტიციების მიღება და სასტიკად ბძანა: ციც! გეყოფათ ხუმრობა, კმარა რაც იყაყანეთო! ისინიც მიჩუმდნენ და სოროებში მიიმალნენ. ასე გათავდა ლიბერალების „რევოლიუცია“. პროლეტარიატი-კი სდუმდა, ის ღრმა ფიქრებს ეძლეოდა. მხოლოდ ბაქო არ ისვენებდა. მაგრამ რას წარმოადგენს ბაქო მთელ რუსეთთან შედარებით? პირიქით, მისი ხმა უფრო საიდუმლოებრივ ხასიათს აძლევდა რუსეთის პროლეტარიატის სიჩუმეს. ყველა სულგანაბული იყო, ყველა ელოდა რალაცას... სწორედ ამ დროს დაიქუხა პეტერბურგის აჯანყებამ და ფეხზე დააყენა პროლეტარიატი. სამასი ათასი პროლეტარი ერთხმად ითხოვდა „ადამიანურ უფლებებს“. „სიკვდილი, ან გამარჯვებაო“! აი რას ამბობდენ ისინი. მათ მიჰყვა მოსკოვი, რიგა, ვილნო, ვარშავა, კავკასია,—და მთელი რუსეთი აჯანყების მოედნათ გადაიქცა. მეფე და პროლეტარიატი—აი ვინ შეეჯახნენ ერთმანეთს. აქ კი შეირყა მეფის მთავრობა დი უკან დაიხია. მის ბძანებას, მის ტყვიებს გულის დამხვევი ყიჟინით შეხვდა პროლეტარიატი,—და შედრკა მეფის მთავრობა. ის უცევ მორბილდა, წელში მოტყდა და რალაც კომისიებზე მოჰყვა ყბედობას: აირ-

ჩივთ კაცები, მომელაპარაკეთ და—არც ისე უნამუსო ვარ—დაგაკმაყოფილებთო. მან „პროკლამაციებიც“—კი გამოცა, სადაც ის პროლეტარიატს ეხვეწება: ნუ აჯანყდები, შემობრალეო!... ეს—კი იმას ნიშნავს, რომ ძალა პროლეტარიატში ყოფილა. ეს—კი იმასა ნიშნავს, რომ მეფის მთავრობის მესაფლავე, მისი თავზარ-დამცემი და მიწასთან გამსწორებელი სწორეთ პროლეტარიატი ყოფილა. პროლეტარიატი—აი ის დღედაბოძი, რომლის გარშემოც იკრიბება დღევანდელი რევოლიუციონური ძალები. გადახედეთ ქვეყანას, დაუკვირდით, რა სასოებითა და პატივისცემით შეჰყურებს პროლეტარიატს დღევანდელი გლეხ-კაცობა, გურიიდან დაწყებული ქიზიყამდე, ყური დაუგდეთ, რა გატაცებით იმეორებენ ისინი პროლეტარიატის ძახილს: ძირს მეფის მთავრობა, გაუმარჯოს ხალხის მთავრობასაო,—და დაგვერწმუნებით, რომ რევოლიუციის ხელმძღვანელი, მისი მედროშე—სწორეთ ის პროლეტარიატი ყოფილა, რომელმაც შიშის ზარი დასცა მეფის მთავრობას.

ღიახ, ამხანაგებო, **რევოლიუციის ნამდვილი წინამძღოლი პროლეტარიატი ყოფილა**—აი, ყველაზე პირველად, რა გამოარკვია ამ ორი-სამი თვის შეჯახ-შემოჯახებამ.

მერე? მიილტვის პროლეტარიატი რევოლიუციისაკენ, აქვს თუ არა სურვილი რევოლიუციის მოხდენისა? გადახედოთ ფაქტებს. საკმარისი იყო სიგნალი პეტერბურგიდან, საკმარისი იყო რევოლიუციის დროშა აშვებულ იყო პეტერბურგში, რომ რუსეთის პროლეტარიატი, რუსი, პოლონელი, ებრაელი, ქართველი, სომეხი, თათარი თუ ბერძენი—ყველა ფეხზე დამდგარიყო და სალამი გაეგზავნა პეტერბურგელი ამხანაგებისთვის. თითქოს პირი შეუკრავთ, თითქოს ერთმანეთისთვის სიტყვა მიუციათო—ისე ერთხმად ადგნენ და ბრძოლა გამოუცხადეს მეფის თვითმპყრობელობას. „ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს ხელფასის მომატება, ჩვენ დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ვიბრძვით და სალამს ვუგზავნით პეტერბურგის გმირებსო!“ ასე ამბობდნენ რუსეთის პროლეტარები, ეს—კი იმასა ნიშნავს, რომ პროლეტარიატი ვეღარ ეტევა თვითმპყრობელობის ჩარჩოებში, მას სუნთქვა უჭირს, რომ მას მთელი თავისი სულის ძაფებით უნდა რევოლიუციის მოხდენა, რომ ის მზად არი ფეხზე დადგეს და ვაჟკაცურად დასწყვილოს მტარვალებს: „ძირს მეფის მთავრობაო“.

ღიახ, ამხანაგებო, **პროლეტარიატს სწყურებია რევოლიუცია**,—აი კიდევ რა გამოიარკვია ამ ორი-სამი თვის ბრძოლაში.

მაგრამ, ვინ არ იცის, რომ ცარიელი სურვილები საკმარისი არაა? საქმე სურვილების განხორციელებაშია. მომზადებული შევხედით თუ არა რევოლიუციას, შევძლებდით თუ არა ჩვენი რევოლიუციონური სურვილების განხორციელებას? აი რაშია კითხვა. მოვიგო-



ნოთ ფაქტები. როცა პეტერბურგელი მუშები სისხლსა ღვრიდნენ და ბარიკადებზე იბრძოდნენ, ჩვენ აქ ჩვეულებრივად ვმუშაობდით და ყურსაც არ ვიბერტყავდით. და როცა, კაი ხნის მერე, ჩვენც ხმა ამოვიღეთ და თანაგრძნობა გამოვუცხადეთ პეტერბურგელ ამხანაგებს, ისინი უკვე ცივს სამარეში განისვენებდნენ! ჩვენ სხვა და სხვა დროს ვავილაშქრეთ მტერზე, ჩვენ ცალ-ცალკე ჯგუფებათ დაქუცმაცებულები შევხვდით რევოლიუციას და სწორედ ამიტომ იყო, რომ ვერ გავახორციელეთ ჩვენი რევოლიუციონური სურვილები, სულ სხვანაირად იქნებოდა საქმე, რომ ჩვენ ერთ მაგარ კავშირათ ვყოფილიყავით შეერთებულნი, რომ მაგარი პარტია გვყოლოდა სათავეში და მისი ხელმძღვანელობით ერთსა და იმავე დროს ვაგველაშქრნა მტერზე. მაგრამ ჩვენ ესეთი არა ვაგვაჩნდა რა და სწორედ ამიტომ ვერ მივახწიეთ ჩვენს რევოლიუციონურ მიზანს. ეს-კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის ჩვენი რევოლიუციონური სურვილების განსახორციელებლად აუცილებელია, ჰაერზე უსაჭიროესია, ერთი და განუყოფელი პარტია, რომელიც თავის გარშემო მოგვიყრის თავს, გზას ვაგვინათებს, წინ წავგიძღვება და ხაერთო იერიშს მიგვატანებებს დღევანდელ წესებზე.

დიახ, ამხანაგებო, პროლეტარიატს ესაჭიროება მაგარი, ნამდვილი ხელმძღვანელი პარტია,—აი კიდეც რა გამოიკვავა ამ ორი სამი თვის სისხლის ღვრაში.

ჩვენ ცალ-ცალკე ვიბრძოდით, ჩვენ სხვა-და-სხვა დროს გამოვედით მოედანზე, და ამიტომ შესძლო მტერმა ჩვენი გაფანტვა. ჩვენ არა გვქონდა იარაღი, ჩვენ ცარიელა ხელებით ვიბრძოდით და იმიტომ გაიმარჯვა მტერმა. „იარაღი, იარაღი, ოჰ იარაღი მოგვეცით!“—აი რას იძახდა გააფთრებული პროლეტარიატი. ის ხედავდა თავის მტერს და კბილებს ახრჭიალებდა მასზე, ის მამაცურათ ებრძოდა მას, მაგრამ დამარცხებული გამოვიდა ბრძოლიდან, რადგანაც იარაღი არა ჰქონდა მას. ეს-კი იმასა ნიშნავს, რომ ჩვენთვის შეიარაღებაა საჭირო, რომ ჩვენთვის საჭიროა იარაღი ავისხანთ და ერთსა და იმავე დროს გამოვიდეთ მოედანზე. აჯანყების მოწყობა—აი რაშია ჩვენი მიზანი, აი რას უნდა ცდილობდეს დღეს რუსეთის პროლეტართა პარტია. წარმოიდგინეთ ასეთი სურათი. ვთქვათ რამდენიმე ადგილას აჯანყების საქმე მოწყობილია, ე. ი. კომიტეტებს ჰყავთ ცალკე ჯგუფები, რომლებიც მხოლოთ სალდათებში მუშაობენ; არის „ბრძოლის ორგანიზაციები“; არის იარაღი, ბომბები და სხვა; არის კავშირი ბატარეებთან და არსენალებთან; არის კავშირი სახელმწიფო ბანკების, ფოშტის, ტელეგრაფის კაცებთან; კომიტეტები ფესვებ-გადგმულია ჭუშა ხალხში; კრიზისი-კი ძლიერდება და უკმაყოფილების ტალღებს იწვევს პროლეტარიატში... ვთქვათ სადმე პეტერბურგში, ამა თუ იმ



მიზეზების გამო, აჯანყების დროსა აფრიალდა, როგორც ეს ცხრა იანვარს მოხდა. აქ პარტია სიგნალებს აძლევს,—და იწყება საერთო აჯანყება. შეიარაღებული პროლეტარიატი, საერთო გაფიცვით ამღელვარებული, ეცემა არსენალებს, სახელმწიფო ბანკებს, ფოშტას, ტელეგრაფს, რკინის გზებს,—ყველა ეს შეძლებისა დაგვარათ ერთსა და იმავე დროს ხდება, რომ მთავრობას დრო აღარ დარჩეს „ზომების მისაღებათ“; ამ მოწინავე ქალაქებს უკან გასდევს სხვა დანარჩენი ქალაქები, მათ უკან მიჰყვება სოფლები... აი ამასა ჰქვიან აჯანყების მოწყობა. ჩვენ დღემდის არა ვცდილობდით ასე საქმის მოწყობას; მაგრამ დღეს, როცა პროლეტარიატს რევოლიუცია მოსწყურდა, როცა მას შეგნებულათ უნდა ხელმძღვანელობა გაუწიოს რევოლიუციას, როცა მისი კლასიური ინტერესები ბელადობას ავალებს მას,—პროლეტარათა პარტიის ვალდებულებაა მოაწყოს აჯანყების საქმე და მით ნიადაგი გაუმავროს პროლეტარიატის ნამდვილ წინამძღოლობას.

დიან ამხანაგებო, ჩვენი პარტიის პირდაპირი მოვალეობაა აჯანყება მოაწყოს,—აი რა გზა გვიჩვენა ამ ორი-სამი თვის ისტორიამ.

მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი პარტია აჯანყებას მოაწყობს და მაშასადამე, პროლეტარიატი რევოლიუციის ნამდვილ ხელმძღვანელათ გამოვა, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება რიგიანათ ვისარგებლოთ ძველი წესების დაღწევით, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ღონივრათ მოვიმავროთ ფეხი მომავალ თავისუფალ რუსეთში და ღირსეულათ გავიკაფოთ გზა იმ „ალტკემული ქვეყნისაკენ“, რომელსაც სოციალისტური ცხოვრება ეწოდება!..

მაშ გავამავროთ პარტია, თავი მოვიყაროთ პარტიული ორგანიზაციების გარშემო და ვემზადნეთ აჯანყებისთვის. როცა მეფის მთავრობა ინგრევა, ჩვენი ვალია რაზმებათ ვეწყობოდეთ და რევოლიუციონური იერიშისათვის ვემზადებოდეთ!

**ძირს მეფის თვითმპყრობელობა!**

**გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!**

**გაუმარჯოს პროლეტარიატს!**

**გაუმარჯოს ერთსა და განუყოფელ რუსეთის სოციალ-დემო-**

**კრატიულ მუშათა პარტიას!**

**გაუმარჯოს სოციალიზმს!**

კავშირის კომიტეტი.

28 მარტი 1905 წ.

სტამბა კავშირისა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!  
კავკასიის კავშირი რუსეთ: სოც.-დემ. მუშათა პარტიისა.

## ს ა ლ დ ა თ ე გ ი!

დღეს ყველას პირზე აკერია სიტყვა „არეულობა“. ყველგან, საცა კი ოთხი-ხუთი კაცი შეიკრიბება, ყველგან „ბუნტზე“ და „არეულობაზე“ ლაპარაკობენ. „არეულობა“ კი იზრდება და ცეცხლივით ედება მთელ რუსეთს.

რა არის ეს „არეულობა“?

პირველ ყოვლისა ეს არის მუშათა მოძრაობა, რომელიც საოცარის სისწრაფით იზრდება არა მარტო თბილისში, ბაქოში, ქუთაისში და ჭიათურაში, — არამედ რუსეთის ყველა ქალაქებშიაც: პეტერბურგში, მოსკოვში, ვარშავაში, კიევში, ხარკოვში, პოლტავაში, რიგაში, კურსკში, პსკოვში, ნოვგოროდში და ბევრგან კიდევ სხვაგან. ერთი სიტყვით მთელ რუსეთში, სადაც კი მუშები მოიპოვებიან, ისინი ბრძოლას უცხადებენ თავიანთ მჩაგვრელებს. გვეყოფა ამდენი ტანჯვა, ჩვენც ხალხნი ვართ და ადამიანური ცხოვრება გვინდაო, იძახიან ისინი. დილიდან საღამომდის წელებზე ფეხს იდგამენ, მთელ თავის ძალ-ღონეს ოფლათ ღვრიან ხაზეინის გასასუქებლად და ყველა ამის ნაცვლათ იმდენსაც ვერ იღებენ, რომ მუცელი გაიძლონ და ამ შრომაში დაკარგული ძალ-ღონე ცოტათი მაინც არის მოიბრუნონ. შიმშილი, უძილობა და შეუსვენებლობა, ასეთია პირობები, რომლებიც მუშას უდროვოთ ასწეულებს და წუთი-სოფელს ასალმებს. ხარბი და გაუმადლარი ხაზეინები აკლიან მას ძალ-ღონეს, უმოკლებენ სიცოცხლეს და ასე დაუძლურებულ მუშას ექიმობაზედაც კი უარს ეუბნებიან. მის შვილებს სწავლა უნდათ, მაგრამ სასწავლებელს ვინ აღირსებს მათ? თითონ მუშებს კი სად შეუძლიანთ ავთომყოფობის დროს ექიმობა, შვილების სასწავლებელში აღზრდა და სხვა ათასი საჭიროების გაძლოლა, როდესაც, ისე მცირე ხელფასს იღებენ, რომ კუჭსაც ვერ იძლობენ. აი ამისთვის არიან მუშები უკმაყოფილონი, ამისთვის იფიცებიან და ებრძვიან კაპიტალისტებს.

„არეულობაა“ კიდევ გლეხთა მოძრაობა. თქვენ, უეჭველია, გაგიგიათ, რომ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში გლეხ-კაცობა ღელავს. ღელავს, აგრეთვე რუსეთის გლეხობაც: ჩერნიგოვის, კურსკის,

ორლოვის, ვიტებსკის, სარატოვის და სხვა გუბერნიებში, მთელ რეპონეთში, ლიტვაში და სხვაგან. გლახთა მოძრაობის მიზანი ყველგან ერთი და იგივეა: ბრძოლა მემამულეებთან და მთავრობასთან, რომლებიც შეერთებულან გლახების გასაყვლევით. ყველა საუკეთესო სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები და ტყეები მემამულეებსა აქვთ დაჩემებული, გლახებს სულ ცოტა მამული აქვთ და ისიც ხრიოკი და გამოფიტული, ამის გამო მუდმივი აუტანელი შრომა და მუდმივი სიმშოლ-სიტიტვლე გამხდარა გლახ-კაცობის წილ-ხვედრათ. მას კიდევ ზედ ერთვის ათასგვარი სახელმწიფო გადასახადი; მთელი წლის ნაწევ-ნადაგი გლახმა უნდა მთავრობას აძლიოს ხარკათ; მოუსავლიან წელიწადში-კი როცა გლახებს აღარა გააჩნიათ-რა, მეფის მთავრობა უსინდისოთ არბევს მათ: ართმევს ხარ-კამეჩს, ძროხას, უყიდის სახლის ავეჯეულობას და ხშირათ უკანასკნელ ქონსაც, უშვებს ბედის ანაბარათ და თან ანუგეშებს: „მე გართმევ და ღმერთი მოგცემსო“. ამოდენ უსამართლობას ველარ გაუძლო გლახობამ და აი, ის აღსდგა მემამულეების და მთავრობის წინააღმდეგ.

„არეულობა“ აგრეთვე სტუდენტების და სხვა მოწაფეების მღელვარებაც. მათ აღარ სურთ, რომ მთავრობა მათგან ქურდ და მოქრთამე-ჩინოვნიკებსა ქმნიდეს, მათ უნდათ ხალხს და არა მის მოსისხლე მტრებს ემსახურონ, მათ, ალბათ, იციან რა უნდა ხალხს და რა ეშველება მას, იციან რომ თვითმპყრობელი მთავრობა ხალხის სისხლის მწოველი ობობაა, იციან ისიც თუ როგორ უნდა მოისპოს ეს მთავრობა და მის ნაცვლათ დაარსდეს სხვა მთავრობა—ხალხისაგან არჩეული მთავრობა... ეხლა თქვენ იცით თუ რა არის „არეულობა“. „არეულობა“ ყოფილა მუშების, გლახების და სტუდენტების მოძრაობა დღევანდელი წესების წინააღმდეგ. მუშები, გლახები და სტუდენტები-კი, როგორც იცით, ხალხს შეადგენენ. მაშასადამე „არეულობა“ ყოფილა ხალხის მოძრაობა, მისი მღელვარება მდიდრებისა და მთავრობის წინააღმდეგ. ყველგან, საცა-კი ხალხმა შეიგნო თავისი გაჭირვება და მიხვდა, თუ ვინ ხუთავს მას სულს,—ყველგან ამხედრდა ის და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა დამჩაგვრელებს. მეფის მთავრობა სიცოცხლეს გვიმწარებს—მაშ ძირს მეფის მთავრობა და გაუშარჯოს ყველასგან არჩეულ ხალხის მთავრობასო!—აი რას ამბობს დღეს აბოზოქრებული ხალხი. დიახ, მთავრობა ხალხის მტერია: აქედან თავის-თავათ ცხადია, რომ ვინც მთავრობას შველის, ის ხალხს ებრძვის.

ახლა ვიკითხოთ ვისა გზავნის მთავრობა ამ არეულობასთან საბრძოლველათ, მუშების, გლახების და მშვიდ მოქალაქეთა დასახოცათ? თქვენ, სალდათებო, თქვენ გგზავნიან ხალხთან საბრძოლველათ. მერე თქვენ ვინა ხართ, განა თქვენც იმავე ხალხიდან არა





ხართ, გამოსული? განა თქვენ იგივე გლეხები არა ხართ, რომლებიც საკუთარ კერას მოგაშორეს და სალდათის მუნდირში გამოგაწყეს? განა თქვენ იგივე მუშები არა ხართ, რომლებიც ფაბრიკა ზავოდებს დაგაშორეს და ყაზარმებში შეგრეკეს? განა თქვენ მოქალაქე არა ხართ, მოშორებული მშვიდობიან შრომას და გადაცმულნი იმავე სალდათის მუნდირებში?

სწორეთ ასეა—თქვენც იგივე ხალხი ხართ, თქვენც შვილები ხართ მრავალტანჯული რუსეთისა. მაშ რაღათ მიღიხართ **მშრომელი ხალხის, თქვენი აღმზრდელი ხალხის წინააღმდეგ?** პოლიაკებს აცმევენ სალდათის სამოსელს და გზაენიან პეტერბურგში ან მოსკოვში, რომ იქ მუშები აჟლეტინონ. პეტერბურგიდან და მოსკოვიდან-კი გზაენიან პოლონეთში (პოლიაკებში) იქაურ მუშების სახოცავათ. და ასე, პეტერბურგელი სალდათები მუსრავენ პოლონეთში თავის პოლიაკ-ამხანაგების მშობლებს, და-ძმას და ცოლ-შვილს. ისინი-კი (პოლშელი სალდათები) პეტერბურგში ხოცვენ რუს სალდათების მამა-ძმებს. ამგვარათ მთავრობა ერთ ერს მეორეს უსევს და ერთმანეთის სისხლს აღვრევიანებს. სწორედ ამას უწოდებს ის „შინაურ მტერთან“ ბრძოლას.

გამოდის, რომ შინაური მტერი თვით ხალხი ყოფილა. განა შეიძლება, რომ ხალხი თავისი თავის მტერი იყოს? რა თქმა უნდა, არა! **რუსეთს ერთი შინაური მტერი ყავს—ეს მტერი მეფის მთავრობაა.**

დაფიქრდით, ძმაო სალდათებო, ვის უჭერთ მხარს? მთავრობას! ვის ებრძვით? ხალხს, თქვენ აღმზრდელ ხალხს! ხომ გაგიგიათ—„ძალა აღმართსა ხნავსო“. ხალხი ძალაა,—მთავრობა მცირე აღმართი, რომლის გადახენ-გადაქელვა სულ უბრალო საქმეა ხალხისთვის. ხალხი მილიონობითაა,—მთავრობა კი ასობით და აი ახლა ეს ხალხი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე ღდება, იარაღს ისხამს და თვითმპყრობელ მთავრობას განადგურებას უქადის. და განადგურებს კიდევ, იცოდეთ ეს, სალდათებო: ასე მოხდა ყველა ქვეყნებში, ასევე მოხდება რუსეთშიაც. მაშ ნუ დაღვრით, სალდათებო, თქვენივე მშობლების სისხლს! გახსოვდეთ, რომ თქვენც ხალხს ეკუთვინით! ნუ გაყვებით მტარვალებს თქვენივე ძმების დასაჟლეტათ! როცა ხალხი აღსდგება და მედგრათ დაიგრიალებს: ძირს თვითმპყრობელობა, ძირს მეფის მთავრობა! გაუმარჯოს ხალხის მთავრობას, **გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!** მაშინ თქვენც გაეშურეთ იქით, საიდანაც მოსულხართ—ხელი გაუწოდეთ და შეუერთდით ხალხს!

როცა მთავრობას ჯარი გადაუდგება, და როცა ის დაკარგავს თავის უკანასკნელ ძალას—ჯარს, მაშინ ის უბრძოლველათ დაგემორჩილდება, და სისხლის ღვრა აგვცდება. თქვენი ძმების სიცოცხლე,

თქვენ ხელთ არის, ნუ დაღვრიო მათ სისხლს! დაუფიქრდით, ვის უნდა დაეხმაროთ: მშობელ-ხალხს თუ მეფეს, იმ მეფეს, რომელიც სწორეთ ამ ხალხს ებრძვის? თქვენ ფიცი გაქვთ დადებული მეფის ერთგულებაზე. მაგრამ სამშობლოსაც ხომ შეჰყუციეთ ერთგულება! სამშობლო ხომ იგივე ხალხია. მეფე კი ხალხის წინააღმდეგ მიდის. ე. ი. ის ებრძვის თქვენს სამშობლოს.

დევ, თქვენმა სინიღისმა გადასჭრას, თუ ვის უნდა მიემხროთ, მეფეს თუ სამშობლოს, მეფეს თუ თქვენ აღმზრდელ ხალხს.—ჩვენ მაინც ვიტყვი.

**ძირს მეფის თვითმპყრობელობა!**

**გაუმარჯოს დემოკრატიულ-რესპუბლიკას!**

**ძირს კაპიტალიზმი!**

**გაუმარჯოს სოციალიზმს!**

მ აპრილი 1905 წ.

კავშირის კომიტეტი.

სტაბა კავშირისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შერთოდით!  
კავკ. კავშირი რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიისა

## სათადარიგო ჯარის პაქტი.

დღეს თუ ხვალ მობილიზაციას გამოაცხადებენ, და ასი და ათასი კიდევე შეეწირება მსხვერპლათ ამ უაზრო ომს. ტალღამ პროლეტარიატის მოძრაობისამ აიძულა რუსეთის დესპოტი ყოველი ღონისძიება ეხმარა როგორმე თავი დაეღწია აუცილებელ დამარცხებიდან; ინსტიკტმა თავის დაცვისამ აამხედრა ის ყოველივე ნათელისა და კოცხალის წინააღმდეგ. ხმლები და მათრახები, ციხეები და ციმაბირი ყველა ეს სავესებით იყო ნახმარი და ნაცადი, მაგრამ დესპოტმა ვერ შესძლო აღემართა გადუფალი კედელი თავისუფალ აზრისთვის. გათვითცნობიერებული პროლეტარიატი სულ წინდაწინ იწვედა, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა სულ ახალ და ახალ რაიონებს იჭერდა, მთავრობა უკანასკნელ სისხლიდან იცლებოდა და სიკვდილით მოკულ თვალებში მას ომი მოელანდა. იქ, შორეულ აღმოსავლეთში, მანჯურის ვერან მინდვრებზე სურდა მას სამარე გაეთხარა რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობისათვის, და მსხვერპლი მსხვერპლს მისდევს, სიცოცხლე სიცოცხლეზე იკარგვის, მაგრამ თვითმპყრობელობისათვის ეს კიდევე ცოტაა. მას სურს შექნას ისეთი მდგომარეობა, როცა მორჩილი ხიშტიანი სალდათი მეტი ეყოლება რუსეთში, ვიდრე მოქალაქე; ეს მისი მიზანია, ამაშია მისი ხსნა. გამარჯვების იმედი მას ძალიან ცოტა აქვს, მაგრამ თვალის ასახვევად უნდა ილაპარაკოს გამარჯვებაზე. მას სურს თქვენი სისხლით, სისხლით ჯანით და ენერგიით სავსე მოქალაქეთა, გამოაცოცხლოს და ცხოველი სული შთაბეროს თავის გახრწნილ, მოღუწებულს და დასაშლელათ გამზადებულ გვამს. ის რას დაგიდევს ცრემლთა ღვრას დაობლებულ დედათა, ქვრივთა და დათა!

როგორ შეხვდებით ყველა ამას თქვენ? რას გეტყვის თქვენი გული? ნუ თუ, როგორც მონები, უხმოთ, უწინააღმდეგოთ დასდებთ თავს სასაკლაოზე?! თუ, როგორც შეფერის თავისუფალ მოქალაქეს წინააღმდეგებით ამ ბოროტებას, უარს იტყვით წასვლაზე, მოინდომებთ, თქვენი სიცოცხლე თქვენ ხელთ იყოს, რომ შეგეძლოთ მოიხმაროთ ის, როგორც თქვენ გსურთ და არა ისე, როგორც რუსეთის დესპოტი



ვიბრძანებთ. ჩვენ იმედი გვაქვს გამოიჩინოთ მამაცობას, და მტარვალ-  
 ვერ შესძლებს განახორციელოს თავისი საშინელი განზრახვა. ჩვენთვის  
 ძვირფასია თქვენი სიცოცხლე! და თუ საჭირო იქნება მსხვერპლათ შეე-  
 წიროს იგი ვისმე, ყოველ შემთხვევაში არა მტარვალ მიფეც ტახტის-  
 გასამაგრებლათ, არამედ ხალხის მონობის ბორკილის დასამსხვრევათ.  
 თქვენ მარტონი არა ხართ—თქვენთან ერთად იბრძოლებს მთელი  
 შეგნებული რუსეთი. შეხედეთ ჩრდილოეთს, მიმოიხედეთ ირგვლივ.  
 გესმით მტვრევა ბორკილის? პეტერბურგის ქუჩებში მუშები ბარბი-  
 კადებს აშენებენ; მეფის სასახლე ტყვიით დახვრიტეს; სისხლში მცუ-  
 რავ ტახტს ნიკოლოზისას შურის-ძიებით აღჭურვილი გარს არტყია  
 ძღვევა-მოსილი მუშათა პარტია. ეს რევოლუციის დასაწყისია. ჩრდი-  
 ლოეთის ტალღა შეუერთდება სამხრეთის ტალღას, მეხივით გაისმის  
 ხმა ძღვევა-მოსილ ხალხისა. კავკასიის მუშები მზად არიან იერიში-  
 სათვის, მაშ მოგვეცით ხელი. ვიბრძოლოთ ერთად! დასძახეთ ჩვენ-  
 თან ერთად:

**ძირს თვითმპყრობელობა!**

**ძირს ომი!**

**გაუმარჯოს სოციალიზმს!**

**კავშირის კომიტეტი.**

სტამბა კავშირისა.

## გაფიცვის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება.

# ქ. თბილისის ყველა მუშავს.

### ამხანაგო მუშებო!

კონტრ-რევოლიუციამ კვლავ აღმართა თავისი მახვილი ჩვენ წინააღმდეგ. ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაიწყო დაპატიმრება რევოლიუციონერ-ბოლშევიკებისა, დახურა მათი გაზეთები იმისათვის, რომ ისინი ააშკარაებდნენ და ამჟღავნებდნენ კომისარიატის შეცდომებსა და ბოროტმოქმედებას, როგორც იყო, მაგალითად, ელისავეტოპოლში ჯარისკაცთა მუხანათურად დახვრეტა.

იმავე დღეს, როგორც კი გამოაშკარავდა კომისარიატის ეს კონტრ-რევოლიუციონური განკარგულება, თბილისის პროლეტარიატი გამოვიდა ენერგიული და მკაცრი პროტესტით. რკინის გზის სახელოსნოებში გაიმართა რამოდენიმე ათასი მუშის ცხარე კრება, რომელთაც დაადგინეს კომისარიატის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადების წინაღუდნად გამოაცხადონ გაფიცვა და მოითხოვონ დაპატიმრებულთა განთავისუფლება და გაზეთების დახურვის ბრძანების გაუქმება. იმავე დღეს გადაწყვიტა გაფიცვის გამოცხადება: მბეჭდავთა კავშირის, ელექტრონის კავშირის, მკერავთა კავშირის, არსენალის სახელოსნოების, მეტყავეთა კავშირის წევრთა საზოგადო კრებამ. შემდეგ გაფიცვას მიემხრო ტოლღეს, ზარგარიანის, ბასენცოვის, მამედაბეკოვის—ქარხნები და ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოებების სახელოსნო. საპროტესტო რეზოლიუცია მიიღო მღესავთა კავშირის მუშებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების კრებამ. საპროტესტო რეზოლიუცია მიიღო და დაადგინა მოითხოვოს სამი დღის განმავლობაში დაპატიმრებულთა განთავისუფლება და გაზეთების დახურვის აკრძალვა ცენტრალური პურის საცხოობის მუშებმა.

ასეთი პასუხი გასცა თბილისის პროლეტარიატმა იმ კონისარიატის კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებაზე, რომლის სათავეშიც სდგანან ისეთი პირები, რომელნიც თავიანთ თავს კიდევ სოციალისტებს უწოდებენ.

მაგრამ მეორე დღეს, 10 თებერვალს, ამ, ეგრედ წოდებულ სოციალისტებმა, მოახდინეს ახალი და უჩვეულო ბოროტმოქმედება.

მათ დახვრიტეს მშვიდობიანი და შეუიარაღებელი მუშებისა და ჯარისკაცების მიტინგი.

რამოდენიმე ათეული მოკლულისა და დაჭრილის უმანკო და უდანაშაულო სისხლით შეიღება მიწა. როდესაც 1905 წლის 19 აგვისტოს მეფის ჯალათებმა სროლა აუტეხეს თბილისის საბჭოში მიტინგს, მათ იმდენი კეთილშობილება კიდევ შესწევდათ, რომ სამჯერ გააფრთხილეს დემონსტრანტები—თუ არ დაიშლებოდნენ მათ სროლას აუტეხდნენ. ბ-ნ გეგეჰკორის ჯალათებმა კი სროლა დაიწყეს ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე და პირიქით, მიეპარენ მიტინგს წითელი დროშებით ხელში და საზოგადოებას სთხოვდნენ არ შეწუხებულ იყვნენ და არ დაშლილიყვენ. განა ვინ მოელოდა ასეთ მუხანათობას, ასეთ საზიზღარ გამყიდველობას იმ ხელისუფლების მხრით, რომელიც თავის თავს რევოლიუციონურს უწოდებს.

ამხანაგო მუშებო!

თბილისის პროლეტარიატის სახელი და ღირსება და ჩვენთვის მუშებისათვის ეგზომ ძვირფასი რევოლიუციის ინტერესები მოითხოვენ, რომ ჩვენ ენერგიული და სასტიკი პასუხი გავცეთ ამ ახალ ჯალათებსა და მოძალადეებს.

იმ კონტრ-რევოლიუციანზე, რომელიც დაიწყო კომისარიატმა, ჩვენ პასუხი უნდა გავცეთ ერთსულოვანი პროტესტით—**საერთო გაფიცვით!** ჩვენ ვიბრძოდით მეფის მთავრობის საშინელ და სისხლიან ბოროტ-მოქმედებათა წინააღმდეგ, ჩვენ ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ მუშათა სისხლის დამღვრელთა ახალ მეთაურებს, ახალ მხეცებსა და თავისუფალი სიტყვის ჯალათებს ბ. ბ. გეგეჰკორს, ჩხენკელს და კომპანიას.

ჩვენ მოვითხოვთ: 1. დაუყონებლივ გაუქმებულ იქნას დადგენილება რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლის ამხ. შაუმიანისა და მისი მდივანის ამხ. კუზნეცოვის დაპატიმრების შესახებ, 2. განთავისუფლებულ იქნენ ყველა დაპატიმრებული ბოლშევიკები, 3. განახლებულ იქნეს გამოშვება გაზეთებისა „კავკასკი რაბოჩი“, „ბრძოლა“ და „ბანზორი კრიე“-ისა. 4. არავინ არ იქნეს დასჯილი ამ პოლიტიკურ გაფიცვაში მონაწილეობისათვის, 5. ამ გაფიცვის დღეებში, რომელიც გამოწვეულია ხელისუფლების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა წყალობით, გაფიცულთ მიეცეს სრული სასყიდელი.

**ჩვენ მოვითხოვთ დაუყონებლივ იქნენ დაპატიმრებულნი და გადაეცენ რევოლიუციონურ სასამართლოს 10 თებერვლის მშვიდობიანი მიტინგის დახვრეტის ყველა დამნაშავენი.**

ამხანაგო მუშებო!

სამშაბათს მოხდება დაკრძალვა ამიერ-კავკასიის ხელისუფალთა უსირცხვილო ბოროტების მსხვერპლთა. ჩვენ ყველანი უნდა დავეს-



წრით მათ დასაფლავებას და გამოვხატოთ ჩვენი უკანასკნელი ამბანაგური პატივისცემა მათდამი.

ძირს ჯალათები, რომელნიც ანთხვევენ მუშათა უდანაშაულო სისხლს.

გაუმარჯოს პროლეტარულ სოლიდარობასა და ბრძოლას.

გაუმარჯოს საერთო გაფიცვას—თბილისის პროლეტარიატის პროტესტს.

გაფიცვის ცენტრალური კომიტეტი.

## ქ. თბილისის აველა გუზაგს.

### ამხანაგებო!

ჯერ კიდევ არ გამწრალა უმანკო სისხლი ელისავეტოპოლსა და შამხორში ტანჯული ძმებისა, ჯერ კიდევ არ გაცივებულა იმ რუსი ჯარისკაცების გვამები, რომელიც მსხვერპლი გახდენ ამიერ-კავკასიის კომისარიატის და მაჰმადიან ბეგების ბნელი კავშირისა და უკვე აქაც, თბილისში, დაიწყო რეპრესიები და დევნა რევოლიუციონერებისა. ამხანაგ ბოლშევიკების დაპატიმრებით, მათი ჭეშმარიტად პროლეტარული გაზრების დახურვით კომისარიატი ფიქრობს ჩააქროს ამიერ-კავკასიაში დაწყებულ სახალხო რევოლიუციის ცეცხლი. ხოლო როდესაც მშვიდობიანი და შეუიარაღებელი ჯგუფი მუშებისა და ქალაქის ლტაკებისა შეიკრიბა 10 თებერვალს ალექსანდრეს ბაღში საპროტესტო მიტინგზე—მათ მუხანათურად და მოღალატურად დახვრიტეს ისინი და ალექსანდრეს ბაღის მხარეები შეღებეს ადამიანთა სისხლით, ხოლო ხეებსა და სკამებზე კი დაანთხიეს მათი ტვინი.

ქ. თბილისის მიშათა მასებს არ შეეძლოთ ჩუმად ჩაეტარებიათ მუხანათობის ეს ახალი აქტი და მიუხედავად მრავალგვარი დამუქრებისა და რეპრესიებისა მუშებმა ამაზე პასუხი გასცეს ერთსულოვანი აღშფოთებითა და საპროტესტო გაფიცვით. თბილისის მუშებმა ამ გაფიცვით ყველას დაანახვეს ის, რომ მათთვის საფსებით უცხოა ამიერ-კავკასიის კომისარიატისა და ამიერ-კავკასიის ბურჟუაზიის ინტერესები და პოლიტიკა, რომ, პირიქით, მათთვის ახლოა და ძვირფასი მთელი რუსეთის მუშათა საერთო ინტერესები, რომ საერთო ბრძოლაში რევოლიუციის გასამარჯვებლად ისინი გაყვებიან არა ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციონურ კომისარიატს და თავდაცვითი ცენტრებს, არამედ იბრძოლებენ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი და მჭიდროთ დაკავშირებულნი სრულიად რუსეთისა და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატთან ერთად. ამ რიგათ, ის მიზანი, რომელიც დასახული ქონდა ჩვენ გაფიცვას, მიღწეულია. უნდობლობა გამოცხადებული აქვს კომისარიატს, ჩვენი ძლიერი პროლეტარული პროტესტი მისი გაიძვერული და მუხანათური პოლიტიკის წინააღმდეგ გამოხატულია და გაფიცვის ცენტრალური კომიტეტი მოგიწოდებსთ თქვენ, ამხანაგებო, ისევ შეუდგეთ მუშაობას. მაგრამ, ვწყვეტთ რა ჩვენ საპროტესტო გაფიცვას, ამით არა ვწყვეტთ ჩვენს რევოლიუ-

ციონურ ბრძოლას და დავდგებით რა საკუთარ ჩარხებთან და მან-  
ქანებთან ახალი ენერჯით, უფრო მეტის ღონითა და ძლიერებით გან-  
ვაგრძობთ ჩვენ პროლეტარულ საქმეს ბრძოლისას, სანამ სავსებითა  
და საბოლოოდ არ გაიმარჯვებს რევოლიუცია ყველა თავის მტრებზე,  
სახალხო საქმის ყველა გამყიდველებსა და მოლაღატებზე.

მაშ გაუმარჯოს, ამხანაგებო, ამ ბრძოლას და დაე გაიზარდოს  
და განმტკიცდეს ამ ბრძოლაში თბილისისა და კავკასიის მუშების  
გაერთიანება მთელი რუსეთისა და საერთაშორისო მუშებთან მსო-  
ფლიო ინტერნაციონალის წითელი დროშის ასაფრიალებლად.

ძირს ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციონური კომისარიატი  
და სემი.

გაუმარჯოს ახალ საბჭოთა ხელისუფლებას კავკასიაში—მუ-  
შათა, ჯარის-კაცთა და გლეხთა ხელისუფლებას.

გაუმარჯოს რუსეთის მუშურ-გლეხურ მთავრობას სახალხო  
კომისართა საბჭოს!

გაუმარჯოს რევოლიუციას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

გაფიცვის ტენტრალური კომიტეტი.



რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია (ბოლშევიკების).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

## ამიერ-კავკასიის სიმიის მოწვევის გამო.

ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო და გლეხებო!

დღეს, 10 თებერვალს, იხსნება ამიერ-კავკასიის სიმი. ეს სიმი წარმოადგენს ხალხისათვის ახალ სიყალბეს, ახალ მოტყუებას, ახალ საშუალებას ამიერ-კავკასიაში რევოლიუციის ჩასაღრჩობად მაჰმადიან ბეგებისა და ხანების, ქართველი თავადებისა და სომხის ბურჟუაზიის გულის მოსაგებად.

რუსეთში მუშებმა, ჯარისკაცებმა და გლეხებმა დაამსხვრიეს კავშირი და შეთანხმება მემამულეებთან და კაპიტალისტებთან. ყველგან განმტკიცდა და მტკიცდება რევოლიუციონურ მუშა-ხალხისა და გლეხობის ხელისუფლება. ხალხის საუკუნოებრივი მჩაგვრელებს, რევოლიუციისა და თავისუფლების მტრებს, საბოლოოდ წაერთვათ ხელისუფლება. უკანასკნელი ცდა რუსეთის შემთანხმებლებისა შეექმნათ კოალიცია ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან დამფუძნებელ კრებაში კრახით დამთავრდა. რუსეთის ას ორმოცდა ათ მილიონიანმა მშრომელმა ხალხმა—მუშებმა და გლეხებმა ამჯობინეს შეექმნათ თავისი რევოლიუციონური დამფუძნებელი კრება, ე. ი. მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა, მატროსების და კაზაკების დემუტატთა საბჭოების ყრილობა და განმტკიცებიათ რუსეთში მუშურ-გლეხური ხელისუფლება, საბჭოების შრომის რესპუბლიკა.

ამხანაგებო, ამიერ-კავკასიის მუშებო, ჯარისკაცებო და გლეხებო!

რუსეთში დამარცხებულ შემთანხმებლობას მენშევიკებისა და მემარჯვენე ესერებისას, სურს საბოლოოდ ფეხი მოიმაგროს კავკასიაში. თუ რუსეთში თვით მენშევიკები, მარტოვი და სუხანოვი, თვით გარეკილ დამფუძნებელ კრების თავმჯდომარე, ჩერნოვი, იძულებულნი იყვნენ შესულიყვნენ აღმასრულებელ კომიტეტში და მით ეცნოთ საბჭოების ხელისუფლება და მით მუხლები მოედრიკათ მუშურ-გლეხური რევოლიუციის წინაშე, აქ კავკასიაში მენშევიკები კოალიციას აწყობენ ქართველ ფეოდალებთან და სომხის ბურჟუაზიასთან.

ამ კოალიციამ, რომელსაც ამიერ-კავკასიაში ამდენ ხანს ახორციელებდა ამიერ-კავკასიის კომისარიატი, უკვე მოიტანა თავის ნაყოფი.

კოალიციამ მოგვცა შედეგათ ამიერ-კავკასიის ჩამოცილება რევოლუციონურ რუსეთიდან, რაზედაც ოცნებობდნენ მაჰმადიანთა ხანები; მან გამოიწვია ფეოდალური და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამარჯვება ამიერ-კავკასიაში და ეს მხარე დააყენა სომეხ-თათართა ხოცვა—უღეტისა და სხვა ომების აუცილებლობის წინაშე: მანვე გამოიწვია, — ისევ და ისევ მაჰმადიან ბეგებისა და ხანების გულის მოსაგებად, — კავკასიიდან რუსის ჯარის გაძევება და რუსის ჯარების ვერაგულად ამოუღებია და გაძარცვა. მან, სწორედ ამ კოალიციამ, მოახდინა ის რომ არც ერთი რევოლუციონური ზომა და ნაბიჯი არ ყოფილა გატარებული ამიერ-კავკასიაში არც გლეხობისათვის და არც მუშათა კლასისათვის.

კავკასიაში თერთმეტი თვის კოალიციის ბატონობამ შედეგად მოგვცა თანდათანობითი დამარცხება და დაცემა რევოლუციისა და ბურჟუაზიულ-მემამულეთა შავი რეაქციის გამარჯვება. ტანჯულმა მაჰმადიან და საქართველოს გლეხობამ უკვე ააფრიალა აჯანყების ღროშა ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ და კიდევაც ასაღმებს წუთი სოფელს თავის ბეგებსა და თავადებს; სომხეთის გლეხობაც ასეთივე აჯანყების წინაშე სდგას და ყოფილი სოციალისტები ეორდანი, გეგეკორი და კომპ. აგზანთან დამსჯელ ექსპედიციებს, მათ მიერვე მოტყუებულ მუშებისა და გლეხების — თავიანთივე მოძმე გლეხების დასამშვიდებლად.

და რაც უფრო სამწუხარო და სავალალო შედეგები მოსდევს ამ კოალიციას ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან, მით უფრო ზეიპობს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და ბეგების კონტრ-რევოლუცია, მით უფრო ცინიკები და უსირცხვილონი ხდებიან ბ.ბ. გეგეკორი და ჩხენკელი, მით უფრო ძლიერად დალატობენ ისინი ხალხს და უმოპოვებელიან კონტრ-რევოლუციონერ კლასებთან ბლოკის პოლიტიკას.

ამიერ-კავკასიის სეიმი, როგორც იმავე კოალიციის განსახიერება, თავის მიზნად ისახავს ჩვენ მხარეში რევოლუციის საბოლოოდ ჩაღრმობას.

ვისთან ისხდებიან და იმსჯელებენ მენშევიკები ამიერ-კავკასიის სეიმში? — ოთხ ათეულ მაჰმადიან ფეოდალურ ინტელიგენტთან, რომელიც გაუნათლებელი გლეხობის მოტყუების წყალობით არჩეულ იქნა დამუშქებელ კრებაში. მენშევიკები ამდენ ხანს ამართლებდნენ თავიანთ კავშირს ბეგებთან და ხანებთან იმიო, რომ თითქოს მათ

ირჩევს, ნდობას უტბადებს მაჰმადიანი გლეხობა. ეხლა, როდესაც ეს სიცრუე გამოაშკარავებულია, როდესაც მაჰმადიანი გლეხობა არა თუ ირჩევს, არამედ **ფლეთს** თავის ბეგებსა და ხანებს, როგორც თავის უსაშინელეს მტრებს, განა მენშევიკები ეხლა უარს ამბობენ მათთან კავშირზე? პირიქით, მათ სურთ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ მათ ამიერ-კავკასიის სეიმში. მათ სამჯერ გაადიდეს სეიმის დელეგატების რიცხვი და სამჯერ უფრო მძაფრად გადაჯაჭვულნი ხანხოსკთანა და ზასმამედოვთან დაიწყებენ ამიერ-კავკასიაში მუშური და გლეხური რევოლიუციის დასამარებას.

ვინ იქნება კიდევ წარმოდგენილი ამიერ-კავკასიის სეიმში? „დაშნაკტუთუნის“ პარტია, რომელიც რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში ნაციონალიზმის შხამით სწამლავდა კავკასიისა და პირველ ყოვლისა სომხეთის დემოკრატას. იქ იქნებიან ძველი ლიდერები ამ პარტიისა, რომელსაც უკვე ზურგი შეაქცია სომხეთის პროლეტარიატმა, და რომლის ნდობასაც კარგავს ის გლეხობაც, რომელმაც გუშინ მათ მისცა ხმა.

დაბოლოს, ვინ არიან თვით მენშევიკები, რომელნიც წამოიჭიბებიან სეიმში? ეს ქართველი დაშნაკცაქანები,—კიდევ უარესი,—ეს აზნაურულ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელიც ლაქიობს მაჰმადიანთა ბეგების წინაშე. ეს არის ჩხენკელი, რომელსაც აპატიმრებდნენ თვით ქართველივე ჯარის კაცები. ეს არის ჟორდანიას, რომელიც შთაფარი დამნაშავეა განჯაში რუსის ჯარისკაცების განიარაღებისა და დახვრეტისა. ესენი არიან ბ. ბ. გეგეჭკორი, რამიშვილი და სხვ. მეგობრები ყაჩაღი აფხაზავასი, რომელთა ხელისუფლების წინააღმდეგაც უკვე ამოძრავდა ქართველი დემოკრატია გორსა, ქუთაისში და სხვაგან, რომლის საწინააღმდეგოთაც ისინი აგზავნიან დამსჯელ რაზმებს.

ამხანაგო მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო! რას უნდა მოელოდეთ თქვენ ამ სეიმიდან—მაჰმადიან ბეგებიდან, სომეხ დაშნაკელებიდან და ქართველ ნაციონალისტური ინტელიგენციიდან? არაფერს, გარდა ახალი ბორკილებისა, ახალი სისხლის ღვრისა და ამიერ-კავკასიაში რევოლიუციის დაღუპვისა.

არა, ჩვენ გვინდა, ეს კოალიციონური სეიმი კი არა, ეს ვერაგული კავშირი ფეოდალურ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციისა კი არა, რომელსაც ზურგი უბრუნა უკვე გლეხობისა და მუშების მასამ, არამედ **მუშათა, ჯარის-კაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭო**. ეს საბჭოები ყვავიან და ბრძანებლობენ რუსეთში, აქ კი ჩვენში, ისინი დაანგრის, გაანადგურეს და გაამასხრეს მენშევიკებმა და ესერებმა.

უნდა დავიწყოთ ხელ-ახლა და ქვევიდან ვაშენოთ ეს საბჭოები, ვავაერთიანოთ ძლიერ ორგანიზაციებში რევოლიუციონური კლასები



და ავამოძრაოთ ისინი სეიმის გარშემო თავმოყრილ ფეოდალურ-ბურჟუაზიულ წრეების წინააღმდეგ.

მუშათა კლასს, გლეხობას, მოვლის სრული დამონება, თუ ისინი ვერ შეიგნებენ ამ დაუყონებელ აუცილებლობას, თუ ისინი ამ ახლო მომავალში არ შექმნიან მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ახალ რევოლუციონერულ საბჭოებს.

ჯერ კიდევ არ არის გახსნილი სეიმი და რეპრესიებისა და დევნის პოლიტიკა უკვე დაიწყო სეიმის ხელმძღვანელებმა. მათ წმინდამომი გამოუცხადეს ბოლშევიკებს, შეუწყვეტილ აპატიმრებენ ძველ რევოლუციონერებს, ხურავენ მათ ვაზეთებს, სტამბებს დასჯის მუქარის ქვეშ უკრძალავენ ბეჭდონ ბოლშევიკური ვაზეთები.

რეპრესიებისა და ძალადობის გარეშე მენშევიკების და ბეგების ხელისუფლების არსებობა შეუძლებელია.

თბილისის ერთ-ერთ მოედანზე სომხებსა და მაჰმადიანების შორის უკვე გაკეთებულია საღრჩობელა. მთელი იმედი სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის თავიდან აცილებისა დამყარებულია ამ საღრჩობელაზე; კომისარიატის „რევოლუციონერ ხელისუფლებას“ არ შეუძლია ვაეღენა მოახდინოს ხალხურ მასებზე სხვა საშუალებით, თუ არ სიკვდილის დასჯის მუქარით. რა სირცხვილია. სახრჩობელა, აი სიმბოლო „რევოლუციონერი და სოციალისტური“ ხელისუფლების მენშევიკების და ბეგებისა. ეს სახრჩობელა იქნება სეიმის სიმბოლოც.

მაგრამ ეს ხომ პირველი ნაპერწყლებია. ფეოდალურ ბურჟუაზიული ბლოკი საბოლოოდ წაუჭერს ყელში ბაწარს ხალხს.

ამხანაგებო მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო! მუშურ-გლეხური რევოლუცია ჩვენში დაიწყო, საჭიროა მივსცეთ მას შეძლება ფართოდ განვითარებისა, უნდა შევიტანოთ მასში მეტი შეგნება და რაზმულობა.

მეფის რეჟიმთან ბრძოლის საქმეში ამიერ-კავკასია ოდესღაც წინა რიგებში იდგა. ამჟამად კი რუსეთში კონტრ-რევოლუციის ყველაზე უფრო მტკიცე ციხე-ბურჯს წარმოადგენს ამიერ-კავკასია.

საჭიროა გმირული ძალები, რომ ვიხსნათ რევოლუცია, რომ ხელ-ახლა დაუკავშირდეთ რუსეთის დიდ საბჭოთა რესპუბლიკას.

ძირს კონტრ-რევოლუციონერული კავშირი ბეგებთან მემამულეებთან, ბურჟუაზიასთან და მათ დამკაშვებ ნაციონალისტებთან.

გაუმარჯოს რევოლუციონერ და სოციალისტურ კავშირს რუსეთის პროლეტარიატსა და გლეხობასთან.

გაუმარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას კავკასიაში.

გაუმარჯოს სრულიად რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ დიად რესპუბლიკას.

რუხ. ხოც.-დემ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) საოლქო კომიტეტი.

რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

## ამხანაგო მუშებო?

დღეს, 14 თებერვალს, ვასაფლავებთ გვამს მოკლულ ამხანაგ გიგო ვართანოვისას, რომელიც მსხვერპლი შეიქნა ამიერ-კავკასიის კომისარიატის სოციალ-ჯალათებისა. ამხ. ვართანოვი და სხვები დაიღუპნენ იმისთვის, რომ მათ სურდათ ესარგებლად თავიანთი ელემენტარული უფლებით—საპროტესტო მშვიდობიან მიტინგზე მონაწილეობის უფლებით. ისინი დახვრეტილი იქნენ საშინელი ვერაგული და გაიძვრული გზით. ისინი დაიღუპნენ, ვარდა ამისა, გეგეჭკორის მთავრობის მხრით ცილ დაწამებულნიც. ამ მთავრობამ სიცრუე აცნობა ხალხს, თითქოს ისინი დახვრიტეს იმიტომ, რომ მათ მოკლეს პილიციონერი, არა, ათასმა მუშამ, რომელიც დაესწრო მიტინგს, და მთელმა ქალაქმა იცის, რომ 10 თებერვალს დახვრეტილი ჩვენი ამხანაგები არიან მსხვერპლი ამიერ-კავკასიის იმ ახალი მმართველების სისხლის მწოველობისა და ვერაგობისა, რომელნიც თავიანთ თავს უსირცხვილოდ უწოდებენ „სოციალისტებს“. ამ მთავრობის სინიღისზე რამოდენიმე ათასი უმანკო მსხვერპლი ჯარისკაცებისა, რომელნიც დახოცილ იყვნენ შამხორსა, ხაჩმაზსა და სანდარში. მათ 10 თებერვალს ამ მსხვერპლთ მიუმატეს კიდევ ახალი სახელები დახოცილი მუშებისა.

ამხანაგო მუშებო, დავესწროთ დღეს, 14 თებერვალს, ამ დასაფლავებას და მით ამ უდანაშაულო მსხვერპლთა წინაშე მოვიხადოთ ჩვენი უკანასკნელი ამხანაგური მოვალეობა. ფიცი დავდოთ, რომ განვაგრძობთ ბრძოლას იმ ჯალათების წინააღმდეგ, რომელნიც წამოჭიმულან სასახლეში და ასამარებენ რევოლიუციას ამიერ-კავკასიაში. ჩვენი ამხანაგები დაიღუპნენ იმიტომ, რომ ისინი ვერ შეურიგდნენ ბ.ბ. გეგეჭკორისა და ხან-ხოისკის კონტრ-რევოლიუციონერ პოლიტიკას და მიტინგზედაც ლაპარაკობდნენ ამ რევოლიუციონერ ბრძოლის

გაგრძელების აუცილებლობაზე. მაშ მტკიცეთ და შეურყეველად გვწამ-  
დეს ის იდეალები, რომლისთვისაც დაიღუპნენ ჩვენი ამხანაგები.

ძირს ჯალათები და მოძალადენი.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ რევოლუციას.

გაუმარჯოს ხოციალიზმს.

საუკუნო იყოს ხსენება დაღუპულ ამხანაგებისა.

რუბ. ხოც.-დემ. მუშ. პარტ. (ბოლშევიკების) ტფილისის კომიტეტი.



რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია (ბოლშევიკებოა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შერთდით!

## აზხანაგო მუშაგო და ჯარისკაცნო!

1918 წლის 10 თებერვალს ამიერ-კავკასიის მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონურმა პარტიამ, რომელიც სათავეში უდგას ამიერ-კავკასიის კომისარიატს, მუხანათურად დახვრიტა ტფილისის მუშათა მშვიდობიანი და შეუიარაღებელი მიტინგი, რომელიც მოწვეული იყო რუსეთის სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) კომიტეტის მიერ.

ჩვენმა პარტიამ განიცადა მრავალი დახვრეტა და ტანჯვა-წამება მეფის მთავრობის ჯალათებისა და დაჭირებულ მკვლელთაგან. მაგრამ აღექსანდრეს სახელობის ბაღში 10 თებერვალს გამართულმა სისხლის ღვრამ თავისი ვერაგობითა და მუხანათობით გადააჭარბა შავი რეაქციის ყველაზე უფრო უსაშინელეს ბოროტმოქმედებასაც.

მათ ტყვეისმფრქვეველებით დახვრიტეს მშვიდობიანი ხალხი, ისე რომ არც კი ვააფრთხილეს ისინი, კიდევ უფრო მეტი, ისინი მიეპარენ მიტინგს წითელი დროშებით ხელში, რევოლიუციონერების ნიღაბით და როდესაც მიტინგის მონაწილენი და მათი თავმჯდომარე აშხ. ქავთარაძე ემზადებოდენ მხიარულათა და ზემით დახვედროდენ მათ და მისალმებოდენ, ამ დროს მათ ასტეხეს სროლა.

სროლის დაწყებამდე რამოდენიმე წუთით ადრე მიტინგზე მოვიდა მენშევიკების ჯგუფი ნოე ხომერიკის (მისი სახელწოდება „ხუნ-ხუნ“-ია) და პეტრე გელეიშვილის (ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგი) მეთაურობით, რომელთაც გასცეს უკანასკნელი ვერაგული განკარგულება ბაღის ყველა შესავალ და გასავალ კარების დასაკეტად და მუშების დასახვრეტად ხელსაყრელ პირობების შესაქმნელად. ამის შემდეგ ეს არამზადები, ამ სისხლის ღვრის განკარგულების მომხდენნი, გაიპარნენ ბაღიდან.

იმ წამსვე, შემდეგ ამისა, ბარიათინსკის ქუჩიდან ბაღში შემოსასვლელ კარების მხრით გამოჩნდა ჯალათების რაზმი, რომელთაც ჯვრათ ჯარის კაცის მანაჩა, პრაპორშჩიკ იმნაძიხა და ავაკიანცის

(მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრი) მეთაურობით. წითელი დროშები, იუდასებური ღიმილი პრაპორშჩიკ იმნაძის სახეზე, სიხარული მიტინგის მონაწილეთა სახეებზე, ტაში მოსულთა პატივსაცემად და უცბად... ვერაგული თოფის სროლა მუშების საწინააღმდეგოთ; ისროდენ უმთავრესად ტყვიისმურქვეველთაგან და ამასთანავე ერთად ვინტოვკებიდან. მიტინგის ნაწილი გაიქცა, დასტოვა რა ადგილზე დაჭრილ-დახოცილნი, დანარჩენები კი გაწვენ მიწაზე. წითელი დროშები მარქსისა, ენგელსისა და ლასალის სურათებით დახვრეტილ იქნა მენშევიკების დაქირავებულ ჯალათების მიერ. თავიდანვე ესროლეს ხალხს და არა ჰაერში, რის გამოც აღმოჩნდა ამდენი დაჭრილი და დახოცილი.

ჩვენ ჯერ-ჯერობით შევძელით გამოგვერკვია მხოლოდ შემდეგ მოკლულთა გვარები:

1. მათეოსოვი, 2. ზაქარია სეხნიაშვილი, 3. კრიგოლ ვართანოვი, 4. გერსამია, 5. პეტრე პისკუნოვი; დაჭრილია: ნესტორ ცერცვაძე, ალახვერდოვი, მამედ ახბაბოვი, ვარლამ ჯავახიძე, ნიკოლოზ ჩუხუხაძე, მარიამ ბეკიჯანოვა, ნიკოლოზ გორიშვილი, გეგამ ანტონიანცი, პროკოფი გურიევი, ვარლამ ცქვიტელიძე, ილარიონ წვერკიაშვილი, პეტრე ტერ-მოსესოვი, ლაზარე სხირტლაძე, ილია ბარამაშვილი, მიხეილ მელნიხაძე.

ეს სისხლიანი ავაზაკობა სურდათ მოეხდინათ ბ. ბ. ჟორდანიას, რომიშვილსა და რევოლიუციის სხვა მოღალატეებსა და ქურდებს აღბათ იმისათვის, რომ ღირსეულად ედღესასწაულათ ამიერ-კავკასიის სეიმის გახსნა, რომელიც დანიშნული იყო იმ დღისათვის.

დათვრენ რა საკმარისად ჯარისკაცთა სისხლით შამხორში, მაჰმადიანთა ბეგების ამ ლაქიებმა მოისურვეს გაესინჯათ მუშათა სისხლიც.

მიტინგის მთელი ადგილი წარძოადგენს სისხლის მორვეს, ბაღის არეები და სკამები დასვრილია დაჭრილთა სისხლით და დახოცილთა სხეულის ნაკვთებითა და დანთხეული ტვინით.

ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცებო! თქვენი თვალთ ნახეთ ეს უსაშინელესი ვერაგული ბოროტ მოქმედება, რომელიც ჩაიდინა იმ ხალხმა ვინც კიდევ უწოდებს თავის თავს სოციალისტსა და მუშათა კლასის მეგობარს.

ჩვენ მთელ ამ სისხლში გასვრილ ბოროტებას ვაყენებთ თქვენი საკუთარი პროლეტარული სამსჯავროს წინაშე.

ძირს ამიერ-კავკასიის კონსტატივის ჯალათები.

ძირს თავად-აზნაურთა და ბურჟუაზიის კონტრ-რევოლიუციონური ზედისუფლება.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ რევოლიუციას.

გაუმარჯოს სრულიად რუსეთის საბჭოების სოციალისტურ რესპუბლიკას.

რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკების) საოლქო კომიტეტი.

რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკების) თბილისის კომიტეტი.

(ექიმების შემოწმებით ყველა ქრილობა სხვა და სხვა ტყვეთა მიყენებული).



## დადგენილება

მე, ტფილისის პოლიციემისტერი, პოლკოვნიკი **ზდანოვსკი** ვადგენ: 1) ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის სოფ. ზოვრეთის აზნაური სერგეი ივანეს ძე ქავთარაძე, 2) ქუთაისის მაზრის სოფლ. გლეხი ვლადიმერ ანთიმოვის ძე ჯუღელი\*), 3) ქალაქ სოხუმის აზნაური, გიორგი გრიგოლის ძე შანშივეი\*\*) 4) ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის, სოფელ ასკანის გლეხი სევასტი გერასიმეს ძე თალაკვაძე და 5) იმავე გუბერნიისა და მაზრის სოფელ მეწიეთის გლეხი თედორე ვასილის ძე კალანდაძე, რომელნიც ირიცხებიან ჩემზე, თბილისის გუბერნიის № 2 საპრობილეში და არიან მონაწილე პირნი რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის ორგანიზაციების მუშაობისა, თანახმად საომარ მოქმედებათა ასპარეზის კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარ უფროსის განკარგულებისა რომელიც მეცნობა მე თბილისის გუბერნატორის კანცელარიის მხარათვებში, 1917 წ. 30 დეკემბრის, № 7617 და ა. წ. 9 იანვრის № 150 თარიღით, განთავისუფლებულ იქნენ პარტიზობიდან და გაიგზავნონ გასაშვები მოწმობით ირკუტსკის გუბერნატორის განკარგულებაში, რათა დასახლებულ იქნენ იქ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, კავკასიის სამხედრო ოლქის ფარგლებში სამხედრო წესების მოქმედების მთელი ხნის განმავლობაში, რაიც ეცნობოს დაპატიმრებულთ. ხსენებული დადგენილების ასლი წარედგინოს და გაიგზავნოს კუთვნილებისამებრ.

\*) ჯუღელი ვ. ო. ი. ცო, მაშინ ბოლშევიკად ითვლებოდა. თუმცა ახლო ბელი ამხანაგები მას თავიდანვე ამჩნევდნ, რომ იგი არ იყო მტკიცე მასიათის, ჩამოყალიბებული ბოლშევიკი. და ბოლოს მან ეს კიდევ გამოიჩინა საქმეში 1917 წ. რევოლიუციის შემდეგ. მენშევიკების გაბატონების დღიდან იგი გახდა მენშევიკების „დემოკრატიული რესპუბლიკის“ სამხედრო ძალების ასე წოდებული, — „ატამანი“. მან მენშევიკების ბატონობის წლებში ერთობ ისახელა თავი და გაითქვა ხსენილი ბოლშევიკების წოცვა-დევნაში. ესლა კი „გარდაცვენილ“ მენშევიკების ბელადებთან დიქტება ევროპაში და იკვებება ევროპის მურყუაზიის ნახუფრალით.

\*\*) შანშივეი გიორგი სრულებით გაუგებრობით და შეცდომით მოხდა ბოლშევიკების ამ ჯგუფში, რის მიზეზიც უმთავრესად იყო ის, რომ იგი ახლო, პირად მეგობრულ დამოკიდებულებაში იყოფებოდა სერიოზუა ქავთარაძესთან და ჯუღელთან. იგი მიმართულებით მენშევიკი იყო, მაგრამ აქტიურ მუშეკად არც იქ ითვლებოდა.

რედაქცია.

1917 წ. 13 იანვარი. № 22.

დედანს ხელს აწერს: თბილისის პოლიციემისტერი—პოლკოვნიკი ზდანოვსკი და სტოლის უფროსი—შეგდილოვი.  
 დედანთან სწორია:

სტოლის უფროსის თანაშემწე (ხელის მოწერა).

1917 წ. 14 იანვარი.

№ 487.

თბილისის პოლიციემისტერს.

თანახმად თქვენი ა. წ. 13 იანვრის № 22 დადგენილებისა, ამასთანავე გიგზავნით თქვენი მაღალკეთილშობილების განკარგულებაში პატრონიდან განთავისუფლებულთ ტუსალებს: თედორე კალანდაძეს, სევასტი თალაკვაძეს, გიორგი შანშიევს, ვლადიმერ ჯუღელს და სერგეი ქავთარაძეს.

დანართი: მოწმობები №№ 511, 282, 149, 1685 და 34.

# კონტრ-რევოლუციის ისტორიდან.

რუსეთის ხალხის კავშირის მთავარი საბჭოს

## მ რ ე მ დ ე ბ ა.

რუსეთის ხალხის კავშირის წევრობა, რუსეთის ხალხი! თქვენ სახელმწიფო სათათბიროს ახალი არჩევნების წინაშე სდგებართ. მაშ მოუსმინეთ და ყური უგდეთ, სადაც არ უნდა იყოთ თქვენ, იმ კავშირის მთავარი საბჭოს სიტყვებს, რომელიც გაერთიანებულ თქვენ და გემსახურებათ მთელი თავისი ძალებისა და გონების მიხედვით.

სათათბიროს პირველი არჩევნების დღეებში თქვენ დაგამარცხეს; თქვენი რჩეული შვილები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ იქნენ არჩეულნი. გაიძვერანი, რომელნიც თავიანთ თავს „ტრუდოვიკებს“ უწოდებდენ, რომელთაც მიწა არასოდეს არ უნახავთ და ამ მიწაზე არც მდგარან, ალაპარაკდენ თქვენი სახელით და კიდევაც მოხედენ „საუქეთესო პირთა“ რიცხვში. ცეცხლი წაეკიდა პირველი სათათბიროს ამ „საუქეთესო პირთა“ სიტყვებისაგან მრავალტანჯულ შშობელ-დედას, დიადს რუსეთს, სათათბიროში ყველანი „მოითხოვდენ“, სდუმდა მხოლოდ ერთი გაბრუებული, მუდამ და მუდამ ჩაგრული რუსი კაცი, მიწის მუშა გლეხი, რომელიც შემთხვევით, თითქოს სასწაულის ძალით, მოხვდა სათათბიროში.

ებრაელი მეთაურობდა ყველას, ვინაიდან მან შეაცდინა რა გაუნათლებელი და უბრალო ამომრჩეველი, ზოგან გაიძვერა დაპირებებითა და ზოგან კიდევ მოსყიდვით, ამ ებრაელმა გაიყვანა პირველ სათათბიროში ვიღაც ვიგინდარები, გაიძვერანი, უთვისტომონი, რომელთაც არ ქონდათ არც სინიდისი და პატროსნება, არ სწამდათ ღმერთი, არ ქონდათ სიყვარული სამშობლოსა და მეფისა. რუსის ხალხი, გასურს თუ არა ხელმეორედ განიცადო ასეთი სირცხვილი?

ყოველ დღე, დიდი რუსეთის ყველა კუთხეებიდან აქ, ჩვენ, მთავარ საბჭოს, მოგვდის და გვესმის საპასუხო გამოძახილი ხალხისა „ემარა, გვეყოფა რაც იყო, აღარა გვესურს!“ მაშ, იხმინე რუსის ხალხი!



**ჩვენი მტერია—ებრაელი, და მიხი კაპიტალების მონა-მოსახლე**

სახურებებმა დაგვამარცხეს ჩვენ იმიტომ, რომ ისინი ერთსულოვნად მუშაობდნენ ჩვენ წინააღმდეგ, ყველანი როგორც ერთი ისე მოქმედებდნენ, ხოლო ჩვენ კი მივდიოდით გაფანტულნი, თავებს ვიმტვრევდით, და საარჩევნო ბრძოლის დღეებში ვეღარ ვახერხებდით შეკავშირებას; ასე იყო სოფლად და განსაკუთრებით კი ქალაქებში. მთავარმა საბჭომ იცის ისეთი შემთხვევები, როდესაც ქალაქებში, სადაც მართლაც და რუსი საუკეთესო პირები წარმოადგენდნენ უმრავლესობას და ყოველ ექვს გარეშე შეეძლოთ გასულიყვენ ამომრჩევლებად, ხოლო აქედან კი თვით სათათბიროს წევრებად,—ასეთ ქალაქებში გადიოდნენ ებრაელები და მათი ხურგილებისა და განზრახვების დაქაშვები, მხოლოდ იმიტომ, რომ რუსები ვერ თანხმდებოდნენ რა თავის დროზე ერთ განსაზღვრულ კანდიდატზე, ფანტავდნენ თავიანთ ხმებს, ეშინოდათ რა იმისა, რომ არაუტერი ეწყენინებიათ თავიანთ საყვარელ პიროვნებათათვის; ხოლო ყოველივე ამას კი შედეგად ყვებოდა ის, რომ ეს საყვარელი პირები რჩებოდნენ გამასხრებულნი და გადიოდა კი ებრაელი, კადეტი—ამავე ებრაელის მონა-მოსამსახურე ან სხვა რომელიმე მათი მზგავსი, რომლის ადგილიც მოიპოვება ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარეშე.

და ნულარ ექნება ასეთ რამეს ადგილი ამ მომავალი არჩევნების დროს, რუსის ხალხო! დაივიწყეთ ნათლიმამობა და მეგობრობა ამ დიად საზოგადოებრივ საქმეში. სათათბიროში თქვენ უნდა აირჩიოთ არა მუქთახორანი, რომელთაც მხოლოდ ყუუა და სისინი შეუძლიათ და ამისათვის კი ყოველდღიურათ ჯიბეში იღებენ 10 მანეთს თქვენი სისხლითა და ოფლით ნაშოვნი ფულიდან,—არამედ მომუშავენი, საქმისა და შრომის ხალხი, რომელნიც მზად იქნებიან შეუდგენ რუსეთის ცხოვრებისა და გლეხის მიწის მეურნეობის განახლებას არა ძარცვა-გლეჯითა და უჩალობის გზით, არამედ ისეთი კანონების საშუალებით, რომელნიც დაფუძნებული იქნებიან ღვთის სამართალზე. ხოლო ასეთი პირები კი არჩეულ იქნებიან მაშინ, როდესაც, თქვენ, ამომრჩევლნო, ერთხელ და საბოლოოდ, ყოველგვარი სიცრუისა და გაიძვრობის გარეშე, ერთად შეჩერდებით განსაზღვრულ კანდიდატებზე და ყველანი, როგორც ერთი კაცი, არჩევნების დღეს თავის საკუთარ ბარათში ჩასწერთ მხოლოდ ამ ერთ სახელსა და გვარს. დიახ, იმსჯელეთ, იკამათეთ, გამოარკვიეთ და გადასწყვიტეთ, თუ ვინ უნდა იქნეს თქვენს შორის ამომრჩეველი, მაგრამ გადაწყვეტის შემდეგ ყველამ მტკიცეთ დაუჭირეთ მხარი ამ ერთს. დაე ყველამ და თვითთულმა თქვენთაგანმა მტკიცედ დაიმახსოვროს მხოლოდ მათი გვარები, რომელსაც იცავს უმრავლედ-

სომა და უყოყმანოთ აღასრულოს ამ უმრავლესობის ნება—**გარეზე ამისა გამარჯვებას ნუ ელით.**

რუსის ხალხო, ამასთან ერთად თქვენ აგრეთვე უნდა გახსოვდეთ ისიც, რომ აღარ დარჩება არც ერთი სიბინძურე, ცილისწამება, ბრალდება და საზიზღრობა, რომლითაც არ გაუშმასპინძლებიან ებრაელები და მათი დამჭაშები თქვენ მიერ დასახელებულ პირებს, რათა ამით გზა-კვალი აუზნიონ ყველაზე უფრო სუსტთაგანს თქვენ შორის და მით მათ შორის დასთესონ უნდობლობა თქვენ მიერ დასახელებულ პირებისადმი. ყური არ უგდოთ, არ შეცდეთ და თავიდან მოიშორეთ ეს ცილისწამებელნი და მტკიცედ გახსოვდეთ, რომ მისი გულღვარძლიანობისა და ბოროტი სისინის სისასტიკე და საზიზღრობა მით უფრო ძლიერი იქნება, რაც უფრო საქმიანი, პატიოსანი და და საშიში იქნება ებრაელისათვის თქვენ მიერ ამორჩეულ პირთა გვარები.

**ერთობაშია ძალა, ნუ დაგფანტავთ ხმებს, არჩევნების დღეს არავის არ მიხცეთ საშვალემა გადაათვალთეროს თქვენი ბარათები, რადგან გეშინოდეთ მათი შეცვლისა, ხოლო თვით ბარათები კი დასწერეთ წყნარათა და მშვიდათ, ყველამ ერთ დროს, კავშირის საჩაიეში, ვინც იცის წერა-კითხვა მან თვითონ დასწეროს ბარათი. ხოლო ვინც იგი არ იცის მათი ბარათები შეავსოს მან, ვინაც არ შეუძლია ებრაელის მანეთსა და ათ შაურზე გააყიდოს თავისი თავი ან თავისი მოძმე, იმ დღეს, როცა უნდა არჩეულ იქნენ საუკეთესო პირები დიადი, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საქმისათვის.**

დაეღვთის ლოცვა-კურთხევა მოგვევლინოსთ თქვენ და გააბრწყინოს გონება თქვენი ყოვლად ძლიერმა, დაე თქვენი გრძნობის გამოძახილი იყოს აგრეთვე გამოძახილი თქვენივე გონებისა. არა ბოროტებისა და ამბოხებათა მოსახდენათ და დახათესათ გაგზავნით თქვენ არჩეულ პირებს სახელმწიფო სათათბიროში, არამედ იმისათვის, რომ პატიოსნად გამოარკვიოთ ხალხის საჭიროებანი და გასწიოთ ნაყოფიერი და წმინდა შრომა!

რუსეთის ხალხის კავშირის მთავარი

საბჭოს თავმჯდომარე ა. ლუბროვინი.

რუსეთის ხალხის კავშირის მთავარი

საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ვ. პურიშკევიჩი.

მდივანი ზელენსკი.

## ს ა რ რ ე ვ ი:

	ბმ.
1. პარტიის ისტორიის კომისიისაგან. . . . .	3
2. რუსეთის კომუნისტური პარტიის პირველი დამფუძნებელი ყრილობა. . . . .	5
3. წესდების პროექტი პარტ. პირვ. ყრილობისათვის. . . . .	10
4. მანიფესტის პროექტი პირველ ყრილობისათვის. . . . .	12
5. მანიფესტი რ. ს.-დ. მუშათა პარტიისა. . . . .	15
6. რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის წარმოშობა—ბ. ქავთარაძე. . . . .	21
✓ 7. მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის ისტორია—რ. კალაძე. . . . .	27
8. საქართველოს რევოლუციონური მოძრაობის წარსული—ბ. თალაკვაძე. . . . .	47
✓✓ 9. როგორ გაეხდინა მარქსისტი—ფ. მახარაძე. . . . .	66
10. რევოლუციონურ მოგონებათა საღამო. . . . .	83
11. ძვირფასი და მუდამ დაუფიწყარი ზაქრო ჩოდრიშვილი—გ. ჩხეიძე. . . . .	94
12. მოგონება ზაქრო ჩოდრიშვილზე მისი ძმის მიხა ჩოდრიშვილის მიერ დაწერილი. . . . .	106

### ავტობიოგრაფიები:

I. ლადო დუმბაძე. . . . .	110
II. თ. კალანდაძე. . . . .	118
III. ნინო ნიკიტას ახული ალაჯაროვია . . . . .	123

### პარტიული არქივი:

1. ახალი ოინბაზობა—ფ. მახარაძე. . . . .	126
2. პროკლამაციები . . . . .	136
3. დადგენილება . . . . .	185

### კონტრ-რევოლუციის ისტორიიდან:

1. რუსეთის ხალხის კავშირის მოწოდება . . . . .	187
---	-----



## დაიბეჭდა და გამოვიდა

კომპარტიის ცეკას სააგ. საპრ. განყოფილ. გამოცემანი:

1. ტროცკის—„იმპერიალიზმის და რევოლიუციის შუა“.
2. ზოგდანოვის—„მოკლე კურსი პოლიტიკურ მოძღვრებათა“.
3. ბლონინასი—„მუშა ქალი ინტერნაციონალში“.
4. მარქსის—„საქირაო შრომა და კაპიტალი“.
5. ხტებანოვის—„ნარკვევი რელიგიურ რწმენათა განვითარებიდან“.
6. ლილინასი—„კომუნისტურ ოჯახიდან კომუნისტურ საზოგადოებაში“.
7. მე-12 კონფერენციის რეზოლიუციები.
8. ჩიჩერინის—„ნარკვევი ახალგაზრდათა ინტერნაციონალის ისტორიიდან“.
9. სახნოვსკის—„რუსეთი“.
10. ბუხარინის—„ეკლესია და სკოლა საბჭოთა რესპუბლიკაში“.
11. ნეფსკის—„დღესასწაულები ქრისტიანული და მუშურ გლეხური“.
12. ტროცკის—„ოქტომბრის რევოლიუცია“.
13. „ზინოვიევის მე-3 კომინტერნი“.
14. ქვეყნის გაჩენა განვითარება.
15. ბატურინის—„ნარკვევი ს. დ. ისტორიისა რუსეთში“.
16. კომინტერნის მე 4 კონგრესი.
17. რ. კ. პ. მე-11 ყრილობა.
18. „პარტიის წესდება“.
19. „მუშათა კლასის წარმოშობა რუსეთში და მისი პირველი ნაბიჯები“.
20. ხტეკლოვის—„ისტორია მუშათა მოძრაობისა“.

### მზადდება დასაბეჭდად:

1. ნ. ბუხარინი—იმპერიალიზმი და მსოფლიო მეურნეობა.
2. „ კლასთა ბრძოლა და რევოლიუცია რუსეთში.
3. გ. კუნოვი—ღვთისადმი რწმენისა და რელიგიის წარმოშობა.
4. კ. მარქსი და ფ. ენგელსი—„კომუნისტური მანიფესტი“ დ. რიაზანოვის კომენტარებით.
5. პროფ. გ. ს. გურვიჩი—საბჭოთა კონსტიტუციის საფუძვლები.

6. ნოვიცკი (პეტროვიჩი)—როგორ ჩამოაგდეს რუსმა ჯუშებმა ჯარის კაცებმა მეფე 1917 წ.
  7. გ. ლიბკნეხტი—მოგონებანი კარლ მარქსზე.
  8. ი. ვარდინი—პოლიტიკური პარტიები და რუსეთის რევოლუცია.
  9. გ. პლენხანოვი—მარქსიზმის ძირითადი საკითხები.
  10. ნ. ბუნარინი—თეორია ისტორიული მატერიალიზმისა.
  11. სტუჩკა.—რევოლუციონური როლი უფლებებისა და სახელმწიფოს.
  12. გ. დევილი—მეცნიერული სოციალიზმი.
  13. ი. სტალინი—კრებული წერილებისა ეროვნულ საკითხთა შესახებ.
  14. პ. ლაფარგი—შრომა და კაპიტალი.
-